

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

თამთა გორაძე

კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის მარკერების
ლინგვისტური ანალიზი ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში

დისერტაცია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ასოც. პროფესორი ზეინაზ გვარიშვილი

ბათუმი

2026

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თ. გორაძე

შინაარსი

შესავალი -----	4
თავი I. დისკურსის ანალიზის თეორიული საფუძვლები -----	11
1.1 დისკურსის თეორიული პარადიგმები და ინსტიტუციური ბუნება-----	11
1.2 კულტურისა და კონტექსტის როლი დისკურსის ფორმირებაში -----	31
თავი II. ინსტიტუციური დისკურსის სპეციფიკა: პოლიტიკა და მედიცინა -----	40
2.1 პოლიტიკური დისკურსის პრაგმალინგვისტური და მანიპულაციური ასპექტები -- -----	40
2.2 სამედიცინო დისკურსის პრაგმალინგვისტური და მანიპულაციური ასპექტები ---- -----	49
თავი III. პრესკონფერენციის ჟანრობრივი სპეციფიკა და სტრატეგიული დანიშნულება -----	61
3.1 პრესკონფერენციის სპეციფიკა და ჟანრობრივი მახასიათებლები -----	61
3.2 პრესკონფერენცია, როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტი კრიზისულ კომუნიკაციაში -----	67
თავი IV. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის მარკერების ლინგვისტური ანალიზი ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში ----- -----	73
4.1 კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართულენოვანი პრესკონფერენციის დისკურსის ლინგვისტური ანალიზი -----	73
4.2 კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი პრესკონფერენციის დისკურსის ლინგვისტური ანალიზი -----	125
4.3. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართული და ინგლისურენოვანი პრესკონფერენციების დისკურსის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი -----	170
დასკვნა -----	209
გამოყენებული ლიტერატურა -----	220

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო, სოციალური, კულტურული თუ ეროვნული განსხვავებების მიუხედავად, COVID-19-ის პანდემიის სახით უპრეცედენტო გლობალური გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. კრიზისი გასცდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ჩარჩოებს და ძირეულად შეცვალა ყოველდღიური ცხოვრება, მნიშვნელოვნად დააზიანა ეკონომიკა და პრევენციული ღონისძიებების (იზოლაცია და სოციალური დისტანცირება) შედეგად, ნეგატიურად იმოქმედა ადამიანების მენტალურ ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, ტრანსფორმაცია განიცადა მუშაობის, სწავლებისა და ლინგვისტური კომუნიკაციის ფორმებმა, რამაც ნათლად გამოკვეთა გლობალური სისტემური სისუსტეები. ამ პროცესებმა ხაზი გაუსვა ძლიერი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის, ეფექტიანი სოციალური დაცვის მექანიზმებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას.

პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამოსვლის სტრატეგია მხოლოდ სამედიცინო ასპექტებით (მკურნალობის მეთოდების შემუშავება, ვაქცინების შექმნა, მასობრივი ვაქცინაცია) არ შემოიფარგლებოდა. კრიზისის მართვა აუცილებლად მოითხოვდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებას. შესაბამისად, პასუხისმგებელ პოლიტიკურ ფიგურებს კრიტიკული როლი დაეკისრათ: სტრატეგიული ლიდერობა, რესურსების მობილიზაცია, საპასუხო პოლიტიკის გატარება და პროცესების მუდმივი მონიტორინგი.

პანდემიის საწყის ეტაპზე ინფორმაციულმა ვაკუუმმა, რასაც თან სდევდა დეზინფორმაცია და სკეპტიციზმი, მნიშვნელოვნად გააღრმავა სოციალურ-კულტურული დაყოფა და შეაფერხა ვირუსთან ბრძოლის ერთობლივი ძალისხმევა. აღნიშნულმა განაპირობა ეფექტიანი კომუნიკაციის წარმართვისა და საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ხელშეწყობის აუცილებლობა, რაც ფსიქოლოგიური ბერკეტების გააქტიურებას მოითხოვდა. აღნიშნული სტრატეგია მოიცავდა ზუსტი და გასაგები ინფორმაციის გავრცელებას, სანდო არხების გამოყენებით დეზინფორმაციასთან მიზანმიმართულ ბრძოლასა და უსაფრთხოების წესების შესრულების წახალისებას.

ავტორიტეტული პირების მიერ COVID-19-თან დაკავშირებული საკითხების წარდგენა რამდენიმე ამოცანას ემსახურებოდა: საზოგადოების დაცვას, მოსახლეობის დარწმუნებას წყაროების სანდოობაში, ჯანმოს რეკომენდაციების შესრულებასა და

ვაქცინაციის პროცესში ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა გლობალური იყო და მასზე პასუხი მაღალკვალიფიციურ მეცნიერებს უნდა გაეცათ, მათი ქმედებები განსხვავდებოდა ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფონის გათვალისწინებით. იდენტური სამედიცინო საფრთხის პირობებშიც კი, ქართულ და ამერიკულ დისკურსში გამოყენებული ენობრივი მანიპულაციები სპეციფიკურია. 2019-2022 წლების პროცესების ლინგვისტური ანალიზი აჩვენებს, რამდენად დიდ გავლენას ახდენს კულტურა პაციენტების დამოკიდებულებაზე ჯანდაცვის სისტემის მიმართ.

ამ კონტექსტში პრესკონფერენცია ჩამოყალიბდა, როგორც წინასწარ შემუშავებული დისკურსის გავრცელების მიზანმიმართული სივრცე. გლობალურმა კრიზისმა ცხადყო, რომ მიუხედავად ონლაინპლატფორმებისა და სოციალური მედიის განვითარებისა, პრესკონფერენცია რჩება ინფორმაციის დაუყოვნებლივი გავრცელების უმთავრეს საშუალებად. ის ითვლება კომუნიკაციის ყველაზე მოქნილ მექანიზმად მისი ინტერაქციულობის, დინამიკურობისა და თანამშრომლობითი ბუნების გამო.

პრესკონფერენციის, როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის იარაღის, ძირითადი მიზანი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და სოციალური განწყობების ფორმირებაა. ამ ღონისძიებებზე მკაფიოდ იკვეთება სოციალური, ლინგვისტური და რიტორიკული ასპექტები. მნიშვნელოვანი ფიგურების ვერბალური ქცევა ასახავს კრიზისის სპეციფიკასა და დაჩქარებულ დინამიკას, რაც ადასტურებს, რომ ეს ფორმატი უშუალოდ ემსახურება ინსტიტუციურ მიზნებს.

პანდემიამ შექმნა უპრეცედენტო საკომუნიკაციო გარემო, სადაც აუცილებელი გახდა ინსტიტუციების, პოლიტიკური ლიდერებისა და ექსპერტების ყოველდღიური ჩართულობა. შედეგად, ჩამოყალიბდა დისკურსის ჰიბრიდული ტიპი, რომელიც აერთიანებს სამედიცინო ინფორმაციას, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და საზოგადოებრივი დარწმუნების მეთოდებს. შერჩეული საკომუნიკაციო არხი, პრესკონფერენცია, ერთდროულად წარმოადგენდა ინსტიტუციურ ბრიფინგს, კრიზისის მართვის ინსტრუმენტსა და კოლექტიური მნიშვნელობის შემქმნელ ფორმატს.

COVID-19-ის პანდემიის დისკურსი, სადაც სამედიცინო ტერმინოლოგია ერწყმის პოლიტიკურ რიტორიკას, წარმოადგენს ასპარეზს ენის როლის შესასწავლად ძალაუფლების მოპოვებისა და მანიპულაციის პროცესში. წინამდებარე ნაშრომი

„COVID პანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის მარკერების ლინგვისტური ანალიზი ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში“ იკვლევს სამედიცინო, პოლიტიკური და პრესკონფერენციის დისკურსის მარკერების პრაგმატიკულ თავისებურებებს აღნიშნულ ჰიბრიდულ გარემოში.

გამოყენებული მარკერები ასახავს კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირების ლექსიკურ არჩევანსა და საკომუნიკაციო მიზნებს. ეს ელემენტები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ინტერაქციის სტრუქტურირებასა და ინტერპრეტაციაში. კრიზისის პირობებში სპიკერებს უწევთ ფაქტობრივი სიზუსტის შერწყმა ემპათიასთან, საზოგადოებრივი შიშის დამოშმინება და გარკვეული დაპირებების გაჟღერება. შესაბამისად, ქართული და ინგლისური პანდემიური პრესკონფერენციების შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ არა მხოლოდ ლინგვისტური მექანიზმები, არამედ ის ფართო კულტურული კანონზომიერებები, რომლებიც კრიზისული კომუნიკაციის სტრუქტურას განსაზღვრავს. სწორედ ამ პრაქტიკულ მოცემულობებს ეფუძნება წინამდებარე ნაშრომი, რომლის ფარგლებშიც ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის კვლევის მიზანია:

• **ჟანრობრივი კლასიფიკაცია:** ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის მარკერების ჟანრობრივი კლასიფიკაცია და სტრუქტურული თავისებურებების იდენტიფიცირება;

• **პრაგმატულ-ლინგვისტური ანალიზი:** კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ჰიბრიდული ჟანრების პრაგმატულ-ლინგვისტური, რიტორიკული და სოციოკულტურული ასპექტების შედარებითი კვლევა ქართულ და ინგლისურენოვან მასალაზე დაყრდნობით;

• **კორპუსული და სტატისტიკური ანალიზი:** დისკურსული მარკერების აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირის განსაზღვრა კორპუსული ანალიზის საფუძველზე; ჰელინგერის დისტანციის (Hellinger distance) ¹ გამოყენება ქართულ და

¹ ჰელინგერის დისტანცია (Hellinger distance) – სტატისტიკური მეთოდი, რომელიც გამოიყენება ორი ალბათური განაწილების მსგავსებისა და განსხვავების რაოდენობრივი შეფასებისთვის. მისი მნიშვნელობა მერყეობს 0-დან 1-მდე: რაც უფრო უახლოვდება მაჩვენებელი 0-ს, მით უფრო მსგავსია ორი განაწილება, ხოლო რაც უფრო უახლოვდება 1-ს, მით უფრო მაღალია მათ შორის განსხვავების ხარისხი.

ინგლისურენოვან დისკურსებს შორის სტატისტიკური მსგავსება-განსხვავების დასადგენად;

კვლევის ძირითადი მიზნების პარალელურად, ნაშრომის დამატებითი მიზანია:

- **სტრატეგიული კომუნიკაციის ანალიზი:** პრესკონფერენციის, როგორც სტრატეგიული საკომუნიკაციო არხის, ფუნქციური როლის გამოკვეთა პანდემიის პირობებში კრიზისული დისკურსის მართვის პროცესში.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომის ამოცანებია:

- **ჟანრობრივი კლასიფიკაცია:** ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და მისი ჰიბრიდული ბუნების განსაზღვრა;

- **დისკურსული მარკერების იდენტიფიკაცია:** კვლევის ემპირიულ მასალაში (ქართულ და ინგლისურ პრესკონფერენციებში) ჟანრობრივი თავისებურების გამოვლენის მიზნით სპეციფიკური დისკურსმარკერებისა და ენობრივი მანიპულაციების გამოვლენა;

- **კორპუსული და სტატისტიკური დამუშავება:** იდენტიფიცირებული მარკერების აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირის განსაზღვრა კორპუსული ანალიზის მეთოდით;

- **შედარებითი ანალიზი:** ქართული და ინგლისურენოვანი მონაცემების შედარება-შეპირისპირება სტატისტიკური და სოციოკულტურული განსხვავებების გამოსაკვეთად;

- **საკომუნიკაციო არხის შესწავლა** (დამხმარე ამოცანა): პრესკონფერენციის, როგორც სტრატეგიული არხის, როლის განსაზღვრა კრიზისული კომუნიკაციის მართვის პროცესში;

თეორიული და პრაქტიკული განზოგადება: მიღებული ემპირიული მონაცემების საფუძველზე, კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული დისკურსის ლინგვისტური მონაცემების თეორიული განზოგადება და პანდემიური დისკურსის სპეციფიკური კანონზომიერებების დადგენა.

ნაშრომის სიახლე და აქტუალურობა: ნაშრომის სამეცნიერო სიახლეა კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ორენოვანი ემპირიული მასალის

სისტემატიზაცია და კორპუსული დამუშავება, რაც ქმნის სამეცნიერო პრეცედენტს კრიზისული კომუნიკაციის შემდგომი კვლევებისთვის.

კვლევის სიახლეს წარმოადგენს:

- **პანდემიური დისკურსის შესწავლა დროის სამ სხვადასხვა მონაკვეთში** (ტალღების მიხედვით): რაც გამოყენებული ენობრივი მარკერების სინქრონიული და დიაქრონიული დაკვირვების საშუალებას იძლევა.

- **მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდის - ჰელინგერის დისტანციის (Hellinger distance) გამოყენება** ლინგვისტურ კვლევაში, რაც ქართულ და ინგლისურ დისკურსებს შორის მსგავსება-განსხვავების მაღალი სიზუსტით დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

- **პრესკონფერენციის ახლებური გააზრება:** იგი განხილულია არა მხოლოდ როგორც ინფორმაციის გადაცემის არხი, არამედ როგორც სტრატეგიული სივრცე, სადაც ხდება სამედიცინო ექსპერტიზისა და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ლინგვისტური სინთეზი.

საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ კოვიდპანდემიამ თვისობრივად ახალი საკომუნიკაციო რეალობა წარმოშვა. ამ პირობებში ენა აღარ წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის საშუალებას, იგი კრიზისის მართვისა და სოციალური სტაბილიზაციის მძლავრ ინსტრუმენტად იქცა. პანდემიურმა კომუნიკაციამ ფაქტობრივად წაშალა ზღვარი მანამდე მკვეთრად დიფერენცირებულ სამედიცინო და პოლიტიკურ დისკურსებს შორის, რამაც დღის წესრიგში დააყენა ამ ჰიბრიდული ფენომენის ახლებური ლინგვისტური გააზრებისა და ინტერდისციპლინური შესწავლის საჭიროება. აღნიშნული აქტუალობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება იმ კვლევითი ხარვეზების ფონზე, რომელთა შევსებასაც ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. კერძოდ:

- ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული დისკურსი არ არის სიღრმისეულად შესწავლილი ლინგვისტური თვალსაზრისით;

- თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ იძებნება კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული დისკურსის ჟანრობრივი ანალიზი;

• კორპუსული კვლევის საფუძველზე ამ მასშტაბით არ არის იდენტიფიცირებული ამ კონკრეტული ჰიბრიდული ჟანრის პრაგმატინგვისტური და სოციოკულტურული თავისებურებები.

ამასთანავე, ნაშრომის აქტუალურობას განსაზღვრავს კვლევის მასშტაბი და მეთოდოლოგიური სპეციფიკა. პანდემიის პირველი სამი ტალღის განმავლობაში წარმოებული ქართული და ინგლისურენოვანი დისკურსის კორპუსული ანალიზი იძლევა:

• საქართველოსა და აშშ-ში არსებული კონტექსტის პარალელურად, თითოეულ ენაში შეცვლილი საკომუნიკაციო სტრატეგიის დინამიკაში დაკვირვების საშუალებას;

• ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსში ასახული ერის უახლესი კულტურული თავისებურებების შედარება-შეპირისპირების შესაძლებლობას.

კვლევას აქტუალურობას მატებს ისიც, რომ იდენტური სამედიცინო საფრთხის პირობებში სხვადასხვა კულტურამ (ქართულმა და ამერიკულმა) განსხვავებული ენობრივი რეაქცია გამოავლინა. ნაშრომი აჩვენებს, თუ როგორ ახდენს კულტურული კოდი გლობალური სამედიცინო ინფორმაციის „ლოკალიზაციას“;

თეორიული და პრაქტიკული ბაზა: ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დისკურსის ანალიზის კლასიკური და თანამედროვე ავტორთა სამეცნიერო პარადიგმები:

დისკურსის სემანტიკური, სტრუქტურული და სოციოლინგვისტური ასპექტები: Foucault, M. (1972), Dijk, T. A. (1985), Fairclough, N. (1995), Fasold, R. W. (1990), Woods, N. (2006), Gee, J. P. (2014), Skrebnev, M. Y. (1960), Arutyunova, N. (1990) და სხვა.

სამედიცინო დისკურსის სპეციფიკა და კომუნიკაციური სტრატეგიები: Akayeva, E. (2007), Rodionova, T. V. (2020), Cassell, E. J. (1977), Charon, R. (2006), Byrne, P. S. (1976), Karasik, V. I. (2000), Shamne, L. & Shishkina, E. (2018) და სხვა.

პოლიტიკური დისკურსის სპეციფიკა, რიტორიკა და არგუმენტაციის თეორია: Crystal, D. (1990), Charaudeau, P. (2005), Weber, M. (1946); Wolton, D. (1997), Scott, J. (1990), Gerstlé, J. (2008) და სხვა.

პრესკონფერენცია, როგორც საკომუნიკაციო ჟანრი და არხი: Ekström, M. &. (2017); Eemeren, F. H. (2010), Andone, C. (2013), Bitzer, L. (1968), Kjeldsen, J. E. (2023), Wang, H. (2022) და სხვა.

აღნიშნულ ავტორთა ნაშრომებმა შექმნეს ის კონცეპტუალური ჩარჩო და მეთოდოლოგიური საყრდენი, რამაც შესაძლებელი გახადა კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის კომპლექსური შესწავლა და ანალიზი.

ნაშრომის თეორიული ნაწილი ეფუძნება კომპლექსურ კვლევას, რომელშიც კრიტიკულად არის გაანალიზებული დისკურსის თეორიის გენეზისი და კლასიფიკაცია. კვლევის ფარგლებში ხაზგასმულია ჟანრის ფუნდამენტური როლი დისკურსის იდენტიფიცირების პროცესში და სისტემატიზებულია პოლიტიკურ და სამედიცინო დისკურსზე არსებული უახლესი ლინგვისტური ლიტერატურა, მათ შორის: საერთაშორისო სამეცნიერო სტატიები, ნაშრომთა კრებულები და სადისერტაციო კვლევები. თეორიული ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დისკურსის, კულტურისა და კონტექსტის ურთიერთმიმართების შესწავლას. ნაშრომში დეტალურად არის განხილული პრესკონფერენციის, როგორც მიზანმიმართულად შერჩეული საკომუნიკაციო არხის, როლი, სტრუქტურა და ფუნქციური თავისებურებები. თეორიული ჩარჩო მჭიდროდ არის დაკავშირებული ემპირიულ ნაწილთან, რაც მოიცავს მოპოვებული მასალის კორპუსულ ანალიზს, დისკურსული მარკერების აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირის განსაზღვრასა და მათ პრაგმატულ და სოციოკულტურულ ინტერპრეტაციას.

COVID-19-ის პანდემია, თანამედროვე სამყაროზე მისი მასშტაბური ზეგავლენის გათვალისწინებით, მრავალი დარგის, მათ შორის ლინგვისტიკისა და კორპუსული ლინგვისტიკის კვლევის საგანი გახდა. ამდენად, შესწავლილია კოვიდდისკურსის არაერთი ასპექტი. ლიტერატურის მიმოხილვა მოიცავს კვლევებს ომის მეტაფორის იდეოლოგიურ მანიპულაციაზე COVID-19-თან დაკავშირებული ახალი ამბების თარგმანში (*Modelability of WAR metaphors across time in cross-national COVID-19 news translation: An insight into ideology manipulation*, 2023), კორონავირუსთან დაკავშირებული ნეოლოგიზმების ლინგვისტურ ანალიზს (*Linguistic analysis of neologism related to coronavirus (COVID-19)*, 2021), COVID-19-ის დისკურსსა და ენას სოციალურ მედიაში (*Language and Covid-19 Discourse: An Analysis of Pandemic-Related Language Discourse Used on Social Media*, 2024), მუქარის ტექნიკების გამოყენების ტენდენციებს ქართულ და ინგლისურ ონლაინ ახალ ამბებში (*TENDENCIES OF THREAT TECHNIQUES UTILIZATION IN THE COVID-19 RELATED DISCOURSE IN GEORGIAN*

AND ENGLISH ONLINE NEWS REPORTS, 2022), ომის მეტაფორას ქართულ ახალ ამბებში (*COVID-19: WAR OF METAPHORS THE COVERAGE OF NOVEL CORONAVIRUS PANDEMIC IN GEORGIAN NEWS REPORTS, 2020*) და ა.შ.

მიუხედავად ამ ვრცელი კვლევისა, ნაშრომის - „COVID პანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის მარკერების ლინგვისტური ანალიზი ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში“ - **აქტუალურობას** განაპირობებს რიგი ფაქტორი, მათ შორის, ნაშრომის საკვლევი ბაზა.

ნაშრომის საკვლევ ბაზას წარმოადგენს ქართულ და ინგლისურენოვან გარემოში კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული 50 პრესკონფერენციის დისკურსი. აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია კოვიდპანდემიის პირველი სამი ტალღის განმავლობაში (I ტალღა: მარტი-მაისი, 2020; II ტალღა: სექტემბერი, 2020, იანვარი, 2021; III ტალღა: მარტი-ივნისი, 2021) შერჩეული თანაბარი ოდენობის პრესკონფერენციის დისკურსი, რომელიც ეკუთვნის კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელ პირებს თითოეულ ქვეყანაში.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: კვლევის შედეგად მიღებული თეორიული დასკვნები და ემპირიული მონაცემები ფართო გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი ამდიდრებს კრიზისული დისკურსის კვლევის მეთოდოლოგიას, განსაკუთრებით ჰიბრიდული ჟანრების კვლევისა და მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზის სინთეზის კუთხით. პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს: დისკურსის ანალიზის, დისკურსის კრიტიკული ანალიზის, კორპუსული ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ტექსტის ინტერპრეტაციისა და პრაგმატიკის სალექციო კურსების სწავლებისას; ასევე, კრიზისული კომუნიკაციის სტრატეგიების დაგეგმვისა და ორატორული უნარების დახვეწის პროცესში, საზოგადოებასთან ეფექტიანი ინტერაქციის მოდელების შესამუშავებლად.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომში დასახული ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებულია კომპლექსური მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს თეორიული და ემპირიული კვლევის სინთეზს. კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

კვლევის ემპირიული ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, მოიცავდა მასალის მოძიებას, შეგროვებასა და კორპუსის ფორმირებას პანდემიის პირველი სამი ტალღის განმავლობაში.

ემპირიული მასალის შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნა კვლევის მიზნები და ამოცანები, აგრეთვე ორი განსხვავებული ეროვნული კონტექსტის მონაცემთა შედარებადობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

ქართული და ინგლისურენოვანი ემპირიული მასალა მოპოვებულია ძირითადად YouTube პლატფორმაზე განთავსებული საჯაროდ ხელმისაწვდომი აუდიო-ვიდეოჩანაწერებიდან. ინგლისურენოვანი მასალის ნაწილისთვის გამოყენებულია წინასწარ მომზადებული ტრანსკრიბირებული ვერსიები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო აშშ-ის ოფიციალურ ელექტრონულ რესურსზე — The American Presidency Project (www.presidency.ucsb.edu). აღნიშნული რესურსის გამოყენებამ უზრუნველყო შესაბამისი ტექსტური მასალის სანდოობა და ავთენტურობა. რაც შეეხება ინგლისურენოვანი მასალის იმ ნაწილს, რომლის ოფიციალური ტრანსკრიბირებული ვერსიები ხელმისაწვდომი არ იყო, ტექსტური ვერსიების მომზადება განხორციელდა YouTube-ის ავტომატურად გენერირებული სუბტიტრების საფუძველზე, მათი შემდგომი რედაქტირებითა და აუდიოჩანაწერებთან შესაბამისობის გადამოწმებით.

ქართული ემპირიული მასალის დამუშავების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ტექნიკური და მეთოდოლოგიური შეზღუდვები. კერძოდ, სრულყოფილი პრესკონფერენციების აუდიო-ვიდეოჩანაწერები ხშირ შემთხვევაში არ იყო ხელმისაწვდომი, ხოლო გავრცელებული მასალა ძირითადად ცალკეული ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი. ამასთანავე, არ არსებობდა ოფიციალური ან სხვა სანდო ელექტრონული რესურსი, რომელიც აღნიშნული მასალის ტრანსკრიბირებულ ვერსიებს მოიცავდა. შესაბამისად, ქართული ემპირიული კორპუსის ფორმირების მიზნით, აუდიომასალის ტრანსკრიბირება და ტექსტურ ფორმატში გადატანა განხორციელდა ხელით, ვინაიდან კვლევის მიზნებისთვის შესაბამისი ხარისხის მქონე ქართული ენის ავტომატური ტრანსკრიბირების ინსტრუმენტი ვერ იქნა გამოყენებული.

ემპირიული მასალის შერჩევის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა სპიკერთა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და კონკრეტული პირების ინდივიდუალური მეტყველების თავისებურებებისა და რიტორიკული სტილის განზოგადების თავიდან აცილება. ამ მიზნით, ემპირიულ კორპუსში შეირჩა სხვადასხვა ინსტიტუციური პოზიციის მქონე იმ პირთა გამოსვლები, რომლებიც COVID-19 კრიზისის მართვის პროცესში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი და მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ საზოგადოებრივი კომუნიკაციის განხორციელებაში.

ქართული ემპირიული მასალის შემთხვევაში, ქვეყნის პოლიტიკური და ინსტიტუციური კონტექსტიდან გამომდინარე, კრიზისის მართვაში ჩართული მაღალი რანგის ოფიციალური პირებისა და ექსპერტების რაოდენობა შედარებით შეზღუდული აღმოჩნდა. შესაბამისად, ანალიზისთვის შეირჩა იმ პირების საჯარო გამოსვლები, რომელთაც პანდემიის მართვის პროცესში ცენტრალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, მათ შორის: ამირან გამყრელიძის, ზურაბ ცერცვაძის, მარინა ეზუგბაიას, ეკატერინე ტიკარაძის, პაატა იმნაძის, გიორგი გახარიასა და სალომე ზურაბიშვილის გამოსვლები.

ამერიკული ემპირიული მასალის შერჩევისას, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის მართვის პროცესში ჩართული ოფიციალური პირებისა და ექსპერტების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტი იყო, შედარებადობის პრინციპის დაცვის მიზნით, გათვალისწინებული იქნა მხოლოდ იმ პირთა საჯარო გამოსვლები, რომლებიც კრიზისის მართვის პროცესში ცენტრალურ ინსტიტუციურ როლს ასრულებდნენ. აღნიშნულ ჯგუფში შევიდა დონალდ ტრამპის, ჯო ბაიდენის, ენტონი ფაუჩის (NIAID-ის დირექტორი), მაიკ პენსის (აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი), დებორა ბირქსის (თეთრი სახლის კორონავირუსზე რეაგირების კოორდინატორი) და რობერტ რედფილდის (CDC-ის დირექტორი) გამოსვლები.

ამრიგად, ემპირიული კორპუსის ფორმირებისას გათვალისწინებული იქნა როგორც მონაცემთა ხელმისაწვდომობის თავისებურებები, ისე კვლევის შედარებითი მიზნები, რამაც უზრუნველყო ქართული და ინგლისურენოვანი კრიზისული დისკურსის ანალიზისთვის რელევანტური, სტრუქტურულად დაბალანსებული და მეთოდოლოგიურად დასაბუთებული მასალის შერჩევა.

მოძიებული ემპირიული მასალის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე განხორციელდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრული ეტაპები, კერძოდ:

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო და პოლიტიკური დისკურსის/ჟანრის კრიტიკული ანალიზი: პრესკონფერენციის, როგორც ჰიბრიდული ჟანრის, სტრუქტურული და შინაარსობრივი თავისებურებების შესასწავლად;

სემანტიკური ანალიზის მეთოდი: კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული პრესკონფერენციის დისკურსის ლინგვისტური თავისებურებების იდენტიფიცირების შემდგომ ემპირიულ მასალაში გამოყენებული ლექსიკური ერთეულების პირდაპირი და კონტექსტური მნიშვნელობების დასადგენად;

პრაგმატიკული ანალიზის მეთოდი: დისკურსული მარკერების ფუნქციური დანიშნულებისა და ორატორის საკომუნიკაციო განზრახვის იდენტიფიცირებისთვის.

კვლევის შემდგომ ეტაპზე მოხდა იდენტიფიცირებული დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების **თეგირება** შემდგომი კორპუსული ანალიზის მიზნით. საკვლევ ემპირიულ მასალაში თეგირებულია შემდეგი მარკერები:

სამედიცინო დისკურსის მარკერები: სამედიცინო ტერმინოლოგია (M1), კოვიდსიტუაციის აღწერა (M2), სამედიცინო რეკომენდაცია (M3), პაციენტების დამშვიდება (M4), უკმაყოფილების გამოხატვა სამედიცინო რეკომენდაციებისა და რეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებით (M5), სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულებების როლზე ყურადღების გამახვილება (M6);

პოლიტიკური დისკურსის მარკერები: დაშინება (P1), საკუთარი მიღწევების ჩვენება, ხაზგასმა, ჰიპერბოლიზება (P2), მოწოდება (P3), დაპირება (P4), მეტონიმია (P5), მეტაფორა (P6), პათოსი (P7), პარალელიზმი (გამეორება, ჩამონათვალი) (P8), „სამთა წესი“ (P9), ევფემიზმი (P10), სხვა ქვეყნებთან შედარება / სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანა (P11), ავტორიტეტების (პიროვნებების, ორგანიზაციების და ა.შ.) ხსენება, ციტირება (P12), უარყოფითი შედეგების გამო სხვისი დადანაშაულება (P13);

შეფასებითი ზედსართავი სახელი: დადებითი კონოტაციის შეფასებითი ზედსართავი სახელი (PA) და უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობის შეფასებითი ზედსართავი სახელი (NA);

წინადადებები: ფარდობითი სიხშირის განსაზღვრის მიზნით ემპირიულ მასალაში თეგირებულია წინადადებებიც (S).

კვლევის შემდგომ ეტაპზე განხორციელდა თეგირებული მასალის **კორპუსული ანალიზი** მოპოვებული მასალის სისტემატიზაციის, თეგირებისა და მარკერების აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირის გამოსათვლელად; ასევე გამოყენებულ იქნა **ჰელინგერის ანალიზი (Hellinger distance)** - მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდი პარალელურ კორპუსებს შორის მსგავსება-განსხვავების ხარისხის მაღალი სიზუსტით დასადგენად. აღნიშნული ანალიზი უზრუნველყოფს როგორც ცალკეული, ისე პარალელური კორპუსის ფარგლებში მარკერების გამოყენების დინამიკის ობიექტური შეფასების შესაძლებლობას.

დასკვნით ეტაპზე გამოყენებულ იქნა **შეპირისპირებითი კვლევის მეთოდი**: ქართულ და ინგლისურენოვან მასალაში გამოვლენილი ლინგვისტური თავისებურებების შედარებისა და კულტურული განსხვავებების ჩვენების მიზნით.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ქვეთავების, ზოგადი დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და ტექსტების დანართისგან.

შესავალში გაანალიზებულია კოვიდპანდემიის ფონზე შექმნილი ვითარება, რომელმაც განაპირობა კვლევის საჭიროება და განსაზღვრა მისი მეთოდოლოგიური მიდგომა; ამავდროულად, ნაშრომში დეტალურად არის განხილული კვლევის მიზნები და ამოცანები, სიახლე და აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული ბაზა, ღირებულება და კვლევის მეთოდოლოგია.

პირველ თავში „დისკურსის ანალიზის თეორიული საფუძვლები“ წარმოდგენილია დისკურსის თეორიის განვითარების ისტორია ტერმინის პირველი გამოყენებიდან დღემდე, მისი ანალიზის მიზანი და მნიშვნელობა. მიმოხილულია დისკურსის თეორიული პარადიგმები და სხვადასხვა ლინგვისტური სკოლის წვლილი ამ ფენომენის ინტერპრეტაციასა და განმარტებაში. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დისკურსის ინსტიტუციურ ბუნებას, აგრეთვე კულტურისა და კონტექსტის როლს მის ჩამოყალიბებაში.

მეორე თავში - „ინსტიტუციური დისკურსის სპეციფიკა: პოლიტიკა და მედიცინა“ განხილულია პოლიტიკური დისკურსი; სიღრმისეულადაა გაანალიზებული ენა, როგორც მანიპულაციის საშუალება და მისი როლი პოლიტიკური პროცესების წარმართვაში. ამავე თავის მეორე პარაგრაფში ყურადღება ეთმობა

სამედიცინო დისკურსის კონცეპტუალიზაციასა და კლასიფიკაციას. პარალელურად, შესწავლილია ენის ფუნქციური დატვირთვა სამედიცინო კომუნიკაციაში და გამოკვეთილია მისი პრაგმალინგვისტური თავისებურებები.

მესამე თავში - „პრესკონფერენციის ჟანრობრივი სპეციფიკა და სტრატეგიული დანიშნულება“ - გაანალიზებულია პრესკონფერენციის რაობა, წარმოდგენილია მისი კლასიფიკაცია და ჟანრობრივი მახასიათებლები. ასევე, შესწავლილია კრიტიკულ სიტუაციებთან დაკავშირებული პოლიტიკური პრესკონფერენციის ინსტიტუციური კონტექსტი და პრესკონფერენცია, როგორც სტრატეგიული კომუნიკაცია.

მეოთხე თავში - „კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის მარკერების ლინგვისტური ანალიზი ქართულ და ინგლისურენოვან პრესკონფერენციებში“ - მოცემულია კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართული და ინგლისურენოვანი პრესკონფერენციების დისკურსის ლინგვისტური ანალიზი, ასევე მათი შედარება-შეპირისპირებითი კვლევა.

ზოგად დასკვნებში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს 86 სამეცნიერო წყაროსა და 50 პრესკონფერენციის ტექსტს.

დანართში წარმოდგენილია ქართული და ინგლისური ტექსტების სრული ვერსიები.

თავი I. დისკურსის ანალიზის თეორიული საფუძვლები

1.1 დისკურსის თეორიული პარადიგმები და ინსტიტუციური ბუნება

ენის როლი ადამიანის ცხოვრებაში განუზომელია, ვინაიდან ენის საშუალებით არა მარტო შევიმეცნებთ და ვურთიერთობთ გარე სამყაროსთან, არამედ ვაწესრიგებთ ყოფით ცხოვრებაში წარმოქმნილ ყოველდღიურ პრობლემებსა და სოციალურ ურთიერთობებს. ადამიანის, როგორც სოციალური არსების, საზოგადოებასთან ინტეგრაცია, მეტწილად, ლინგვისტური კომუნიკაციის საშუალებით ხორციელდება.

კომუნიკაცია და საკომუნიკაციო კომპეტენცია ლინგვისტიკის, განათლების, მედიის, ხელოვნური ინტელექტის და არაერთი დისციპლინის მუდმივი შესწავლის საგანია, მზარდი ინტერესის მიზეზი ადამიანთა ურთიერთობის ყველა ასპექტში მისი მონაწილეობაა.

კაცობრიობის ისტორიაში ენისა და მეტყველების როლი განუსაზღვრელია, ვინაიდან სწორედ ენა გამოხატავს პიროვნების სოციალურ და ეროვნულ იდენტობას. ლინგვისტიკაში ენის ოთხ ძირითად ფუნქციას გამოყოფენ:

ა) საკომუნიკაციოს, რომელიც ენას განიხილავს, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალებას და საზოგადოების ჩამოყალიბებისა და არსებობის ერთ-ერთ პირობას;

ბ) ექსპრესიულს, რომელიც ენას განიხილავს, როგორც ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვის საშუალებას;

გ) მაკონსტრუირებელს, რომელიც ენას განიხილავს, როგორც აზრის ფორმირების, ხორცშესხმის საშუალებას;

დ) მააკუმულირებელს, რომელიც ენას განიხილავს, როგორც ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის მიერ შექმნილ ცივილიზაციათა ყველა მონაპოვრის ანასახს.

აღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ენა ადამიანს ადამიანად აყალიბებს.

მატერიალური სამყარო ყველა ენისთვის ერთი და იგივეა, ე.ი. ის, რაც უნდა აისახოს, ერთი და იგივეა, მაგრამ ნაირგვარია მისი ასახვა: სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად (ფორმით - გარეგანი და შინაგანი ფორმების ერთობლიობა და

მნიშვნელობა) ასახავს ერთსა და იმავე რეალობას. ვ. ჰუმბოლდტის მოსაზრებით, ფორმას ქმნის მნიშვნელობა, ამ უკანასკნელზე კი, თავის მხრივ, უკუგავლენას ახდენს ფორმა. ამგვარად, სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვაგვარად ასახვის მიზეზი ისაა, რომ ენა შეპირობებულია აზროვნებით, ხოლო ეს უკანასკნელი ქმნის კულტურას. ბ. ჯორბენადის მოსაზრებით, ორივეს უკუგავლენა აქვს: კულტურას აზროვნებაზე, აზროვნებას – ენაზე და იქმნება წრე: კულტურა – ენა – კულტურა, რომელშიც მოქცეულია ადამიანის ცნობიერება.

მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური სამყარო ერთი და იგივეა ყველა ენისთვის, ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც იგი ფლობს. განსხვავებულია ენათა სტრუქტურები, შესაბამისად განსხვავებულია სხვადასხვა ბუნებრივი ენის მატარებელთა მსოფლხედვაც.

ენის ფუნქციებზე დაყრდნობით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ენის გამოყენება სოციალური ქმედებაა“, ეთანხმება ნიკოლა ვუდსი, თუმცა ის დამატებით განმარტავს, რომ „ენის გამოყენება განმსაზღვრელი სოციალური ქმედებაა“ (Woods, 2006), ვინაიდან სოციალური ურთიერთობები თითქმის მთლიანად რეალიზებულია ენაში. ენა მძლავრი იარაღია ჩვენი აზროვნებისა და იმ სამყაროს კონსტრუირების პროცესში, რომელშიც ვცხოვრობთ. სოციალური ქმედებისას ენის გამოყენებით ვაყალიბებთ საკუთარ თავს და ვრეალიზდებით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ადამიანთა კომუნიკაცია კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს როგორც ლინგვისტურ, ასევე პრაგმატიკულ, კოგნიტურ, სოციალურ და ემოციურ დონეებზე, ნიკოლა ვუდსი გამორიცხავს მოსაზრებას, რომ ჩვენი სოციალური ქმედება მხოლოდ ენას ეყრდნობა.

ენა სტრუქტურული თვალსაზრისით სხვადასხვა შრეებისგან შედგება (გრამატიკა, ლექსიკა, ფონეტიკა). აღნიშნული შრეების ერთიანობა, გამოხატული სხვადასხვა ლინგვისტური ფორმით, იქნება ეს სიტყვა, ფრაზა თუ წინადადება, ვერ იქნება თავისთავად ასოცირებული რაიმე ფუნქციასთან ან მნიშვნელობასთან. სიტყვას მნიშვნელობა ენიჭება ენის გამოყენებით განხორციელებული სოციალური ქმედებისას შექმნილ კონტექსტში, რაც ექვემდებარება ენის ფორმასა და ფუნქციას შორის უნივერსალურ ურთიერთმიმართებას. ადამიანის სოციალური ქცევის ბუნება კი უზრუნველყოფს იმ ფაქტს, რომ მოსაუბრის სამეტყველო მიზნები, მიუხედავად მათი

ლინგვისტური ფორმისა თუ ლექსიკონური განმარტებისა, გასაგებია ინფორმაციის მიმღებისთვის.

წარმატებული კომუნიკაცია ოთხი ასპექტისგან შემდგარ საკომუნიკაციო კომპეტენციას ეყრდნობა:

- გრამატიკული კომპეტენცია (სინტაქსი);
- სოციოლინგვისტური კომპეტენცია (კომუნიკაციის შესაბამისობა სოციალური თვალსაზრისით);
- დისკურსის კომპეტენცია (კოჰეზია და კოჰერენტულობა დისკურსში);
- სტრატეგიული კომპეტენცია (კომუნიკაციის პრაგმატული ფუნქცია).

კომუნიკაციის სისტემის დინამიკურობისა და ცვლადობის გათვალისწინება კონტექსტში წარმატებული კომუნიკაციის წინაპირობაა, რაც ენის გამოყენების წესებისა და მოდელების შესწავლის საფუძველზე ხდება.

ენის გამოყენებისას განხორციელებული სოციალური ქმედებისას ცნობიერების დონეზე, გაანალიზების გარეშე, მიყვებით სოციო და კულტურული ფაქტორების საფუძველზე მიღებულ საკომუნიკაციო ჩვევებს და შევიმუშავებთ სიტუაციის შესაბამის ენობრივ სტრატეგიებს. საკომუნიკაციო ჩვევებისა და სიტუაციის შესაბამისი ენობრივი სტრატეგიების გამოყენების შესწავლით ბევრი დისციპლინაა დაინტერესებული, მათ შორის: ლინგვისტიკა, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია და მომიჯნავე დისციპლინები. დისკურსის ანალიზის სფეროში არსებულმა თეორიულმა და მეთოდოლოგიურმა მრავალფეროვნებამ განაპირობა კვლევითი მიდგომებისა და მიზნების მრავალგვაროვნებაც. ვინაიდან სპეციალისტთა ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ენობრივი ქცევის ერთ ასპექტზე, ნაწილი კი - მეორეზე, შესაბამისად, არ არსებობს დისკურსის ერთი აღიარებული თეორია და განმარტება.

ტერმინ „დისკურსის“ გამოყენება პირველად ფრანგულ ლინგვისტურ ლიტერატურაში „დიალოგური მეტყველების“ მნიშვნელობით დასტურდება; თუმცა 1960-იანი წლებიდან იგი ფრანგული სკოლების ფართო კვლევის საგნად იქცა და მოგვიანებით მეტყველებისა და ტექსტის მნიშვნელობა შეიძინა.

ლინგვისტიკაში გავრცელებულია ტექსტის არაერთი დეფინიცია, რომელიც ტექსტის სწორედ კომუნიკაციური ბუნების წინა პლანზე წამოწევას ისახავს მიზნად.

ტექსტი უმაღლესი რანგის ენობრივი ერთეულია, რომელსაც აზრობრივი დასრულებულობა ახასიათებს. ტექსტის, როგორც უმაღლესი ენობრივი ერთეულის, განხილვა 1970-იანი წლებიდან, ფერდინანდ დე სოსიურის, სტრუქტურული ლინგვისტიკის ფუძემდებლის მიერ ენის ენად და მეტყველებად დაყოფიდან იღებს. სოსიურისეული მოძღვრების თანახმად, ენა არის ნიშანთა სისტემა, მეტყველება კი - საკომუნიკაციო პროცესი, რომელიც ხორცილდება ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, გამოყენების შედეგად. ამდენად, არაერთი ლინგვისტის თვალსაზრისით, ტექსტის მიმართება საკომუნიკაციო აქტთან და მისი დანიშნულება იმაზე მეტყველებს, რომ ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სამეტყველო მოვლენაა. აღნიშნულ შემთხვევაში მეტყველებაში მოიაზრება ნებისმიერი გამონათქვამი, რამდენადაც მეტყველება შედგება გამონათქვამებისგან. აქვე აღსანიშნავია, რომ ტექსტი არა მხოლოდ სამეტყველო, არამედ ენობრივი მოვლენაცაა. ნებისმიერი ენობრივი ნიშანი, რომელიც ემსახურება ენის რომელიმე იერარქიულ დონეს, კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობს ტექსტის აგებაში. აღნიშნული ნიშნები ახალ თვისებებსა და ფუნქციებს ტექსტში იძენენ და მის ინტეგრალურ ელემენტებს წარმოადგენენ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ტექსტი ენისა და მეტყველების ყველა დონის ვარიანტების სინთეზს წარმოადგენს. შესაბამისად, ტექსტი შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც მეტყველებას, ასევე - ენას.

სოსიურის მიერ ენისა და მეტყველების დიქტომიამ საფუძველი ჩაუყარა ენის სტრუქტურულ კვლევას, თუმცა ამ მიდგომის ფარგლებში ნაკლებად იყო გამოკვეთილი მეტყველების სუბიექტის როლი და ენის ფუნქციონირება რეალურ საკომუნიკაციო პრაქტიკაში. სწორედ ამ თეორიული ხაზის განვითარებას უკავშირდება XX საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგული სკოლის წარმომადგენლის, ემილ ბენვენისტის, მიდგომა, რომელმაც ენა გააანალიზა ადამიანთან მიმართებით და ამით ანთროპოცენტრისტული ლინგვისტური პარადიგმის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი.

ახალი სამეცნიერო პარადიგმის დამკვიდრებამ და არსებულის ფუნდამენტურმა გადაფასებამ კოგნიტურ მეცნიერებაში ენის გაგებაზე დიდი გავლენა იქონია. ამ მიდგომით, ენა განიხილება ნიშანთა სისტემად, რომელიც ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და კომუნიკაციას უზრუნველყოფს. იგი წარმოადგენს ტვინის

ფუნქციებთან წვდომის საშუალებასა და ინდივიდის გონებრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. შესაბამისად, ენა არის საკომუნიკაციო მედიუმი, რომელიც კონკრეტული შემეცნებითი თუ სოციალური ამოცანების განხორციელებას ემსახურება.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ანთროპოცენტრულ ლინგვისტურ პარადიგმაში დისკურსის ანალიზი მხოლოდ ენობრივი ფორმების შესწავლით არ შემოიფარგლება. დისკურსი ენის მანიფესტაციის პროცესში ახალი ელემენტია, რომელმაც ლინგვისტიკას ენა მისი კომპლექსური და დინამიკური ბუნებით დაუბრუნა. ამ პარადიგმაში იგი აერთიანებს როგორც ლინგვისტურ, ისე ექსტრალინგვისტურ კომპონენტებს, რომლებიც კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში მიმდინარე კომუნიკაციისას ვლინდება.

ახალ სამეცნიერო მიდგომაში კვლევის ფოკუსი ადამიანის მიერ ენის გამოყენებაზე, კერძოდ კი შინაგანი მდგომარეობისა და ინდივიდუალური მიზნების გამოხატვაზე გადადის. შესაბამისად, ყურადღება ექცევა არა ცალკეულ ენობრივ ერთეულს, არამედ იმ საკომუნიკაციო ამოცანებს, რომელთა რეალიზებასაც სუბიექტები კონკრეტული მეტყველების აქტის მეშვეობით ცდილობენ.

იმისათვის, რომ სრულყოფილად გავიგოთ, თუ როგორ ყალიბდება მეტყველის ეს „ინდივიდუალური მიზნები“ და რა ფარგლებშია შესაძლებელი მათი ენობრივი რეალიზაცია, აუცილებელია, დისკურსის უფრო ფართო, სოციოფილოსოფიური ხედვის გათვალისწინება. ამ კონტექსტში ფუნდამენტურია მიშელ ფუკოს მიდგომა, რომელიც დისკურსის ინტერპრეტაციისას აქცენტს სივრცისა და დროის კონტექსტზე ამახვილებს.

ფუკო ამტკიცებდა, რომ დისკურსი არის გარკვეულ ისტორიულ ეპოქასა და თემაზე არსებული მტკიცებების ერთობლიობა (Foucault, 1972). მისი ხედვით, დისკურსი ცოდნისა და ძალაუფლების გადაკვეთაზე მოქმედებს; იგი იდეების, შეხედულებებისა და პრაქტიკის კომპლექსური სისტემაა, რომელიც განსაზღვრავს სამყაროს ჩვენეულ აღქმასა და ინტერპრეტაციას; დისკურსი, ენობრივ ელემენტებთან ერთად, მოიცავს ინსტიტუციებს, სოციალურ ნორმებსა და ძალთა გადანაწილების მექანიზმებს. სწორედ მის ფარგლებში ხდება საზოგადოებრივი ცოდნის ფორმირება, მიმოცვლა და შენარჩუნება. ფუკოს მიხედვით, დისკურსი ძალაუფლების

ინსტრუმენტი, რომელიც ენის კონტროლისა და რეგულაციების საშუალებით ადგენს ზღვარს დასაშვებ და დაუშვებელ გამონათქვამებს შორის. ეს ძალთა გადანაწილება არ არის სტატიკური; პირიქით, დისკურსულ სივრცეში მიმდინარეობს მათი მუდმივი შეპირისპირება თუ ტრანსფორმაცია.

ფუკოს მოსაზრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დისკურსის კიდეც ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი „მისაღები“ ნორმების განსაზღვრაა. იგი აწესებს საზღვრებს ჭეშმარიტსა და მცდარს, სწორსა და არასწორს შორის, რითაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კოლექტიური ცნობიერებისა და სოციალური რეალობის შექმნაში. ფუკო ხაზს უსვამს, რომ დისკურსი არ არის ნეიტრალური ან ობიექტური სისტემა; იგი მჭიდროდ უკავშირდება გაბატონებული სოციალური ჯგუფების ინტერესებსა და იერარქიებს. ძალაუფლების მქონეთ აქვთ რესურსი, მართონ დისკურსი და განსაზღვრონ, თუ რა ჩაითვლება „აღიარებულ ცოდნად“.

დისკურსის გავლენა სცილდება ლინგვისტურ ჩარჩოებს. იგი აყალიბებს სოციალურ პრაქტიკას, ინსტიტუციებსა და ისეთ ფუნდამენტურ იდენტობებს, როგორებიცაა გენდერი, რასა და კლასი. ეს კატეგორიები არაა ფიქსირებული მოცემულობა, არამედ დისკურსის წარმართვის პროცესში ჩამოყალიბებული რეალობაა, რაც კიდეც უფრო აძლიერებს სოციალურ იერარქიას.

ფუკო საკუთარ ნაშრომებში ასევე განიხილავს ცოდნის როლს საზოგადოებრივი კომუნიკაციის ფორმირების პროცესში. მისი ხედვით, ცოდნა არ არის ობიექტური ან თავისთავადი მოცემულობა; მას სხვადასხვა ინსტიტუცია და დისკურსული პრაქტიკები წარმოქმნიან და აკონტროლებენ. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტულ ცოდნას, რომელიც პროფესიონალიზმსა და ძალაუფლებასთან ასოცირდება. სწორედ ეს ძალისხმევა განსაზღვრავს ზღვარს სარწმუნო ცოდნასა და უბრალო მოსაზრებას ან უმეცრებას შორის. ძალაუფლების ეს დინამიკა პირდაპირ მოქმედებს იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ კოლექტიურ მსჯელობებს, რადგან ამ დროს ხდება გარკვეული პერსპექტივების უპირატესობის წარმოჩენა სხვებთან შედარებით.

ფუკოსეული კონცეფცია საშუალებას გვაძლევს კრიტიკულად გავაანალიზოთ ძალაუფლების, ცოდნისა და ენის ურთიერთზეგავლენა. დისკურსი მოქმედებს როგორც რეგულირების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს საგნების, მოვლენებისა და

ქცევების ინტერპრეტაციას კონკრეტულ თემებსა თუ იდეებში. იგი გვთავაზობს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც აღვიქვამთ სამყაროს. ამავდროულად, დისკურსი აწესებს სოციალურ ნორმებს, აყალიბებს იდენტობას და ამყარებს არსებულ საზოგადოებრივ წესრიგს.

შეიძლება ითქვას, რომ ფუკოსეული დისკურსი უფრო მეტად მიემართება „ჭეშმარიტების ფარგლებში“ არსებულ ცოდნას, ვიდრე უბრალოდ ენას. დისკურსული პრაქტიკები თავად დისკურსების ფუნქციონირებაა და არამხოლოდ ხალხის მიერ ენის გამოყენება. ეს არის „ენა“, რომლის იდენტიფიცირება ხდება მისი სოციალური პირობების, კონტექსტისა და იმ სუბიექტების მიხედვით, რომლებიც მას იყენებენ.

თუ ფრანგული ლინგვისტური და ფილოსოფიური ტრადიცია დისკურსს უპირატესად მაკროსოციალურ, იდეოლოგიურ და ძალაუფლებრივ კონტექსტში განიხილავს, დისკურსის თეორიის განვითარების მეორე მნიშვნელოვანი ხაზი ამერიკულ ლინგვისტურ სკოლებს უკავშირდება. ამ უკანასკნელთათვის კვლევის მთავარი ობიექტი არა იმდენად აბსტრაქტულ ძალთა გადანაწილება, არამედ უშუალოდ კომუნიკაციის პროცესში ენობრივი ერთეულების ფუნქციონირება და მათი სტრუქტურული ორგანიზება გახდა.

ამერიკულ სამეცნიერო სივრცეში დისკურსის თეორიის განვითარება ფორმალური ლინგვისტიკიდან დაიწყო. 1950-60-იან წლებში ზელინგ ჰარისი დისკურსს განიხილავდა, როგორც წინადადებათა ან სამეტყველო ქმედებათა ურთიერთდაკავშირებულ და შეთანხმებულ თანმიმდევრობას. ჰარისისეული დეფინიცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექსტის შიდა ელემენტების სტრუქტურული კავშირით და გამორიცხავდა მიმართებას ენის მიღმა არსებულ კომპონენტებთან, თუმცა დროთა განმავლობაში, კვლევის არეალი გაფართოვდა და დისკურსი მრავალი სხვადასხვა ასპექტის კონტექსტში იქნა გააზრებული.

ამ ევოლუციის შედეგად, ამერიკულ ლიტერატურაში წინა პლანზე წამოიწია დისკურსის ფუნქციური გაგება, რის საფუძველზეც მას ხშირად ფუნქციურ სტილთან აიგივებენ. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი, რალფ ფასოლდი, დისკურსს განმარტავს, როგორც „ენის ნებისმიერი ასპექტის გამოყენებას“ (*the study of discourse is the study of any aspect of language use*) (Fasold, 1990). ფასოლდის ვარაუდით,

დისკურსის ფუნქციები უშუალოდაა განპირობებული იმ როლით, რომელსაც ენა ფართო სოციოკულტურულ კონტექსტში ასრულებს.

დისკურსის, როგორც სოციალური რეალობის შემქმნელი ინსტრუმენტის, ყველაზე კომპლექსურ ხედვას კი ამერიკელი ლინგვისტის ჯეიმს პოლ ჯიის თეორიაში ვხვდებით.

პოლ ჯიი დისკურსის წარმართვის აუცილებელ პირობებად სოციალურ სტრუქტურას, კულტურასა და ისტორიას განიხილავს. მისი მტკიცებით, ჩვენ ენას (ზეპირს თუ წერილობითს) ვიყენებთ იმისთვის, რომ შევქმნათ სამყარო, კონკრეტული მოქმედებები (მაგალითად, სამუშაო შეხვედრა) თუ ინსტიტუციები (მაგალითად, კომიტეტები), თუმცა ისტორიისა და კულტურის გავლენით, ამ პროცესს იმდენად რუტინულად ვახორციელებთ, რომ ხშირად სოციალური ინსტიტუტების არსებობა ენისგან დამოუკიდებელ მოცემულობად მიგვაჩნია (Gee, 1989).

ჯიი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ენის ე.წ. „მაგიურ უნარზე“: საუბრისას ან წერისას ჩვენ არა მხოლოდ ვარგებთ აზრს საკომუნიკაციო გარემოსა და კონტექსტს, არამედ თავად ჩვენი მეტყველების მანერით ვაყალიბებთ ამ სიტუაციას. აქედან გამომდინარეობს ენასა და კონტექსტს შორის ურთიერთმიმართების ფუნდამენტური საკითხი: რომელია პირველადი - სოციალური სიტუაცია (მაგალითად, კომიტეტის სხდომა), თუ ის ენობრივი ინტერაქცია, რომელიც ამ სიტუაციისთვისაა დამახასიათებელი?

ავტორი მიუთითებს, რომ ეს ორი ასპექტი განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია. ერთი მხრივ, სოციალური ფორმაცია, როგორიცაა „კომიტეტი“, ვერ იარსებებდა, თუ სუბიექტები შესაბამისი წესების მიხედვით არ იმოქმედებდნენ და არ ისაუბრებდნენ. მეორე მხრივ, ინსტიტუციური ჩარჩოს გარეშე, ამგვარი ქცევა და მეტყველება ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა. ამრიგად, ჯიის თეორიაში დისკურსი არის ინსტრუმენტი, რომელიც ერთდროულად ასახავს სოციალურ რეალობას და თავადვე ქმნის მას.

ამერიკული სკოლის მიერ დისკურსის ინტერაქციულმა და პრაგმატულმა გააზრებამ საფუძველი მოუშადა კვლევის კიდევ ერთ მმლავრ მიმართულებას - დისკურსის კრიტიკულ ანალიზს (CDA). თუ წინა მიდგომები აქცენტს ენის სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე აკეთებდნენ, CDA-ს ფარგლებში დისკურსი

გააზრებულია, როგორც სოციალური პრაქტიკის ფორმა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული იდეოლოგიასთან, ძალაუფლებასა და სოციალურ ცვლილებებთან. ამ მიმართულების ფუძემდებელთა ნაშრომებში დისკურსის დეფინიცია კიდევ უფრო კომპლექსური და მრავალმრიანი ხდება.

ამ სკოლის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ტეუნ ვან დეიკი, დისკურსის არსებულ განმარტებებს ბუნდოვანს უწოდებს და ტერმინის ვიწრო და ფართო გაგებას გვთავაზობს. ფართო გაგებით, დისკურსი ენობრივი ფორმების, მნიშვნელობებისა და ქმედებების კომპლექსური ერთობაა, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს საკომუნიკაციო მოვლენის კონცეფციას. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფრაზით, ტექსტით ან დიალოგით, არამედ მოიცავს სივრცე-დროით კონტექსტს, სოციალურ სიტუაციას, კომუნიკანტების პიროვნულ მახასიათებლებსა და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს: სამყაროსეულ ცოდნას, იდეებსა და ადრესატის მიზნებს.

დეიკის მიერ შემოთავაზებული ვიწრო გაგებით ტერმინი „დისკურსი“ აღნიშნავს საკომუნიკაციო ქმედების პროცესს ან შედეგს (წერილობითს ან ზეპირს), რომლის ინტერპრეტაციაც ხორციელდება ინფორმაციის მიმღების მიერ. დეიკის მოსაზრებით, დისკურსი არის რეალური, კონკრეტულად წარმოთქმული ტექსტი, ხოლო ტექსტი აბსტრაქტული გრამატიკული სტრუქტურა. დისკურსი ეს არის ცნება, რომელიც ეხება მეტყველებას, აქტუალურ სამეტყველო ქმედებას, ხოლო ტექსტი - ენის სისტემას. ამგვარი გაგებით, დისკურსი არის უკვე არა უშუალოდ მეტყველება, არამედ მეტყველების აბსტრაქტული გაგება (Dijk, 1985). დეიკის დებულებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ტექსტი არ არის დისკურსი, თუმცა დისკურსი არ არსებობს ტექსტის გარეშე.

დეიკმა ასევე შემოგვთავაზა დისკურსის კონცეფციის კიდევ რამდენიმე ინტერპრეტაცია:

- დისკურსი არის კონკრეტული საუბარი, ამიტომ ის ასოცირდება კონკრეტულ ობიექტთან, კონკრეტულ გარემოსა და კონკრეტულ კონტექსტში;
- საუბრის ტიპი (ვერბალური გამონათქვამის სხვადასხვა ტიპი);
- ჟანრი („საინფორმაციო დისკურსი“, „პოლიტიკური დისკურსი“);
- სოციალური ფორმა (აბსტრაქტული მნიშვნელობა, რომელიც ეხება კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს, სოციუმს ან მთელ კულტურას) (Dijk, 1985).

CDA-ს კიდევ ერთი ფუძემდებელი, რუთ ვოდაკი, დისკურსს განიხილავს, როგორც ურთიერთდაკავშირებული ენობრივი აქტების კომპლექსურ „კვანძს“, რომელიც სოციალური ქმედებებისას ვლინდება. ისინი ჩნდებიან როგორც თემატურად ურთიერთდაკავშირებული სემიოტიკური ნიშნები (ე.ი. ტექსტები), რომლებიც მიეკუთვნებიან კონკრეტულ სემიოტიკურ ტიპებს (ჟანრებს). ვოდაკის განმარტებით, დისკურსი არის მეტყველებასა თუ წერაში გამოყენებული ენა, რომელიც სოციალური პრაქტიკის ფორმას წარმოადგენს. ეს გულისხმობს დიალექტიკურ ურთიერთობას დისკურსულ მოვლენას, სიტუაციას, ინსტიტუტსა და სოციალურ სტრუქტურას შორის (Wodak, 2009).

ამ მიდგომას ეხმიანება მოსაზრება, რომ „დისკურსი არის ენა გამოყენების პროცესში“. ეს გულისხმობს, რომ ენა გაცილებით მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობა. ნიკოლა ვუდსი ამყარებს ამ ხედვას და დისკურსის სპეციფიკის წარმოსაჩენად კონტექსტის გადამწყვეტ როლზე ამახვილებს ყურადღებას. მისი განმარტებით, „დისკურსი, სულ მცირე, ეს არის ენას დამატებული კონტექსტი“ (Woods, 2006), სადაც იგულისხმება ის კონტექსტი, რომელსაც ჩვენ ვქმნით ენის გამოყენებისას; კონტექსტი, რომელიც მოიცავს ჩვენს გამოცდილებას, ცოდნას, მოლოდინებს; კონტექსტი, რომელსაც ვცვლით სხვებთან ურთიერთობისას, ვინაიდან კომუნიკანტები თავად ვაგებთ ჩვენს გარე სამყაროს სოციალური ქმედებების საშუალებით.

დისკურსის კრიტიკული ანალიზის (CDA) მიერ შემოთავაზებული იდეოლოგიური ხედვის პარალელურად, დისკურსის თეორიის გენეზისში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსულმა ლინგვისტურმა სკოლამ.

რუსულ ლინგვისტურ ლიტერატურაში დისკურსი მჭიდროდ უკავშირდება ფუნქციურ სტილისტიკასა და სამეტყველო ქცევის კულტურას. თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდი მუდმივად იმყოფება ტიპურ სოციალურ სიტუაციებში, სადაც მისი მეტყველება წინასწარ განსაზღვრული ნორმებითა და როლებითაა განპირობებული. სამეტყველო ქცევის სპეციფიკას განაპირობებს ისეთი სოციოლინგვისტური ცვლადები, როგორებიცაა: მოღვაწეობის სფერო (მეცნიერება, ბიზნესი, სამართალი და სხვა), კომუნიკანტთა სტატუსი, ასაკი, სქესი და კულტურული

დონე. აღნიშნული ფაქტორების გავლენით ენა წარმოშობს სხვადასხვა ფუნქციურ ვარიაციას: სტილებს, დიალექტებსა თუ რეგისტრებს.

ფუნქციური სტილისტიკა, რომელსაც ხშირად დისკურსთან აიგივებენ, იკვლევს ეროვნული ენის სოციალურ ვარიანტებს. ისეთი მკვლევრები, როგორებიც იყვნენ სკრებნევი, კოჟინა და გალპერინი, ფუნქციურ სტილს განიხილავდნენ, როგორც ენობრივი საშუალებების სისტემას, რომელიც კონკრეტულ საკომუნიკაციო სფეროსა და მიზნებს ემსახურება. სკრებნევის მიხედვით, „ფუნქციური სტილი არის კომუნიკაციის კონკრეტული სფეროსთვის დამახასიათებელი ლინგვისტური საშუალებების სისტემა“ (Skrebnev, 1960). კოჟინას მიხედვით: „მეტყველების ფუნქციური სტილი არის მეტყველების სოციალური დიფერენციაცია, რომელიც შეესაბამება მოღვაწეობის კონკრეტულ სფეროს და აქვს სპეციალური სტილისტიკური შეფერილობა, რომელიც განპირობებულია საკომუნიკაციო მიზნებითა და სფეროთი“ (Kozhina, 2006). გალპერინის მიხედვით კი - „ფუნქციური სტილი არის ურთიერთდაკავშირებული ენობრივი საშუალებების სისტემა, რომელიც კონკრეტულ საკომუნიკაციო მიზანს ემსახურება“ (Galperin, 1977).

მიუხედავად იმისა, რომ დისკურსისა და ფუნქციური სტილის გაიგივებას გარკვეული საფუძველი აქვს, მათ შორის არსებული განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინო კლასიფიკაციის ეტაპზე ხდება. დისკურსის დიფერენციაცია არაერთ პარამეტრს ეყრდნობა, მათ შორის: საკომუნიკაციო არხს, მიზანს, ჟანრს, რეგისტრსა და კომუნიკაციაში ჩართულ მხარეებს. ფუნქციური თვალსაზრისით კლასიფიკაცია კი განსხვავებულ კრიტერიუმებს ეფუძნება, რაც ნათლად წარმოაჩენს იმ ასპექტებს, რომლებითაც დისკურსი ფუნქციური სტილისგან გამოიყოფა.

მალცევის (Maltsev, 1984) თეორია ენობრივ მატერიას ფართო „ფორმალურ“ და „არაფორმალურ“ ვარიანტებად ყოფს. მისი მოსაზრებით, სტილი არჩევანია, რომელიც ხშირად სპონტანურად კეთდება კომუნიკაციის გამარტივების მიზნით.

დისკურსსა და ტექსტს შორის მიმართების საკითხი რუსულ ლინგვისტიკაში ყველაზე მკაფიოდ არუთიუნოვასა და კიბრიკის ნაშრომებშია წარმოდგენილი.

არუთიუნოვას მოსაზრებით: „დისკურსი არის ტექსტის განზომილება, რომელიც შედგება გამონათქვამთა ჯაჭვის კომპლექსისგან, ანუ როგორც პროცესი და შედეგი სამეტყველო (კომუნიკაციური) აქტისა – „ტექსტი აღებული ხდომილებრივ ასპექტში...“

ექსტრალინგვისტურ, სოციოკულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორთა ერთობლიობასთან ერთად“ (Arutyunova, 1990), ხოლო თავად ტექსტი არის დისკურსის პროდუქტი.

დისკურსის არეალის განსაზღვრითა და მისი ტექსტისგან გამიჯვნით დაინტერესებული იყო ანდრეი კიბრიკი. მისი განმარტებით, „დისკურსი არის რეალური ენობრივი მოვლენა - სამეტყველო პროცესისა და მისი შედეგის, ანუ ტექსტის მთლიანობა“ (Kibrik, 2011). ვან დეიკის მსგავსად, კიბრიკი მიიჩნევდა, რომ ეს ორი ფენომენი განუყოფელია, რადგან დისკურსი ტექსტის გარეშე ვერ იარსებებს.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ ტექსტი სტატიკური ობიექტია, რომელიც სამეტყველო აქტისას წარმოიქმნება და შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობითი (გრაფიკული სიმბოლოების), ისე ზეპირი თანმიმდევრობის სახით, თუმცა დისკურსი გაცილებით ფართო ცნებაა: იგი, უშუალოდ ტექსტის გარდა, მოიცავს მისი შექმნისა და გაგების დინამიურ პროცესებს, რომლებიც დროში ვითარდება.

ვინაიდან ლინგვისტები დისკურსის განმარტებისას ყურადღებას დისკურსის სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებენ, ლინგვისტიკაში არ არსებობს ერთი განმარტება, რომელიც სრულად წარმოაჩენს დისკურსის ბუნებას და თავისებურებებს, ფართოა მისი შესწავლის საგანიც. ნაშრომში წარმოდგენილ ტერმინ დისკურსში იგულისხმება „მეტყველება, როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, კომპონენტი, რომელიც მონაწილეობს ადამიანთა ურთიერთობებში და მათი ცნობიერების (კოგნიტური პროცესი) მექანიზმი, ვინაიდან მეტყველება მოიცავს ადამიანის, როგორც მეტყველი სუბიექტის ცხოვრებას“ (Arutyunova, 1990).

დისკურსის თეორიის გენეზისმა და სხვადასხვა ლინგვისტური სკოლის (ფრანგული, ამერიკული, რუსული თუ CDA) მიდგომებმა აჩვენა, რომ დისკურსი არა მხოლოდ ენობრივი ერთეული, არამედ რთული სოციალური ფენომენია. ამდენად, თეორიული ჩარჩოს განსაზღვრის შემდეგ ყურადღების ცენტრში ექცევა დისკურსის შინაგანი კანონზომიერებების და მისი ფუნქციური გამოყენების შესწავლა. იმისათვის, რომ დისკურსის ქაოსური და მრავალფეროვანი ბუნება კვლევის ობიექტად იქცეს, აუცილებელია მისი სისტემატიზაცია ჟანრობრივ ჭრილში. სწორედ ჟანრი წარმოადგენს იმ სტრუქტურულ ჩარჩოს, სადაც თეორიული ლინგვისტური მოდელები კონკრეტულ სოციალურ პრაქტიკად გარდაიქმნება. ამდენად, დისკურსის არსის გაგება

შეუძლებელია მისი ჟანრობრივი კლასიფიკაციისა და იმ საკომუნიკაციო კომპეტენციების ანალიზის გარეშე, რომლებსაც ინდივიდი ამ ჟანრების ფარგლებში ავლენს.

სამეტყველო სისტემის ლინგვისტურ კონცეპტთა შორის ჟანრის ცნებას მუდამ ფუნდამენტური ადგილი ეჭირა. ამ ფენომენის კლასიფიკაციის სირთულეს მისივე ცვალებადი ბუნება განაპირობებს. სამეტყველო ჟანრების სრულყოფილი ჩამონათვალის შექმნის ნებისმიერი მცდელობა, როგორც წესი, წარუმატებელია, რაც კომუნიკაციის მონაწილეთა არაპროგნოზირებადობით, ინდივიდუალური წესებითა და კონკრეტული სამეტყველო სიტუაციიდან დაშვებული გადახრებითაა განპირობებული.

ჟანრი, როგორც კომუნიკაციის ფორმალიზების საშუალება, ენასა და მეტყველებას შორის არსებულ გარდამავალ ფენომენად უნდა მივიჩნიოთ. იგი ერთდროულად არის კომუნიკაციის ფორმაც და მეტყველების სტანდარტული სახეც. ჟანრი მაღალი დონის ერთეულია, რომელიც მეტყველებაში სისტემატურობას ამკვიდრებს, ინტერპრეტაციის პროცესს კი უფრო პროგნოზირებადს ხდის. გაჯდას განმარტებით, სამეტყველო ჟანრი არის: „მოლოდინების ჰორიზონტი მსმენელთათვის და შაბლონი მოსაუბრისთვის“ (Gajda, 1991). დოლინინი კი დასძენს, რომ ჟანრის ცოდნა რეციპიენტს დისკურსის იდენტიფიცირების საშუალებას აძლევს (Dolinin, 1999).

მიუხედავად იმისა, რომ თეორეტიკოსები თანხმდებიან ჟანრის, როგორც „ენის გამოყენების სოციალურად აღიარებული გზის“, დეფინიციაზე ანალიზის პროცესში აქცენტი ხან ტექსტზე, ხან კი სოციალურ კონტექსტზე ინაცვლებს. დისკურსის ჟანრობრივი დიფერენციაცია ეყრდნობა კონკრეტული დისკურსსაზოგადოების (Discourse Community) მიერ დამკვიდრებულ სისტემებს, რომელთაც ისინი სხვადასხვა სფეროში იყენებენ:

- **სამართალი:** საქმის განხილვა, ბრძანება, ხელშეკრულება;
- **ბიზნესი:** მემორანდუმი, მოხსენება, სიტუაციური ანალიზი, საქმიანი წერილი;
- **საჯარო ადმინისტრირება:** სამთავრობო დოკუმენტაცია, პოლიტიკური კომუნიკაცია, საერთაშორისო მემორანდუმები;
- **მასობრივი მედია:** ახალი ამბები, სარედაქციო სტატია, რეცენზია, რეკლამა.

დისციპლინების ფართო სპექტრი თანხმდება, რომ ჟანრი კულტურული ობიექტების ისეთი ტიპია, რომელიც კლასის წევრობის განმსაზღვრელი კრიტერიუმებით ხასიათდება. თუკი თავდაპირველად მას კომუნიკაციის ეთნოგრაფიის ფარგლებში „საკომუნიკაციო მოვლენის ტიპად“ განიხილავდნენ, დღეს, როგორც სველსის თანახმად, ეს ტერმინი ნებისმიერი ტიპის დისკურსის განმასხვავებელ კატეგორიას აღნიშნავს.

ჟანრის, როგორც დისკურსის სტრუქტურული ჩარჩოს, განსაზღვრა მხოლოდ პირველი ნაბიჯია მეტყველების სისტემურობის გასაგებად. ჟანრი არის „შაბლონი“, და მისი ეფექტური გამოყენება მოითხოვს სპეციფიკურ კომპეტენციას, რომელიც ლინგვისტურ ცოდნას საკომუნიკაციო მიზნებთან აერთიანებს. შესაბამისად, დისკურსის ანალიზი ბუნებრივად გადადის ენის გამოყენების ფუნქციურ ასპექტზე - კომუნიკაციურ კომპეტენციასა და სტრატეგიულ დაგეგმვაზე.

ენის საკომუნიკაციო და გამომსახველობითი დანიშნულება ჩვენ ირგვლივ არსებული სინამდვილის ასახვას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეპოქაში ურთიერთობის შესწავლის მიმართ ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა, რადგან იგი აღარ აღიქმება მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის მექანიკურ საშუალებად - კომუნიკაცია, გარკვეულწილად, შემოქმედებითი პროცესია. იგი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ორმხრივი მოქმედება, რომლის დროსაც მოსაუბრეები საერთო ურთიერთგაგების მისაღწევად ცვლიან ფიქრებს, იდეებს, შეხედულებებსა და ცნებებს. ამ პროცესში ადრესატი სათანადო არხის საშუალებით ადრესანტს გადასცემს კოდირებულ ინფორმაციას, მიმღები კი, შეტყობინების ამოცნობის შემდეგ, უზრუნველყოფს უკუკავშირს, რაც კომუნიკაციის წარმატებულობის ნიშანია.

საკომუნიკაციო კომპეტენცია ექსტრალინგვისტური ცნებაა და პრაგმატიკის სფეროს განეკუთვნება. იგი გულისხმობს რეალური ურთიერთობის პროცესში დასახული მიზნების წარმატებით განხორციელების უნარს. ლის მოსაზრებით, აღნიშნული კომპეტენცია ოთხ მთავარ შემადგენელს აერთიანებს:

1. გრამატიკულს;
2. სოციოლინგვისტურს;
3. დისკურსკომპეტენციას;
4. სტრატეგიულ (ხერხობრივ) ფუნქციას (Lee, 2004).

ვინაიდან ნებისმიერი ურთიერთობა ფუნქციურია, იგი მუდამ დატვირთულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგიით. კომუნიკაციის პრაგმატიკული მხარე მოიცავს ადრესანტის უნარს, გამოიყენოს ენობრივი ცოდნა წინასწარგანზრახული სათქმელის გადასაცემად, ხოლო ადრესატის უნარს, სწორად ჩასწვდეს ამ მნიშვნელობას.

თანამედროვე ენათმეცნიერება ხაზს უსვამს საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და ხერხების განვითარების აუცილებლობას, რადგან საზოგადოებრივი ცვლილებები აისახება ენაში და პირიქით - ენობრივი გარდაქმნები თავის მხრივ იწვევს სოციალურ ძვრებს. ამ კონტექსტში დისკურსი მიზნის მიღწევის იარაღია, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ გეგმას, ანუ სტრატეგიას ეყრდნობა. ლინგვისტური განმარტებით, სტრატეგია არის სამეტყველო ქცევის სახეობა, შემეცნებითი გეგმის ნაწილი და იმ ძირითადი ამოცანების ერთობლიობა, რომელიც მოსაუბრის განზრახვის შესრულებას ემსახურება. ეს არის შემეცნებითი მოდელი, რომლის მეშვეობითაც ხდება საკომუნიკაციო პრობლემის საუკეთესო გადაჭრა იმ პირობებშიც კი, როდესაც მსმენელის ქცევა წინასწარ უცნობია.

სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის მკაფიო შინაარსობრივი განსხვავებაა: სტრატეგია წარმართავს საკომუნიკაციო პროცესის საერთო, ზოგად გეგმას, ხოლო ტაქტიკა წარმოადგენს ურთიერთობის ცალკეულ საფეხურებზე განხორციელებულ კონკრეტულ სამეტყველო მოქმედებათა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ამ გლობალური სტრატეგიის აღსრულებას.

სამეტყველო ურთიერთქმედებისას პირის ქცევის მოდელი გამოხატულია სპეციფიკური ენობრივი საშუალებებით. ამ საშუალებების ამოცნობა სხვადასხვა დონეზე საშუალებას გვაძლევს, სწორად დავახასიათოთ ნებისმიერი სახის დისკურსი.

ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგიის შერჩევა და იმის გააზრება, თუ რა დევს ოსტატურად შერჩეულ ჟანრობრივ ნიშნებს მიღმა, დისკურსის სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს, სოციოკრიტიკული ხედვით შევაფასოთ, თუ როგორ და რატომ იყენებს საზოგადოება ენას. ჟანრის, და მით უფრო, მისი ჰიბრიდული ფორმების შესწავლისას, საკვანძო მნიშვნელობას იძენს სამი ასპექტი: ჟანრის ანალიზი, ჟანრის კრიტიკული ანალიზი და ინტერდისკურსი.

ბათიას განმარტებით, ჟანრის თეორიის უმთავრესი მიზნებია:

- წარმოადგინოს სამყაროს ერთი შეხედვით ქაოსური სურათი;
- გამოკვეთოს ავტორის პირადი მიზნები, რომლებსაც იგი საზოგადოდ მიღებულ საკომუნიკაციო ამოცანებთან აერთიანებს;

- შეისწავლოს, თუ რა ფორმას იძენს ენა სოციოკრიტიკული გარემოებების ზეგავლენით (Bhatia, 1997).

პროფესიული საქმიანობის კვლევისას ინტერდისკურსი წამყვან როლს ასრულებს. იგი გულისხმობს მომიჯნავე, ახალი ან შერეული ფორმების შესწავლას ჟანრობრივი კონვენციების ფარგლებში. ინტერდისკურსი მუდამ თან ახლავს ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა პროფესიული პრაქტიკა და კულტურა და ეყრდნობა ორი ან მეტი სახის დისკურსის საერთო ნიშნებს.

ამ ჭრილში აუცილებელია ტექსტის შიდა და გარე რესურსების გამიჯვნა:

1. **შიდა რესურსი (ინტერტექსტი):** მოქმედებს უშუალოდ „ტექსტის სივრცეში“;
2. **გარე რესურსი (ინტერდისკურსი):** მოიცავს გარეტექსტობრივ სემიოტიკურ საშუალებებს: პროფესიულ, ინსტიტუციურ და დისციპლინურ პრაქტიკებს.

ეს გარეტექსტობრივი რესურსები, რომელთაც შეიძლება „სოციოპრაგმატული“ სივრცე ვუწოდოთ, ინტერდისკურსული ბუნებისაა. ნაგულისხმევი მნიშვნელობის გამოსაკვეთად წარმოებული ცვლილებები დისკურსის ყველა დონეზე ერთდროულად მიმდინარეობს. ეს პროცესი გამოიყენება არსებული ფორმების ხელახალი გააზრებისა და ჰიბრიდული ჟანრების შესაქმნელად, რაც სამი გზით ვლინდება: შერევით, შერწყმითა და გადახვევით.

დღეს ჟანრთა გადაფარვისა და დაახლოების პროცესი თვალსაჩინოა შემდეგ სფეროებში:

- აკადემიური და საინფორმაციო ჟანრები;
- საქმიანი მიმოწერისა და ელექტრონული შეტყობინებების ფორმები;
- მოხსენებითი და პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ტექსტები.

ბათია ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე კომუნიკაცია კომპლექსურია, რადგან იგი საზოგადოებრივ მიზნებს პირად ინტერესებთან აკავშირებს. შესაბამისად, წმინდა სახის ჟანრები სულ უფრო იშვიათია. მაგალითად, კორპორაციული ბროშურა, რომელიც წესით ინფორმაციული უნდა იყოს, სულ უფრო მეტად იძენს სარეკლამო ხასიათს.

ბერკენკოტერი და ჰაკინი (Berkenkotter & Huckin, 1995) აღნიშნავენ, რომ ჟანრები დინამიკური სტრუქტურებია, რომელთა მანიპულირება გამოყენების პირობების მიხედვითაა შესაძლებელი. ვინაიდან ეს პირობები მუდმივად იცვლება, იცვლება ჟანრობრივი ფორმების აგებულება და ინტერპრეტაცია. ფეაქლოუს მოსაზრებით, ტექსტის შემქმნელები სოციალურ პრობლემებთან გასამკლავებლად არსებულ ენობრივ რესურსებს ახლებურად იყენებენ და ქმნიან დისკურსისა და ჟანრის ახალ კონფიგურაციებს. ეს საშუალებას იძლევა, გამოიყოს დისკურსის სხვადასხვა ტიპი და მათი ქვეტიპები თავისი განმასხვავებელი ნიშნებითა და ფუნქციონირების სფეროებით (Fairclough, 1995).

დისკურსი მოიცავს როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ კომპონენტებს, რომლებიც წარმოჩნდება და ფუნქციონირებს კონკრეტულ სოციალურ გარემოში წარმართულ კომუნიკაციაში. თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ დისკურსის ანალიზი ორიენტირებულია ლინგვისტურ ცოდნაზე, რომელიც მოიცავს სიტყვას, ფრაზას, წინადადებას და, რაც მთავარია, არა მარტო ლინგვისტურ კონტექსტში, არამედ ექსტრალინგვისტური თვალსაზრისითაც. დისკურსის კომპეტენცია ერთ-ერთია იმ კომპეტენციათაგან, რომლებიც აუცილებელია კომუნიკაციის პროცესის წარმართვისთვის; აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დისკურსი არ არის თავისთავადი პროცესი და მისი წარმართვაც მოითხოვს სათანადო მომზადებას.

დისკურსის ანალიზი არის მიდგომების ერთობლიობა, რომელიც საფუძველს გვაძლევს, გამოვავლინოთ დაფარული მოტივაცია ტექსტში და ავირჩიოთ კვლევის კონკრეტული მეთოდი ტექსტის ინტერპრეტაციისთვის. მისი მიზანია, განმარტოს და აღწეროს ლინგვისტური ფენომენის გამოყენების ემოციური, კოგნიტური, სიტუაციური და კულტურული კონტექსტი. ამასთანავე, მოახდინოს იმ ლინგვისტური რესურსების იდენტიფიცირება, რომელზე დაყრდნობითაც ვახდენთ საკუთარი თავის ჩამოყალიბებას (ჩვენი იდენტობა, როლი, საქმიანობა, საზოგადოება, ემოცია, ცოდნა, დამოკიდებულებები, შეხედულება, იდეოლოგია და ა. შ.).

დისკურსის ანალიზის სხვა მეთოდების განხილვამდე, უნდა ითქვას, რომ დისკურსი განიხილება, როგორც ცალკეული მეთოდი, რომელსაც ადრესანტი ენის გამოყენებისას კონკრეტული მიზნის მისაღწევად იყენებს. მეთოდში კი მოიაზრებენ,

როგორც ტექსტის ფორმალურ და სტრუქტურულ ორგანიზებას, ასევე საკომუნიკაციო არხისა (ზეპირი, წერილობითი) და მიზნის (მოტივაცია, გადაბირება, ახსნა) შერჩევას.

დისკურსის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ანალიზი სხვადასხვა ჭრილში განიხილება:

ლინგვისტურ ჭრილში - მოიცავს კონტექსტს, რომელშიც ხდება ენის გამოყენება და გამოხატავს მოსაუბრ(ებ)ის განზრახვას;

სტრუქტურული თვალსაზრისით - კვლევის საგანია ტექსტში გამოხატული ისეთი კავშირები, რომლებიც ქმნის კოჰეზიას, ან ტექსტის ორგანიზების ისეთ თავისებურებებს, რაც საფუძვლად უდევს ტექსტის ტიპობრივ კლასიფიკაციას;

პრაგმატულ პრიზმაში - კვლევის ობიექტია დისკურსის ის ნაწილი, რომელიც არ არის ნათქვამი ან დაწერილი.

დისკურსის პრაგმატული ანალიზი მოითხოვს გავსცდეთ ინტერაქციის სოციალურ თავისებურებებსა და კონვერსაციის ანალიზს, დავუბრუნდეთ ტექსტში წარმოდგენილ ფორმებსა და სტრუქტურას და ყურადღება გავამახვილოთ ისეთ ფსიქოლოგიურ კონცეპტებზე, როგორებიცაა: ფონური ცოდნა, შეხედულებები და მოლოდინები.

დისკურსის ანალიზისას, იმის მიხედვით, ლინგვისტური ემპირიული მასალის თუ რა ასპექტი გამოიკვლევა, განსხვავდება ანალიზის ობიექტიც:

კომუნიკაციის დონე	ანალიზის ობიექტი
ლექსიკური	ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების იდეოლოგიური ასოციაციები; მეტყველების რეგისტრის შესაბამისობა; ევფემისტური და მეტაფორული კონსტრუქციების სემანტიკური დატვირთვა.
გრამატიკული	წინადადების სინტაქსური სტრუქტურა; ზმნური კატეგორიების (დრო, გვარი), კითხვითი და იმპერატიული ფორმების ფუნქცია ტექსტში აზრის ფორმირებისათვის.
სტრუქტურული	ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზაციული მოდელები; ნარატიული სტრატეგიები და მათი როლი თხრობის ჩამოყალიბების პროცესში.

ჟანრობრივი	ტექსტის შესაბამისობა ჟანრობრივ კონვენციებთან (მაგ: პოლიტიკური რიტორიკა, მედიადისკურსი) და მათი ურთიერთმიმართება დასახულ საკომუნიკაციო მიზნებთან.
არავერბალური	პარალინგვისტური საშუალებები: ხმის ტემბრი, პაუზები, ჟესტიკულაცია და შორისდებულები, როგორც მოსაუბრის ემოციური მდგომარეობისა და პრაგმატული დამოკიდებულების გამომხატველი ნიშნები
ინტერაქციული (საუბრის კოდი)	კომუნიკანტთა სამეტყველო ქცევა: რეპლიკათა მონაცვლეობის (turn-taking) წესები, კულტურული ნორმები და სოციალური როლების გავლენა ინტერაქციის პროცესზე

სხვადასხვა ტიპის დისკურსის რიგი დისციპლინებით დაინტერესებამ დიდი რაოდენობის ლინგვისტური ტექსტების შესწავლა განაპირობა. ტექსტების ანალიზისას დისკურსის ანალიტიკოსები სწავლობენ როგორც სიტყვისთვის ტექსტში მინიჭებულ მნიშვნელობებს, ასევე შეისწავლიან სიტყვის მიერ სხვადასხვა კონტექსტში შესრულებული მნიშვნელობის დაარქივების პროცესსა და ინტერტექსტუალობას. მნიშვნელოვანია იმის დანახვა, თუ როგორ გამოიყენება ენა არა მარტო ცალკეულ ტექსტში, არამედ მომიჯნავე ტექსტებშიც, ვინაიდან ტექსტებს, ისევე როგორც დისკურსს, საკუთარი ისტორია აქვს, რაც სხვადასხვა დროს არის შექმნილი და ურთიერთის ათვლის წერტილს წარმოადგენს.

დისკურსის ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს დისკურსის კრიტიკული ანალიზი (CDA) წარმოადგენს. ეს არის კვლევის ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც შეისწავლის წერილობითი თუ ვერბალური ნიშნების ენას და ნებისმიერი მნიშვნელობის მატარებელ სემიოტიკურ მოვლენას. ამ მიდგომის თანახმად, ენა სოციალური პრაქტიკის ფორმაა, სადაც ენობრივი და სოციალური (არაენობრივი) ქმედებები ურთიერთს განაპირობებს. შესაბამისად, კრიტიკული დისკურსის ანალიზი ორიენტირებულია იმის შესწავლაზე, თუ როგორ ვლინდება სოციალურ დომინანტობაზე დაფუძნებული ურთიერთობები ენის გამოყენების

პროცესში, რაც მოიცავს სტრუქტურათა მიკერძოებულობას, უთანასწორობას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და მანიპულაციას.

ამავე ჭრილში განიხილება ჟანრის კრიტიკული ანალიზი (CGA), რომელიც წარმოადგენს მცდელობას, კვლევა გასცდეს მხოლოდ პროფესიულ ჟანრებში გამოყენებული სემიოტიკური რესურსების აღწერას. მისი მიზანია ტიპურ აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში განხორციელებული პრაქტიკების სიდრმისეული შეცნობა და ცხადყოფა.

ნორმან ფეაქლოუ (Fairclough, 1995) ნაშრომში „ენა და ძალაუფლება“ (Language and Power) გამოყოფს რამდენიმე საკვანძო კომპონენტს: დისკურსი, ძალაუფლება, იდეოლოგია, სოციალური ქმედება და საზოგადოდ გავრცელებული აზრი. ავტორი მიიჩნევს, რომ ენის გამოყენება უნდა გაანალიზდეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი დისკურსის ფარგლებში. ამისთვის იგი გვთავაზობს ანალიზის სამ შრეს, რომლებიც დისკურსის მიკრო, მეზო და მაკრო დონეებს შეესაბამება:

მიკრო დონე: შეისწავლება ტექსტის უშუალო ლინგვისტური ასპექტები და მისი შინაგანი ენობრივი სტრუქტურა;

მეზო დონე: შეისწავლება დისკურსული პრაქტიკა — ტექსტის წარმოებისა და აღქმის პროცესი (მაგალითად, რომელი ინსტიტუცია ქმნის ტექსტს და ვინ არის სამიზნე აუდიტორია);

მაკრო დონე: შეისწავლება ინტერტექსტუალური და ინტერდისკურსული ელემენტები იმ ფართო სოციალურ კონტექსტში, რომელმაც განაპირობა კონკრეტული ტექსტის აქტუალურობა.

ამრიგად, დისკურსის თეორიული ევოლუციის, მისი ჟანრობრივი სისტემატიზაციისა და ანალიზის მრავალფეროვანი მეთოდების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ენა არ ფუნქციონირებს იზოლირებულად; იგი მუდამ მოქცეულია გარკვეულ სტრუქტურულ და პრაგმატულ ჩარჩოებში. თუკი ჟანრი და სამეტყველო სტრატეგიები კომუნიკაციის ფორმალურ და ფუნქციურ მხარეს განსაზღვრავს, ხოლო კრიტიკული ანალიზი ძალაუფლებისა და იდეოლოგიის ფარულ შრეებს ააშკარავებს, აუცილებელია იმ ფუნდამენტური გარემოს შესწავლა, რომელშიც ეს პროცესები მიმდინარეობს. ვინაიდან ნებისმიერი დისკურსული მოვლენა კონკრეტული საზოგადოების წიაღში იბადება, ენობრივი ქმედების სრულყოფილი აღქმა

შეუძლებელია იმ კულტურული მოცემულობისა და კონტექსტური მოცემულობების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ დისკურსის ფორმირებასა და მის ინტერპრეტაციაში.

1.2 კულტურისა და კონტექსტის როლი დისკურსის ფორმირებაში

ენის როლი ადამიანის სოციალური ცხოვრების წარმართვის პროცესში განუზომელია. ის არა მარტო კომუნიკაციისა და ექსპრესიის საშუალებაა, არამედ თავად ქმნის გამოცდილებას, იძლევა აზრის ფორმირების საშუალებას და ასახავს ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის მიერ შექმნილ ცივილიზაციათა ყველა მონაპოვარს.

ქიდინი და დურენტი (Keating & Duranti, 2011) აღნიშნავენ, რომ ანთროპოცენტრული ლინგვისტური პარადიგმის ფარგლებში, ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ენის შესახებ არსებულმა ძირითადმა შეხედულებამ. მანამდე გაბატონებული მოსაზრებით, ენა მხოლოდ ნიშანთა სისტემას წარმოადგენდა, რომელიც აზრთა გამოხატვასა და ადამიანის ქმედებებისა თუ მიზნების რეპრეზენტაციას ემსახურებოდა. თანამედროვე პარადიგმის შესაბამისად, ენა აღარ განიხილება მხოლოდ ნიშანთა სისტემად; იგი, უპირველეს ყოვლისა, კულტურული პრაქტიკა და ქმედების ფორმაა. აღნიშნული მიდგომით, ენა, ერთი მხრივ, არსებული კულტურული რეალობის ექსპრესიის საშუალებაა, მეორე მხრივ კი - თავადვე მონაწილეობს ამ რეალობის ფორმირებაში. სწორედ ამიტომ, სოციუმში არსებული ობიექტების, ინსტიტუციებისა თუ აქტივობების გამოსახატად შერჩეულ ლექსიკურ ერთეულებში ნათლად აისახება ის მახასიათებლები, რომლებსაც კონკრეტული კულტურა მათ ანიჭებს. ამგვარად, ენა გვევლინება კულტურის სარკედ, რომელიც ქმნის სამყაროს ენობრივ სურათს, და საგანმურად, რომელიც თაობებს ეროვნულ მემკვიდრეობას გადასცემს. თავის მხრივ, ეს პროცესი ორმხრივია: თავად კულტურაც აქტიურად აყალიბებს ენაზე მოსაუბრის იდენტობას, მსოფლხედვასა და მენტალობას.

ქრამსის მოსაზრებით, ენის მომხმარებლები მას საკუთარი სოციალური იდენტობის სიმბოლოდ მიიჩნევენ; შესაბამისად, კონკრეტული ენის გამოყენება ამა თუ

იმ სოციალური ჯგუფისა და კულტურული თვითმყოფადობის დემონსტრირებაა. ამდენად, ენა არა მხოლოდ ინსტრუმენტია, არამედ კულტურული რეალობის უშუალო ასახვაცაა (Kramsch, 1998). თავის მხრივ, ედუარდ საფირი გამოთქვამს ვარაუდს, რომ კულტურის ყველა ასპექტს შორის სწორედ ენამ შეიძინა პირველად უმაღლესი და სრულყოფილი ფორმა. მეცნიერის აზრით, ენის ეს სრულყოფილება წარმოადგენს კულტურის, როგორც ერთიანი მთლიანობის, განვითარების აუცილებელ წინაპირობას (Sapir, 1934).

ენის, როგორც კულტურის განმპირობებელი ფაქტორის, იდეას ავითარებს არუთუნიანიც ნარკვევში „On the Relationship between Language and Culture“. ავტორი კულტურას განმარტავს, როგორც „სოციალურად შეძენილ ცოდნას“ და ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამ ცოდნის საფუძველზე ყალიბდება ადამიანის ცნობიერება, ხოლო კულტურული კონტექსტიდან გამომდინარე, ვითარდება თავად ენა (Harutyunyan, 2011). შესაბამისად, კონკრეტული ენის შესწავლა მხოლოდ გრამატიკული წესების ათვისება კი არ არის, არამედ ამ კულტურაში არსებული სამყაროს აღქმისა და ეროვნული გამოცდილებების კატეგორიზაციის მზა სისტემის გაზიარებაა.

ამავდროულად, არუთუნიანი აკონკრეტებს, რომ სამყაროს შეცნობის პროცესი ინფორმაციის წინასწარ გაფილტვრას გულისხმობს, ვიდრე მის გონებრივ დახარისხებასა და კლასიფიკაციას მოვახდენდეთ. მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ სწორედ სამყაროს აღქმის ეს განსხვავებული მოდელები იქცევა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციური მარცხის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. ვინაიდან თითოეული მხარე ინფორმაციას საკუთარი კულტურული „ფილტრის“ მეშვეობით ატარებს, ერთი და იგივე მოვლენა შესაძლოა სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციის საგნად იქცეს.

თუმცა, კომუნიკაციის წარმატებულობისთვის მხოლოდ კულტურული ფაქტორების თანხვედრა საკმარისი არ არის. ამასთანავე, ანა ვიეჟბიკა მიიჩნევს, რომ კულტურულ ცოდნასთან ერთად აუცილებელია ექსტრაკულტურული ცოდნის მსგავსებაც. ავტორის არგუმენტით, სამყაროში არსებული იდენტური გამოცდილებებისა და მსგავსი გენეტიკური განწყობილებების გარეშე, ადამიანები, მიუხედავად საერთო ენისა, ვერ მივლენ საერთო დასკვნებამდე (Wierzbicka, 1992).

აღნიშნული კომპლექსურობის ასახსნელად, ვიეჟბიცკა ცოდნის სამ ტიპს განასხვავებს:

კულტურასთან დაკავშირებული ცოდნა, რომელიც სოციუმისგან, სხვა ადამიანებისგან არის შეძენილი;

ექსტრაკულტურული ცოდნა, რომელსაც ერთი კულტურის წარმომადგენლები იზიარებენ, თუმცა იგი არა სხვისგან სწავლის, არამედ მსგავს გარემოში ცხოვრებისა და მსგავსი გამოცდილების შედეგია;

ინდივიდუალური ექსტრაკულტურული ცოდნა, რომელიც თითოეული ადამიანისთვის უნიკალურია და სხვებისთვის გაზიარებული არ არის.

ცოდნის ამგვარი მრავალშრიანი სტრუქტურა საფუძვლად უდევს კულტურის იმ მრავალრიცხოვან დეფინიციებს, რომლებიც მის სემიოტიკურ თუ კოგნიტურ ასპექტებზე ფოკუსირდებიან. მათ შორის ყველაზე ფართოდ აღიარებულია ქიდინისა და დურენტის მოსაზრება, რომლის თანახმადაც კულტურა არის თაობიდან თაობას გადაცემული ცოდნა, რომელიც მოიცავს კონკრეტული ჯგუფისთვის დამახასიათებელ, შემეცნებითად ათვისებულ და გაზიარებულ ქცევით მოდელებს. ამგვარად, კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც შუამავალი სისტემა - გზა, რომლითაც ადამიანები სხვადასხვა ინსტრუმენტის, მათ შორის ენის, გამოყენებას სწავლობენ.

აღნიშნულ ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურა თითოეული ადამიანისთვის ქმნის კოგნიტური და ემოციური ქცევის იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელიც მის პერსონალურ და სოციალურ იდენტობას აყალიბებს.

რეალობის ფორმირების პროცესში კულტურის როლს კიდევ უფრო აკონკრეტებს ჩეინი, რომლის განმარტებითაც: „კულტურა არის მნიშვნელობათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სოციუმში რეალობის კონსტრუირებას“ (Cheney, Zorn & Ganesh, 2010, გვ. 76). ვინაიდან კულტურა თავისი არსით სოციალური ფენომენია, იგი მოითხოვს სხვადასხვა აქტორის - მოქმედი სუბიექტების, კომუნიკანტებისა თუ მოწმეების, ჩართულობას. ამდენად, იგი გვევლინება მონაწილეობის სისტემად, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთო კოდზე ხელმისაწვდომობას, რაც სხვებთან დაკავშირებისა და ინტერაქციის ერთადერთი საშუალებაა. შესაბამისად, ამ სისტემაში წარმატებული ფუნქციონირება მოითხოვს დისკურსულ კომპეტენციას. ეს

უკანასკნელი გულისხმობს სოციალურ-კულტურული, პრაგმატული და ტექსტური ცოდნის ეფექტურ გამოყენებას კონკრეტული დისკურსული ჟანრების წარმოებისა თუ ინტერპრეტაციის დროს.

ენისა და კულტურის, ისევე როგორც დისკურსისა და კულტურის განუყოფელ კავშირს ადასტურებს პოლ ჯიის (Gee, 2014) კონცეფცია. მისი მოსაზრებით, წერისა თუ საუბრის პროცესში ჩვენს აზრს საკომუნიკაციო გარემოსა და კონტექსტს ვუსადაგებთ, თუმცა, ამავდროულად, თავად ჩვენი მეტყველების მანერა განსაზღვრავს ამ სიტუაციასა და კონტექსტს. აქედან გამომდინარე, ენა და კონტექსტი ურთიერთგანმპირობებელია: ჩვენ ენას ვარგებთ იმ გარემოს, რომლის ფორმირებაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ენობრივი საშუალებებით მოხდა.

ჯიის თეორიაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კულტურა კარნახობს იმ ენობრივი ერთეულების შერჩევას, რომლებსაც კონკრეტული დისკურსის წარმართვისა და საკომუნიკაციო მიზნების მისაღწევად ვიყენებთ. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი საკომუნიკაციო სიტუაცია იმ კულტურის ანასახია, რომელშიც იგი წარმოიქმნება.

მოცემულ განსაზღვრებებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკურსი და კულტურა ურთიერთდაკავშირებულია, რამდენადაც დისკურსი წარმოდგენილია როგორც ლინგვისტური სტანდარტი სწორი ქმედებისა, რომელიც განისაზღვრება კულტურული და ისტორიული გამოცდილებით.

კომუნიკაციის წარმატებას, კულტურულ და ექსტრაკულტურულ ცოდნასთან ერთად, თავად დისკურსის სტრუქტურაც განსაზღვრავს. შესაბამისად, კულტურულ ფაქტორებთან ერთად, ყურადღებას იპყრობს დისკურსის ანალიზის ფართო სპექტრი: დაწყებული ყოველდღიურ მეტყველებაში სიტყვის გამოყენების თავისებურებებით, დამთავრებული სოციალურ პრაქტიკაში არსებული დომინანტი იდეოლოგიებით.

აღნიშნული პროცესის კოგნიტურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უნარი, ავტომატურად მოახდინოს იმ გამონათქვამების ინტერპრეტაცია, რომელიც პირდაპირი ვერბალური ფორმით არ არის მოცემული. ეს უნარი ეყრდნობა წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებულ ცოდნის სტრუქტურებს, ნაცნობ მოდელებს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული „სქემის“ ცნებაა. გონებაში არსებულ სტატიკურ, ფიქსირებულ მოდელს „ფრეიმს“ უწოდებენ, ხოლო დინამიკურს - „სკრიპტს“.

სკრიპტი, როგორც მოვლენათა თანმიმდევრობის ამსახველი სტრუქტურა, გვეხმარება მომხდარის ინტერპრეტაციაში. ჩვენ გვაქვს მზა სკრიპტები ტიპური სიტუაციებისთვის (მაგალითად, ვიზიტი ექიმთან, თეატრსა თუ რესტორანში). ვინაიდან სკრიპტის დეტალები ერთი კულტურის ფარგლებში ნაცნობი და გაზიარებულია, გაუგებრობის ალბათობა მინიმალურია; თუმცა, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის სკრიპტების აცდენა ხშირად ხდება კომუნიკაციური მარცხის მიზეზი.

კომუნიკაციის წარმატებულობას, დისკურსის სტრუქტურასა და კულტურულ ფრეიმთან ერთად, უპირველესად განსაზღვრავს კონტექსტი, რომელშიც გამონათქვამი ტექსტად იქცევა. გამონათქვამი ტექსტის სახეს იძენს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გარკვეული სიტუაციის ფარგლებში განვიხილავთ და როდესაც არსებობს ამ გამონათქვამის ლინგვისტური კონტექსტის ცოდნა. სწორედ, კონტექსტი იძლევა წინადადების ერთმნიშვნელოვნად ინტერპრეტაციის საშუალებას, რადგან ჩვენი გამონათქვამების აზრს ქმნის არა მხოლოდ ლინგვისტური მნიშვნელობები, არამედ მათი სოციალური დატვირთვაც, რაც ტექსტის საერთო აზრის ფორმირებაში სხვადასხვაგვარი კონტექსტის მეშვეობით მონაწილეობს.

ამრიგად, ტექსტის სწორ გაგებას ენობრივთან ერთად სიტუაციური კონტექსტიც განაპირობებს, რომელიც მსმენელს აუცილებელ ინფორმაციას აწვდის. აღნიშნულ საკომუნიკაციო სქემას რომან იაკობსონი (Jakobson, 1987) შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: მოლაპარაკე (ლოკუციის წყარო) შეტყობინებას გადასცემს ადრესატს (ლოკუციის მიზანს), ხოლო სამეტყველო აქტის მესამე შემადგენელი ნაწილი თავად შეტყობინება, ანუ გამონათქვამი და ლოკუციაა. იმისთვის, რომ შეტყობინებამ შეასრულოს თავისი ფუნქცია, მას აუცილებლად სჭირდება კონტექსტი, როგორც რეფერენციის ობიექტი, რომელიც ნაცნობია ადრესატისთვის და რომელსაც უკვე აქვს ვერბალური (ენობრივი) ფორმა. ყოველივე ეს ერთობლიობაში ქმნის ექსტრალინგვისტურ კონტექსტს.

თავის მხრივ, შეტყობინების ილოკუციურ პოტენციალს შეიძლება წარმოადგენდეს მტკიცება, წინასწარმეტყველება, ვარაუდი, შეურაცხყოფა, მუქარა, თხოვნა, დაპირება და ა.შ. მათი სწორი ინტერპრეტაციისთვის კი აუცილებელია ლოკუციის ოპტიმალური განხორციელებისთვის საჭირო რიგი ფაქტორების -

შინაარსის, გარემოს, დროისა და კომუნიკაციის მონაწილეთა გათვალისწინება. სიტუაციური კონტექსტის მნიშვნელობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა გამონათქვამის პრესუპოზიციული ასპექტი. მას ქმნის ის წინაპირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა კონკრეტული ილოკუციური აქტი მოცემული გამონათქვამის წარმოქმნის დროს სწორი და ეფექტური იყოს. მაშასადამე, გამონათქვამის პრესუპოზიცია სწორედ ის პირობაა, რომლის შესრულებაც აუცილებელია, რათა ენობრივმა გამონათქვამმა დასახულ მიზანს სწორად მიაღწიოს.

როგორც აღინიშნა, ტექსტის სრულფასოვანი გაგებისთვის სიტუაციის ცოდნა აუცილებელია, რადგან ტექსტის ერთეულები უშუალო მიმართებას ამყარებენ სიტუაციურ ელემენტებთან. მაშასადამე, ენის მიღმა არსებული ობიექტებისა და ცნებების აღნიშვნა, გადმოცემა და აღწერა სწორედ ენობრივი საშუალებებით ხორციელდება. აღნიშნული კავშირის კომპლექსურობას ხაზს უსვამს თამაზ გამყრელიძე (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, & შენგელაია, 2008), რომლის მოსაზრებითაც, სიტუაციურ ელემენტებთან ერთად, არსებითია თავად ტექსტის ბუნების განსაზღვრა და ტექსტობრივი სტრუქტურის შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინება:

- ტექსტის დანიშნულება და მოსაუბრის საკომუნიკაციო მიზნები;
- მსმენელის დამოკიდებულება მთლიანი ტექსტისადმი და მის მიერ შეტყობინების აღქმის თავისებურებები;
- ტექსტის ინფორმაციულობა (ანუ ინფორმაციის მოსალოდნელობა-მოულოდნელობის ხარისხი);
- ტექსტის მიმართება სიტუაციასთან, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, მისი წარმოქმნის მიზეზს, ხოლო მეორე მხრივ, იმ გარემოს გათვალისწინებას, რომელიც განსაზღვრავს მის თვისებრიობას;
- ტექსტის შესაბამისობა სიტუაციასა და გარემოსთან, ანუ მისი „ეფექტურობა“ - მსმენელზე ზემოქმედების ხარისხი.

სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება ტექსტობრივი სტრუქტურის ისეთი ნიშნები, როგორებიცაა უწყვეტობა-წყვეტილობა, სირთულე-სიმარტივე, ტექსტის სწორი აგება-გაფორმება და მისი სტილისტიკური მახასიათებლები.

ტექსტის სტრუქტურულ გამართულობას მჭიდროდ უკავშირდება კოჰერენტულობის ფენომენი. იგი, უპირველეს ყოვლისა, არის ის გონებრივი

მოცემულობა, რომელიც ენის მომხმარებელს წინასწარ აქვს ჩამოყალიბებული, ხოლო უშუალოდ ნათქვამი ან დაწერილი სიტყვები ამ კოგნიტური მოცემულობის ენობრივ რეალობაში რეალიზებულ მნიშვნელობებს წარმოადგენს. აღნიშნული „ენობრივი რეალობის“ ინტერპრეტირება და მისი დაკავშირება რაღაც ნაცნობსა თუ მოსალოდნელთან ინდივიდების მიერ ლოკალურ დონეზე ხდება.

დისკურსის თემის ცოდნა და მისი ნაცნობობა კოჰერენტულობის ფუნდამენტური საფუძველია. ეს განპირობებულია იმ ენობრივი ფაქტით, რომ ნაცნობი თემის ინტერპრეტაცია დაუყოვნებლივ ხდება და შესაძლო ალტერნატივები აღარ განიხილება. რაც შეეხება კულტურული სქემებიდან გამომდინარე მოლოდინის განსხვავებულობას, ეს უკვე კულტურათაშორისი პრაგმატიკის შესწავლის საგანია. თუმცა უდავოა ის ფაქტი, რომ როგორც ერთი, ისე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესი ყოველთვის ეყრდნობა არსებულ კულტურულ სქემებსა და ექსტრაკულტურულ ფაქტორებს.

კულტურული სქემებისა და კოჰერენტულობის როლის გააზრება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება დისკურსის ინსტიტუციური ბუნების განხილვისას. მიუხედავად იმისა, რომ დისკურსი არ არსებობს ტექსტის გარეშე, ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციის წარმოების პროცესში ტექსტისა და დისკურსის როლები მკვეთრად განსხვავდება. კერძოდ, ოფიციალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში ადგილი აქვს არა ტექსტის პირდაპირ გამოყენებას, არამედ მის ინსტიტუციურ ინტერპრეტირებას.

აღნიშნული პროცესის დასაზუსტებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ინსტიტუციური დისკურსი გულისხმობს ვერბალურ ინტერაქციას ორ ან მეტ ადამიანს შორის იმ გარემოებებში, როდესაც: სულ მცირე ერთი მოსაუბრე ან მონაწილე წარმოადგენს რომელიმე პროფესიულ ინსტიტუციას (ან გამოდის მისი სახელით); გამოყენებული ენა, ინტერაქციის ხასიათი და მოსაუბრეთა მიზნები, სულ მცირე ნაწილობრივ მაინც, განპირობებულია მოცემული ინსტიტუციის მიერ; და სულ მცირე ერთი მონაწილე ინტერაქციას განსაზღვრავს როგორც „სამუშაოს“ ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას“ (Sarangi & Roberts, 1999). მსგავს გარემოში წარმოებული კომუნიკაცია ხშირად ატარებს იმ ინტერაქციულ მახასიათებლებს, რომლებიც მას ჩვეულებრივი სოციალური საუბრისგან განასხვავებს. აღნიშნული დისკურსის

ტიპოლოგია კი ხდება იმის მიხედვით, თუ რომელ სოციალურ ინსტიტუტში მიმდინარეობს ინტერაქცია, რის საფუძველზეც ვ. კარასიკი (Karasik, 2000, გვ. 5-20) გამოყოფს პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ადმინისტრაციულ, იურიდიულ, სამხედრო, პედაგოგიურ, რელიგიურ, ბიზნეს, რეკლამის, სპორტის, სამეცნიერო, მედია და მისტიკურ დისკურსს.

ამრიგად, ინსტიტუციური დისკურსი მოიცავს იმ სოციალურ ინტერაქციებსა და ენობრივ ფორმებს, რომლებიც ლოკალიზებულია „ინსტიტუციურად“ მიჩნეულ ან, მარტივად რომ ვთქვათ, „სამსახურებრივ“ გარემოში, თუმცა ეს უკანასკნელი აუცილებლად ფიზიკურ ადგილს არ გულისხმობს. თავად სამსახურებრივი კომუნიკაცია შეიძლება აღიწეროს, როგორც სოციალური ინტერაქცია, რომელიც მოიცავს ინსტიტუციისთვის სპეციფიკური კითხვა-პასუხის, სამუშაოსთან დაკავშირებული სიტუაციების კონსტრუირებისა თუ გადმოცემის (ნარატივების) და/ან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ დისკუსიების გარკვეულ კომბინაციას.

აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ და ინსტიტუციურ საუბარს შორის არსებული მიჯნის გადახედვაში მნიშვნელოვანი წვლილი თავად სოციალური ინსტიტუტების ცვალებადმა ბუნებამაც შეიტანა. მაგალითად, მომსახურების სფეროს ზრდამ, რაც გარკვეულწილად მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგია, მეტი ადამიანი ჩართო ინსტიტუციური კომუნიკაციის უფრო ფართო სპექტრში. სოციალური ორგანიზაციების ცვლილებასთან ერთად, ბუნებრივია, შეიცვალა ამ ინსტიტუტებში გამოყენებული დისკურსის ხასიათიც.

ამ ცვლილებების მიუხედავად, ინსტიტუციური და ჩვეულებრივი ინტერაქციების გამმიჯნავ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად კვლავ მოსაუბრეებს შორის არსებული გარკვეული ხარისხის ასიმეტრია მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს შორის მსგავსი ასიმეტრია შეიძლება ყოველდღიურ სოციალურ კონტექსტშიც გამოვლინდეს, დომინირება და სტატუსური უთანასწორობა ხშირად ცალსახად არის ჩადებული ინსტიტუციების ბუნებასა და წესებში. შესაბამისად, სამსახურებრივი კომუნიკაციისას ინსტიტუციის წარმომადგენელი ხშირად ფლობს „ძალაუფლებასა“ და „კონტროლს“ არა მხოლოდ სტატუსის, ავტორიტეტისა და ცოდნის თვალსაზრისით, არამედ საუბრის მართვის კუთხითაც. ამდენად, ასიმეტრია შეიძლება აღიწეროს როგორც სოციალური

ფენომენების (სტატუსი, ძალაუფლება, გამოცდილება), ისე დისკურსული უფლებებისა და პრივილეგიების ჭრილში.

სოციალური ასიმეტრიის გააზრებისას ინსტიტუციის წარმომადგენლებს აქვთ მეტი ცოდნა, მეტი ავტორიტეტი და უფრო მაღალი სოციალური სტატუსი, ვიდრე მათს არაინსტიტუციურ პარტნიორებს. ეს პირები თავიანთ ავტორიტეტსა და სოციალურ პოზიციას იმყარებენ ნაწილობრივ პროფესიული განათლებითა და მომზადებით, ნაწილობრივ კი იმ „სტატუსითა“ და პატივისცემით, რომლებსაც მათ ფართო საზოგადოება ანიჭებს. ამის საფუძველზე, ექიმები, ადვოკატები, მასწავლებლები, აღმასრულებელი დირექტორები და სხვა პროფესიონალები ინტერაქციას ხშირად იწყებენ უკვე მინიჭებული ინსტიტუციური უფლებამოსილებით. ამასთანავე, მონაწილეებს შორის არსებული კიდევ ერთი უთანასწორობა სამუშაოსთან დაკავშირებულ კონტექსტებში ინდივიდების ინსტიტუციასთან ნაცნობობის სხვადასხვა ხარისხის შედეგია. როგორც წესი, ინსტიტუციის წარმომადგენელს გაცილებით მეტი გამოცდილება აქვს იმ ტიპის ინტერაქციებში, რომლებიც მოცემულ გარემოში ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება არ წარმოადგენდეს განსხვავებას ობიექტურ „ცოდნასა“ თუ ძალაუფლებაში, თავად მსგავსი ტიპის კომუნიკაციებთან ხშირი შეხება მაინც ქმნის მნიშვნელოვან ასიმეტრიას და იძლევა ინტერაქციულ უპირატესობას.

ამრიგად, ენის, კულტურისა და კონტექსტის მრავალშრიანი ურთიერთკავშირი ქმნის იმ ფუნდამენტურ ჩარჩოს, რომელშიც ინსტიტუციური დისკურსი ფუნქციონირებს. თეორიული მიმოხილვიდან ნათელი ხდება, რომ კომუნიკაციის წარმატება არა მხოლოდ ლინგვისტურ ცოდნაზე, არამედ საერთო კულტურულ სქემებზე, პრესუპოზიციებსა და იმ სოციალურ ასიმეტრიაზეა დამოკიდებული, რომელიც თავად ინსტიტუციურ გარემოშია კოდირებული. აღნიშნული კომპლექსურობის პრაქტიკული ანალიზისთვის კი აუცილებელია იმ სპეციფიკური სფეროების განხილვა, სადაც ეს კანონზომიერებები ყველაზე მკაფიოდ ვლინდება.

თავი II. ინსტიტუციური დისკურსის სპეციფიკა: პოლიტიკა და მედიცინა

2.1 პოლიტიკური დისკურსის პრაგმატული და მანიპულაციური ასპექტები

პოლიტიკური ფენომენის გააზრება დღეს შეუძლებელია ინტერდისციპლინური პერსპექტივის გარეშე, რადგან მისი შინაარსი და საზღვრები მუდმივად უკავშირდება ცვალებად ინსტიტუციურ, იდეოლოგიურ და კულტურულ კონტექსტებს. ეს მრავალგანზომილებიანობა პოლიტიკას აქცევს რთულ სოციალურ მოცემულობად, რომლის ერთიანი ლინგვისტური თუ პოლიტოლოგიური დეფინიცია ვერ ხერხდება. შესაბამისად, მკვლევართა ინტერპრეტაციები ყოველთვის ამ მრავალფეროვნების ასახვაა. მაქს ვებერი თავის ნაშრომში „პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელოვნება“ გვთავაზობს პოლიტიკის სოციო-ფილოსოფიურ დეფინიციას და ოთხ ძირითად შეხედულებას გამოყოფს პოლიტიკაზე:

- პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნება;
- პოლიტიკა, როგორც საჯარო პროცესი;
- პოლიტიკა, როგორც კომპრომისი და კონსესუსი;
- პოლიტიკა, როგორც ძალაუფლება და რესურსების გადანაწილება (Weber, 1946).

გერმანიის კანცლერი ბისმარკი აღნიშნავდა: „პოლიტიკა არ არის მეცნიერება, ეს ხელოვნებაა“. მართლაც, პოლიტიკა კომუნიკაციის ხელოვნებაა, რომლის უპირველესი ადრესატი საზოგადოებაა.

პოლიტიკის საფუძველს, ისევე როგორც ობიექტს, საზოგადოება წარმოადგენს. შესაბამისად, მისი კავშირი საზოგადოებასთან უწყვეტია. პოლიტიკური დისკურსის განსაზღვრისას ვოლტონი ყურადღებას სწორედ დისკურსში ჩართულ აქტორებზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ: „პოლიტიკური კომუნიკაცია არის სივრცე, სადაც სამი ძირითადი აქტორია: პოლიტიკოსები, ჟურნალისტები/მედია და საზოგადოება. ისინი მუდმივად ცვლიან დისკურსებს და საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს პოლიტიკასთან დაკავშირებით“ (Wolton, 1997).

ვოლტონი პოლიტიკურ კომუნიკაციას აქტორთა კონფიგურაციის კრილში განიხილავს, ხოლო შაროდო ყურადღებას იმ საკომუნიკაციო პირობებზე ამახვილებს, რომელთა ფარგლებშიც დისკურსი პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს.

შაროდოს აზრით, დისკურსი, თავისთავად აღებული, პოლიტიკური არ არის. მას პოლიტიკურს შესაბამისი საკომუნიკაციო სიტუაცია ხდის. ამგვარად, დისკურსის პოლიტიკურობას განსაზღვრავს არა მისი შინაარსობრივი მხარე, არამედ თავად საკომუნიკაციო სიტუაცია (კონტექსტი), რომელშიც დისკურსი მიმდინარეობს (Charaudeau, 2006). შაროდოს განმარტებით, პოლიტიკური დისკურსი არის საკომუნიკაციო აქტი, რომლის მონაწილეთა უმთავრეს მიზანს ადრესატის შეხედულებებზე ზემოქმედება წარმოადგენს. აღნიშნული ინტერაქცია ორიენტირებულია კონკრეტული პრაგმატული შედეგის მიღწევაზე: აუდიტორიის მხარდაჭერის მოპოვებაზე (მიმხრობა), ოპონენტის პოზიციის გაბათილებასა (უარყოფა) თუ მხარეთა შორის კონსენსუსის ჩამოყალიბებაზე.

პასუხი კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს პოლიტიკური დისკურსი, ამოუწურავია. ზემოხსენებული მიდგომების პარალელურად, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია როგორც დისკურსში ჩართულ აქტორებზე, ისე საკომუნიკაციო კონტექსტზე, მნიშვნელოვანი ხდება პოლიტიკური დისკურსის გააზრება კოგნიტური საფუძვლების კრილშიც.

თანამედროვე ქართველი ფილოსოფოსის, მამუკა დოლიძის მიხედვით, პოლიტიკურია დისკურსი, რომელსაც პოლიტიკოსები წარმართავენ, თუმცა „პოლიტიკურობა“ დამოკიდებულია მოსაუბრის მსოფლხედვაზე. შესაბამისად, საჭიროა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი პოლიტიკურ აზროვნებასა და პოლიტიკურ დისკურსს შორის. პოლიტიკური აზროვნება შეიძლება განიმარტოს, როგორც კონვენციურ კატეგორიებზე დამყარებული მიზნობრივი აქტი (დოლიძე, 2009). დოლიძის მოსაზრებით, პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს პოლიტიკური აზროვნების შედეგს და მის პროდუქტს. შესაბამისად, პოლიტიკური აზროვნება პირველადია დისკურსთან მიმართებით, ვინაიდან ლინგვისტური აქტივობა არის მენტალური აქტივობის შედეგი და მისგან გამომდინარე.

პოლიტიკური აზროვნების ფილოსოფიური და სოციოლოგიური ასპექტების მკვლევრის, გივი ამაღლობელის, მოსაზრებით, „უშუალო პოლიტიკური პრობლემა არის ცალკეული ინდივიდის ან ჯგუფის სუბიექტური მენტალური განსხვავებებისა და კატეგორიების მიმართება სხვა ჯგუფების ან ინდივიდების მიმართ, რომელთა განზრახვები, ისევე როგორც აღქმის ფორმები, ასევე სრულიად სუბიექტურია“

(Amaglobeli, 2009). ამდენად, პოლიტიკური დისკურსი, როგორც სუბიექტური ინტენციონალური აქტის ლინგვისტური გამოვლინება, არის სუბიექტური მოცემულობა, ხოლო მისი მთავარი მიზანია ლინგვისტური მანიპულაციების მეშვეობით ფაქტებისთვის სასურველი მნიშვნელობის მინიჭება და მათზე კონტროლის დამყარება.

ამაღლობელი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური დისკურსის საგანი არა მხოლოდ ფაქტი, არამედ ფაქტისთვის მინიჭებული მნიშვნელობაც ხდება. ის ამგვარ უთანხმოებას მეორადს უწოდებს და მიჯნავს ფაქტობრივი ვითარებისგან. ამაღლობელი აღნიშნავს, რომ არსებობს ფაქტის მნიშვნელობასთან დაკავშირებული უთანხმოება და თვით მნიშვნელობებთან დაკავშირებული უთანხმოება (უთანხმოება უთანხმოებასთან დაკავშირებით). ამ დროს სემანტიკური შეუსაბამობა წარმოიქმნება არა პირველად ფაქტორთან, ანუ ფაქტობრივ ვითარებასთან, არამედ მნიშვნელობათა ინტერპრეტაციასთან მიმართებით. ამ დროს წარმოიქმნება ეგრეთ წოდებული „მეტადისკურსი,“ რაც დამახასიათებელია ზოგადად პოლიტიკური დისკურსისათვის. მეტადისკურსი არის მსჯელობის სპეციფიკური ფორმა, რომლის დროსაც მსჯელობა ხდება არა ფაქტობრივ ვითარებასთან, არამედ თავად დისკურსულ ფორმებთან მიმართებით. ეს არის „კამათი კამათისთვის“.

ამასთანავე, პოლიტიკური დისკურსი არა მხოლოდ აღწერითი, არამედ მოქმედებითი დისკურსია, რომლის დროსაც ფაქტების შეფასების პარალელურად ხდება მოვლენებზე ლინგვისტური კონტროლის დაწესება. მნიშვნელოვანია ის, თუ რომელი დისკურსი აღმოჩნდება უფრო ქმედითუნარიანი მოვლენების ინტერპრეტირებისა და მათთვის მნიშვნელობის მინიჭების მხრივ. შესაბამისად, ასეთი ტიპის დისკურსი იძენს დომინანტი დისკურსის ფორმას.

ამაღლობელის მიხედვით, საზოგადოებაში არსებობს დაპირისპირებული დისკურსები მრავალ საკითხთან მიმართებით. შესაბამისად, დისკურსები შეიძლება იყოს როგორც შეთანხმებული, ისე - კონფლიქტური. დისკურსი არა მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებს ქმნის (ან აღწერს), არამედ იყენებს ცოდნას ძალაუფლების დასაფუძნებლად. ხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მსჯელობა არის ლინგვისტური მანიპულაცია, რომლის მიზანია ფაქტებისათვის სასურველი მნიშვნელობის მინიჭება და ამით მათზე (ფაქტებზე/პროცესებზე)

კონტროლის მოპოვება. ფაქტი ყოველთვის უცვლელია, იცვლება მხოლოდ მისი დისკურსული ინტერპრეტაციები და შესაბამისად - მნიშვნელობაც. არსებითად, პოლიტიკური პრობლემა წარმოადგენს დისკურსულ სხვაობას, ესე იგი, როდესაც ერთი და იმავე ფაქტს აფასებენ და განიხილავენ სხვადასხვა ენით. თავის მხრივ, დისკურსული განსხვავება ფაქტებისადმი განსხვავებული მნიშვნელობის მინიჭებას ნიშნავს.

რაც შეეხება პოლიტიკურ დისკურსს, მისი მიზანია ძალაუფლების მოპოვება და მისი განხორციელება. შესაბამისად, დისკურსი ძალაუფლების მოპოვებისა და განხორციელების ერთგვარი საშუალებაა. აქ კი მყარდება პირდაპირი კავშირი დისკურსსა და ძალაუფლების ცნებებს შორის.

სკოტი ძალაუფლების ორგვარ გაგებას გვთავაზობს: ძალაუფლება დომინანტობით და ძალაუფლება თანხმობით/პერსუაზიით. პირველი გაგებით ძალაუფლება განიხილება როგორც ინსტიტუციური აქტორების (მაგ. სასამართლო ან სადამსჯელო ორგანოები) უნარი, მიუხედავად არსებული წინააღმდეგობისა თუ პროტესტისა, უზრუნველყონ მათთვის სასურველი ქცევის ჩამოყალიბება სხვებში თანხმობის მიღების მიზნით (Scott, 1990).

ძალაუფლების მეორე გაგება ემყარება პერსუაზიული ზეგავლენის მნიშვნელობას. ძალაუფლება, როგორც გადაბირების უნარი, პირველად ფილოსოფოსმა გრამსკიმ განიხილა. მან ჰეგემონიის კონცეპტში აღწერა მექანიზმი, რომლის საშუალებითაც საზოგადოების დომინანტი ჯგუფები ეფექტურად ახერხებენ დაქვემდებარებული ჯგუფების დარწმუნებას, მიიღონ მათ მიერ შეთავაზებული მორალური, პოლიტიკური და კულტურული ღირებულებები (Gramsci, 1971).

ჰეგემონიის კონცეფციის განხილვისას გრამსკი ხაზს უსვამს, რომ დომინანტური გავლენა ყალიბდება იმ ინსტიტუციების მეშვეობით, რომლებიც ინდივიდის კულტურულ ფორმირებაზე ახდენენ ზეგავლენას, მათ შორის: სამოქალაქო საზოგადოება, ოჯახი, განათლების სისტემა, ეკლესია, სასამართლო და მედია. აღნიშნული ინსტიტუციების დისკურსი ჰეგემონიურ დამოკიდებულებებს, რწმენებსა და წარმოდგენებს აყალიბებს არა ძალისმიერი მეთოდებით, არამედ, უმთავრესად, ენობრივი ზემოქმედებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ძალოვან სტრუქტურებთან შედარებით, დომინანტ ჯგუფებს, რომლებიც სწორედ ამ დისკურსით განამტკიცებენ

გავლენას, საზოგადოებაში შედარებით უფრო სტაბილური და მდგრადი პოზიციები უჭირავთ.

ძალაუფლების მეორე გაგებასთან ახლოს დგას ფუკოს მიერ შემოთავაზებული ძალაუფლების ანალიზის თეორიული მოდელი. ფუკო ძალაუფლებას არ განიხილავს როგორც რეპრესიულ ფენომენს, არამედ როგორც სოციალური და დისკურსული ურთიერთობების პროდუქტიულ, კომპლექსურ და მუდმივად განვითარებად ჯაჭვს.

ამ კონცეპტუალური მიდგომის თანახმად, ინსტიტუციურ გარემოში მოქმედი სუბიექტი არ ფლობს ძალაუფლებას, როგორც სტატიკურ რესურსს. ძალაუფლება განუწყვეტლივ წარმოიქმნება, გარდაიქმნება და ხელახლა ფორმირდება სოციალურ პრაქტიკებსა და დისკურსულ ურთიერთობებში.

იდეოლოგია და მისი ტექსტური გამოხატულება, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს, არ არსებობს იზოლირებულად, არ წარმოადგენს თავისუფალი ნების უშუალო გამოხატულებას; პირიქით, იგი ფუნქციონირებს, როგორც სოციალური სტრუქტურების შემავსებელი მექანიზმი. დომინანტური დისკურსი წარმოადგენს დისკურსის ტიპს, რომელიც სხვა დისკურსებზე მაღლა დგას, ამცირებს ე.წ. მეორადი და დაქვემდებარებული დისკურსების მიდგომების მნიშვნელობასა და ალტერნატიულობას. დომინანტური დისკურსი იმ ჯგუფისაა, რომელსაც სოციალურ და პოლიტიკურ იერარქიაში დომინანტური პოზიცია უკავიათ. მისი მეშვეობით კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით იდეებისა და ქცევის ტიპი ფართო მასებს გადაეცემა. ამაღლობელის მიხედვით, დომინანტური ჯგუფები საზოგადოების სხვა წევრებს აიძულებენ, მიიღონ ქცევისა და აზროვნება-მეტყველების ის ფორმები, რომლებიც მათ მიერ განსაზღვრულია როგორც სტანდარტი.

მაშასადამე, პოლიტიკური დისკურსი არის დისკურსის ის ნაირსახეობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელება. პოლიტიკური ძალაუფლება მნიშვნელოვანწილად ხორციელდება ენის საშუალებით, როდესაც პოლიტიკოსი ცდილობს რეციპიენტებს გარკვეული მანიპულაციების მეშვეობით (ენობრივი თამაში და სხვა) თავს მოახვიოს ის შეხედულებები, მოსაზრებები და ქცევის ტიპები, რომლებიც ადრესანტს შეიძლება მიაჩნდეს მცდარად, თუმცა მომგებიანად საკუთარი თავისთვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება

ვამტკიცოთ, რომ პოლიტიკა მიეკუთვნება გამოგონილისა და თამაშის რეგისტრს, რამეთუ იგი მოიცავს ირეალურობის ნიშანს (Маслова, 2008).

პოლიტიკური დისკურსი ამ და სხვა თავისებურებების საფუძველზე შეიძლება მივაკუთვნოთ პუბლიცისტურ სტილს, რომლის ზოგადი მიზნებიც, გალპერინის მიხედვით, არის საზოგადოებრივ შეხედულებებზე მუდმივი და სიღრმისეული ზეგავლენის მოხდენა, ადრესატის დარწმუნება იმაში, რომ მწერლისა თუ მოსაუბრის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია გახლავთ ერთადერთი სიმართლე, მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევას ავტორი ცდილობს არათუ ლოგიკური არგუმენტაციის, არამედ ნათქვამის ემოციური შეფერილობის საფუძველზე (Galperin, 1977, გვ. 287).

თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის კვლევა ემყარება ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც ადასტურებს, რომ ენა ყოველთვის იყო პოლიტიკური მანიპულაციის ინსტრუმენტი. არისტოტელე აღნიშნავდა, რომ „ადამიანი პოლიტიკური ცხოველია, რომელიც მოითხოვს და გამოიყენებს ენას პოლიტიკური მიზნებისათვის“, რაც აჩენს პირდაპირ კავშირს ენობრივ მანიპულაციასა და პოლიტიკური კომუნიკაციის ტექნიკებს შორის.

არისტოტელეს ეკუთვნის რიტორიკული ტექნიკების პრაქტიკული გამოყენების სისტემა – ანუ 5 მეთოდი, რომლებითაც ორატორი ახორციელებს რიტორიკას:

- **Inventio** (გამოგონება/არგუმენტაციის მოძიება) - ინტელექტუალური ძიების პროცესი, რომლის დროსაც ორატორი განსაზღვრავს გამოსვლის მთავარ თემას და არჩევს შესაბამის დამაჯერებელ არგუმენტებს;

- **Dispositio or Narratio** (განლაგება / სტრუქტურირება) - მოძიებული მასალისა და არგუმენტების ლოგიკური ორგანიზება ეფექტური დისკურსის ჩამოყალიბების მიზნით;

- **Elocutio** (სტილისტიკა / მხატვრული გაფორმება) - აზრის ენობრივი ფორმულირება და სტილური დამუშავება იმისათვის, რომ სათქმელი იყოს არა მხოლოდ გასაგები, არამედ სტილისტიკურად გამართული და პერსუაზიული;

- **Memoria** (დამახსოვრება) - საჯარო გამოსვლის სტრუქტურისა და არგუმენტაციული ხაზის სრულყოფილი ათვისება. იგი გულისხმობს მასალის ფუნდამენტურ გააზრებას, რაც ორატორს საშუალებას აძლევს, თავისუფლად მართოს

დისკურსი, ოპერატიულად უპასუხოს ოპონენტის რეპლიკებს და ეფექტურად გამოიყენოს იმპროვიზაციის უნარი.

• **Pronuntiatio (წარმოთქმა / შესრულება)** - რიტორიკული პროცესის დასკვნითი ეტაპი, ორატორის მიერ ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა (ხმის ტემბრი, ინტონაცია, პაუზა, სხეულის ენა და ჟესტიკულაცია) გამოყენება აუდიტორიის ყურადღების სრული მობილიზაციის მიზნით;

ზეპირად წარმოდგენილი დამარწმუნებელი არგუმენტის სტრუქტურის საკითხი არისტოტელედან იწყება. 2300 წლის წინ სწორედ მან განსაზღვრა დამაჯერებლად მეტყველების კომპონენტები. მათ გადაბირების სამი სვეტის სახელით მოიხსენებენ. ესენია: ეთოსი, ლოგოსი და პათოსი. არისტოტელეს მოსაზრებით, მოსაუბრის უნარი, მიიმხროს აუდიტორია დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად მიმართავს ის აუდიტორიას ლოგოსის, პათოსისა და ეთოსის ნაწილში, რასაც მოგვიანებით რიტორიკოსებმა რიტორიკული სამკუთხედი უწოდეს.

ლოგოსი გამოხატავს საკომუნიკაციო მიზეზს, რომელიც გამოხატულია არგუმენტის ტექსტით და ლოგიკის, ფაქტებისა და სტატისტიკის გამოყენებით, გამომსვლელი აუდიტორიას უჩენს საფუძვლიანობის შეგრძნებას.

ეთოსი რიტორიკულ სამკუთხედში გამოხატავს ავტორის ხასიათს, მის როლს მისივე არგუმენტში და იმას, თუ რამდენად სანდოა წარმოდგენილი არგუმენტი.

პათოსი გამოხატავს არგუმენტირების პროცესში აუდიტორიის როლს, კონკრეტულად კი იმ ემოციას, თანაგრძნობას, შეგრძნებებსა თუ ღირებულებებს, რასაც გამომსვლელი იწვევს აუდიტორიაში ემოციური ენის, შეგრძნებათა ორგანოებზე ზემოქმედებით, თუ საინტერესო ეპიზოდების გამოყენებით.

რამდენადაც ვხედავთ, ეთოსი ემსახურება საკუთარი ძალაუფლების წარდგენას აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ, ლოგოსი საკუთარი მოსაზრების ლოგიკური არგუმენტია და პათოსი აუდიტორიის ემოციურად მართვის მცდელობა.

რიტორიკული სამკუთხედი საჯარო მიმართვაში, ჩვეულებრივ, ტოლგვერდა სამკუთხედითაა წარმოდგენილი, იმდენად, რამდენადაც ლოგოსი, ეთოსი და პათოსი თანაბრად უნდა იყოს ტექსტში წარმოდგენილი, თუმცა რიტორიკული სამკუთხედის რომელ ნაწილს მიანიჭებს გამომსვლელი უპირატესობას საკუთარ ნაშრომში, ეს დამოკიდებულია როგორც აუდიტორიაზე, ასევე გამოსვლის მიზანზე.

დევიდ კრისტალი გამოყოფს ორატორის მეტყველების სამ უმთავრეს მიზანს:

1. მიზეზების ახსნა-განმარტება - აუდიტორიის გადაბირება;
2. თანაგრძნობის გამოწვევა - აუდიტორიის ქმედებისკენ მიმართვა;
3. ესთეტიკური მგრძნობელობის გამოწვევა - აუდიტორიაში ალტაცების

გამოწვევა (Crystal, 1990).

ჟაკ ჟერსტლე ხაზს უსვამს პოლიტიკური კომუნიკაციის ფენომენის სიძველეს და აღნიშნავს, რომ პოლიტიკური კომუნიკაცია, თანამედროვე გაგებით, თითქმის ანტიკური პერიოდის გაგების იდენტურია. „პოლიტიკური კომუნიკაცია დემოკრატიული რეჟიმის დროს ცდილობს მიაღებინოს მსმენელებს ის პოლიტიკური არჩევანი, რომელსაც სთავაზობენ“ (Gerstlé, 2008).

კლასიკური პერიოდის პოლიტიკური დისკურსი ეყრდნობოდა სამართლიანობას, პატიოსნებას და გულწრფელობას, თანამედროვე კი - გამოწვევების წინაშე დგას, ის ეფექტურთან ერთად ძალიან დახვეწილი უნდა იყოს. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიები გაცილებით მეტ დროს უთმობენ დისკურსის სტილის შერჩევასა და პრეზენტაციას, ვიდრე თავად პოლიტიკას.

რიტორიკულ თეორიაში მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების პრიორიტეტულობამ განაპირობა რიტორიკის, როგორც იდეათა „სტილური მოდელირების“ საშუალებად ჩამოყალიბება. აღნიშნულმა ცვლილებამ წინ წამოსწია ლინგვისტური ფორმების მნიშვნელობა, როგორც პოლიტიკური შინაარსის ფორმირებისა და ადრესატზე ზემოქმედების უმთავრესი მექანიზმი. ენობრივი ფორმის ეს დომინანტობა კიდევ უფრო აქტუალური გახდა თანამედროვე ეპოქაში, სადაც პოლიტიკური დისკურსის ტრანსფორმაციაზე გადამწყვეტ გავლენას მედიის განვითარების პროცესი ახდენს. მედიატიზაციის შედეგად პოლიტიკური გზავნილები სულ უფრო ლაკონიურ და აქტუალურ თემებზე ორიენტირებულ ხასიათს იძენს. თანამედროვე პოლიტიკური გამოსვლების ავტორები აცნობიერებენ, რომ სამიზნე აუდიტორია არ შემოიფარგლება მხოლოდ უშუალო მსმენელით და ძირითად მასას ტელე- თუ ციფრული მედიის მომხმარებლები წარმოადგენენ. ამდენად, ორატორები ითვალისწინებენ მედიის ინტერესებსა და ფორმატებს, რათა პოლიტიკური მესიჯი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის.

პოლიტიკური გამოსვლის, როგორც პუბლიცისტური სტილის ნაირსახეობის, უმთავრესი პრაგმატული მიზანი აუდიტორიის ემოციური ჩართულობა და მისი მხარდაჭერის მოპოვებაა. ამ ამოცანის მისაღწევად ორატორები იყენებენ სპეციფიკურ რიტორიკულ ტექნიკებს, რომლებიც ტექსტს მეტ დინამიკურობასა და დასამახსოვრებელ ეფექტს სძენს.

პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი საკვანძო ასპექტი ლექსიკური მასალის პრაგმატული შერჩევაა. ვილსონის მოსაზრებით, გადამწყვეტია არა ცალკეული სიტყვა, არამედ კონტექსტი და პოლიტიკური შეტყობინების მატარებელი ერთეულები. ამდენად, პოლიტიკურ დისკურსში სტრატეგიულ მიზნებს ემსახურება:

- **დისფემიზმები და კაკოფემიზმები:** მოწინააღმდეგე მხარის დაკნინებისა და დამცირების მიზნით;

- **ეფემიზმები:** უარყოფითი ქმედებისა თუ ფაქტის ნეიტრალურად ან პოზიტიურად წარმოჩენის მიზნით;

ამავდროულად, პოლიტიკური დისკურსის კომუნიკაციურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **სლოგანებსა და დევიზებს**, რომლებიც ცენტრალურ მესიჯს მინიმალური რაოდენობის სიტყვებით გადმოსცემენ (მაგ: „*In God We Trust*“, „*Liberté, Egalité, Fraternité*“).

რიტორიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მექანიზმია ანტიკური რიტორიკიდან ადაპტირებული **სამნაწილიანი სტრუქტურა** (Tricolon). ეს მეთოდი უნივერსალურია და სოციალური კლასის, ასაკისა თუ სქესის მიუხედავად, გავლენას ახდენს აუდიტორიაზე. ამავე დროს, იგი საშუალებას აძლევს მოსაუბრეს, სრულყოფილად გამოხატოს მოსაზრება, ყურადღება გაამახვილოს საკვანძო პუნქტებზე და შექმნას რიტმული კულმინაცია.

„I was with you yesterday! I am with you today! And I will be with you tomorrow!“

აღნიშნული სტრუქტურა ხშირად ვლინდება **სინონიმური ან ანტითეზური პარალელიზმების** მეშვეობით, სადაც დაპირისპირება (ანტითეზა) საკუთარი ღირებულებების ხაზგასასმელად გამოიყენება. არგუმენტაციის გასაძლიერებლად ასევე გამოიყენება რთული წინადადებების მარტივ ერთეულებად დაყოფისა და პირობითი კონსტრუქციების სტრატეგია, რაც ეტაპობრივად აგებს ემოციურ მუხტს, პათოსს.

„We believe in personal responsibility. But not in selfish individualism... We believe in lower taxes. But not in fostering greed...” (<https://www.youtube.com/watch?v=jlfGx4G8tjo>)

პოლიტიკური იმიჯის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები. მათ შორის:

- **მეტაფორა:** ხელს უწყობს რთული პროცესების (მაგ. პროგრესი, გლობალიზაცია) გამარტივებულ აღქმას (მაგ: „ladder of opportunity“);
- **მეტონიმია:** ემსახურება ობიექტებს შორის ასოციაციური კავშირის დამყარებას (მაგ: „Pentagon“ როგორც სამხედრო უწყების სიმბოლო);
- **ფონეტიკური მანიპულაცია:** ალიტერაცია და ბგერათა გამეორება (მაგ. ფრიკატული „ს“) სტაბილურობისა და საიმედოობის განცდას ქმნის (მაგ: „stable, successful and secure“).

პოლიტიკური დისკურსის დამაჯერებლობას, ლინგვისტურთან ერთად, პარალინგვისტური ელემენტებიც განსაზღვრავს. მსგავსად რეკლამისა, აქ დიდ როლს თამაშობს **ხმის ტემბრი**, რომელიც იდეოლოგიურად მიმზიდველი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანია აქცენტისა და ტონალობის ცვლილება განსაზღვრული საკითხის პარალელურად.

ამგვარად, მეტყველების მელოდიურობა, პაუზების სტრატეგიული გამოყენება და **შთამბეჭდავი დასასრული** ქმნის ერთიან სტილურ სისტემას, სადაც თითოეული ელემენტი ურთიერთშემავსებელია მაქსიმალური დამარწმუნებელი ზეგავლენის მისაღწევად.

2.2 სამედიცინო დისკურსის პრაგმალინგვისტური და მანიპულაციური ასპექტები

დისკურსის სტრუქტურა ყალიბდება კომუნიკანტთა შეთანხმების საფუძველზე და განისაზღვრება მოსაუბრეთა საკომუნიკაციო მიზნებით. შესაბამისად, დისკურსის სტრუქტურის ანალიზისას კვლევის ობიექტს წარმოადგენს როგორც ენობრივი ნორმებისა და გრამატიკული სტრუქტურების ზეგავლენა მოსაუბრის მიერ წინადადების ფორმირებასა და შერჩევაზე, ასევე მოსაუბრის მიერ შერჩეული ფრაზებისა - მსმენელზე. ვინაიდან დისკურსი განისაზღვრება როგორც ენის

გარკვეული ფორმა, საკუთარი წესებით, პირობებითა და ინსტიტუტებით, სადაც იგი იქმნება და ვრცელდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამედიცინო დისკურსი ხასიათდება მხოლოდ მედიკოსთა პროფესიისთვის დამახასიათებელი ენის ფორმით, მისი გამოყენების წესებით, პირობებით, ლექსიკით, იმ კონკრეტულ პროფესიულ ინსტიტუტებსა (საავადმყოფოებში, ლაბორატორიებში, ნებისმიერი სხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში) და სოციალურ სივრცეებში, რომლებშიც აღნიშნული პროფესიის წარმომადგენლები (ექიმები, ექთნები, მედდები თუ მედმეები) მოღვაწეობენ.

აკაევას მოსაზრებით სამედიცინო დისკურსი ინსტიტუციური დისკურსის ის ტიპია, რომელშიც კომუნიკანტები არ იცნობენ ერთმანეთს, თუმცა დისკურსი მიმდინარეობს აღნიშნული საზოგადოების სტანდარტების დაცვით (Akayeva, 2007).

როდიონოვას (Rodionova, 2020) მიერ შემუშავებული ინსტიტუციური დისკურსისთვის დამახასიათებელი თვისებების ერთობლიობაზე დაყრდნობით შესაძლებელია სამედიცინო დისკურსის გამიჯნვა სხვა დისკურსისაგან რიგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ჯანდაცვასთან დაკავშირებით, კონკრეტული საკომუნიკაციო მიზნის არსებობა;
- კონკრეტული საკომუნიკაციო კონტექსტი (კომუნიკაცია, რომელიც მიმდინარეობს სამედიცინო ან საკონსულტაციო პირობებში);
- დიალოგი, როგორც კომუნიკაციაში ჩართულ მხარეთა ურთიერთობის საფუძველი;
- ინსტიტუციური სიმბოლოები (სპეციალური ტანისამოსი, სამედიცინო იარაღები, დოკუმენტაცია);
- საკომუნიკაციო აქტში მონაწილე მხარეთა სტატუს-როლური ფუნქციები, რომლებსაც ისინი ინსტიტუციის კონვენციებთან შესაბამისად ასრულებენ (ბრძანება, სუბორდინაცია, სამუშაოს გადანაწილება კომპეტენციის მიხედვით, ეტიკეტის დაცვა, და ა.შ.);
- სამედიცინო დისკურსის უმნიშვნელოვანესი მიზანი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა;

• ჩივილებთან, სამედიცინო ისტორიასთან, ცხოვრებისეულ ისტორიასთან, რეკომენდაციებთან და ა.შ. დაკავშირებით გამოყენებული სამეტყველო ჟანრის, გამოკითხვის, ჩივილის და ა.შ. შეზღუდული სტანდარტი/ნორმა;

• სამედიცინო დისკურსის სპეციფიკური მახასიათებლების კომბინაცია ინსტიტუციური დისკურსის ზოგად მახასიათებლებთან.

დისკურსის ტიპებს შორის განსხვავება კონვენციურია, რადგან მათ შორის საზღვრები არც ისე მკვეთრია. სამედიცინო დისკურსი წარმოადგენს კომპლექსური ინსტიტუციური დისკურსის მოდელს, რომელიც აერთიანებს სამეცნიერო, ადმინისტრაციულ, მედია და რეკლამის დისკურსების თავისებურებებს. შესაბამისად, შამნე და შიშკინა ასახელებენ სამედიცინო დისკურსის შემდგომ ქვეტიპებს:

- სამეცნიერო სამედიცინო დისკურსი;
- საგანმანათლებლო სამედიცინო დისკურსი;
- ადმინისტრაციული სამედიცინო დისკურსი;
- ინფორმაციული სამედიცინო დისკურსი;
- რეკლამის სამედიცინო დისკურსი.

სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დისკურსების არსებობა გამოწვეულია სხვადასხვა ტიპის დისკურსთა შორის იერარქიული ურთიერთობით, რომელთა შორის ერთ-ერთი ტიპის დისკურსი საკომუნიკაციო მიზნიდან გამომდინარე დომინანტ პოზიციას იკავებს (Shamne & Shishkina, 2018, გვ. 171).

ინსტიტუციური სამედიცინო დისკურსი მაღალი ევოლუციური პოტენციალით ხასიათდება, რასაც საფუძვლად ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებისა და ფორმების განვითარების ფონზე სამედიცინო დისკურსის ახალი ტიპის ინტენსიური ჩამოყალიბება უდევს. სწორედ ეს გარდამქმნელი პროცესები უზრუნველყოფს ორგანიზაციული საქმიანობის ისეთი ფორმების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა ტელემედიცინა, ინტერნეტმედიცინა და ე.წ. „ელექტრონული ჯანმრთელობა“ (E-health) (Grishechkina, 2017, გვ. 381)

როდითნოვას მოსაზრებით, დისკურსის ინსტიტუციურობის საფუძველს წარმოადგენს დისკურსში ჩართულ მხარეთა სტატუსი და ის გარემო, რომელშიც დისკურსი მიმდინარეობს. შესაბამისად, მასში ჩართულ მხარეთა სტატუსის გათვალისწინებით ის ინსტიტუციური დისკურსის ორ ტიპს გამოყოფს: 1. თანაბარს

(ექიმი-ექიმი) და არათანაბარს (ექიმი-პაციენტი). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ დისკურსებში შესაძლებელია ჩართული იყოს არა მხოლოდ პროფესიონალი, არამედ არაპროფესიონალი კომუნიკანტები. როდიონოვი ასევე გამოყოფს პროფესიონალურ და არაპროფესიონალურ (ნაწილობრივ პროფესიონალურ) სამედიცინო დისკურსებს (Rodionova & Privalova, 2020). აღნიშნულ ოპოზიციაში ერთმანეთს სამეცნიერო და ზედაპირული სამედიცინო განათლებაც უპირისპირდება.

სამედიცინო დისკურსის ეს ქვეტიპები არ არის ურთიერთდაკავშირებული და მათ შორის განსხვავება სტრუქტურულ და ფუნქციურ დონეზე იკვეთება.

გარემოებასთან ერთად ასევე აღსანიშნავია ფორმა (ზეპირი თუ წერიტი), რომელშიც დისკურსი მიმდინარეობს. ზეპირი დისკურსი ყოველდღიური მეტყველების გამოხატულებაა და ის ფუნქციონირებს ბუნებრივ კონტექსტში. წერილობითი დისკურსი კი ხასიათდება ისეთი სპეციფიკური მახასიათებლებით, როგორებიცაა: სიზუსტე, სიცხადე, თანმიმდევრულობა. წერილობითი სამედიცინო დისკურსი ასევე ხასიათდება ტერმინოლოგიისა და სპეციფიკური სინტაქსური სტრუქტურის გამოყენებითაც (Shpilnaya, 2018, გვ. 181).

ენისა და სოციუმის ურთიერთმიმართება ფილოლოგიის შესწავლის საგანი მუდმივად იყო, თუმცა გლობალიზაციამ და საზოგადოებრივი სტრუქტურების მუდმივმა ცვლილებამ დიდი გავლენა მოახდინა ენის ფუნქციონირებაზე. მუდმივად განვითარებადმა მსოფლიომ გავლენა მოახდინა სხვადასხვა სფეროში წარმოებულ დისკურსზე, მათ შორის სამედიცინოზეც.

ექიმ-პაციენტს შორის კომუნიკაციის ხელოვნება, განსაკუთრებით კი მათ შორის წარმოებული ზეპირი დისკურსი, სამედიცინო საქმიანობის უძველესი იარაღია, რომელიც დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც ადრე. ის არ წარმოადგენს არც სამკურნალო საშუალებას, არც წამალს, გვერდითი ეფექტები მინიმალურია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა ზემოთ ჩამოთვლილი. შესაბამისად, ის, როგორც ერთ-ერთი ენობრივი მოდელი იქცევს ლინგვისტა ყურადღებასაც. ლინგვისტა განსაკუთრებულ ყურადღებას მედიკოსთა სამედიცინო განათლების, თავდაჯერებულობისა და ავტორიტეტის ფონზე მათ მიერ წარმართული ინტერაქცია იპყრობს, ვინაიდან ის არა მხოლოდ სამედიცინო ჭეშმარიტების გადმოცემა-გაზიარებაა, არამედ ცალკეული სოციალური და კონვენციური აზროვნების ნაყოფი.

სამედიცინო დისკურსის კვლევა სამი სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს:

1. **ინსტრუმენტული მიდგომა (Instrumental approach)**, რომლის ფარგლებშიც ენა განიხილება როგორც ნეიტრალური ინსტრუმენტი, რომლის მიზანია ინფორმაციის ზუსტი გადაცემა. ენა წარმოადგენს სამედიცინო პერსონალთან, პაციენტთან და საჭირო სამედიცინო განათლებასთან წვდომის პრაქტიკულ საშუალებას. ამ მიდგომის ფარგლებში ძალაუფლების საკითხი აბსოლუტურად უგულებელყოფილია, ან არ მიიჩნევა ლინგვისტური სისტემის შემადგენელ ნაწილად.

2. **სოციალური მიდგომა (Social approach)** - ენა განიხილება როგორც სოციალური ურთიერთქმედების ფორმა. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ენა, ძალაუფლება და სოციალური დიფერენცირება ერთიან ჭრილში განიხილება. ენა არა მხოლოდ გადასცემს ინფორმაციას, არამედ აყალიბებს ურთიერთობას.

3. **კონსტრუქციული / კრიტიკული მიდგომა (Constructive / Critical approach)** - ენა განიხილება როგორც რეალობის შემქმნელი მექანიზმი.

სამედიცინო დისკურსის კვლევისას, ზემოაღნიშნული მიდგომებიდან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს **ინსტრუმენტული მიდგომა**, რომელიც აქცენტს ენის პრაქტიკულ დანიშნულებაზე აკეთებს. ამ ჩარჩოში ენა აღქმულია როგორც მექანიზმი, რომელიც ემსახურება ინფორმაციის ზუსტ გადაცემასა და პროფესიული მიზნების მიღწევას.

აღნიშნული მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია **მიდლტონის** (Middleton, 2018) პოზიცია. თავის ნაშრომში „სამედიცინო დისკურსი“ (ქვეთავი: „Language As a Tool for Rapport and Reference“) იგი მთავარ თემად მიიჩნევს არა იმდენად ენას, არამედ თავად მედიცინას. მიდლტონისთვის ენა არის:

- „შერჩეული მეტყველების სიზუსტე“;
- იდეის ორგანიზებულად გამოსახატად შერჩეული ჟანრობრივი საშუალება;
- პროფესიონალების მიერ კონტროლირებადი ვერბალური მეტყველების კატეგორია.

შესაბამისად, სამედიცინო დისკურსთან მიმართებით ენა განიხილება როგორც **მანევრირების საშუალება**, რომელიც ამარტივებს ურთიერთობის დამყარებას მედიკოსებსა და პაციენტებს (ან სხვა დაინტერესებულ პირებს) შორის.

მედიკოსების მიერ ენა აღიქმება მისი საზოგადოდ გავრცელებული მნიშვნელობით. ამ გაგებით, ენა, იმ შემთხვევაში, თუ ის სწორად არის აღქმული და კომპეტენტურად გამოყენებული, ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტის მსგავსად, ემსახურება მისი გამომყენებლის განზრახვებსა და მიზნებს. ლინგვისტური თვალსაზრისით კი, ურთიერთგაგების მიღწევა გულისხმობს სამედიცინო საზოგადოების მიერ გამოყენებული ენის პაციენტებთან შესაბამისობას.

ამავე მიდგომის ფარგლებში საგულისხმოა **ქასელის** (Cassell & Skopek, 1977) მოსაზრებაც. იგი ენას არ მიიჩნევს დაავადების მხოლოდ სიზუსტით გადმოცემის საშუალებად. ნაცვლად ამისა, იგი ყურადღებას ამახვილებს **პარალინგვისტურ ელემენტებზე** (მაგ: ინტონაცია, ბგერის სიმაღლე) და ნაგულისხმევ მნიშვნელობებზე. ქასელისთვის მოსაუბრის განზრახვების გასაგებად აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- კონტექსტი და სოციალური გარემო;
- მონაწილეთა ურთიერთობები;
- მოსაუბრის ჩვევები.

თუკი ინსტრუმენტული მიდგომა ორიენტირებული იყო ენის, როგორც ნეიტრალური იარაღის სიზუსტეზე, სოციალური მიდგომის ფარგლებში სამედიცინო დისკურსი განიხილება როგორც ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის კომპლექსური კომბინაცია. მასში წამყვან როლს პრაგმატული თავისებურებები ასრულებს, რაც ხელს უწყობს მკურნალობისა და პრევენციის ფუნქციის რეალიზებას: პაციენტთან სწორი დიალოგის წარმართვას, მკურნალობის დანიშნვასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას. ამ პროცესში ინტერაქციის გზების, სტრატეგიისა და ტაქტიკის არჩევა დინამიკურია და დამოკიდებულია ექიმისა და პაციენტის არჩევანზე, დაავადების სპეციფიკასა და შეთავაზებულ სამედიცინო მომსახურებაზე.

ექიმ-პაციენტის კომუნიკაციის კოგნიტური და პრაგმატული კვლევების საფუძველზე, ამ მიდგომის ფარგლებში იკვეთება შემდეგი საკომუნიკაციო მიზნები:

- კოგნიტური: აზროვნების მექანიზმის გააზრება და პაციენტის მსოფლხედვის ცვლილება;

- დისკურსული: ჩივილების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დიაგნოზის დასმა, მონაცემთა ანალიზი, სინთეზი და მკურნალობის უზრუნველყოფა;

- კომუნიკაციური: ინფორმაციის გამოთხოვა და მიღება, რეკომენდაციის მიწოდება, ახსნა და არგუმენტაცია;

- პრაგმატული: გამოკითხვა, იმიჯის შექმნა, შენარჩუნება და საკუთარი თავის წარდგენა.

ამ მიზნების სინთეზით გამოიყოფა სამი უმთავრესი ამოცანა: კარგი ინტერპერსონალური ურთიერთობის ჩამოყალიბება, ინფორმაციის გაცვლა და მკურნალობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

ამ კონტექსტში, როტერისა და ჰოლის (Roter & Hall, 1992) მოსაზრებით, სამედიცინო მომსახურების გაწევისას კომუნიკაცია არის „მთავარი ინგრედიენტი“ და ფუნდამენტური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ყალიბდება ექიმ-პაციენტის ურთიერთობა და მიიღწევა თერაპიული მიზნები. შესაბამისად, სამედიცინო მკურნალობის ეფექტურობა უშუალოდაა განპირობებული ძლიერი ინტერპერსონალური კავშირით.

სოციალური მდგომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ინფორმაციის გაცვლის წახალისებაა. ინფორმაცია აქ განიხილება როგორც რესურსი, რომელიც მოიცავს როგორც გაცემას, ისე გამოთხოვას. ექიმისთვის ეს საჭიროა სწორი დიაგნოსტიკისთვის, ხოლო პაციენტისთვის ვიზიტი ორი მოთხოვნილების თანხვედრაა: ცოდნა (პრობლემის არსის გაგება) და გაგება (ემოციური აღიარება, რომ ექიმმა მისი მდგომარეობა გაიზიარა).

სოციალურ მდგომაში ასევე იკვეთება ენობრივი ბარიერების დაძლევის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ენა ხშირად მიუკერძოებელი, მკვეთრად სამეცნიერო და საზოგადოებისთვის გაუგებარია, სპეციფიკური ტერმინოლოგია პაციენტებში ხშირად შიშსა და შფოთვის იწვევს. სწორედ ამიტომ, მედიკოსები ინფორმაციას „თარგმნიან“ პაციენტისთვის გასაგებ ენაზე, რაც თავის მხრივ იწვევს ექიმის პროფესიული მეტყველების ევოლუციასა და ცვლილებას.

სამედიცინო დისკურსის კვლევის მესამე მიმართულება ენას განიხილავს არა მხოლოდ ინფორმაციის გადამტანად, არამედ რეალობის შემქმნელ მექანიზმად. ენისა და მკურნალობის ურთიერთკავშირის შესწავლა სოციალური თეორიის ფარგლებში

ევროპელი ეთნოლოგების მიერ დაიწყო. მათ გააანალიზეს შამანებისა და მკურნალების ენა, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გაიცემოდა შრომის სოციალურ დაყოფასთან დაკავშირებული დიფერენცირების ან ცვლილებების პროცესში.

კრიტიკული მიდგომის განვითარებაში საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება რიგ ფუნდამენტურ მოსაზრებებს. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, **ლაში** (Lasch, 1908) ხაზს უსვამდა პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენების აუცილებლობას, რადგან ის, ერთი მხრივ, წარმოადგენდა სოციალურ-კლასობრივ განსხვავებულობას, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდიდა მისტიკურ რწმენებს ტაბუდადებული სიტყვებისა თუ მნიშვნელობების მიმართ.

ლაშის მსგავსად, ვაილსიც მიიჩნევდა, რომ სპეციალური ლექსიკა, ფარული მეტყველება და აკრძალული სიტყვები სოციალური დიფერენციაციის გამოხატულება იყო, თუმცა იგი ლაშის პოზიციას გარკვეულწილად არასრულყოფილად მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, რომ სამედიცინო ტერმინოლოგია მხოლოდ კლასობრივ დაყოფას კი არ უსვამდა ხაზს, არამედ სრულად ასახავდა სოციალური დაყოფის საკრალურ ბუნებასა და მის პირდაპირ კავშირს ძალაუფლებასთან.

ვაილსის ხედვით, აღნიშნული ენობრივი ჩაკეტილობა სამედიცინო წრეს ერთგვარ „განცალკევებულ ერთობად“ აქცევს, სადაც ტერმინოლოგია ბარიერის ფუნქციას ასრულებს: ის აერთიანებს პროფესიულ ჯგუფს საერთო, საიდუმლო ცოდნის ირგვლივ და, ამავდროულად, დისტანციას ქმნის გარეშე პირებთან (პაციენტებთან). ამგვარად, ენა ხდება არა მხოლოდ ურთიერთობის, არამედ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და მდგომარეობის განმტკიცების იარაღი, რაც სამედიცინო დისკურსს სხვა დისკურსებისგან გამორჩეულ და შეუვალ ხასიათს სძენს (Wilce, 2009).

ენის, როგორც ძალაუფლების გამომხატველი იარაღის, ამგვარ გაგებას კიდევ უფრო ფართო, სისტემურ ჭრილში განიხილავს მიშელ ფუკო (Foucault, 1972). იმ მკვლევართაგან განსხვავებით, რომლებიც ფოკუსირებული იყვნენ ენის შიდა აგებულებაზე, როგორც საზოგადოებრივი წყობის შესაფერის ნიშანთა სისტემაზე, ფუკო დისკურსს თავად ამ სოციალური წყობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

ფუკო დისკურსს განიხილავს არა როგორც „ნიშნების ჯგუფს“, არამედ როგორც პრაქტიკას, რომელიც სისტემატურად აყალიბებს იმ ობიექტებს, რომლებზეც თავად მეტყველებს. სტრუქტურულიდან პრაქტიკაში გადანაცვლება იყო სამედიცინო

კონსულტაციის პროცესში ენისა და ძალაუფლების როლის ერთგვარი კრიტიკა. სამედიცინო ტექსტებთან დაკავშირებით ფუკო აღნიშნავდა, რომ სამედიცინო დისკურსი მოიცავს კლასობრივ დაყოფას, რომელიც გარკვეულ ისტორიულ პირობებში და სხვა ტიპის დომინანტურ დისკურსებთან მიმართებით ყალიბდება. იგი ხაზს უსვამდა დისკურსის პროპორციულ, არარაციონალურ და არბიტრალურ ხასიათს, როგორც შესაძლებლობების სისტემას ცოდნისთვის, თუმცა ამავდროულად აკრიტიკებდა ავტორიტეტულ ცოდნას.

ამგვარად, თეორიული მსჯელობიდან უშუალოდ პრაქტიკულ ქრილში გადასვლისას ვხედავთ, რომ ექიმ-პაციენტის ურთიერთობის, ისევე როგორც სამედიცინო მიზნებით განპირობებული მოლაპარაკების პროცესში, მხარეთა შორის არსებული უთანასწორო განათლების ფონზე მწვავედ დგება ძალაუფლების, უფლებამოსილებისა და ცოდნის კონტროლის საკითხი. სამედიცინო ძალაუფლების სისტემაში დისკურსის როლის კვლევა ანთროპოცენტრულ ქრილში იძლევა საშუალებას, ენის გაგება დავუკავშიროთ დისკურსის შესახებ არსებულ იდეებს და ეს ცნებები მკაფიოდ განვასხვაოთ ძალაუფლებისა და სოციალური კონტროლისგან.

სამედიცინო კონსულტაციის პროცესში, საკომუნიკაციო მიზნებთან ერთად, ყურადღებას იპყრობს თავად საკომუნიკაციო ქცევები და მათი ურთიერთგამიჯვნა. მედიცინაში განასხვავებენ მედიკოსთა ქცევის ორ ძირითად ტიპს: ინსტრუმენტულს (პრობლემაზე ორიენტირებულს) და ემოციურს (საზოგადოებრივ-ემოციურს).

ინსტრუმენტული ქცევა შეიძლება განიმარტოს, როგორც ტექნიკურ ცოდნაზე დაფუძნებული უნარ-ჩვევები, რომლებიც გამოიყენება პრობლემის გადაჭრისას. სწორედ ეს ქმნის ექიმის, როგორც მცოდნის (ექსპერტის) ავტორიტეტს, რის გამოც მიმართავენ მას რჩევისთვის.

ემოციურ ქცევას მკვლევრები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. მაგალითად: ეს არის აშკარად ემოციური შინაარსის მქონე სიტყვიერი განცხადება, ხმის ხარისხით გადმოცემული განწყობის შეფასება ან ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ექიმსა და პაციენტს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას.

აგრეთვე ექიმსა და პაციენტს შორის წარმართული დისკურსი შესაძლოა ორად გაიყოს იმის მიხედვით, თუ რაზეა ის მიმართული - მკურნალობაზე თუ მეთვალყურეობაზე (მზრუნველობაზე).

მკურნალობაზე ორიენტირებულ დისკურსში გამოყენებულია მიზანმიმართული ქმედებების სიტყვიერი გამოხატვა: შეკითხვების დასმა, მიმართულების მიცემა და შეფასება. მზრუნველობაზე ორიენტირებულ დისკურსში კი ვლინდება საზოგადოებრივი და ემოციური ქმედებები: ენობრივ დონეზე გამოხატული თანადგომა, გადაბირება და დარწმუნება. გარდა თანაგრძნობითი შორისდებულებისა, მედიკოსები სამედიცინო გამოკითხვის (ინტერვიუს) წარმართვისას ემპათიის გამოსახატად პარალინგვისტური კომუნიკაციის საშუალებებსაც მიმართავენ.

თეორიული მიდგომების განხილვის შემდეგ, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ პრაქტიკულ ფაქტორებზე, რომლებიც სამედიცინო დისკურსს ყოველდღიური მეტყველებისგან განასხვავებს. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება: სამედიცინო ნარატივის აგების სპეციფიკურ სტილში, სიტყვებისა და ფრაზების შერჩევის პროცესში, მედიკოსების მიერ იმპლიკაციის ხშირ გამოყენებასა და დიაგნოზის სახელდებაში. აღნიშნულ თავისებურებებს კიდევ უფრო აძლიერებს ექიმსა და პაციენტს შორის წარმართული ინტერაქციის მკაცრი სტრუქტურა.

ბერნისა და ლონგის (Byrne & Long, 1976) მიხედვით, მედიკოსთა ტიპური კონსულტაცია ექვს ფაზას მოიცავს: იგი იწყება მისალმებითა და ურთიერთობის დამყარებით, გრძელდება ვიზიტის მიზეზის გარკვევით, ვერბალური ან ფიზიკური შემოწმებით, პაციენტის მდგომარეობის განხილვითა და მკურნალობის დაწვრილებითი ახსნით, პროცესი კი გასაუბრების შეჯამებით სრულდება. ავტორები ასაბუთებენ, რომ ექიმები ამ ფაზების წარმართვისას ეყრდნობიან სოციოკულტურულ ავტორიტეტს და სამედიცინო პრესტიჟს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს დიაგნოზსა და მკურნალობის გეგმას. ეს შედეგი პირდაპირ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ კომუნიკაციაში ჩართულ ორივე მხარეს საკუთარი საკომუნიკაციო მიზანი გააჩნია. მედიკოსები ღია ან დახურული ტიპის კითხვების მეშვეობით იღებენ დაწვრილებით სამედიცინო ფონურ ინფორმაციას, ამავედროულად კი მიმართავენ არავერბალურ არხებსაც. მაგალითად, სიჩუმეს ან შორისდებულს „აჰა“, რაც პაციენტის მიმართ თანაგრძნობის გამოსახატად გამოიყენება.

ინტერაქციის სტრუქტურასთან ერთად, სამედიცინო დისკურსში საგულისხმოა მედიკოსთა პოზიციონირებაც. მათი მეტყველება ხშირად ხასიათდება თავდაჯერებულობით, ბუნდოვანებით და „მშობლის პოზიციიდან“ საუბრით. პიტერ თეიტის (Tate, 2010) განმარტებით, მედიკოსთა ამგვარ დიდაქტიკურ პოზიციას „მზრუნველის“ 3000-წლიანი ისტორია და მხარეებს შორის ცოდნის, გამოცდილებისა და პრაქტიკის უთანაბრობა განაპირობებს. კროუქსის (Crookes, 1990) მიხედვით, კომუნიკაციისას მინიჭებული ძალაუფლება უშუალოდ უკავშირდება ინფორმაციის გაცვლისას გამოყენებულ რიგის დაცვის სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო პროფესიამ იმდენად კარგად მოირგო მშობლის როლი, რომ ამან კიდევ უფრო გააძლიერა ექიმის დომინანტური პოზიცია ინტერაქციისას რიგის ჭერის პროცესში.

ამგვარი როლური გადანაწილება აისახება მედიკოსთა ლინგვისტურ არჩევანშიც, რომელიც იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათ პირობითად შეიძლება „ბილინგვები“ ვუწოდოთ. მიუხედავად სამედიცინო ენის სპეციფიკურობისა, იგი არ არის ჰომოგენური და არ წარმოადგენს შეუცვლელ ნორმას. კონსულტაციის სხვადასხვა ეტაპზე ექიმები სხვადასხვა როლს ირგებენ: ანამნეზის აღებისას ისინი ექიმის ამპლუაში არიან, მკურნალობის გაცნობისას - დიდაქტიკოსის ან განმანათლებლის, ხოლო თანაგრძნობის გამოხატვისას - რიგითი ადამიანის როლში. ამ დროს ისინი ხშირად ახდენენ პროფესიული ტერმინის ყოველდღიური სიტყვებით პარაფრაზირებას. შერონის (Charon, 2006) მოსაზრებით, მედიცინა საიდუმლო ენასთანაა შერწყმული და ამ ენის ელემენტების დეკოდირებამ, შესაძლოა, მედიცინის ფუნდამენტური ბუნების დეკოდირებამდე მიგვიყვანოს. სწორედ ამიტომ, ტექნიკური ტერმინოლოგია ხშირად აღქმულია როგორც ბარიერი პაციენტებისთვის.

საინტერესოა, რომ სამედიცინო დისკურსში ხშირად პრიორიტეტი ენიჭება ადამიანთა ინტერესებსა და ღირებულებებს, ვიდრე საკითხის მხოლოდ ბიოსამედიცინო ჭრილში წარმოდგენას, თუმცა მდგომარეობის აღწერისას პაციენტები რჩებიან სუბიექტურები, ექიმები კი - ობიექტურები. ეს აისახება ლექსიკაშიც. ექიმთა მეტყველებაში ჭარბობს ერთეულები: *note*, *find*, *observe* (შემჩნევა, აღმოჩენა, დაკვირვება), პაციენტებთან კი: *complain*, *claim*, *deny* (ჩივილი, მოთხოვნა, უარყოფა). სამედიცინო ენა, იურიდიულის მსგავსად, ინარჩუნებს ლათინურ და ბერძნულ არქაიზმებს (*vertebra*, *cranium*, *humerus*), რაც ართულებს აზრთა მიმოცვლას.

ამავდროულად, ლექსიკურ არჩევანში გვხვდება ჟარგონები და მეტაფორები (მაგალითად, გული - „ტუმბო“, საჭმლის მომნელებელი სისტემა - „გაყვანილობა“).

ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენება ხშირად იწვევს დეჰუმანიზაციას, რის საპირწონედაც მედიკოსები მიმართავენ ევფემიზმებს (მაგ: „loss“, „passing away“). დაავადების სახელდება და ეტიკეტირება პაციენტში აჩენს მოლოდინს და განაწყობს მას მორჩილებისკენ. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს მეტყველების სტრუქტურას: თუ დასაწყისში გამოიყენება ღია კითხვები პაციენტის პერსპექტივის დასახატად, დიაგნოზის დასმის შემდეგ დისკურსში იმატებს დეკლარატიული წინადადებების წილი. მიუხედავად იმისა, რომ ენის სხვადასხვა შრის გამოყენება ეფექტურ კომუნიკაციას ემსახურება, ექიმთა მხრიდან პერსონალიზების მცდელობა პაციენტთა მიერ ხშირად პატერნალისტურად აღიქმება.

საბოლოოდ, ლინგვისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას ექიმ-პაციენტის კომუნიკაციისას ენობრივი ერთეულების მიღმა საკომუნიკაციო და პრაგმატული ასპექტები იპყრობს. კერძოდ კი ვერბალური ინტერაქცია, გამოყენებული მეთოდები და საკომუნიკაციო კომპეტენციის ეფექტურობა.

თავი III. პრესკონფერენციის ჟანრობრივი სპეციფიკა და სტრატეგიული დანიშნულება

3.1 პრესკონფერენციის სპეციფიკა და ჟანრობრივი მახასიათებლები

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც კომუნიკაცია ონლაინ, სოციალური მედიითა და ალგორითმების საშუალებით ხორციელდება, პრესკონფერენცია ინფორმაციის გავრცელების არცთუ ისე თანამედროვე საშუალებად მიიჩნევა. ბოლო პერიოდში კი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში წარმოქმნილმა კრიზისულმა სიტუაციებმა აჩვენა, რომ მისი როლი შეუცვლელია, მით უმეტეს მაღალი რისკის შემცველ სიტუაციაში, ვინაიდან ის არის ინფორმაციის დაუყოვნებლად გაზიარების საშუალება, რომელიც ინტერაქციულობით, დინამიზმითა და ურთიერთთანამშრომლობით ხასიათდება.

პრესკონფერენციის ამგვარი ფუნქციური აქტუალურობა უკავშირდება თავად კრიზისის მართვის შემადგენელ ნაწილებს, როგორებიცაა: კომუნიკაციაში ჩართული სხვადასხვა სოციალური აქტორი, გადაწყვეტილების მიღება და კრიზისის საპასუხო პოლიტიკის შემუშავება. მართალია, ჯერ კიდევ განხილვის საგანია, რომელი პერსპექტივიდან უნდა მოხდეს კრიზისის შესწავლა - ორგანიზაციული თუ პოლიტიკურიდან, თუმცა მკვლევრები თანხმდებიან მთავრობის ცენტრალურ როლზე კრიზისულ სიტუაციაში კომუნიკაციის წარმართვასა და მენეჯმენტზე.

ამ კონტექსტში პრესკონფერენციის, როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის წარმართვის, მიზანი, აუდიტორიის ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების მიმართ დამოკიდებულების შეცვლაა. პრესკონფერენცია წარმოადგენს ხელისუფლების რიტორიკულ პასუხს ისეთ საგანგებო სიტუაციაში, როდესაც არსებობს ინფორმაციის დეფიციტი და მისი მიწოდების მწვავე საჭიროება (Kjeldsen, 2023). ბიცერის განმარტებით კი, „პრესკონფერენცია არის რიტორიკული პასუხი რიტორიკულ სიტუაციაზე“ (Bitzer, 1968), რომელიც სამ ელემენტს მოიცავს:

- რიტორიკული პასუხი პრობლემაზე, რომელიც თავისი ბუნებით რიტორიკულია და რიტორიკის საშუალებითვეა სრულად ან ნაწილობრივ მოგვარებადი;

- აუდიტორია - ინდივიდები და ჯგუფები, რომელთაც რიტორი მიმართავს და რომელთა აზროვნებასა და ქცევაზე მას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა;

- მენტალური, ფიზიკური და კულტურული ზემოქმედება, რომლებიც რიტორმა საგანგებო სიტუაციაში უნდა გამოიყენოს.

შესაბამისად, ორატორის მთავარი მიზანია შეტყობინების გადაცემისას ზემოქმედების მოხდენა და სათანადო საშუალებების მოძებნა, რათა მისმა პასუხმა, სიტუაციაში გამოყენებულ სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენა მოახდინოს აუდიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ორი გარემოება: I. საგანგებო სიტუაციის, ზემოქმედებისა თუ აუდიტორიის ცვლილების კვალდაკვალ იცვლება თავად რიტორიკული სიტუაციაც; II. წარსული გამოცდილების საფუძველზე იქმნება რიტორიკული გამოსვლის ნიმუშები, რომლებიც ერგება თითოეულ კონკრეტულ სიტუაციას. კონკრეტული, საგანგებო თუ ნებისმიერი სიტუაციისთვის გამიზნული რიტორიკული გამოსვლის ამგვარ მოდელს, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ შინაარსსა და სტილისტიკურ მახასიათებლებს, კემბელი (Campbell & Jamieson, 1978) ჟანრს უწოდებს. ამგვარად, ჟანრი წარმოადგენს ტიპური რიტორიკული ქმედების ფორმას, რომელიც ცალკეულ როლს არგებს გამომსვლელებსა და აუდიტორიას, რაც გვეხმარება ისეთი სოციალური საჭიროებებისა და საგანგებო სიტუაციების მოგვარებაში, რომლებიც განმეორებადია.

ამავდროულად, ჟანრის ეს სტაბილურობა არ გამორიცხავს გამომსვლელის აქტიურ გავლენას პროცესზე; პირიქით, რიტორების გამოსვლების განმაპირობებელი სიტუაციები და ჟანრები უშუალოდ უკავშირდება ორატორების ძალაუფლებას, შეიმუშაონ, შეცვალონ ან შექმნან თავად სიტუაცია და შესაბამისი ჟანრი (Vatz, 1973). ამდენად, რთულია იმის ცალსახად განსაზღვრა, ვინ ქმნიან სიტუაციასა თუ ჟანრს - გამომსვლელები თუ ჟურნალისტები.

ვინაიდან პრესკონფერენცია საჯარო კომუნიკაციის ფორმაა, რომლის ორგანიზებაც, როგორც წესი, ხელისუფლების ან სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ ხდება, მისი შესწავლა ჟურნალისტურთან ერთად პოლიტიკურ მეცნიერებათა პერსპექტივიდანაც ხდება. პოლიტიკურ მეცნიერებათა ჭრილში, პრესკონფერენცია არის სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ წინასწარ შემუშავებული საჯარო გამოსვლის გეგმა, რომლის მიზანი საზოგადოებრივ მოსაზრებაზე გავლენის მოხდენა და მისი მართვაა. ჟურნალისტური პერსპექტივიდან კი, პრესკონფერენცია არის

ჟურნალისტური ავტონომიისა და საკითხის გულდასმით შესწავლა-განხილვის ექსკლუზიური უფლების სადემონსტრაციო არენა (Ekström & Eriksson, 2017)

იმერენის განმარტებით, „პოლიტიკური პრესკონფერენცია არის პოლიტიკური საქმიანობის ტიპი, რომელიც საერთო ინსტიტუციურ მიზნებს ემსახურება, მათგან ერთ-ერთი კი დემოკრატიული საზოგადოების შენარჩუნებაა პოლიტიკური დისკურსის საშუალებით“ (Emeren, 2010). პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც პოლიტიკოსები ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას და, ამავდროულად, აძლიერებენ საზოგადოებრივ აზრს. ენდონის მოსაზრებით, პოლიტიკური პრესკონფერენცია თავისი არსით პოლიტიკურ ინტერვიუს ჰგავს (Andone, 2013), სადაც წინასწარ დაგეგმილი დისკუსიის მთავარი სამიზნე აუდიტორია საზოგადოებაა.

ვან იმერენი ასევე აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსმა ინსტიტუციური კონვენციების ფარგლებში უნდა ახსნას და გაამართლოს თავისი პოლიტიკური პოზიცია. კრიზისულ სიტუაციაში პრესკონფერენციის ინსტიტუციური ფუნქციაა საზოგადოების ინფორმირება და იმ პოზიციის გაცნობა, რომელიც სახელმწიფოს, როგორც პასუხისმგებელ ობიექტს, გააჩნია, თუმცა ქლეიმენი და ჰერიტიჯი (Clayman, 2002) მიუთითებენ, რომ პრესკონფერენცია ხშირად უფრო პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება, ვიდრე მედიასს. საგანგებო სიტუაციაში მისი გამართვა, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების იმიჯის დაცვას ისახავს მიზნად. პოლიტიკოსები, ერთი მხრივ, ზრდიან სახელმწიფოს როლს კრიტიკული სიტუაციების შეფასების ეტაპზე, მეორე მხრივ კი, ძირითადად შეფარვით, ამცირებენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მომხდართან მიმართებით.

ინსტიტუციური თვალსაზრისით, ჟურნალისტთა ვალდებულებაა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, რაც გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებას მხოლოდ ფაქტების გადამოწმების შემდეგ (APA principles of journalism, 2016) და პოლიტიკოსებისთვის კრიტიკული შეკითხვების დასმას. მიუხედავად ამისა, ქლეიმენისა და ჰერიტიჯის მიხედვით, ბევრი ჟურნალისტის დასწრება ფუნდამენტურად ცვლის ინტერაქციის პირობებს: მცირდება ერთი და იმავე ჟურნალისტის მიერ თანმიმდევრული შეკითხვის დასმის შესაძლებლობა, რაც პოლიტიკურ ფიგურას საშუალებას აძლევს, გამოსვლა საკუთარი განრიგით

წარმართოს. ეს პრესკონფერენციას საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით ნაკლებად ეფექტურს ხდის.

ტელევიზიის საშუალებით პრესკონფერენცია გადაიქცა მექანიზმად, რომლითაც პოლიტიკური ლიდერები საკუთარ ქმედებებს უშუალოდ საზოგადოებას განუმარტავენ. ვანგი და ჯი (Wang & Ge, 2022) ეთანხმებიან ექსტრომის მოსაზრებას, თუმცა ამატებენ, რომ პრესკონფერენცია არ არის მხოლოდ პოლიტიკური და ჟურნალისტური ძალების არენა. ის ასევე სხვადასხვა სოციალური და ლინგვისტური ძალის გამოვლინებაა. მათი ხედვით, პრესკონფერენციის მხოლოდ ორმხრივ კომუნიკაციად განხილვა იწვევს სოციოკულტურული ფაქტორების უგულებელყოფას და ზღუდავს ლინგვისტური ანალიზის შესაძლებლობებს, რაც თავისთავად აკნინებს დისკურსის როლს სოციალური რეალობის შექმნის პროცესში.

დისკურსის მიერ რეალობის კონსტრუირების ეს პროცესი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება კრიზისის მართვისას, სადაც მკვლევართა ყურადღებას იპყრობს სოციალურ ურთიერთობათა ასპექტი. კრიზისის შესახებ წარმოდგენის შექმნა, როგორც ხელისუფლების, ასევე ჟურნალისტების მიერ გულისხმობს არა მხოლოდ ხალხის ცნობიერების ამაღლებას, არამედ იმ სოციალურ აქტორთა შორის ურთიერთობების მართვას, რომლებსაც შესაძლოა კრიზისის განსხვავებული ან ურთიერთსაპირისპირო გაგება ჰქონდეთ. სწორედ ეს ინტერპრეტაციული სხვაობა და ურთიერთსაპირისპირო პოზიციები განაპირობებს იმას, რომ ნებისმიერი ტიპის კონფერენცია, ტიპური, ონლაინ თუ პრესკონფერენცია, თავისი არსით „ბრძოლაა“. მათ ერთი რამ აერთიანებთ. გაჟღერებული მესიჯი მიმართულია აუდიტორიისკენ, თუმცა შეტყობინების მიწოდების შესაძლებლობები განსხვავებულია. მთავარი სხვაობა პრესკონფერენციასა და „ტიპურ“ კონფერენციას შორის ის არის, რომ სამიზნე აუდიტორია იმავე სივრცეშია და გამომსვლელზეა დამოკიდებული ნათქვამის სასურველი ფორმით მიწოდება ან ოპონენტთან დაპირისპირების წარმართვა.

ტიპური კონფერენცია თავისი არსით რეკლამას ჰგავს, სადაც შემქმნელი სრულად აკონტროლებს შეტყობინებას. აქ ჟურნალისტების მიერ კონტენტი არ იფილტრება. პრესკონფერენციის შემთხვევაში კი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით პრესაა აუდიტორია, მისი ნამდვილი ადრესატები მკითხველები, მაყურებლები და მსმენელები არიან.

პრესკონფერენცია თავისი არსით „გაფუჭებული ტელეფონის“ თამაშს ჰგავს: სპიკერები პრესას წარუდგენენ ინფორმაციას, რომელიც, თავის მხრივ, კონტენტს გადასცემს საბოლოო მომხმარებელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრესკონფერენცია არის ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციის გადამცემთათვის. წარმატების განმსაზღვრელი დონე კი სწორედ ამ „ჭეშმარიტ აუდიტორიაზე“ მოხდენილი ზეგავლენა და მათი შეცვლილი ცნობიერებაა.

მკვლევართა ყურადღებას პრესკონფერენციის ჟანრობრივ ასპექტებთან ერთად იპყრობს პროცედურული ელემენტებიც, რაც უშუალოდ მონაწილეობს სტრატეგიული კომუნიკაციის განხორციელებაში. პროცედურული თვალსაზრისით დაყოფისას, პერნანდესი გამოყოფს პრესკონფერენციის პირველ და მეორე სექციას: პირველ ნაწილში გამომსვლელები თავიანთ მოსაზრებასა თუ სათქმელს წარმოადგენენ უწყვეტად, ხოლო მეორე ნაწილში პასუხობენ მედიის მიერ კონკრეტული პროცედურის დაცვით დასმულ შეკითხვებს (Hernández, 2021). ეკსტრომი და ერიკსონი (Ekström & Eriksson, 2017) კი ჟანრზე დაფუძნებული კვლევის საფუძველზე, გამოყოფენ პოლიტიკური პრესკონფერენციის სამ ქვეჟანრს: პოლიტიკური გამოსვლა (მონოლოგი), კითხვა-პასუხის სესია (ინტერაქცია) და პოსტინტერვიუ.

პოლიტიკური პრესკონფერენციის კონტექსტში პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს შორის დისკუსია საწყის ეტაპზე მოიცავს მონაწილეებს შორის როლების გადანაწილებასა და მტკიცებულებების მოპოვებას. ამ პროცესში მონოლოგი და ინტერაქცია პრესკონფერენციის ცენტრალური ნაწილია. მონოლოგის ეტაპი ეთმობა მოვლენის შესახებ ფაქტების მოყვანას, ფინანსური, მატერიალური თუ ადამიანური დანაკარგის შესახებ მოხსენებასა და სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომების გაცნობას. ამ დროს პოლიტიკოსები სახელმწიფოს სახელით მოსახლეობას აცნობენ საკუთარ პოზიციას; ისინი არ პასუხობენ ჟურნალისტთა შეკითხვებს, თუმცა ცდილობენ წინასწარ გასცენ პასუხი ყველა მოსალოდნელ კითხვას, მაღალი შეფასება მისცენ მათ მიერ შემუშავებულ პოლიტიკას და მოიყვანონ არგუმენტები, რაც შეამცირებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მომხდართან მიმართებით.

მატერიალური თვალსაზრისით საწყის ეტაპზე პოლიტიკოსები სახელმწიფოს მიერ შესრულებული ვალდებულებების დადებითად შეფასების მიზნით იყენებენ ფაქტობრივ მონაცემებსა და საერთო სტანდარტებს, რისი საშუალებითაც საზოგადოება

შედგება კრიზისულ სიტუაციაში ხელისუფლების ეფექტურობის შეფასებას. ზარეფსკის (Zarefsky, 2009) მოსაზრებით, პოლიტიკოსების მიერ აუდიტორიისგან დადებითი უკუკავშირის მიღების მიზნით კონდენსაციის სიმბოლოების (*condensation symbols*) გამოყენება უკვე დამკვიდრებული ტენდენციაა. ეს ელემენტებია მოკლე და დასამახსოვრებელი გამონათქვამები, ძირითადად სლოგანები, რომლებსაც შეუძლია ვერბალური ფორმით გამოხატული იმიჯების, დამოკიდებულებებისა და თვალსაზრისის კონდენსირება. საპირი (Sapir, 1934) აღნიშნავს, რომ ამ სიმბოლოებს შეუძლიათ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციების სხარტად გადმოცემა.

იმ ფაქტის გამო, რომ კონდენსაციის სიმბოლოები მოიცავს საერთო ეროვნულ ღირებულებებსა და შეხედულებებს, პოლიტიკოსები მათ სასურველი რეაქციის გამოწვევის მიზნით პრესკონფერენციის დასაწყისშივე იყენებენ. რაც შეეხება ჟურნალისტებს, მათთვის ეს სიმბოლოები არის იმის გაცხადება, რომ სწორედ სახელმწიფოა პასუხისმგებელი არსებულ საგანგებო სიტუაციაზე. ჟურნალისტები ღიად ან შეფარვით მიუთითებენ, რომ მთავრობა ვალდებულია, უზრუნველყოს მოქალაქეებისთვის მშვიდი და უსაფრთხო გარემო და თუ საგანგებო სიტუაცია რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობითაა გამოწვეული, მათი შეკითხვებიც შესაბამისად ფორმულირდება.

ინტერაქციის ეტაპზე, სადაც ჟურნალისტები სვამენ შეკითხვებს, სპიკერი არა მხოლოდ მოპასუხე, არამედ მენეჯერიცაა. სორნბოროუ აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსები არა მარტო „საუბრის მენეჯერები“, არამედ „ტერიტორიული ძალაუფლების“ მფლობელებიც არიან (Thornborrow, 2002), რაც გულისხმობს კრიტიკული შეკითხვისთვის თავის არიდების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული წყობის ფარგლებში პოლიტიკოსი ვალდებულია გასცეს პასუხი ნებისმიერ შეკითხვას, ჟურნალისტთა შერჩევა ხშირად შემთხვევითობის პრინციპით ხდება, რათა შემცირდეს პოლიტიკოსის მიერ მხოლოდ მისთვის სასურველ თემებზე საუბრის შანსი. შეკითხვის დასმის შესაძლებლობის მიღების შემდეგ ჟურნალისტები თავად წყვეტენ, საგანგებო სიტუაციის რომელ დეტალს ჩაუღრმავდნენ და დააყენონ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

ინტერაქციული ეტაპი მოიცავს არა მხოლოდ საზოგადოების ინფორმირებას, არამედ სახელმწიფოს მიერ საკუთარი პოზიციის დაცვას წამოყენებული

ბრალდებებისგან. პრესკონფერენციის შესაძლო შედეგი ხშირად თავდაპირველ განსხვავებულ შეხედულებებთან დაბრუნებაა, რადგან არ არსებობს ინსტრუმენტი, რომლითაც მოწმდება, ვის სასარგებლოდ დასრულდა დებატები - პოლიტიკოსის თუ ჟურნალისტის. დროის სიმცირის გამო, ჟურნალისტებსა და საზოგადოებას არ ეძლევათ საშუალება სრულყოფილად გამოხატონ აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად სარწმუნო ან ამომწურავი იყო პოლიტიკოსის პასუხი. ამდენად, საწყის ეტაპზე წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა დასკვნით ეტაპზეც ღია რჩება.

3.2 პრესკონფერენცია როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტი კრიზისულ კომუნიკაციაში

პრესკონფერენცია, როგორც კონკრეტულ მომენტში ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი, გამოიყენება პოლიტიკური ფიგურების მიერ საკუთარი პოზიციის წარსადგენად და მომხდართან დაკავშირებით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემცირების მიზნით. ჩვეულებრივ, იგი ტარდება ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც იწვევს საზოგადოების დელვას (მაგალითად: კატასტროფა, მასშტაბური სტიქიური მოვლენა, ტერორისტული თავდასხმა და ა.შ.) და ემსახურება პოლიტიკურ გამჭვირვალობას.

აღნიშნული გამჭვირვალობა უშუალოდ უკავშირდება დემოკრატიის პრინციპებს, რომელთა თანახმად, პოლიტიკოსთა საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებაა პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა თუ ქმედებების შესახებ ახსნა-განმარტების გაკეთება. მსგავსი ანგარიშვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაშინ იძენს, როცა პოლიტიკური ორგანო თუ ფიგურა პასუხისმგებელია ქვეყანაში შექმნილ საგანგებო ან კრიზისულ მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ, პოლიტიკოსები საკუთარი პოზიციის ფორმულირებისას სხვადასხვა სტრატეგიულ მანევრსა და არგუმენტაციას მიმართავენ.

ბესეტის მიხედვით, „დემოკრატიის პირობებში ანგარიშვალდებულება გულისხმობს გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო ფიგურების მიერ საკუთარ გადაწყვეტილებებსა თუ ქმედებებთან დაკავშირებით საზოგადოების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას“ (Besette, 2001).

იქიდან გამომდინარე, რომ კონფერენცია თავისი არსით ეთმობა კრიტიკულ სიტუაციას, სადაც პოლიტიკოსები, ასევე კრიტიკულად განწყობილ აუდიტორიას, უპირველესად მოსახლეობას, შემდგომ კი ჟურნალისტებს წარუდგენენ სახელმწიფო პოზიციას, ის ჩანასახშივე არგუმენტირებული დისკუსიაა და მოითხოვს ჟურნალისტებთან არგუმენტირებულ მსჯელობას, სადაო თუ საპირისპირო შეხედულების გაბათილებას სხვადასხვა სტრატეგიული მანევრის საშუალებით.

იმერენის მიხედვით სტრატეგიული მანევრირება გამოიხატება სამ ასპექტში: პრესკონფერენციის თემა, აუდიტორიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, პრეზენტაციის ეფექტური საშუალებების გამოყენება (Eemeren, 2010). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სტრატეგიული მანევრირება სხვა პოლემიკურ და რიტორიკულ მიზნებს შორის გულისხმობს სპიკერის მიერ ისეთი თემის არჩევას, რომელთან დაკავშირებითაც მარტივად შევა დისკუსიაში, საკუთარი პოზიციის ფორმულირებისას საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინებას და წარდგენისას ისეთი ეფექტური საშუალებების გამოყენებას, რაც ოპოზიციურად განწყობილ მხარეს დაარწმუნებს წარმოდგენილი პოზიციის ვალიდურობაში.

ვან იმერენის მოსაზრებით, საკომუნიკაციო აქტივობათა ტიპები კონვენციებზეა დაფუძნებული და ეს პროცესი ემსახურება ინსტიტუციური საჭიროებებით განპირობებულ საკომუნიკაციო ქმედებას (Eemeren, 2010, გვ. 30). ამდენად, პოლიტიკური პარტიების მიერ პრესკონფერენციის, როგორც ინსტრუმენტის არჩევა, პროცედურული თავისებურებებით, სხვადასხვა ლინგვისტური რესურსებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებით, სტრატეგიულ კომუნიკაციას წარმოადგენს.

ფაქტი, რომ პრესკონფერენცია სტრატეგიული კომუნიკაციის ტიპია, რომელიც ინსტიტუციურ საჭიროებებს ემსახურება, უდავოა. მკვლევართა შემდგომი შესწავლის საგანი არის პრესკონფერენცია, როგორც დაგეგმილი სტრატეგიული კომუნიკაციის განხორციელება თუ სიტუაციური საჭიროებით გამოწვეული საკომუნიკაციო სტრატეგიის მყისიერი შერჩევა.

თუ დავეყრდნობით ვან იმერენის მოსაზრებას, მივიღებთ, რომ სტრატეგიული კომუნიკაცია ინსტიტუციურ საჭიროებებს ემსახურება. ამდენად, დაგეგმილის

განხორციელება, რაც გამორიცხავს საგანგებო სიტუაციაში კონკრეტული სტრატეგიის ექსპრომტად არჩევის შესაძლებლობას.

ჰალანის მოსაზრებით, თანამედროვე მდგომით, სტრატეგია განიხილება როგორც „მიდგომა (...), რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ საზოგადოებისთვის ინფორმაციის გადაცემას (...), მათი კმაყოფილების მოპოვებასა და მათთან კავშირის გამყარებას, ორგანიზაციული ძალაუფლების გამყარების მიზნით“ (Hallahan, Holtzhausen, van Ruler, Verčič & Sriramesh, 2007 გვ. 11), რასაც არ ეთანხმებიან სტრატეგიული კომუნიკაციის სხვა მკვლევრები.

განვითარებული ტექნოლოგიების საშუალებით წარმოდგენილმა სტრატეგიებმა შექმნა ახალი და უფრო კომპლექსური რეალობა.

სტრატეგიული კომუნიკაციის მკვლევრები განსაკუთრებულ აქცენტს ინტერაქციის მიმდინარეობისას გამოყენებული სტრატეგიების საგანგებოაზე ამახვილებენ.

კინგი (King, 2009), მსგავსად სტრატეგიული კომუნიკაციის სხვა მკვლევრებისა, მიიჩნევს, რომ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს სტრატეგიის მოულოდნელად წარმოქმნადობაზე.

მარჩიორი და ბულგაკოვი (Marchiori, 2012) აღნიშნავენ, რომ სტრატეგია უნდა მივიჩნიოთ როგორც ორგანიზაციის საკომუნიკაციო პრაქტიკა და საკომუნიკაციო პრაქტიკა ორგანიზაციაში.

სანდუ (Sandhu, 2009) ყურადღებას ამახვილებს გავლენაზე, რომელიც ინსტიტუციას სტრატეგიაზე აქვს და რაც ერთგვარი ახსნაა იმისა, თუ რა გავლენა აქვს კონტექსტით განპირობებულ ლოგიკას ორგანიზაციულ პრაქტიკაზე.

ტექნოლოგიური ცვლილებების პირობებში სოციალურმა მედიამ სტრატეგიული კომუნიკაციის ახალი და უფრო კომპლექსური რეალობა შექმნა. კონკრეტულად, ბუნდოვანი ორგანიზაციული საზღვრები და გადაწყვეტილების მიღების ახალი გარემოებები, რომლის ფარგლებშიც საჭირო ხდება არათუ წინასწარგამიზნული ან განსაზღვრული გეგმით მოქმედება, არამედ საჭირო სტრატეგიის გამოვლენა ან შერჩევა.

სტრატეგიული კომუნიკაციის, როგორც მოულოდნელად წარმოქმნილის განხილვა გამორიცხავს თუ არა სტრატეგიული კომუნიკაციის, როგორც წინასწარ

დაგეგმილი მიდგომების განხილვას? უფრო მეტიც, ხდება თუ არა სტრატეგიული გეგმა შემთხვევითობა? რა თქმა უნდა, არა. მკვლევრებისა და პროფესიონალებისთვის სტრატეგიული გეგმის ცნება და რაციონალურად შემუშავებული გადაწყვეტილებები კვლავაც არის და რჩება მთავარ დისკურსულ ელემენტად სტრატეგიული კომუნიკაციის გაგებისა და გამოყენების პროცესში, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ სტრატეგიის შესწავლის ერთადერთ გზას. ჰალანის მიხედვით, „სტრატეგია უნდა განვიხილოთ როგორც „მდიდარი, მრავალგანზომილებიანი კონცეპტი, რომელიც ფართო კვლევას საჭიროებს“ (Hallahan et al., 2007).

მინცბერგის (Mintzberg, 1987) მიერ შემოთავაზებული 5 ტიპის სტრატეგიის მიხედვით, სტრატეგიული კომუნიკაციის კონცეპტუალიზება შესაძლებელია როგორც მიზანმიმართულიდან მოულოდნელად შემუშავებულ სტრატეგიათა უწყვეტი ერთობლიობა, რომელიც დამოკიდებულია იმ კონკრეტულ ემპირიულ სიტუაციაზე, რომელშიც ხდება სტრატეგიის დასახვა.

მინცბერგის მიხედვით, სტრატეგიული კომუნიკაცია არის გეგმა, მანევრი, მოდელი, პოზიცია ან/და პერსპექტივა.

გეგმის ფარგლებში სტრატეგიული კომუნიკაცია განიხილება როგორც ორგანიზაციის მიერ მიზანმიმართულად დაგეგმილი ქმედება;

მანევრის ფარგლებში სტრატეგიული კომუნიკაცია განიხილება, როგორც რაღაც სპეციფიკური და მოფიქრებული, მაგრამ არა როგორც დაგეგმილი. მანევრს, როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიას, ორგანიზაცია მიმართავს (მიზანმიმართულად თუ გაუცნობიერებლად) იმისთვის, რომ სასარგებლოდ გამოიყენოს ახალი სიტუაციები;

სტრატეგიული პოზიციის ფარგლებში საკომუნიკაციო სტრატეგია განიხილება როგორც ორგანიზაციის კომუნიკაციური პოზიციონირება კონკრეტულ გარემოებებში;

პერსპექტივა სტრატეგიული კომუნიკაციას განიხილავს, როგორც გაუცნობიერებელ და ისეთ საკომუნიკაციო ქცევას, რომელიც კითხვას არ ბადებს, სადაც სტრატეგია ორგანიზაციის ისეთი თავისებურებაა, როგორიც ინდივიდისთვის პიროვნული მახასიათებლები.

მოდელის ფარგლებში კი სტრატეგია განიხილება, როგორც ორგანიზაციის მუდმივი საკომუნიკაციო ქმედება, რომელიც განპირობებულია წინარე

მიზანმიმართული ქმედებებით ან/და გაუცნობიერებლად განმეორებადი საკომუნიკაციო ქმედებებით.

მიზანმიმართულიდან მოულოდნელად შემუშავებულ სტრატეგიათა უწყვეტი ერთობლიობა მიიჩნევა სტრატეგიული კომუნიკაციის კონცეპტუალიზების განსხვავებულ და დამოუკიდებელ გზად, ხოლო პრაქტიკაში მათი გამოყენება ხდება როგორც ერთდროულად, ასევე თანმიმდევრულად.

ორი ათეული წლის წინ მინცბერგი აღნიშნავდა, რომ სტრატეგისტს შეუძლია სტრატეგიის სუბიექტისგან განცალკევება და სტრატეგიის შემუშავების პროცესის ფორმალიზება. ის მიიჩნევდა, რომ ვიდრე მოხდება სტრატეგიის ფორმალიზება, მისი შეცნობა ხდება არაფორმალურად, რაც გულისხმობს, რომ დაგეგმვას გარკვეული როლი აკისრია სტრატეგიის შემუშავების პროცესში, თუმცა არ უნდა მოხდეს მისი აღრევა სტრატეგიასთან ან გადაწყვეტილების მიღებასთან (Mintzberg, 1994, გვ. 15).

მკვლევრები, რომლებიც სტრატეგიას გეგმასთან აიგივებენ, მას განიხილავენ როგორც მენეჯმენტის ზედამხედველობითი წარმატების მისაღწევად განხორციელებულ მექანიკურ ვარჯიშს.

მინცბერგის მოსაზრებით, ორგანიზაციებს სტრატეგია არ აქვთ, არამედ მას შეიმუშავენ და გამოიყენებენ ფორმალური თუ არაფორმალური შეხვედრის პირობებში, მიზანმიმართულად, უკვე გატარებული ზომების ლეგიტიმაციისთვის. შემუშავებაში მოიაზრება ექსპერიმენტები, გატარებული ზომები და არამხოლოდ ფორმულირება და განხორციელება.

სტრატეგიული კომუნიკაციის როგორც დაგეგმილი ან საგანგებოდ შემუშავებული გეგმის განხილვის შემდეგ, მიზანშეწონილია საპირისპირო მოსაზრების გაანალიზება.

ორგანიზაციები, ერთი მხრივ, ახმოვანებენ გააზრებულად შექმნილ სამოქმედო გეგმებს და ავრცელებენ ორგანიზაციაში, ვიდრე დაიწყებენ მათ განხორციელებას, რაც იძლევა სიტუაციის გეგმის მიხედვით მართვის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი, საგანგებო მდგომარეობაში, სიტუაციის შესაბამისად ახდენენ სტრატეგიის ფორმირებას, რაც იძლევა მისი შეცვლისა და გადათამაშების საშუალებას. ორგანიზაციები არ დგებიან არჩევანის წინაშე (დაგეგმილი თუ საგანგებო), არამედ რეალობაში ხედავენ, რომ შემუშავებული სტრატეგიები გადაიქცევა კონკრეტულ

გეგმებად და - პირიქით. ამდენად, ნაცვლად იმისა, მიმართონ დაგეგმილ სტრატეგიებსა თუ საგანგებო სიტუაციაში მათ შერჩევას, ხდება ორივე პერსპექტივის განხილვა.

ამდენად, პრესკონფერენცია, როგორც ინსტიტუციურ კონტექსტში წარმოდგენილი ინსტიტუციური კომუნიკაცია სტრატეგიულია და წარმოადგენს რაციონალურად დაგეგმილ სტრატეგიას, გააზრებულად შექმნილ სამოქმედო გეგმას, რომლის შეცვლა, იმპროვიზაცია, ჩანაცვლება ექსპრომტად ხდება კონტექსტთან მიმართებით არსებული საკომუნიკაციო მიზნების შესაბამისად.

**თავი IV. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის
მარკერების ლინგვისტური ანალიზი ქართულ და ინგლისურენოვან
პრესკონფერენციებში**

**4.1. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართულენოვანი პრესკონფერენციის
დისკურსის ლინგვისტური ანალიზი**

კოვიდპანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე ფუნდამენტურად შეცვალა არსებული საკომუნიკაციო მოდელები. ჯანდაცვის სფეროში არსებული კრიზისის პარალელურად საზოგადოება დადგა ინფორმაციული კრიზისის პირისპირ, ვინაიდან პანდემიის მართვასთან დაკავშირებით ინფორმირებულად გადაწყვეტილების მიღების საჭიროება დადგა. კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ პანდემიასთან დაკავშირებით გაცემული ნებისმიერი ინფორმაცია ერთი მხრივ, ემსახურება ინფორმაციულ საჭიროებას, მეორე მხრივ, კი ასახავს მმართველი ძალის დამოკიდებულებას, შესაძლებლობებსა და ეფექტურობას. პანდემიასთან დაკავშირებული დისკურსის რიტორიკულმა, ლინგვისტურმა, სოციოლინგვისტურმა კვლევებმა აჩვენა, რომ კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული დისკურსი რთულ ლინგვისტურ ეკოსისტემას წარმოადგენს და გარდა იმისა, რომ ის ერთგვარი პასუხია იმ უპრეცედენტო გამოწვევებისა, რაც პანდემიას თან ახლდა; მისი შემადგენელი ელემენტები ემსახურება ფსიქოლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვადასხვა საკომუნიკაციო მიზანს.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული დისკურსი, მრავალფუნქციურობითა და რთული კომუნიკაციური სისტემით განსაკუთრებით საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ლინგვისტური კვლევის თვალსაზრისით. სწორედ ეს კომპლექსური ლინგვისტური ეკოსისტემა იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, მოვლენა შევისწავლოთ როგორც სინქრონიულად (კონკრეტულ მომენტში მიმდინარე კომუნიკაციური სტრატეგიების ანალიზი), ისე - დიაქრონიულად (პანდემიის ტალღების განმავლობაში დისკურსის ევოლუციის კვლევა). კვლევის ფარგლებში შესაძლებელია ღრმად გამოიკვეთოს და გაანალიზდეს პანდემიის მართვასთან დაკავშირებული საჯარო დისკურსის ჟანრობრივი, ლინგვისტური, რიტორიკული და სოციოლინგვისტური თავისებურებები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კრიზისული კომუნიკაციის მოდელების უკეთ გაგებას.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართულენოვანი პრესკონფერენციების დისკურსის კორპუსული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი ქართველი სპიკერების მეტყველებაში თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება სამედიცინო და პოლიტიკური მარკერები. დისკურსის ტიპების დიაქრონიული ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური მარკერების გამოყენების სიხშირე სამედიცინო მარკერების გამოყენების სიხშირეს მხოლოდ პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში აღემატებოდა. ვირუსის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო პანდემიის ადრეულ ეტაპზე კრიზისის მართვა უფრო პოლიტიკური რიტორიკით ხორციელდებოდა, ვიდრე სამედიცინო ექსპერტიზით.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართულენოვანი პრესკონფერენციის დისკურსის სამედიცინო და პოლიტიკური დისკურსმარკერების რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება მარკერების შემდგომი აბსოლუტური რაოდენობა:

მარკერი	I ტალღა	II ტალღა	III ტალღა
M1	954	799	314
M2	218	137	62
M3	31	67	4
M4	358	238	76
M5	13	25	3
M6	23	5	6
P1	153	86	28
P2	112	106	2
P3	147	93	21
P4	74	50	3
P5	46	56	0
P6	173	249	15
P7	79	50	5
P8	81	80	1
P9	8	1	0
P10	23	16	0

P11	89	48	8
P12	42	46	45
P13	1	1	0

პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში თითოეული მარკერის გამოყენების აბსოლუტურ და ფარდობით სიხშირესთან ერთად ყურადღებას იპყრობს ცალკეული ტალღის განმავლობაში თითოეული მარკერის გამოყენების სიხშირე, რაც კონტექსტით განპირობებული საკომუნიკაციო და რიტორიკული სტრატეგიის ლინგვისტური დახასიათების საშუალებას გვაძლევს.

ტალღა 1	II ტალღა	III ტალღა
M1	M1	M1
M4	P6	M4
M2	M4	M2
P6	M2	P12
P1	P2	P1
P3	P3	P3
P2	P1	P6
P11	P8	P11
P8	M3	M6
P7	P5	P7
P4	P7	M3
P5	P4	P4
P12	P11	M5
M3	P12	P2
M6	M5	P8
P10	P10	P5
M5	M6	P10
P9	P9	P9
P13	P13	P13

აღნიშნული ცხრილის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის ქართულენოვან დისკურსში იკვეთება „სამკომპონენტო ბირთვი“, რომელიც სამივე ტალღის განმავლობაში უცვლელი რჩება და დისკურსის სტაბილურ საფუძველს ქმნის.

M1 (სამედიცინო ტერმინოლოგია): გადაწყვეტილებების მეცნიერული დასაბუთებისა და ექსპერტული ავტორიტეტის ლეგიტიმაციისთვის.

M4 (საზოგადოების დამშვიდება): პანიკის პრევენციისა და მოსახლეობაში ემოციური მდგრადობის შენარჩუნებისთვის.

PA (დადებითი კონოტაციის ზედსართავები): ოპტიმისტური განწყობის შესაქმნელად და სახელმწიფო ძალისხმევის პოზიტიურად წარმოსაჩენად.

რაც შეეხება ცვალებად მარკერებს, აღსანიშნავია, რომ ბირთვის გარშემო არსებული დამხმარე მარკერები იცვლებოდა პანდემიის სიმძიმისა და მართვის ეტაპების მიხედვით:

I ტალღა: აღწერითი ფაზა (+ M2 - სიტუაციის აღწერა): პანდემიის დასაწყისში მთავარი აქცენტი ახალი რეალობის გაცნობასა და მოსახლეობის ინფორმირებაზე გაკეთდა. დეტალური აღწერა ამართლებდა მკაცრ შეზღუდვებს.

II ტალღა: მობილიზაციის ფაზა (+ P6 - მეტაფორა / + NA - უარყოფითი ლექსიკა): კრიზისის პიკის დროს რიტორიკა „გამკაცრდა“. შემოვიდა ომის მეტაფორები (P6) და უარყოფითი შეფასებები (NA). ეს მიზნად ისახავდა საფრთხის სიმძიმის აღიარებას და ხალხის მობილიზებას საერთო „მტრის“ წინააღმდეგ.

III ტალღა: ვალიდაციის ფაზა (+ P12 - ავტორიტეტული წყაროების ციტირება): სტაბილიზაციის ეტაპზე საკუთარი წარმატების დასაბუთებლად გარე ავტორიტეტების (WHO, საერთაშორისო ექსპერტები) ციტირება შემოვიდა. ეს მიზნად ისახავდა ნდობის განმტკიცებას გლობალური აღიარების ხარჯზე.

რაც შეეხება ცალკეული მარკერის გამოყენების სიხშირეს, გაირკვა, რომ კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულენოვან დისკურსში ყველაზე ხშირად გამოყენებული მარკერი (ფარდობითი სიხშირე 0.8913) სამედიცინო ტერმინოლოგიაა (M1). აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენების სიხშირე მზარდი იყო პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში (0.7523 – I ტალღა, 0.9743 – II ტალღა, 1.3593 – III ტალღა), თუმცა მისი გამოყენების სიხშირე პიკს პანდემიის მესამე ტალღის

განმავლობაში აღწევს, რაც სამეცნიერო (სამედიცინო) თვალსაზრისით სიზუსტისა და სამედიცინო ძალაუფლების დემონსტრირების მაჩვენებელია.

მართალია, ტალღების მიხედვით სამედიცინო ტერმინების გამოყენების აბსოლუტური რაოდენობა იკლებს, მისი ფარდობითი სიხშირე პირველი ტალღიდან მესამე ტალღის განმავლობაში იმატებს.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული პრესკონფერენციის დისკურსში ყველაზე ხშირად გამოყენებული სამედიცინო ტერმინები და მასთან დაკავშირებული სიტყვებია: „ეპიდსიტუაცია“, „კორონავირუსული ინფექცია“, „დაავადება“, ვინაიდან სპიკერთა უმთავრესი მიზანი ვირუსთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება იყო; მეორე ტალღის დომინანტი სიტყვებია: „ეპიდსიტუაცია“, „ინფიცირებული“, „გარდაცვალება“, ვინაიდან პანდემიის მეორე ეტაპზე მოხდა მმართველი პირების მიერ რეალობის აღიარება; ხოლო მესამე ტალღის დომინანტი სიტყვებია: „ასტრაზენეკას ვაქცინა“, „სამედიცინო პერსონალი“, „ვაქცინა“, ვინაიდან სწორედ მესამე ტალღის განმავლობაში შეიქმნა ვაქცინა და დაიწყო ვაქცინაცია.

რიგით მეორე, ყველაზე ხშირად გამოყენებადი მარკერი - M4 მიზნად ისახავს სპიკერების მიერ საზოგადოების დამშვიდებას პანდემიასთან მიმართებით. მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.2897-ია (0.2823 – I ტალღა, 0.2902 – II ტალღა, 0.3290 – III ტალღა). აღნიშნული მარკერის დიაქრონიული ანალიზი აჩვენებს, რომ მისი გამოყენება პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში სტაბილური იყო, ხოლო სიხშირე ეტაპობრივად იზრდებოდა. M4 მარკერის გამოყენების ყველაზე მაღალი სიხშირე პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში ფიქსირდება, რაც ვაქცინაციასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მღელვარების მართვას უკავშირდება.

კორპუსზე დაფუძნებული თვისობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება ქართველი სპიკერების მიერ საზოგადოების დამშვიდების მიზნით წარმართული დისკურსის რიგი თავისებურებები:

- სპიკერების ლინგვისტური სტრატეგიები დამამშვიდებელ ტონსა და ექსპერტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმართვას შორის ხშირად დაბალანსებულია. ამ მიზნით გამოიყენება პოზიტიური მნიშვნელობის სიტყვები: „დაცული“, „უსაფრთხო“, „გაკონტროლებული“, „სტაბილური მდგომარეობა“, „შელავათები“.

1) „თან მიაქციეთ ყურადღება, ყველაზე უკეთესი კლინიკები თავისუფლდება, ყველაზე უკეთესი, ყველაზე კვალიფიციური კადრებით და ყველაზე კარგი აღჭურვილობით.“ (<https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>)

- გამონათქვამები, რომლებიც ამცირებენ საფრთხის აღქმას: „გართულების რისკი დაბალია“, „საფრთხე არ არსებობს“, „სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება“, „სიტუაცია სრულად კონტროლდება, ჩვენ მივიღეთ ყველა საჭირო ზომა“.

2) „ეპიდემია გადასულია აქტიური მართვის ფაზაში და მართვა ხდება ძალიან ეფექტურად და ბევრი საზომი არსებობს და ინდიკატორი, იმის დასადასტურებლად, რომ მართვა ხდება ნამდვილად ეფექტურად და სიტუაცია არის სრულად კონტროლირებადი“ (<https://www.youtube.com/watch?v=ajR5BSlrawE>)

- გრამატიკული კონსტრუქციები, სადაც არ ჩანს ქმედებაზე პასუხისმგებელი პირი, პასუხისმგებლობის გადანაწილების ან განზოგადების მიზნით: „გატარდა ღონისძიებები“, „გაეცა რეკომენდაციები“, „განიხილება საკითხი“.

3) „ყველა დაწესებულებაში ჩატარებული არის შესაბამისი ტრენინგი, შემოწმებული არის ის შესაბამისი აღჭურვილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვაქცინაციის უსაფრთხო ტრანსპორტირებას და შემდეგ განთავსებას.“ (<https://www.youtube.com/watch?v=rFctm1QVjyg>)

- პასუხისმგებლობის გადასანაწილებლად გამოყენებული კიდევ ერთი მეთოდი - კოლექტიური პასუხისმგებლობასა და საერთო ძალისხმევაზე ხაზგასმას, რისთვისაც ხშირად გამოიყენება პირველი პირის მრავლობითის ფორმა: „ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს“, „ყველა ერთად უნდა გავითვალისწინოთ რეკომენდაციები“, რაც ხელს უწყობს საზოგადოების მობილიზაციას და ერთიანობის განცდას.

4) „რა თქმა უნდა, ჩვენ მაქსიმალურად გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ ვიზრუნოთ ჩვენს თითოეულ მოქალაქეზე მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში.“ (<https://www.youtube.com/watch?v=4HcXWhEacu4>)

- დიდი სიხშირით ფიქსირდება სამედიცინო და ბიუროკრატიული ტერმინოლოგიის გამოყენება: „ინფიცირების მაჩვენებელი“, „ეპიდემიოლოგიური კონტროლი“, „კარანტინის პროცედურები“.

5) „ოპერატიული მართვის შტაბი იქნება 24 საათის განმავლობაში მომუშავე უწყება, რომელიც სრულ კოორდინაციას გაუწევს იმ გადაწყვეტილებების შესრულებას,

რომელიც განხორციელდება და რომელიც იქნება მიღებული უწყებათაშორის საბჭოს ფარგლებში და ასევე მონაწილეობას მიიღებს ამ გადაწყვეტილებების მომზადებაში, ამ გადაწყვეტილებების საინფორმაციო მომზადებაში და ასევე ანალიტიკური მასალებით მომზადებაში.“ (<https://www.youtube.com/watch?v=ZOqkrmv-Znw>)

- მოსახლეობის დამშვიდებისას სპიკერები ხშირად მიმართავენ კომპეტენტურ ავტორიტეტებს: „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით“, „სპეციალისტების შეფასებით“, აღნიშნულის მიზანი კი სანდოობის ამაღლება და შიშის შემცირებაა.

6) „საინვესტიციო საბჭოს ფარგლებში, ექსპერტებიც ბევრჯერ მოვიწვიეთ, ბევრს ვესაუბრებით, ბევრი ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტიც გვიგზავნის მის მიერ დამუშავებულ ინფორმაციას, ბევრი სხვადასხვა სახის ინსტიტუტები გვაწვდიან კვლევითი არასამთავრობო ორგანიზაციები, ამას ჩვენ ყველაფერს ვკითხულობთ ისევე, როგორც ვკითხულობთ და ვუყურებთ და ვაკვირდებით საუკეთესო პრაქტიკებს, რომელიც ხდება და მიმდინარეობს დღეს გახსნის ტაქტიკის თვალსაზრისით ევროპაში და სხვა ქვეყნებში.“ (<https://www.youtube.com/watch?v=5pOEGW3yVuM>)

- ჰიპერბოლიზება პოზიტიური მუხტის გასაძლიერებლად: „განსაკუთრებული ძალისხმევით“, „უმაღლესი დონის კოორდინაცია“.

- პროგნოზირება ოპტიმისტურ პერსპექტივაში: „გავუმკლავდებით“, „მდგომარეობა გაუმჯობესდება“.

7) „იმედი მაქვს არ დაგვჭირდება მსგავსი რამ, მაგრამ მზაობა არის მაქსიმალური და ანაფილაქციური შოკის მართვის პროტოკოლიც სამინისტროს აქვს უკვე რამდენიმე თვეა დამტკიცებული და ამის თაობაზეც პერსონალს, განახლებული პროტოკოლის თაობაზე, პერსონალს ტრეინინგი დიდი ხანია გავლილი აქვს.“ (<https://www.youtube.com/watch?v=7qWjL-G3mlo>)

ქართველი სპიკერები პანდემიურ დისკურსში საზოგადოებას აშვადებენ: კონტროლის განცდის შექმნით, პოზიტიური ენის მეშვეობით, შედარებითი შეფასებებით, ზრუნვის და სოლიდარობის გამოხატვითა და მომავლის ოპტიმიზმის ხაზგასმით, რაც საბოლოო ჯამში აყალიბებს დამამშვიდებელ და დამაჯერებელ სახელმწიფო დისკურსს, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი ქართველი სპიკერების მეტყველებაში მეტაფორიზაციის მაღალ სიხშირეს ადასტურებს P6 მარკერის გამოყენების მაჩვენებელი, რომლის ფარდობითი სიხშირე საშუალოდ 0.1884-ია (ტალღების მიხედვით: I – 0.1364, II – 0.3036, III – 0.0649). დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მეტაფორის გამოყენების სიხშირე მზარდია პანდემიის პირველი და მეორე ტალღის განმავლობაში; გამოყენების ყველაზე მაღალი სიხშირე მეორე ტალღის, ხოლო ყველაზე დაბალი მესამე ტალღის განმავლობაში დადასტურდა. ეს იმით აიხსნება, რომ მესამე ტალღის განმავლობაში სპიკერები თვალს უსწორებდნენ რეალობას და არ ცდილობდნენ სიტუაციის მეტაფორიზებულად კონცეპტუალიზებას.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ დისკურსში გამოყენებული მეტაფორების რიგ თავისებურებებს შორის აღსანიშნავია:

- პანდემიის როგორც ომის, ბრძოლის წარმოჩენა: „ვიბრძვით ორ ფრონტზე – ჯანმრთელობა და ეკონომიკა“, „ჯერ ბრძოლის შუაშიც არ ვართ“, „ეს არის ბრძოლა, რომელსაც ყველა ერთად უნდა გავუმკლავდე“, „ბრძოლის ხაზი გადის ყველგან“.

8) „ყველაფერი იქნება დამოკიდებული იმაზე, როდესაც ჩვენ გვეცოდინება როდის ვიწყებთ კრიზისიდან გამოსვლას.“ (www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4)

ამავე დისკურსში ვირუსი განიხილება როგორც „მტერი“, რაც ამბაფრებს ბრძოლის იდეას. ამგვარი კონცეპტუალიზაციის მიზანი საზოგადოებრივი მობილიზაციაა. პანდემიასთან ბრძოლა გარდაიქმნება კოლექტიურ მორალურ პასუხისმგებლობად, რაც თითოეული მოქალაქისგან „ომში“ აქტიურ ჩართულობას მოითხოვს.

9) „მარტივია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, საერთოდ შუქის ჩაქრობა და ასე ლოდინი.“ (<https://www.youtube.com/watch?v=g8ZHsq59R9U>)

დისკურსში გამოყენებული მეტაფორების თვისობრივი ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ პანდემიური კრიზისი ასევე წარმოდგენილია, როგორც ბუნებრივი კატაკლიზმა ან სტიქიური პროცესი, რაც ზრდის ემოციურ ინტენსივობას. ამ ტიპის კონცეპტუალიზაცია აისახება შემდეგ მაგალითებში:

„ტალღის შეფერხება“ (ეპიდემიური ტალღა) და „ტოქსიური პირობები“, რაც ხაზს უსვამს პროცესის სტიქიურობას; „პულსზე გეჭიროს ხელი“ - სიტუაციის

მონიტორინგისთვის; „გავუწოდეთ დახმარების ხელი“ და „ვაქცინას მიეცა მწვანე გზა“, რაც პროცესის მართვისა და მხარდაჭერის გამომხატველი მეტაფორებია.

10) „*ეხლა ბევრი სხვადასხვა სახის კრიტიკა იყო, მაგალითად, ჩვენ თვითონ გადავდგით გარკვეული ნაბიჯები იმისთვის, რომ დახმარების ხელი გავგვეწოდებინა ოკუპაციის ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების და თანამემამულეებისთვის და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ როგორც ჯანდაცვის ნაწილში, ასევე სოციალურ ნაწილში, მაქსიმალურად დავეხმაროთ ადამიანებს, რომლებიც საოკუპაციო ხაზის მიღმა ცხოვრობენ.*“
(<https://www.youtube.com/watch?v=5pOEGW3yVuM>)

აღნიშნული ტიპის მეტაფორების სტრატეგიული საკომუნიკაციო დანიშნულება კრიზისის არაკონტროლირებადი ბუნებისა და მოქალაქის, როგორც დაზარალებული სუბიექტის ჩვენებაა, რომელიც საჭიროებს დახმარებას.

- გამოყენებულ მეტაფორებში კარანტინი/რეგულაციები წარმოდგენილია როგორც ბარიერი, დამცავი მექანიზმი: „საკარანტინე სივრცე არის ბუფერი“, „ვირუსთან თანაცხოვრება“, „ვაქცინა არის გზა გადარჩენისკენ“.

11) „*იმის გათვალისწინებით ასევე, რომ დღესაც ვხედავთ, რომ ხვალ და ზევ ვაქცინა არ იქნება, ვირუსთან თანაცხოვრება და ვირუსთან ბრძოლა არის გრძელვადიანი პროცესი და შესაბამისად, ამ გრძელვადიანობიდან გამომდინარე ჩვენი სტრატეგია იცვლება და ეს სტრატეგია გახლავთ ვირუსთან ადაპტაცია და მისი მართვა.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=fljNy0hVllc>)

12) „*ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ საკარანტინე სივრცე არის ძირითადი ბუფერი იმისთვის, რომ ჩვენ შევაჩეროთ ქვეყანაში შემოსვლა და შემდგომ სწრაფი გავრცელება.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=OOE6r8tTFt0>)

აღნიშნული ტიპის მარკერები ქმნის დაცულობის ნარატივს, სადაც სტრუქტურა იცავს ინდივიდს და ერთგვარი გამართლებაა იმ მკაცრი ზომებისა, რომლებიც დისკომფორტს უქმნის საზოგადოებას.

- გამოყენებულ მეტაფორებს შორის ფიქსირდება პოლიტიკური მეტაფორები და იდენტობის შემდგომი კონსტრუქცია: სახელმწიფო, მოქალაქე, მტერი. მიზანი კი მორალური პოზიციის დაფიქსირება, ღიაობის, სამართლიანობისა და სოლიდარობის

ხაზგასმა: „ვიცავთ კანონის წინაშე ერთობას“, „ვიპოვოთ ოქროს ბალანსი“, „ღია ვართ დახმარებაზე“, „ვირუსთან ადაპტაცია“

13) „ზღვარი, რომელზეც გადის ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე.“
(<https://www.youtube.com/watch?v=ZOqkrmv-Znw>)

ქართველი სპიკერების მიერ მეტაფორიზებული მეტყველების ცენტრალურ მიზნებს შორისაა კრიზისის სიმძიმისა და მასშტაბის ხაზგასმა („უმძიმესი კრიზისი“, „ღრმა კრიზისი“, „შუქის ჩაქრობა და ლოდინი“, „ბრძოლის გზის შუაში ვართ“), რაც ხაზს უსვამს პანდემიის სირთულეს, აპელირება ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე („ტალახის სროლა“, „კანონის წინაშე ყველანი ვართ ერთნი“, „ვიბრძვით ორ ფრონტზე“, „დახმარების ხელი“), რაც სახელმწიფოს წარმოაჩენს როგორც თანამგრძნობსა და სამართლიანს, პანდემიის, როგორც განგრძობითი პროცესის, წარმოჩენა („ოქროს ბალანსის პოვნა“, „პულსზე ხელის დაჭერა“, „ვირუსთან თანაცხოვრება“, „ეპიდემია არ ჩერდება“), რაც კრიზისს წარმოაჩენს არა როგორც გამოწვევას, არამედ როგორც პროცესს, რაც საჭიროებს მართვას. ასევე მეტაფორა გამოყენებულია, როგორც შიშის და მობილიზაციის სტრატეგია („პანიკის დათესვა“, „საკარანტინე სივრცე - ბუფერი“, „მოდულიზაციები შესაძლებელი იქნება WHO-ს მიხედვით“) ავტორიტეტული პირების, წყაროების და სახელმწიფო ორგანოების სანდოობის განსამტკიცებლად („ვაქცინა - კაცობრიობის ყველაზე დიდი სიკეთე“, „მწვანე გზა ვაქცინისთვის“, „მართვა ხდება ეფექტურად“).

გამოყენების სიხშირით მომდევნოა M2 მარკერი - კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის აღწერა, რომლის ფარდობითი მაჩვენებელი 0.1798-ს შეადგენს (დინამიკა ტალღების მიხედვით: I ტალღა – 0.1719, II ტალღა – 0.1670, III ტალღა – 0.2683). პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის აღწერა კოვიდპანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში სტაბილურად ხდებოდა, თუმცა მისი გამოყენების სიხშირე ყველაზე მაღალი პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში იყო, რაც კრიზისის წარმატებულად მენეჯმენტის პარალელურად გამჭვირვალობის ზრდის ერთგვარი მაჩვენებელია.

კორპუსზე დაფუძნებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ქართველი სპიკერების კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული დისკურსის შემდგომი ლინგვისტური, რიტორიკული და კულტურული თავისებურებები:

- ტექნიკური და სამედიცინო ლექსიკა - COVID-19-ის შესახებ საუბარში ფართოდ გამოიყენება ტერმინოლოგიურად დატვირთული ლექსიკა: „ლაბორატორიულად დადასტურებული“, „პნევმონია“, „სამედიცინო დაწესებულება“, „კლინიკური მენეჯმენტი“, „ტესტირება“, „ეპიდსიტუაცია“ და სხვა.

14) *„როგორც ეპიდემიოლოგები, ასევე კლინიკური ჯგუფი და მთავრობა სრულად აკონტროლებენ სიტუაციას და სრულად მართავენ პანდემიის გავრცელების რისკებს.“* (<https://www.youtube.com/watch?v=ab5QU6o6eAY>)

- ინსტიტუციური ლექსიკა: „საკოორდინაციო საბჭო“, „საკარანტინო რეჟიმი“, „შეზღუდვები“, „საგანგებო მდგომარეობა“ იმ ფაქტზე ხაზგასმის მიზნით, რომ პროცესი იმართება პროფესიონალების მიერ.

15) *„დღეს ვართ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, საგანგებო მდგომარეობაში ომის და ბრძოლის.“* (www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4)

- ქვეყნის ფარგლებში არსებული სიტუაციის აღწერა ხასიათდება ციფრებით გაჯერებული ნარატივით, COVID-19-ის გავრცელება თითქმის ყოველთვის რიცხვებით/სტატისტიკით აისახება. მაგ: „დღეს ინფიცირებულია 54 ადამიანი“, „კარანტინში იმყოფება 3254“, „თვითიზოლაციაში – 1446“, ვინაიდან სტატისტიკა ქმნის ობიექტურობის ილუზიას და ზრდის უწყების სანდოობას.

16) *„დღევანდელი ციფრები, ალბათ, გამოქვეყნებულია და საქმის კურსში ხართ და დღეს გვაქვს ყველაზე მეტი ახალი შემთხვევები - 218 და ეს 218 იშლება ასე, რომ 137 გვაქვს აჭარაში, აქედან 123 ბათუმში, 2 - ქობულეთში, შუახევში - 5, ხულოში - 7, ასევე 2 შემთხვევა გვაქვს ოზურგეთში, თბილისში გვაქვს 47 შემთხვევა, 27 გვაქვს იმერეთში, მათ შორის ქუთაისში - 17, სამტრედიიაში - 3 და 6 ბაღდადში და ასევე ექვსი შემთხვევა გვაქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ძირითადად ზუგდიდში, სენაკსა და ფოთში.“* (<https://www.youtube.com/watch?v=ajR5BSlrawE>)

- გარდა ციფრებისა, ფიქსირდება მიმდევრულობისა და დინამიკის მარკერები. რეგულარულად გამოიყენება ისეთი სიტყვები და კონსტრუქციები, რომლებიც აღწერენ სიტუაციის განვითარებას: „გავრცელების ეტაპზე გადავდივართ“, „შიდა გადაცემა დაიწყო“, „მდგომარეობა უარესდება“, „მომზადებულები ვიყავით“. სიტუაციის განვითარების გამომხატველი სიტყვები აყალიბებს პანდემიის განვითარების ლოგიკას.

17) „მე მინდა თითოეულმა ჩვენგანმა გაიაზროს ერთი რამ, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს საქართველოში არის 100 ინფიცირებული და დაგვეწყოს შიდა გადაცემა, მხოლოდ 3 შემთხვევა გვაქვს ამ შიდა გადაცემის. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო სრულად აკონტროლებდა საზღვრებს, სრულად აკონტროლებდა საზღვრებს, მათ შორის კარანტინის ზონებით.“
(<https://www.youtube.com/watch?v=ZOqkrmv-Znw>)

- ქვეყნის შიგნით არსებული კოვიდსიტუაციის აღწერისას ხდება მისი შედარება საერთაშორისო კონტექსტთან: „გლობალურად მდგომარეობა უარესდება, საქართველოში კონტროლდება“, „ევროპაში სიტუაცია მძიმეა, ჩვენ კი ვაკეთებთ ყველაფერს“, რაც ემსახურება სახელმწიფო-ცენტრულ დამცავ ნარატივს, ანუ – „ჩვენ შედარებით უკეთ ვართ.“

- დიდი სიხშირით ფიქსირდება ეპიდემიის სტადიების კონცეპტუალიზაცია, რაც მიზნად ისახავს მართული ცვლილებების სქემის წარმოჩენას და ამცირებს არეულობის განცდას: „შეჩერების ეტაპი“ → „გავრცელების ეტაპი“ → „შიდა გადაცემა“ → „მკაცრი კარანტინი“.

18) „დღეს ჩვენ აბსოლუტურად მკაფიოდ შეგიძლიათ ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროის განმავლობაში, კვირების განმავლობაში საბჭო და მთავრობა ეფექტურად ახორციელებდა დაავადების ინფექციის განვითარების, შეჩერების იმპორტირების და შეჩერების ფუნქციას, დღეს უკვე ჩვენ ფაქტობრივად გადავდივართ გავრცელების ეტაპზე, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ რაოდენობა შემთხვევების გაგვეზრდება.“ (<https://www.youtube.com/watch?v=g8ZHsq59R9U>)

- ცვლილებების სქემა წარმოდგენილია როგორც სერიოზული, მაგრამ - მართული: „საკმაოდ რთული მდგომარეობა“, „მძიმე, მაგრამ პროგნოზირებადი“, „კონტროლირებადია“. მისი გამოყენების მიზანი არის ემოციური შიშისგან გათავისუფლება, მაგრამ აღნიშნულის პარალელურად სიტუაციის კოლექტიურ მოქმედებასთან დაკავშირება ხდება: „ყველას კარგად უნდა გვესმოდეს“, „სამოქალაქო თვითშეგნება აუცილებელია“, „ერთად უნდა ვიმოქმედოთ“, რაც მიზნად ისახავს დისციპლინიზებული ქცევის წახალისებას.

19) „ეპიდემია გადასულია აქტიური მართვის ფაზაში და მართვა ხდება ძალიან ეფექტურად და ბევრი საზომი არსებობს და ინდიკატორი, იმის

დასადასტურებლად, რომ მართვა ხდება ნამდვილად ეფექტურად და სიტუაცია არის სრულად კონტროლირებადი.“ (<https://www.youtube.com/watch?v=ajR5BSlrawE>)

ქართველი სპიკერების მიერ კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის აღწერის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდგომი ცენტრალური საკომუნიკაციო მიზნები: მოსახლეობასთან ღია კომუნიკაციით გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შთაბეჭდილების შექმნა, სოციალური მობილიზაციის წახალისება საშიშროების აღქმის გზით და ამავე დროს, დამამშვიდებელი ტონი, რაც ხაზს მის სტრატეგიულ ხასიათს უსვამს, სახელმწიფოს ეფექტიანობის ჩვენება, საერთაშორისო სტანდარტების მიბაძვა და მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამართლება ავტორიტეტული გლობალური ინსტიტუტებით.

სიხშირის თვალსაზრისით მომდევნო მარკერი პოლიტიკურია (P1), რომელიც გარდაცვალების სტატისტიკისა თუ ვირუსის მასობრივი გავრცელების შესახებ გაფრთხილებით საზოგადოების დაშინებას ისახავს მიზნად; მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.1151-ს შეადგენს (I ტალღა – 0.1206, II ტალღა – 0.1048, III ტალღა – 0.1212). დაშინების, როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიის გამოყენება სტაბილურად ხდებოდა პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში. მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე ყველაზე მაღალი და თითქმის თანაბარია პანდემიის პირველი და მესამე ტალღის განმავლობაში, ხოლო ყველაზე დაბალი - პანდემიის მეორე ტალღის განმავლობაში, რაც აიხსნება იმით, რომ კრიზისულ სიტუაციაში მაშინ, როცა სპიკერები თვითონ იდგნენ პანდემიის მართვასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე, თავს არიდებდნენ ზედმეტი პანიკის გამოწვევას, ხოლო პირველი და მესამე ტალღის განმავლობაში დაშინებას იყენებდნენ, როგორც საზოგადოების მართვის ერთ-ერთ ინსტრუმენტს.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართული დისკურსი გამოირჩევა ემოციური დატვირთულობით, მეტაფორების სიხშირითა და მოსალოდნელ საფრთხეზე საუბრით, რაც მიზნად ქცევით რეგულაციას და პანდემიური მობილიზაციის შენარჩუნებას ისახავს.

თვისობრივი ანალიზის შედეგად გამოკვეთილ რიგ თავისებურებებს შორისაა:

- ნეგატიური შეფასებითი ლექსიკა, ტერმინები, რომლებიც მიაწინებებს საფრთხეზე, პოტენციურ ზიანზე ან უარყოფით შედეგზე: „შემამფოთებელი“,

„სავალალო“, „სერიოზული“, „მძიმე“, „დაუდგენელი“, „გაურკვეველი“, „გრძელვადიანი“, „არასახარბიელო“, „დაჯარიმებული“, „რისკის შემცველი“. აღნიშნული ლექსიკური ერთეულების გამოყენების მიზანი პანდემიის სირთულის ემოციური გაძლიერება და საზოგადოებაში საფრთხის აღქმის გამძაფრებაა.

20) *„კიდევ იგივეს ვიმეორებთ, რაც გავიმეორეთ აგვისტოში, დავიჯერეთ რომ უკვე დავამარცხეთ კორონავირუსული ინფექცია, ამან შეიძლება მიგვიყვანოს სავალალო შედეგებამდე.“* (<https://www.youtube.com/watch?v=HF9jURwRhR8>)

• გარდა უარყოფითი ლექსიკური ერთეულებისა, ვხვდებით გადაჭარბებულ ფორმულირებებსა და ემოციურ მიმართვებს რელიგიური და ეროვნული რიტორიკის მეშვეობით, რომლებიც პოტენციურ სცენარს ხატავენ მაქსიმალურად დრამატულად და მიზნად ისახავენ აუდიტორიის ემოციურ მობილიზაციას: *„არავინ არ იცის, რა მოხდება 6 თვეში ან 3 კვირაში“, „თუ ვიფიქრებთ რომ დავამარცხეთ, მიგვიყვანს სავალალო შედეგებამდე“, „თუ არ შევასრულებთ, შეზღუდვების მოხსნის ეტაპი თვეობით გადაიდება“.*

21) *„ღმერთმა ნუ ქნას რომ 440 საწოლზე მეტი დაგვჭირდეს.“* (<https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>)

• პოტენციური დრამატული სცენარი ხშირად მძიმე შედეგების მომასწავებელია: *„თუ ეს გაგრძელდება, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება“, „შეზღუდვების მოხსნა თვეობით გადაიდება“, „ეს პროცესი მოიტანს ახალ გაურკვეველობებს“.*

• ბრალის დაკისრება მოსახლეობისთვის. სპიკერების დისკურსში ხაზგასმით აღინიშნება, რომ პრობლემები გამოწვეულია საზოგადოების დაუდევრობით, რაც შიშსა და დამნაშავის განცდას აღძრავს:

22) *„მოგეხსენებათ, ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფენ და რამოდენიმე ვიზიტი რეგიონში, რომ, სამწუხაროდ, ყველა ჩვენს მოქალაქეს არ აქვს ბოლომდე გათვინობიერებული სიმძიმე მდგომარეობის და ის რისკები, რომელიც შეიძლება არსებობდეს თითოეული ჩვენი მოქალაქის წინაშე, თითოეული ჩვენი მოქალაქის, რომელიც დღეს გადაადგილდება თბილისისა, ან რომელიმე სხვა ქალაქის ქუჩებში, თითოეული მოქალაქის წინაშე, რომელიც აკეთებს გარკვეულ ყოველდღიურ საქმიანობას და ვერც წარმოუდგენია, რამდენად მაღალი*

რისკის შემცველი შეიძლება იყოს, მისი ყოველდღიური ცხოვრების წესის გაგრძელება, ისე, როგორც ეს იყო ადრე.“ (<https://www.youtube.com/watch?v=ZOqkrmv-Znw>)

აღნიშნული ფორმულირებებისთვის უპირატესობის მინიჭების მიზანი ემოციური გავლენა და ქცევითი კონტროლია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გულგრილობამ შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს.

- სისტემური შიშის გაზრდისა და მეტი მორჩილების მიზნით გამოყენებულია დაუცველობის რიტორიკა, რაც ხაზს უსვამს ადამიანის უსუსურობას: „არ არსებობს გზა ეპიდემიის სწრაფი შეჩერების“, „ეს კრიზისი ყველასთვის გაურკვეველია, მათ შორის ძლიერი სახელმწიფოებისთვის“, „ზუსტად ვერავინ გვეუბნება, როდის იქნება პიკი“.

23) „შეუძლებელია პროგნოზის გაკეთება, ამიტომ ეს გაურკვეველი მდგომარეობა ჩვენ გვაყენებს იმ მდგომარეობაში, რომ რესურსი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას აქვს უკიდურესი სიფრთხილით იყოს გამოყენებული, იმისთვის, რომ ყველაზე მძიმე სცენარებისთვისაც უნდა ვიყოთ მზად. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ეს დღეს ჩვენც გვესმის, რომ საკმარისი არ არის, არავინ არ იცის ამ 6 თვის გავლის შემდგომ ჩვენ კიდევ რა სახის ნაბიჯების გადადგმა მოგვიწევს, ან სამი თვის შემოდგომ. ეს გაურკვეველობა არის ყველაზე დიდი რისკის მომტანი და ყველაზე დიდი პრობლემა და ყველაზე დიდი ბრძოლა.“ (<https://www.youtube.com/watch?v=5pOEGW3yVuM>)

- დაუცველობის რიტორიკა სცდება ადამიანს და ფართო მასშტაბს იღებს შედარებითი სტრატეგიის გამოყენებისას, სადაც საქართველოს წარმატება წარმოჩენილია, როგორც ფარდობითი და მოწყვლადი: „ევროპაში ჯანდაცვის სისტემა ბევრად უფრო ძლიერია და იქ მაინც ვერ უმკლავდებიან“, „არავინ არ ფიქრობს, რომ ეს ერთკვირიანი ან ერთთვიანი იქნება“, „შეუძლებელია პროგნოზის გაკეთება“.

- დისკურსში ფიქსირდება მუქარის შემცველი განცხადებები. სპიკერები დამოუკიდებელ ან დაუმორჩილებელ ქმედებებზე ირჩევენ მკაცრ ტონს, ხშირად მუქარით, სანქციების ან სისხლის სამართლის საქმეების შესახებ.

24) „პირადად გეუბნებით, გპირდებით ყველა მათგანი იქნება დაჯარიმებული, თუ ეს შემთხვევები გაგრძელდება... აღიძრება სისხლის სამართლის საქმე.“ (<https://www.youtube.com/watch?v=fIjNy0hVllc>)

•სტატისტიკური მონაცემების საშუალებით შიშის გაღრმავება, რისი მიზანიც საზოგადოებაში პანიკის შემოტანა და გარდაუვალ საფრთხეზე ყურადღების გამახვილებაა:

25) „დღეს ჩვენ საქართველოში გვაქვს რეკორდული მაჩვენებელი - 919 ინფიცირებული პირი... როგორც ჩანს, უახლოეს დღეებში 1000-ს გადავაბიჯებთ.“
(<https://www.youtube.com/watch?v=OOE6r8tTFt0>)

დაშინების გამოსახატად გამოყენებულ სტრუქტურულ ფორმებს შორისაა:

- ზმნიშედები/შედარება: „შიდიშლება ძალიან სავალალო შედეგამდე მივიდეთ“
- პირობითი წინადადებები: „თუ არ შევასრულებთ...“მუქარა/მოტივაცია
- პასიური კონსტრუქციები: „ეს არავინ არ იცის“, „არავინ არ გვეუბნება“
- ზმნების კომბინაცია „დაგვჭირდეს“, „დაგვემართოს“, „დაგვაყენებს“

ქართველი სპიკერების მიერ შიშის ენის გამოყენების ცენტრალურ მიზნებს შორის აღსანიშნავია მკაცრი რეგულაციების დაცვის აუცილებლობის ჩვენება, იდეის გამყარება, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით იქნება შესაძლებელი კრიზისის თავიდან აცილება. საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად ისინი ყურადღებას ამახვილებენ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე, რომ ყოველი მოქალაქის ქმედებას აქვს პირდაპირი ზეგავლენა საზოგადოებრივ შედეგებზე.

გარდა ამისა, იმ ფონზე, როცა თავად სახელმწიფოს არ გააჩნია პანდემიის ზუსტი პროგნოზები და კონტროლის გარანტია, დაშინება გამოიყენება იმისთვის, რომ საზოგადოება არ მოდუნდეს, ამავე დროს სპიკერები ხაზს უსვამენ, რომ სხვა, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოებიც იმავე წნეხის ქვეშ არიან და საუკეთესო გამოსავალი ერთად დგომაა. დისკურსში არსებული დრამატული ტონალობის მიუხედავად, ქართველი სპიკერების მიზანს არათუ საზოგადოების დაშინება, არამედ შიშის ფონზე დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფაა.

სტრატეგიული კომუნიკაციის თვალსაზრისით, პოლიტიკოსები მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებენ საზოგადოებისადმი მიმართვას (P3), რომლის გამოყენების ფარდობითი სიხშირე საშუალოდ 0.1125-ს შეადგენს (I ტალღა – 0.1159, II ტალღა – 0.1134, III ტალღა – 0.0909). დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სპიკერები საზოგადოებას თითქმის თანაბარი სიხშირით მიმართავდნენ პანდემიის

პირველი და მეორე ტალღის განმავლობაში, მესამე ტალღის განმავლობაში კი აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირე მცირედით იკლებს. დიაქრონიული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კრიზისთან დაკავშირებულ კომუნიკაციაში ტექნიკური კომუნიკაცია სოლიდარულმა მიმართვებმა ჩაანაცვლა.

აღნიშნული მარკერის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება ლექსიკა, რომელიც მიმართულია მოქალაქეთა პასუხისმგებლობის გაღვივებისკენ სხვადასხვა გზით:

- მორალურ-ეთიკური კონცეფციების გახშირებული მოხმობა: „სამოქალაქო პასუხისმგებლობა“, „თვითშეგნება“, „სოლიდარობა“, „დისტანცია“, „თვითკონტროლი“ და სხვა.

26) *„აქ იგულისხმება, როგორც კონტროლი იმას, ვისაც ევალება ყველა საზედამხედველო ორგანოს, ისე თვითკონტროლი და თვითშეგნება.“* (<https://www.youtube.com/watch?v=1KWfLwDiufc>)

- აბსტრაქტული, მაგრამ მძაფრი მნიშვნელობის კონსტრუქციების გამოყენება: „ჩვენ არ გვაქ უფლება დავიგვიანოთ“, „ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა“.

- შიშისა და გაფრთხილების ენა, რომლებიც გამოხატულია უარყოფითი კონოტაციის მქონე ზედსართავი სახელებით და ასახავენ კრიზისის სიმძიმეს: „შეზღუდული რესურსი“, „რთული ვითარება“, „კრიზისული მდგომარეობა“, „საშიში ვირუსი“, „მასობრივი თავშეყრა“

27) *„აქ მინდა ერთი რამ ავღნიშნო, რომ მინდა ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ მთავრობის რესურსი არის შეზღუდული. შეუძლებელია ამ გლობალურ გამოწვევას მხოლოდ მთავრობამ უპასუხოს, ძალზედ მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენი მოქალაქის სამოქალაქო თვითშეგნება და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.“* (<https://www.youtube.com/watch?v=g8ZHsq59R9U>)

- ასევე დრამატიზებული და მეტაფორული კონსტრუქციები, რომლებიც ემოციურ გავლენას ახდენენ მსმენელზე: „საზღვარი, რომელზეც გადის სიცოცხლე“, „დასაწყისის დასასრული“. აღნიშნული სტრატეგიების გამოყენების მიზანი ემოციური მობილიზაცია და საჭირო სიფრთხილის კონსტრუირებაა.

- მრავლად დასტურდება მოწოდებითი და დირექტიული ენობრივი ფორმები, რომლებიც ხშირად შემსუბუქებულია პერიფრაზით: „სასურველია შეიზღუდოს“,

„მინდა მოვუწოდო“, „უნდა გვახსოვდეს“, „მეტი სიფხიზლე გვმართებს“. შემსუბუქების მიზანი მოქალაქისთვის არჩევანის ილუზიის შექმნაა, თუმცა მოთხოვნა მკაფიოა.

28) „კიდევ ერთხელ ვიმეორებ დიახ, მესამეული უკვე გადაცემა გვაქვს, ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს, მეტი ალარმი გვმართებს, ქვეყანაში მეტი ურთიერთობა ერთ-ერთ, ასე ვთქვათ, სოლიდარობა, ამიტომ მოვუწოდებ მე თვითკარანტინსა და თვითიზოლაციაში მყოფ ადამიანებს, რომ ის წესები, რასაც სახელმწიფო ავრცელებს მაშინ შედარებით ნაკლები გვექნება უკვე შიდა გავრცელების საფრთხე.“ (<https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>)

აღსანიშნავია, რომ მოწოდებები ინკლუზიურია, სპიკერები მუდმივად იყენებენ პირველ პირს მრავლობითში, რაც ქმნის „ერთიანობის“ განცდას და ხელს უწყობს კომპლექსური იდენტობის „ერთიან საზოგადოებად“ კონსტრუირებას: „ჩვენი ერთადერთი ინსტრუმენტი“, „ჩვენ არ უნდა მივეჩვიოთ პანიკას“, „ჩვენ ყველა ერთად გადავრჩებით“.

29) „კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ მთლიანად მსოფლიოში სიტუაცია ეპიდსიტუაციაა, ასე ვთქვათ, უფრო მეტად იმაზე, გარდა ჩინეთისა, მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ჩვენ ზოგადად პანიკას არ უნდა მივეჩვიოთ, რა თქმა უნდა, მეტი სიფხიზლე გვმართებს, მეტი მზადება გვმართებს, მაგრამ პანიკას არ უნდა მივეცეთ.“ (<https://www.youtube.com/watch?v=Ed6JKC9hFhQ>)

• ჯგუფური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი და დიფერენცირებული ადრესატების დასახელება: „ჩემი მოქალაქე“, „ჩემი კოლეგა“, „ჩემი ოჯახის წევრი“, „კომპანიები“, „ეკლესია“.

30) „ამიტომ მინდა თითოეულ ჩვენ მოქალაქეს მოვუწოდო, რომ ჩვენი ნაბიჯი დღეს არ ნიშნავს მხოლოდ პასუხისმგებლობას ჩვენ ჯანმრთელობაზე და ჩვენს სიცოცხლეს, ეს ნიშნავს პასუხისმგებლობას ჩვენს გვერდზე მდგომი, ჩვენი ოჯახის წევრის, ჩვენი მეზობლის, ჩვენი მოქალაქის, ჩვენი კოლეგის და საერთოდ საბოლოო ჯამში ქვეყნის ჯანმრთელობაზე და ქვეყნის მომავალზე.“ (<https://www.youtube.com/watch?v=4HcXWhEacu4>)

• სპიკერების მოწოდებებში ხშირად ვხვდებით განმეორებასა და პარალელიზმს მესიჯის მნიშვნელობის ხაზგასმისა და აუდიტორიის დარწმუნების მიზნით: „კიდევ

ერთხელ ვიმეორებ“, „მინდა ხაზი გავუსვა“, „მეტი სიფრთხილე გვმართებს, მეტი სიფხიზლე გვმართებს, მეტი მზადება გვმართებს“.

31) „კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დიახ, მესამეული უკვე გადაცემა გვაქვს, ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს, მეტი ალარმი გვმართებს, ქვეყანაში მეტი ურთიერთობა ერთ-ერთ, ასე ვთქვათ, სოლიდარობა, ამიტომ მოვუწოდებ მე თვითკარანტინსა და თვითიზოლაციაში მყოფ ადამიანებს, რომ ის წესები, რასაც სახელმწიფო ავრცელებს, მაშინ შედარებით ნაკლები გვექნება უკვე შიდა გავრცელების საფრთხე.“ (<https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>)

• აგრეთვე, ეპითეტები და სემანტიკური კონტრასტები დუალისტური ჩარჩოს (კრიზისი / საპასუხო პოლიტიკა) შექმნის მიზნით, რომელიც ეხმარება მსმენელს არჩევანში: „ან იქნები პასუხისმგებლიანი, ან გახდები საფრთხის გამავრცელებელი“.

ქართველი სპიკერების მიერ საზოგადოებრივი მიმართვის მიზნებს შორის აღსანიშნავია სამოქალაქო და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ხაზგასმა და ერთიანობის განცდის შექმნა, რაც საჭიროა სოციალური მობილიზაციისთვის, აქტიური და მორალურად ვალდებული მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც არ არის წესების ბრმად შემსრულებელი.

პანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ დისკურსში ასევე მაღალი სიხშირით გვხვდება სპიკერების მიერ საკუთარი მიღწევების ხაზგასმა (P2); აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე საშუალოდ 0.0948-ს შეადგენს (I ტალღა – 0.0883, II ტალღა – 0.1292, ხოლო III ტალღა – 0.0086).

დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირე ყველაზე მაღალი პანდემიის პიკის, მეორე ტალღის განმავლობაშია, ანუ კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი ძალა საკუთარი მიღწევების, წარმატებების ხაზგასმის აღნიშვნას იყენებდა, როგორც თავდაცვით საკომუნიკაციო სტრატეგიას, ხოლო ყველაზე დაბალი, მესამე ტალღის განმავლობაში, როცა ვაქცინაციის კამპანიას უწევდნენ პროპაგანდას.

P2 მარკერის თვისობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება შემდეგი ლინგვისტური თავისებურებები:

• დადებითი კონოტაციის მქონე ზედსართავეებისა და ზმნების გამოყენება, რომლებსაც შეფასებითი ფუნქცია აქვთ: „წინადადებული ნაბიჯი“, „ეფექტიანად

გაართვა თავი“, „მკაცრი, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება“, „მნიშვნელოვანი როლი“, „საინტერესო რგოლი“, „ორიგინალური მიგნება“.

32) „ორიგინალური მიგნებაა ქართული მედიცინის და სახელმწიფო ვერტიკალის, რომ ამ ცხელების ცენტრში ხდება ამ პაციენტის ტესტირება კოვიდზე მაქსიმუმ 24 საათის მანძილზე, მეტ ხანს არ ყოვნდებიან ეს პაციენტები ცხელების ცენტრში.“ (<https://www.youtube.com/watch?v=Cbbxflf6uW0>)

აღნიშნული ლინგვისტური სტრატეგია ემსახურება აუდიტორიის დარწმუნებას, რომ მთავრობა ეფექტიანად მართავს კრიზისს.

- დიდი სიხშირით ფიქსირდება ზედსართავი სახელი შედარებით და აღმატებით ხარისხში. მომხსენებლები ხშირად იყენებენ შედარებით ფორმებს იმის ხაზგასასმელად, რომ მიღწევები არა უბრალოდ კარგია, არამედ საუკეთესო: „ყველაზე ადრე გამოვიყენეთ“, „ყველაზე მოწინავე მეთოდები“, „მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლები რაოდენობა ავადმყოფებისა“, „მსოფლიოში არცერთ ქვეყანაში არ არის ასეთი ნაკადების სქემა“.

გამოყენებული სტრატეგიის ლინგვისტური ფუნქციაა პოზიციონირების ჩარჩოს შექმნა, რომლის მიხედვითაც საქართველო წინ უსწრებს არა მხოლოდ საკუთარ წარსულ გამოცდილებას, არამედ სხვა ქვეყნებსაც.

- საკუთარი ეფექტურობის ხაზგასასმელად სპიკერები აქტიურად იყენებენ პოზიტიურ ფრაზეოლოგიზმებსა და მეტაფორებს, რომლებიც სისტემის კარგად მუშაობის სიმბოლოდ იქცევა: „საათივით აწყობილი სისტემა“, „ვერტიკალის ძალიან გამართული მოქმედება“, „სქემა, რომელიც არ არის მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში“. აღნიშნული მეტაფორები ემსახურება სისტემურობას, თანმიმდევრულობას და მექანიკურ სიზუსტეს, რაც მიაწვდის მართვადობასა და ეფექტურ მმართველობაზე.

33) „მე ყოველთვის ვამბობდი ყველა ჩემ გამოსვლაში და ეხლაც ვამბობ რომ მცირე რაოდენობა ავადმყოფების ძალიან მცირე - სულ 195, ნუ ვთქვამთ, იყოს 200, დღის ბოლომდე ავადმყოფი, ეს განაპირობა სახელმწიფო ვერტიკალის ძალიან გამართულმა, საათივით აწყობილმა, მოქმედებამ. მხედველობაში მყავს ვერტიკალი დაწყებული ეპიდემიოლოგიით და ექიმით გაგრძელებული, დაავადების კონტროლის ცენტრით, ჯანდაცვის სამინისტროთი რომელიც მთავარ როლს თამაშობს ყველაფერ ამაში და საქართველოს მთავრობით და პირადად პრემიერმინისტრით - ბატონი გახარიათი,

რომელმაც გარკვეული დროის წინ, დაახლოებით, თუ არ ვცდები, 2 კვირის წინ, შეიძლება სამი კვირის წინ, თავის ხელში აიღო პირდაპირი მმართველობა, აი, ამ პრეკრიზისული სიტუაციის და მისი ინტერვენციები აღმოჩნდა უაღრესად ეფექტური.“
(https://www.youtube.com/watch?v=C_GG4Dd10g4)

34) „მხედველობაში მყავს ვერტიკალი დაწყებული ეპიდემიოლოგიით და ექიმით გაგრძელებული, დაავადების კონტროლის ცენტრით, ჯანდაცვის სამინისტროთი ... და მისი ინტერვენციები აღმოჩნდა უაღრესად ეფექტური.“
(https://www.youtube.com/watch?v=C_GG4Dd10g4)

• მეტაფორების პარალელურად გამოიყენება პატრიოტული და კოლექტიური გზავნილები, რომლებიც ერთიანობასა და ეროვნულ სიამაყეზეა ორიენტირებული: „ქართული მედიცინის მიგნება“, „ჩვენ, „ქართულმა ოცნებამ“, „ჩვენ ეს გავაკეთეთ ყველაზე ადრე, ყველაზე ინოვაციურად“, „ჩვენი რესურსების სწორად შეფასება“. კოლექტიური ნაცვალსახელების, „ჩვენ“, „ჩვენი გუნდი“, ხშირი გამოყენება ხელს უწყობს სახელმწიფოს და ერის იდენტიფიკაციას და საზოგადოებრივ კონსენსუსზე მუშაობას.

35) „მამინ ეს მკაცრი შეზღუდვები და ლოკდაუნი იყო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, იმიტომ რომ ჩვენ ამით ვიცავდით, პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, პირველი გაურკვეველობის მაღალი ხარისხის გამო და ელემენტარული პირბადის არქონის გამო.“
(<https://www.youtube.com/watch?v=fljNy0hVllc>)

• სპიკერები საკუთარი მიღწევების ხაზგასმას გმირული ნარატივის ელემენტებითაც ცდილობენ. კრიზისულ სიტუაციაში მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოჩენილია როგორც გმირული, გაბედული, დროული და სწორად მოფიქრებული ნაბიჯები: „მტკიცუნელი, მაგრამ საჭირო გადაწყვეტილება“, „მკაცრი შეზღუდვები იყო აბსოლუტურად სწორი“, „სოლიდური თანხების გაღება ჩვენი მოქალაქეებისთვის“.

36) „ჩვენ თავის დროზე, ყველაზე ადრე შესაძლოა მსოფლიოში, გამოვიყენეთ ყველაზე მოწინავე მეთოდები, ინოვაციური მეთოდები მკურნალობის, რომელიც შემდგომში აღიარებული იქნა ისეთი ავტორიტეტების მიერ, როგორიც არის ამერიკის

პრეზიდენტი და ამერიკის წამლის და საკვებ პროდუქტების, ეგრეთ წოდებული FDA და ჩვენ ამას ვხმარობდით ერთი კვირის წინ, ასევე ერთი თვის წინ.“

(https://www.youtube.com/watch?v=C_GG4Dd10g4)

აღნიშნული სტრატეგიის ლინგვისტური ფუნქცია აუდიტორიაში ემპათიისა და შთაგონების აღძვრაა. შედეგად კი ბიუროკრატიული მოქმედებები იძენს მორალურ-ემოციურ წონას.

პანდემიასთან დაკავშირებული დისკურსის წარმართვისას სპიკერები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სტილისტიკურ საშუალებებსაც, როგორებიცაა პარალელიზმი და ჩამონათვალი (P8), რომლის გამოყენების ფარდობითი სიხშირე საშუალოდ 0.0698-ს შეადგენს (I ტალღა – 0.0638, II ტალღა – 0.0975, III ტალღა – 0.0043). აღნიშნული მარკერის გამოყენების დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მისი გამოყენება სტაბილურად ხდებოდა პანდემიის პირველი ორი ტალღის განმავლობაში, მაგრამ სიხშირე მაქსიმუმს პანდემიის პიკის, მეორე ტალღის განმავლობაში აღწევს, რაც აიხსნება სპიკერების მცდელობით, გახადონ დისკურსი გასაგები და ადვილად დასამახსოვრებელი.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ დისკურსში გამოყენებული პარალელიზმის მარკერების თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება:

- პარალელიზმი სინტაქსური თვალსაზრისით, რაც ზრდის გამოთქმის ზეგავლენას და ხდის დასამახსოვრებელს.

37) „ზოგჯერ ვბრაზდებით, ზოგჯერ ვიღიმებით, ზოგჯერ არ ვაქცევთ ყურადღებას.“ (<https://www.youtube.com/watch?v=5pOEGW3yVuM>)

38) „თითოეული ადამიანი, თითოეული პარტია, თითოეული სუბიექტი“ (<https://www.youtube.com/watch?v=Ah-3wDc06VI>)

პარალელურ კონსტრუქციას მოსასმენად მარტივს და საყურადღებოს ხდის რიტმული სტრუქტურა და მელოდიურობაც.

- გარდა პარალელური სინტაქსური სტრუქტურისა, ხშირად ემფაზისთვის ერთი და იმავე სიტყვის ან სტრუქტურის გამეორება გვხვდება.

39) „ყველაზე უკეთესი კლინიკები თავისუფლდება, ყველაზე უკეთესი, ყველაზე კვალიფიციური კადრებით და ყველაზე კარგი აღჭურვილობით.“ (<https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>)

- თანმიმდევრობა, რომელიც მიჰყვება აზრის ზრდას ან მნიშვნელობის გაძლიერებას.

40) „სულ ამას ვსაუბრობთ, რომ კორონავირუსული ინფექცია ხვალ, ზევ, მაზევ და ორი და სამი და ოთხი თვის შემდეგ არ გაქრება.“
(<https://www.youtube.com/watch?v=1KWfLwDiufc>)

- პარალელურ სტრუქტურაში დიდი სიხშირით გვხვდება იდეების დაპირისპირება:

41) „იქ, სადაც კრიტიკა მისაღებია მივიღებთ, იქ, სადაც კრიტიკა მისაღები არ არის არ მივიღებთ“ (<https://www.youtube.com/watch?v=5pOEGW3yVuM>)

რაც შეეხება პრაგმატულ ფუნქციებს, რასაც დისკურსში აღნიშნული მარკერის გამოყენება ემსახურება, ესენია:

- კოლექტიური პასუხისმგებლობის გაღვივება ინკლუზიური ტონის გამოყენებით ისე, რომ ჩამონათვალი ქმნის „ყველას ჩართვის“ შთაბეჭდილებას, აჩვენებს ერთიან ძალისხმევას და აღრმავებს სოლიდარობის განცდას.

42) „პარლამენტის წევრები, მაჟორიტარები, მერიები, საკრებულოს წევრები..., რაც...“ (<https://www.youtube.com/watch?v=Ah-3wDc06VI>)

- კრიზისის მართვის კომპლექსურობისა და იმის ჩვენება, რომ ხელისუფლება ყველაფერს ითვალისწინებს: „ჯანმრთელობა, ეკონომიკა, სოციალური სისტემა“.

მომდევნო პოლიტიკური მარკერი, რომელსაც სპიკერები უპირატესობას ანიჭებენ, არის სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანა და მათთან შედარება (P11). მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე საშუალოდ 0.0625-ს შეადგენს (I ტალღა – 0.0701, II ტალღა – 0.0585, III ტალღა – 0.0346). ფარდობითი სიხშირის დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მმართველი ძალა აღნიშნულ მარკერს საკუთარი შედეგების ლეგიტიმაციისთვის ყველაზე ხშირად პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში მიმართავდა, ხოლო მომდევნო ორი ტალღის განმავლობაში მისი გამოყენების სიხშირე საგრძნობლად შემცირდა, რაც ქვეყნის შიდა სივრცეზე ორიენტირებით აიხსნება.

P11-ის თვისობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება შემდგომი თავისებურებები:

- კომპარატიული ჩარჩო („ჩვენ - ისინი“), რომლის გამოყენების მიზანიც საქართველოს როგორც გამონაკლისად წარმატებული ან ბრძნულად მოქმედი

სახელმწიფოს ხატის შექმნა და აუდიტორიის მხარდაჭერის გაძლიერება: „საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი სიკვდილიანობის მაჩვენებელია“, „მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი...“ „სხვა ქვეყნებში იყო რთული, ჩვენ უკეთ ვიმართეთ“.

43) „*მე ვიტყვი სრული პასუხისმგებლობით, შეიძლება ძნელია ამისი თქმა, იმიტომ რომ მთლად ყველა ქვეყანას დეტალურად არ ვიცნობ, მაგრამ აი, ასეთი კასკადი, ასეთი ნაკადების მოძრაობის სქემა, როგორიც არის საქართველოში არ არის მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=Cbbxflf6uW0>)

• დიდი სიხშირით ფიქსირდება მიზნობრივი კონტრასტები: საქართველოს წარსულსა და დღევანდებლობას, ისევე როგორც უცხო ქვეყნებსა და ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას შორის. ამის მიზანი პროგრესის ხაზგასმა და საქართველოს, როგორც მოწინავე ქვეყნის წარმოჩენაა: „პირველ ტალღაზე ჩვენ 200 ტესტს ვაკეთებდით, დღეს უკვე ასი ათასებია;“ „სხვაგან ასე არ იყო“, „მაშინ პირბადე არ გვქონდა, დღეს ვართ მზად. სხვებმა ვერ შეძლეს ასე სწრაფი რეაგირება“.

44) „*ჩვენ მაშინ ვაკეთებდით 200 ტესტს და არანაირი ცოდნა, მსოფლიოსთან ერთად, ამ ვირუსთან დაკავშირებით არ გვქონდა.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=fljNy0hVllc>)

• აღსანიშნავია, რომ კომპარატიული ჩარჩო ხასიათდება განსხვავებული ლექსიკური არჩევანითაც, დადებითი ტერმინები გამოიყენება საქართველოს აღწერისას, ხოლო სხვა ქვეყნებთან მიმართებით - ნეიტრალური ან უარყოფითი: „საათივით აწყობილი სისტემა“ (საქართველო) და „ბიუროკრატია:“ „სხვათა შორის, ამერიკაში ყველაზე მეტი ბიუროკრატიაა“.

45) „*არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, სადაც ასე სწრაფად ხორციელდება რეაგირება. ეს განაპირობა სახელმწიფო ვერტიკალის ძალიან გამართულმა, საათივით აწყობილმა, მოქმედებამ.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=CGG4Dd10g4>)

46) „*დამიჯერეთ, სრული გულწრფელობით გეუბნებით, არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, მათ შორის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში, ყველაზე მეტი ბიუროკრატია, სხვათა შორის, ამერიკაში და დიდ ქვეყნებში, სადაც შესაძლოა შემთხვევის პაციენტს ანუ პაციენტს, ესეთ მოკლე დროში უკეთდებოდა ყველაფერი და უზრუნველყოფილ იყო ყველაფრით.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>)

აღნიშნული სტრატეგიის მიზანი საქართველოს, როგორც უკეთ მომზადებულის წარმოჩენაა.

- იმავე მიზნის მიღწევა ხდება ადმატებითი ფორმების გამოყენებითაც: „ყველაზე ადრე“, „ყველაზე მოწინავე“, „ყველაზე დაბალი“, „უმაღლესი დონის“. ეს ენობრივი რესურსი აძლიერებს ეროვნული წარმატების აღქმას საერთაშორისო კონტექსტში.

47) *„ჩვენ თავის დროზე, ყველაზე ადრე შესაძლოა მსოფლიოში, გამოვიყენეთ ყველაზე მოწინავე მეთოდები, ინოვაციური მეთოდები მკურნალობის, რომელიც შემდგომში აღიარებული იქნა ისეთი ავტორიტეტების მიერ, როგორც არის ამერიკის პრეზიდენტი და ამერიკის წამლის და საკვებ პროდუქტების ეგრეთ წოდებული FDA და ჩვენ ამას ვხმარობდით ერთი კვირის წინ, ასევე ერთი თვის წინ.“*
(<https://www.youtube.com/watch?v=CGG4Dd10g4>)

- სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანისას ვაწყდებით რიტორიკულ შეკითხვებსა და მტკიცებით ფორმულებს, რისი მიზანიც საერთო ცოდნის და გამოცდილების ილუზიის შექმნა და აუდიტორიის გადაბირებაა თანხმობაზე: „გაიხსენეთ, სხვა ქვეყნებში როგორ იყო?“ „თქვენ კარგად იცით, რა მდგომარეობაა ევროპაში“, „ამას ყველა ქვეყანა ვერ ახერხებს“.

ქართველი სპიკერების მიერ გამოყენებული ლინგვისტური და რიტორიკული საშუალებები ქმნის დისკურსულ ჩარჩოს, სადაც საქართველო არ არის უბრალოდ ქვეყანა პანდემიის პირობებში. ის არის ეფექტური რეაგირებისა და მმართველობის განსაკუთრებული მაგალითი.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ დისკურსში საკუთარი მიღწევების ხაზგასმის პარალელურად, ასევე საკმაოდ მაღალი სიხშირით გამოიყენება პათოსი (P7). პათოსის გამოყენების სიხშირე 0.0577-ია (0.0623 -I ტალღა 1, 0.0609 – II ტალღა, 0.0216 – III ტალღა). დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ პათოსის გამოყენების სიხშირე პანდემიის პირველი და მეორე ტალღის განმავლობაში თითქმის თანაბარი იყო. მომდევნო, მესამე ტალღის განმავლობაში კი მისი გამოყენების სიხშირე სამჯერ შემცირდა. მიღებული შედეგები ასახავს ინფორმაციული კრიზისისა და პანდემიის პიკის პერიოდში მმართველი ძალის მიერ გამოყენებული ემოციური სტრატეგიიდან პანდემიის მესამე ეტაპზე რაციონალურ სტრატეგიაზე გადასვლას.

ქართველი სპიკერების მიერ გამოვლენილი პათოსის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდგომი ლინგვისტური თავისებურებები:

- ძლიერი ემოციური დატვირთვის მქონე ზედსართავი სახელები და ეპითეტები: „მძიმე“, „მკაცრი“, „სწრაფი“, „მაღალი“, „მწირი“, „კრიტიკულად მნიშვნელოვანი“. აღნიშნული ტიპის ზედსართავები აძლიერებენ ტექსტის პათოსურ ბუნებას, მკვეთრად ასახავენ კრიზისულ და სავალალო სიტუაციას.

- დიდი სიხშირით ვხვდებით სიტყვების გამეორებას მტკიცებულების გაძლიერების მიზნით: „ჯანმრთელობა“, როგორც უმთავრესი ღირებულება, „ჩვენ ყველანი“, „ყველა ერთად“ - ერთიანობის განცდის გასაძლიერებლად.

48) *„ჩვენს თითოეულ ნაბიჯს აქვს თავისი ფასი, თითოეულ შეზღუდვას აქვს თავისი ეკონომიკური ფასი, თუმცა მეორე მხარეს არის ადამიანის ჯანმრთელობა, როგორც ფასეულობა.“* (www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4)

- დიდი ემოციური ზეგავლენის მოხდენის მიზნით სპიკერები ხშირად მიმართავენ პირველ პირს „ჩვენ“, „ჩვენი მოქალაქეები“, რაც ქმნის საზოგადოებრივ თანხმობას და პიროვნულ ჩართულობას.

49) *„მინდა თითოეულ ჩვენ მოქალაქეს მოვუწოდო, რომ ჩვენი ნაბიჯი დღეს არ ნიშნავს მხოლოდ პასუხისმგებლობას ჩვენ ჯანმრთელობაზე და ჩვენს სიცოცხლეს, ეს ნიშნავს პასუხისმგებლობას ჩვენს გვერდზე მდგომი, ჩვენი ოჯახის წევრის, ჩვენი მეზობლის, ჩვენი მოქალაქის, ჩვენი კოლეგის და საერთოდ საბოლოო ჯამში ქვეყნის ჯანმრთელობაზე და ქვეყნის მომავალზე, მადლობა.“* (<https://www.youtube.com/watch?v=4HcXWhEacu4>)

- ასევე, ხშირად გამოყენებულია მოწოდებები და ისეთი ემპათიური გამონათქვამები, რომლებიც აღრმავებენ სოციალურ თანაგრძნობასა და კომუნიკაციას: „მოვუწოდებ“, „უნდა გვესმოდეს“, „მადლობა უნდა გადავუხადოთ“, „ვგრძნობ“ და ა.შ.

50) *„ეს არის ამ საკმაოდ მძიმე და მკაცრი ნაბიჯების ძირითადი მიზანი, თუმცა ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ნაბიჯების შედეგი და ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმ ღონისძიებებზე, რომელსაც მთავრობა გაატარებს, არამედ ჩვენს მოქალაქეებთან თანამშრომლობაზე, მათ კეთილ ნებაზე, მათ სამოქალაქო თვითშეგნებაზე, ისევე, როგორც იმ სამოქალაქო სექტორის თვითშეგნებაზე, რომელიც*

ამ მუნიციპალიტეტებში და ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებენ.“
(<https://www.youtube.com/watch?v=4HcXWhEacu4>)

- რაც შეეხება სპიკერების მიერ გამოვლენილი პათოსის კულტურულ თავისებურებებს, აღსანიშნავია აქცენტი სოლიდარობასა და კოლექტივიზმზე: „ოჯახის წევრები“, „მეზობლები“, „ქვეყანა“ - ფოკუსი გადადის ინდივიდუალურიდან საერთო სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე. ასევე, გამოკვეთილია „ერთობის იდეა“ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

- გამოვლენილ პათოსში ვხვდებით პატრიოტიზმის ნიუანსებსაც. კონკრეტულად, ხშირია სამშობლოს სიყვარულისა და პროფესიული მოვალეობების ხსენება: „ვემსახურები ჩემს ქვეყანას“, „პატრიოტიზმი“... ასევე რელიგიურ და ტრადიციულ მოტივებს. კონკრეტულად მოხსენიებულია ეკლესია და მისი როლი, რაც მიუთითებს ქართული საზოგადოების „რელიგიური მემკვიდრეობისთვის“ დამახასიათებელ გავლენაზე.

„პასუხისმგებლობა არა მხოლოდ სახელმწიფოზე, არამედ რელიგიურ ინსტიტუტებზე“.

51) *„ჩვენ ამას გავაგრძელებთ, მაგრამ ერთი რამე უნდა გავითვალისწინოთ, ჩვენი მთავრობის პასუხისმგებლობა არის ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა და ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ როდესაც საკითხი ეხება საქართველოს მოქალაქის სიცოცხლეს და მის ჯანმრთელობას ჩვენ ყოველთვის ვიპოვით შესაბამის კომპრომისს ეკლესიასთან, იმიტომ რომ მე ვერ წარმომიდგენია ისევე, როგორც რიგით ადამიანს, რიგით მოქალაქეს, რიგით მრევლს, რიგით ქრისტიანს, ვერ წარმომიდგენია რა შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლეზე უფრო მაღალი ფასეულობა, როგორც მთავრობისთვის, ასევე ეკლესიისთვის.“* (<https://www.youtube.com/watch?v=ZOqkrmv-Znw>)

- სპიკერების მიერ გამოყენებულ პათოსში ასევე ასახულია კრიზისის კულტურული აღქმა, საქართველოს ისტორიული გამოცდილება მძიმე პერიოდების გადატანისა (მაგ. „ისტორიული გამოწვევა“), რაც მიზნად საზოგადოების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და გამაგრებას ისახავს.

52) „ეს ჩვენ ისტორიული გამოწვევაა, ჩვენ ყოველთვის ასე გვიწევდა ამ ბალანსის პოვნა და დარწმუნებული ვარ, რომ ვიპოვეთ ეკლესიასთან ერთად.“
(www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4)

ქართველი სპიკერების მიერ პათოსის გამოყენების ცენტრალური მიზნებია: საზოგადოებრივი სოლიდარობის გაძლიერება, პასუხისმგებლობის განცდის გაღვივება, კრიზისის ფონზე მტკიცე და ღირსეული ტონის შექმნა, ხალხთან მჭიდრო ემოციური კავშირის დამყარება და მოქალაქეების მორალურ ფასეულობებსა და რელიგიურ იდენტობაზე აპელირება.

რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე იკვეთება, რომ ქართველი სპიკერები აბსოლუტურად იმავე სიხშირით იყენებენ ავტორიტეტული პიროვნებების ციტირებას (P12) რა სიხშირითაც მიმართავენ სამედიცინო რეკომენდაციების გაცემას. აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირე 0.0573-ია (0.0331 – I ტალღა, 0.0560 – II ტალღა, 0.1948 – III ტალღა). დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მისი გამოყენების სიხშირე პანდემიის ტალღების კვალდაკვალ იზრდება. ფარდობითი სიხშირე პიკს პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში აღწევს, როცა ვაქცინაციის კამპანიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ნდობის მოპოვება.

ქართველი სპიკერების მიერ პანდემიასთან დაკავშირებულ დისკურსში გამოყენებული ავტორიტეტული წყაროების თვისობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რიგი თავისებურებები:

- დისკურსში ფიქსირდება ნეიტრალური ტონით გაფორმებული კონსტრუქციები, რომლებიც ინფორმაციას ოფიციალურად და ობიექტურად გადმოსცემენ. მაგალითად: „რეკომენდაციით“, „ჩვენ ვეყრდნობით...“, „ჩვენ ვხელმძღვანელობთ...“

53) „ეს ფორმულირება ეყრდნობა ამერიკის წამლის და საკვები პროდუქტების ადმინისტრაციის ოფიციალურ რეკომენდაციას, რომელიც დაიდო 28 მარტს...“ (<https://www.youtube.com/watch?v=pe172VSiE14>)

- პასიური კონსტრუქციები, რისი დანიშნულებაც საყოველთაო მორჩილებისკენ მოწოდებაა: „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით...“

საერთაშორისო ავტორიტეტების მოხმობის სტრატეგიული დანიშნულება საქართველოს გადაწყვეტილებების სანდოობის გაზრდაა. ამასთანავე, ის დასავლურ სამედიცინო სივრცეში ინტეგრაციის სურვილს ასახავს.

- დისკურსში ვხვდებით ავტორიტეტული წყაროების პოზიციის ადაპტაციას ქართულ რეალობაში: „ჯანმოს თანახმად, რეკომენდებულია მინიმუმ 20 წამიანი ხელის დაბანა“, „ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი მიუთითებს, რომ პირბადე აუცილებელია დახურულ სივრცეში“.

ავტორიტეტული წყაროსგან მომავალი რეკომენდაციის „თარგმნა“ საკუთარი მოქალაქეებისთვის, ანუ შაუამავალის როლის თამაში ასახავს მჭიდრო კავშირს ხელისუფლებასა და სამეცნიერო ავტორიტეტს შორის.

- დისკურსში ფიქსირდება ავტორიტეტული წყაროს გამოყენება არგუმენტის განმტკიცების მიზნით: „არცერთი სერიოზული წყარო არ ამბობს, რომ ვაქცინა საშიშია. პირიქით, ყველა ამბობს, რომ...“ აღნიშნული სტრატეგია საზოგადოებრივი გაურკვევლობის საპასუხო სტრატეგიას ასახავს, რაც ფოკუსირებულია „ერთადერთ ჭეშმარიტებაზე“, რომელსაც ავტორიტეტი ფლობს.

54) *„თქვენ იცით, როგორი მკაცრია ამერიკის წამლისა და საკვები პროდუქციების სააგენტო, თუ არ არის 100 პროცენტითი გარანტია უსაფრთხოების და თუ არ არის მტკიცებულებები მაღალი დონის მოპოვებული, ისე ის არ დაიშვება მასიური გამოყენებისთვის და ამ სტადიაზე ვაქცინები ეხლა“*
(<https://www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4>)

- არგუმენტის განმტკიცებასთან ერთად ავტორიტეტების ხსენება გამოყენებულია მეტაფორულად, როგორც სიმშვიდის დამყარების ინსტრუმენტი: „ყველაფერი ხდება WHO-ის ინსტრუქციების მიხედვით და არ არსებობს პანიკის საფუძველი.“

აღნიშნული სტრატეგია ემსახურება პანიკის შემცირებას, ვინაიდან საერთაშორისო ავტორიტეტზე დაყრდნობა მოქმედებს როგორც დამამშვიდებელი რიტორიკა მოსახლეობისთვის.

დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველი სპიკერები უფრო მაღალი სიხშირით მიმართავენ გარე ავტორიტეტული წყაროების ხსენებას, ვიდრე - შიდას.

კოვიდპანდემიით გამოწვეული კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი ქართველი სპიკერები საკმაოდ ხშირად მიმართავენ დაპირებების (P4) გზით დამშვიდებას. დაპირების, როგორც მარკერის, გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0547-ია (0.0583 – I ტალღა, 0.0609 – II ტალღა, 0.0129 – III ტალღა).

დაპირება, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული კომუნიკაცია, სტაბილურად გამოიყენებოდა პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში, თუმცა მისი სიხშირე ყველაზე მაღალი პანდემიის პიკის, მეორე ტალღის განმავლობაში იყო, რაც პანდემიის პირველი ტალღისას დაგროვებული გამოცდილების ხარჯზე გაზრდილი თავდაჯერებულობის მაჩვენებელია.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ დისკურსში დაპირების კონკრეტული შემთხვევების თვისობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება რიგი თავისებურებები:

- კოლექტიური პასუხისმგებლობა და სოლიდარობის გამოხატვა პირველი პირის მრავლობითი ფორმით: „ჩვენ მზად ვართ დავეხმაროთ“, „ჩვენ ყველამ ერთად...“

55) „*აი ეს არის ჩვენი შეთავაზება, რომ ჩვენ მზადა ვართ დავეხმაროთ მათ პირველ რიგში, იდენტიფიცირებაში, თუ შესაძლო შემთხვევის და მათ შემდგომ მართვაში.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>)

- მოდალური ზმნებისა და კონსტრუქციების გამოყენება შესაძლებლობისა თუ გადაწყვეტილების გამოხატვის მიზნით: მზაობა („მზად ვართ“), შესაძლებლობა („შეიძლება“, „ექნება“), სამომავლო განზრახვა („დაიდება გაიდლაინი“, „შეიქმნება შტაბი“, „იქნება შეძენილი“).

56) „*შეძენილი იქნება იგივე ოქსფორდის ასტრაზენეკასი, ფაიზერის იგივე კლაინის და რამოდენიმე ვაქცინა იქნება შეძენილი.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=TRxWI9RnJek>)

- აღნიშნული მარკერის გამოყენებისას ფიქსირდება გამონათქვამები, რომლებიც მიზნად დამაჯერებლობის გაზრდას ისახავს: „დამიჯერეთ“, „გარწმუნებთ“, ანუ სპიკერი ითხოვს ნდობას, არ ითხოვს დოკუმენტურ მტკიცებულებებს, არამედ საკუთარი ავტორიტეტით ამყარებს განცხადებებს. მაგ. „დამიჯერეთ, ის უკეთესია, ვიდრე...“.

57) „დამიჯერეთ, სრული გულწრფელობით გეუბნებით, არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, მათ შორის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში, ყველაზე მეტი ბიუროკრატია, სხვათა შორის, ამერიკაში და დიდ ქვეყნებში, სადაც შესაძლო შემთხვევის პაციენტს, ანუ პაციენტს ესეთ მოკლე დროში უკეთებოდა ყველაფერი და უზრუნველყოფილ იყო ყველაფრით.“ (<https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>)

• ხშირად ვხვდებით რეგიონულ განზოგადებას, მასობრივი წვდომის დაპირებას, რომ არავინ დარჩება ყურადღების მიღმა. ამასთანავე, ხშირად გამოიყენება სიტყვები, რომლებიც ასახავენ დაშლისა და გავრცელების პრინციპს: „რეგიონებში“, „ყველა რეგიონში“, „დარგობრივი თვალსაზრისით“, „სხვადასხვა ქოლცენტრებში“.

58) „გარდა ამისა, მე მინდა, თითოეულ ჩვენს მოქალაქეს ვუთხრა, რომ მსგავსი შტაბი შეიქმნება ყველა რეგიონში და ჩვენს მოქალაქეებს უახლოეს პერიოდში, დღესვე, ექნებათ სრული ინფორმაცია, ვინ არის ამ შტაბის ხელმძღვანელი, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს შტაბები იქნებიან ადგილზე უწყებათაშორის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განმახორციელებლები და ამასთან ერთად კოორდინაციას გაუწევენ იმას, რომ ქვეყანამ გააგრძელოს ფუნქციონირება, ეკონომიკამ გააგრძელოს ფუნქციონირება, საგანგებო მდგომარეობის და საკმაოდ მძიმე კარანტინის პირობებშიც იმისთვის, რომ ჩვენ მოქალაქეებს არ შეექმნათ სერიოზული პრობლემები.“ (<https://www.youtube.com/watch?v=ZQqkrmv-Znw>)

• დაპირებასთან ერთად საკმაოდ ხშირია ემოციური ლექსიკა, განსაკუთრებით კი დადებითი და უარყოფითი კონოტაციის ზედსართავი სახელები მოლოდინის და ემოციური ჩართულობის რეგულირებისთვის: „სრული“, „სერიოზული“, „მძიმე.“ აღნიშნულის მიზანი ერთი მხრივ, სირთულის აღიარება, მეორე მხრივ კი მისი დაძლევის დაპირებაა.

ქართველი სპიკერების მიერ გაცემული დაპირებები წარმოადგენს საკომუნიკაციო სტრატეგიას, რომლის მიზანია მოლოდინის შექმნა, რომ ხელისუფლება წინასწარ ფიქრობს შესაძლო საფრთხეებზე და მოქმედებს გეგმაზომიერად. ამავე დროს საზოგადოების დარწმუნება, რომ სამედიცინო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ეფუძნება ცოდნას, ანალიზს და გლობალურ გამოცდილებას. დაპირების გზით სპიკერები ასევე ცდილობენ სტაბილური მომავლის მოლოდინის შექმნას, საზოგადოებრივი სოლიდარობისა და ერთობლივი მოქმედების

მოტივაციას, სოციალური უკმაყოფილების შემცირებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პანდემით გამოწვეული სოციალური სირთულეების შერბილებას.

სიხშირის თვალსაზრისით, მომდევნო მარკერი, რომელსაც სპიკერები სტრატეგიული კომუნიკაციისას მიმართავენ, არის სამედიცინო რეკომენდაციები (M3); მისი გამოყენების სიხშირე საშუალოდ 0.0439-ს შეადგენს (I ტალღა – 0.0244, II ტალღა – 0.0817, III ტალღა – 0.0173). აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირის დიაქრონიული ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტი რეკომენდაცია ინფორმაციული კრიზისისა და პანდემიის პიკის განმავლობაში გაიცემოდა, ხოლო ყველაზე ნაკლები – მესამე ტალღის განმავლობაში.

გაცემული სამედიცინო რეკომენდაციების თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება რიგი თავისებურებები. მათ შორისა:

- დეტალურობა და ფორმალურობა რეკომენდაციის გაცემისას:

59) „*მეორეს მხრივ მთავარი რეკომენდაცია, რომ ადამიანები ვინც ჩამოდიან მაღალდასენიანებული ქვეყნებიდან და განსაკუთრებით ჩინეთიდან, იტალიიდან, სამხრეთ კორეიდან და ირანიდან ისინი გადიან დეტალურ სამედიცინო შემოწმებას საზღვარზე, თუ სიმპტომები არის კორონავირუსული ინფექციის, ჩვენი განსაზღვრების მიხედვით მაშინ ისინი გადაყვანილი იქნებიან შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=Ed6JKC9hFhQ>)

რეკომენდაციის გასაცემად გამოიყენება როგორც რთული წინადადებები, ტექნიკური („მაღალდასენიანებული ქვეყნები“, „დეტალური სამედიცინო შემოწმება“, „სამედიცინო დაწესებულებები“) და ყოველდღიური ლექსიკა, ასევე მკვეთრად ჩამოყალიბებული ინსტრუქციები („ვამბობთ მარტივ რაღაცას: გავიკეთოთ პირბადე, დავიცვათ სოციალური დისტანცია, დავიბანოთ ხელი...“), რათა მეტყველება იყოს დამაჯერებელი, უბრალო და გასაგები ფართო საზოგადოებისთვის.

• სამედიცინო რეკომენდაციის გაცემისას გამოიყენება მოწოდება და ზმნის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: „მოუწოდებ“, „გაითვალისწინეთ“, რაც აქტიური კონტაქტის სურვილს გამოხატავს. პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის მიზანი თვითიზოლაციისა და კარანტინის დაცვისას პიროვნულ პასუხისმგებლობაზე ხაზგასმას. პიროვნულ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს ემოციური ტონით ნათქვამი

„გავუფრთხილდეთ მოხუცებს“, რაც არა მარტო სამედიცინო რეკომენდაციაა, არამედ ოჯახის წევრების (ხანდაზმულების) დაცვის მნიშვნელობის ხაზგასმა.

60) „მარტივ რაღაცას ვამბობთ, შეხედეთ, გავიკეთოთ პირბადე, დავიცვათ სოციალური დისტანცია, დავიბანოთ ხელი, გავუფრთხილდეთ მოხუცებს ხანდაზმულებს, რომლებიც არიან ყველაზე მაღალი რისკის შემცველები, სიცხის შემთხვევაში არ მივიდეთ სამსახურში, ჩვენი შვილები, თუ მათ ვხედავ რაიმე სიმპტომი აქვთ, ან სიცხე აქვთ არ გაუშვათ სკოლაში და არ გაუშვათ საბავშვო ბაღში.“

(<https://www.youtube.com/watch?v=fljNy0hVllc>)

- გაცემულ რეკომენდაციებში ფიქსირდება იმპერატივი და რიტუალური ინსტრუქციები: „უნდა დაიცვან სოციალური დისტანცირება, უნდა დარჩნენ სახლში, აუცილებლად დაიბანონ ხელები...“, „ულაპარაკოდ უნდა შესრულდეს“

61) „უნდა დაიცვან სოციალური დისტანცირება, უნდა დარჩნენ სახლში, აუცილებლად ხშირად დაიბანონ ხელები, თავი მოარიდონ შეკრებებს 9 საათის შემდეგ, გამოვიდნენ გარეთ და ეს ყველაფერი უნდა შესრულდეს ულაპარაკოდ.“

(https://www.youtube.com/watch?v=C_GG4Dd10g4)

მოდალური სიტყვების გამოყენება ხაზს უსვამს რეკომენდაციის სიმკაცრეს და დისციპლინას ქართულ კონტექსტში, სადაც ავტორიტეტული ინსტრუქციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირების კიდევ ერთი რჩეული სტილისტიკური საშუალებაა მეტონიმია (P5), რომლის გამოყენების ფარდობითი სიხშირე საშუალოდ 0.0439-ს შეადგენს (I ტალღა – 0.0362, II ტალღა – 0.0682, ხოლო III ტალღისას მაჩვენებელი 0-მდე მცირდება). აღნიშნული მარკერის გამოყენების დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ ქართველი სპიკერების მიერ მეტონიმის გამოყენების სიხშირე თითქმის ორჯერ გაიზარდა პანდემიის პირველი ტალღიდან მეორე ტალღის განმავლობაში.

62) „როგორი იყო ამ შემთხვევაში საქართველოს პასუხი, იქ იყო თუ არა დაჯარიმებული რომელიმე მოქალაქე აი, ასეთ დროს დარღვევისთვის? მადლობა.“

(<https://www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4>)

63) გარდა ამისა, სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, ესმის, რომ ჩვენ ამ ბრძოლიდან ვირუსთან, უნდა გამოვიდეთ ისე გამარჯვებულები, მაგრამ არ უნდა

დავანგრიოთ, არც სახელმწიფო, არც ეკლესია, არც ეკონომიკა და უნდა გავუფრთხილდეთ, რა თქმა უნდა, ჩვენი მოქალაქის ჯანმრთელობასაც.“
(<https://www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4>)

აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირის დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ კრიზისის მართვის გაუმჯობესების პარალელურად მცირდება მეტონიმიის გამოყენების სიხშირე, რაც კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მხატვრული მეტყველების ნაცვლად პირდაპირი კომუნიკაციისთვის უპირატესობის მინიჭებას ასახავს.

• მეტონიმიის დომინანტი ფორმებია ინსტიტუციის მაგივრად სტრუქტურის ან ქვეყნის მოხსენიება. კონკრეტულად, სახელმწიფოს ან რომელიმე ორგანიზაციის მაგივრად გამოყენებულია - „სახელმწიფო“, „ეკლესია“, „საქართველო“, რაც რეალურად მის ფუნქციურ წარმომადგენლებს, გადაწყვეტილებებს ან მოქმედებებს ნიშნავს.

64) „მინდა დაგარწმუნოთ, რომ სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც სრულად აქვს გათვითცნობიერებული პასუხისმგებლობა, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის ნაწილში, ასევე სახელმწიფოს ინსტიტუტების მნიშვნელობის ნაწილში და კანონის დარღვევის მნიშვნელობის ნაწილში ისევე, როგორც ეკლესიის ფუნქციონირების ნაწილში.“ (www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4)

აღნიშნულ შემთხვევაში „სახელმწიფო“ და „ეკლესია“ წარმოდგენილია არა როგორც აბსტრაქტული სტრუქტურები, არამედ როგორც მოქმედი სუბიექტები (მეტონიმია: ინსტიტუცია → მოქმედი პირები).

• ხშირად გვხვდება ქვეყნის სახელის ნაცვლად მისი ზომა (დემოგრაფიული ან გეოგრაფიული მოცემულობა) ან სტატისტიკური მონაცემი: „ეს ქვეყანა ჩვენზე 15-ჯერ დიდია.“ მეტონიმია: ქვეყანა → მოსახლეობა/ტერიტორია (ფიზიკური თვისება მთელი ობიექტის ნაცვლად).

ქართველი სპიკერების მიერ მეტონიმიის გამოყენების ძირითად მიზნებს შორისაა სიტუაციის შერბილება, რაც სიტუაციის „მართვადად“ წარმოჩენის ერთგვარი მცდელობაა, პასუხისმგებლობის გადანაწილება საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე და არა კონკრეტულ სუბიექტებზე, ინსტიტუციების სიმბოლური ფუნქციების ხაზგასმა, რაც ქმნის განცდას, რომ სახელმწიფო მართავს სიტუაციას.

სიხშირის თვალსაზრისით შემდგომი მარკერი, რომელსაც სპიკერები მიმართავენ არის უკმაყოფილების გამოხატვა რეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებით (M5). მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე არის 0.0176-ია (0.010 -I ტალღა, 0.0304 – II ტალღა, 0.0129 – III ტალღა). დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ რეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოხატვა თითქმის თანაბარი სიხშირით ხდებოდა პანდემიის პირველი და მესამე ტალღის განმავლობაში, ყველაზე მაღალი სიხშირით კი მეორე ტალღის განმავლობაშია, რაც საკომუნიკაციო სტრატეგიის ადაპტაციაზე მიუთითებს.

ემპირიული მასალის დაკვირვების საფუძველზე იკვეთება სპიკერების მიერ სამედიცინო რეკომენდაციების დაუცველობის გამო გამოხატული უკმაყოფილების შემდგომი ლინგვისტური და კულტურული თავისებურებები:

- კატეგორიული და ემოციური შეფასებები, კონკრეტულად უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობის ზედსართავი სახელები: „მიუღებელი“, „მავნებლობა“, „მასობრივი“, „თამამი“, „მძიმე“, „უკიდურესი“. აღნიშნული სიტყვები არა მარტო ქმედების, არამედ მორალურ შეფასებას ახდენენ. აღნიშნულის მიზანი ქმედების დანაშაულად წარმოჩენა და პასუხისმგებლობის გამოჩენისკენ მოწოდებაა.

65) *„მოგეხსენებათ, ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფენ და რამოდენიმე ვიზიტი რეგიონში, რომ, სამწუხაროდ, ყველა ჩვენს მოქალაქეს არ აქვს ბოლომდე გათვინობიერებული სიმძიმე მდგომარეობის და ის რისკები, რომელიც შეიძლება არსებობდეს თითოეული ჩვენი მოქალაქის წინაშე, თითოეული ჩვენი მოქალაქის, რომელიც დღეს გადაადგილდება თბილისისა, ან რომელიმე სხვა ქალაქის ქუჩებში, თითოეული მოქალაქის წინაშე, რომელიც აკეთებს გარკვეულ ყოველდღიურ საქმიანობას და ვერც წარმოუდგენია, რამდენად მაღალი რისკის შემცველი შეიძლება იყოს, მისი ყოველდღიური ცხოვრების წესის გაგრძელება, ისე, როგორც ეს იყო ადრე.“* (<https://www.youtube.com/watch?v=ZOqkrmv-Znw>)

- გამეორება („ბევრი, ბევრი, სამწუხაროდ, ბევრი...“) ემოციური ფონის შექმნისა და დაძაბულობის გამძაფრების მიზნით და რიტორიკული შეკითხვები იმის დასამტკიცებლად, რომ მოთხოვნა ლოგიკურია და საზოგადოება უნდა ემორჩილებოდეს: „ეს ხომ არ არის დიდი მოთხოვნა?“, „ეს ხომ რთული არ არის?“

66) „ჩვენს მოქალაქეებსაც ეტყობათ ბევრი, ბევრი, ბევრი, სამწუხაროდ, ბევრი არასაჭირო მობილობაა, მსხვილ ქალაქებში განსაკუთრებით, ბევრი მაინც დაბადების დღეები და ეს რიტუალური ღონისძიებებია.“
(<https://www.youtube.com/watch?v=OOE6r8tTFt0>)

- დისკურსში საკმაო სიხშირით ფიქსირდება გენერალიზაცია მთელი პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე გადანაწილების მიზნით: „ყველა ჩვენი მოქალაქე“, „ჩვენ, როგორც საზოგადოება“, „ყველა ერთად“. ასევე გვხვდება პასიური ფორმები: „ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ“, „არ აქვს ბოლომდე გათვითცნობიერებული“, რაც ხაზს უცოდინარობასა და უმოქმედობას უსვამს.

- სამედიცინო რეკომენდაციების დაუცველობასთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოხატვა მოქმედების ეთიკურ ჩარჩოში შეფასებითაც ხდება და მოქმედება წარმოჩენილია არა მხოლოდ როგორც რეგულაციის დარღვევა, არამედ როგორც მორალური დანაშაული. სტრატეგიის საკომუნიკაციო მიზანი კი შეგნებასა და სინდისზე თამაშია.

67) „როდესაც ჩვენ მივდივართ გარკვეული მასობრივი თავშეყრის ადგილებზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაზე გმირები ან თამამები ვართ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უბრალოდ პატივს არ ვცემთ ჩვენს გვერდით ადამიანებს, რომლებიც ჩვენს გვერდით არიან. ეს, უბრალოდ, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ პატივს არ ვცემთ ჩვენს მშობლებს და ჩვენი ოჯახის წევრებს.“
(<https://www.youtube.com/watch?v=4HcXWhEacu4>)

სპიკერების მიერ გამოხატულ უკმაყოფილებაში ასახულია ეროვნულ-კულტურული თავისებურებებიც. კერძოდ, დისკურსში ასევე ვლინდება ტრადიციული რიტუალების (ქორწილები, ქელები, დაბადების დღეები) კულტურული მნიშვნელობის კრიტიკა პანდემიური ვითარების კონტექსტში. სპიკერების მხრიდან აღნიშნული ღონისძიებები წარმოჩნდება, როგორც საფრთხის შემცველი ქცევა, რაც გამოიხატება შემდეგი ფრაზებით: „არ უნდა გვქონდეს ქორწილები“, „რიტუალური ღონისძიებებია“ (როგორც პრობლემის წყარო), „ერთი წლის შემდეგაც კი არ ესმით“.

68) „განსაკუთრებით დახურულ სივრცეში და ეს აშკარად მაგალითი გვანახა ჩვენ აჭარის რეგიონმა, სადაც ასე ვთქვათ, ბოლო თვეების განმავლობაში ძალზედ

ისეთი დიდი ქორწილები ჩატარდა და იქ იყო რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც მსგავსი სოციალური ღონისძიება გახდა გადაცემის წყარო.”
(<https://www.youtube.com/watch?v=xsYq87UpA8>)

სპიკერების მიერ ქართული კულტურული ჩვეულებების კრიტიკა დაპირისპირებას ქმნის ტრადიციასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას შორის.

- უკმაყოფილება გამოხატულია მორალის წაკითხვის/ავტორიტეტის პოზიციიდან დარიგების გზითაც. მაღალი თანამდებობის პირები საკუთარ თავს წარმოაჩენენ როგორც რაციონულ მორალურ ფიგურას, რომელიც „მოუწოდებს“, „ასწავლის“.

- ვხვდებით აგრეთვე მორალის არგუმენტით რეგულაციის გამართლებასაც. რეგულაციები და გამკაცრებული ზომები გამართლებულია არა მხოლოდ ჯანმრთელობით, არამედ მორალით: „ეს არ არის გმირობა“, „ეს არის უპატივცემულობა“, „ეს არის უპასუხისმგებლობა“. აღნიშნულ შემთხვევაში რეგულაციის დარღვევა განიხილება არა როგორც საჯარო წესის დარღვევა, არამედ როგორც საზოგადოებრივი ღირებულებების შელახვა.

პანდემიასთან დაკავშირებული დისკურსის დაკვირვების საფუძველზე გამოიკვეთა კიდევ ერთი სტილისტიკური საშუალება - ევფემიზმი (P10), რომლის გამოყენების ფარდობითი სიხშირეც საკმაოდ დაბალია - 0.0168 (0.0181 – I ტალღა, 0.0195 – II ტალღა, 0 – III ტალღა). პანდემიის ცალკეული ტალღის განმავლობაში საერთო ფარდობით სიხშირესთან ერთად დაბალია აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე. მისი გამოყენების სიხშირე თითქმის თანაბარია პანდემიის პირველი და მეორე ტალღის განმავლობაში, ხოლო აბსოლუტური ნული - მესამე ტალღის განმავლობაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პანდემიის აღნიშნულ ეტაპებზე სპიკერები უპირატესობას პირდაპირ კომუნიკაციას ანიჭებდნენ.

პანდემიასთან დაკავშირებულ დისკურსში გამოყენებული ევფემიზმების თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ :

- ქართველი სპიკერები უპირატესობას ანიჭებენ პატივისცემით შეფუთულ ფორმულირებებს: „ბრძანდებით“, „კეთილი ვინებოთ“, „მონა-მორჩილი“, რომლებიც ტრადიციულ ქართულ ენობრივ ეტიკეტს ასახავს, სადაც პირდაპირი მითითება ხშირად უხეშობად აღიქმება და ამიტომ საჭიროებს ენობრივ შერბილებას, ხოლო მისი

სტრატეგიული საკომუნიკაციო დანიშნულება კრიტიკის, მოწოდებისა თუ საკუთარი როლის თავაზიანად წარდგენა.

69) „როცა თქვენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ბრძანდებით და არ უკეთია ვიღაცას ნიღაბი ან სწორად არ უკეთია, კეთილი ვინებოთ და მივცეთ ეს შენიშვნა ადამიანებს.“ (<https://www.youtube.com/watch?v=1KWfLwDiufc>)

- დისკურსში ასევე იკვეთება ნეგატივის გადმოცემა შერბილებულად, რომლის მიზანიც რთული მდგომარეობის პირდაპირი აღიარების ნაცვლად პოზიტიური თვითაღქმის შენარჩუნებაა: „შეიძლება ქვეყანას უჭირს, კი არა ბევრ რამეში უჭირს“ - აქ გამოყენებულია ევფემისტური სტრუქტურა, რომელიც თავიდან თითქოს აკნინებს პრობლემას („შეიძლება...“) და შემდეგ პარადოქსული გამკაცრებით აღიარებს რეალობას.

- ფოკუსის გადატანა ეთიკურ ან მორალურ ნორმებზე, რომ არსებული კრიზისი არ არის მხოლოდ ეკონომიკური. ის არის ღირებულებითი კონფლიქტი ქართულ იდეალთან: „როგორც ქართველ კაცს ეკადრება“, „ღირსეულ სახელმწიფოს ეკადრება“. ეს ფორმულირება არ ამბობს პირდაპირ, რომ ხალხს უჭირს, არამედ აპელირებს ღირსებაზე, ღირებულებებსა და კულტურულ იდენტობაზე. ამასთანავე, მოსახლეობასთან ერთიანობის განცდას ამყარებს და ხაზს უსვამს, რომ სირთულე ღირსების შემცირება კი არ არის, არამედ დროებითი გამოწვევაა.

70) „ესე იგი, მინდა ვუთხრა საქართველოს მოსახლეობას, მინდა დავარწმუნო, რომ შესაძლოა, ქვეყანას რაღაცაში უჭირს კი არა, ბევრ რამეში უჭირს, შესაძლოა, ჩვენი ეკონომიკა განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაა და ჩვენი ხალხი ვერ ვცხოვრობს ისე, როგორც ქართველ კაცს ეკადრება და როგორც ღირსეულ სახელმწიფოს ეკადრება, ჯერ ვერ ცხოვრობს ესე.“ (https://www.youtube.com/watch?v=C_GG4Dd10g4)

- დისკურსში ვხვდებით ფასადურ თავმდაბლობასაც, პიროვნების როლის სიმდაბლეს: „თქვენი მონა-მორჩილი.“ ეს ევფემიზმი არქაულ სტილში ფორმულირებული თავმდაბლობის ნიშანია. სპიკერი თავს საზოგადოებრივ მსახურად წარმოაჩნს და ამავე დროს ბუნებრივ ავტორიტეტსაც ინარჩუნებს.

71) „დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი არის თქვენი მონა-მორჩილი და თქვენი მონა-მორჩილი თავის ცხოვრების განმავლობაში.“ (<https://www.youtube.com/watch?v=ajR5BSlrawE>)

ქართველი სპიკერების მიერ პანდემიასთან დაკავშირებულ დისკურსში ევფემიზმების გამოყენება რამდენიმე ცენტრალურ მიზანს ემსახურება. მათ შორის: კრიტიკულად მძიმე სიტუაციების შერბილებული ფორმულირება ემოციური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით; საზოგადოებრივი უკმაყოფილების თავიდან არიდება და გატარებული ზომებისა თუ პოლიტიკის ლეგიტიმაცია; კრიზისის მართვაზე პასუხისმგებლობის გადანაწილება; მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ ნდობის შენარჩუნება და მოქალაქეთა ქცევის მართვა თანაგრძნობაზე დაფუძნებული გზით.

ქართველი სპიკერები თითქმის იმავე სიხშირით მიმართავენ სამედიცინო პერსონალის როლზე ყურადღების გამახვილებას (M6), რა სიხშირითაც აკისრებენ არსებულ პანდემიურ სიტუაციაზე პასუხისმგებლობას სხვას ან ეწვეიან თვითკრიტიკას. აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0146-ია (0.0181 – I ტალღა, 0.0060 – II ტალღა, 0.0259 – III ტალღა). დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სპიკერები მედიკოსთა როლზე განსაკუთრებულ ყურადღებას პანდემიის პირველი და მესამე ტალღის ეტაპზე ამახვილებდნენ, ვინაიდან მაშინ მედიკოსები პანდემიასთან ბრძოლის ერთადერთ ბერკეტს წარმოადგენდნენ, ხოლო მეორე ეტაპზე, მაშინ როცა სიტუაციის სამედიცინო თვალსაზრისით მართვის გარდა, სხვა საჭიროებებიც იყო, შემცირდა აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირე.

ქართველი სპიკერების მიერ კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ დისკურსში სამედიცინო პერსონალის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილების კონკრეტულ შემთხვევებზე დაკვირვების შედეგად იკვეთება რიგი ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც ენობრივთან ერთად კულტურულ მნიშვნელობასაც ატარებს:

- მადლიერების გამოსახატად შერჩეული ლექსიკური ფორმები, რომლებიც ხაზს უსვამს არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ პიროვნულ ერთგულებას, რაც დისკურსს მატებს ემოციურ სიღრმეს: „გადავუხადო დიდი მადლობა“, „მინდა, მადლობა ვუთხრა“, „ვუხდი მადლობას“, „პირველ რიგში, მადლობა“

72) „*ვსარგებლობ შემთხვევით და მე მინდა, ყველა ჩემს თანამშრომელს, ეპიდემიოლოგებს, მთლიანად ცენტრს, ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომლებს, გადავუხადო დიდი მადლობა, ამ თავდაუზოგავი შრომისთვის, რასაც ისინი ეწვეიან.*“

(<https://www.youtube.com/watch?v=Ed6JKC9hFhQ>)

• აღსანიშნავია მედიკოსთა დახასიათებისას დადებითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელების გამოყენება („თავდადებული“, „საინტერესო რგოლი“, „ორიგინალური მიგნება“, „ყველაზე კვალიფიციური“, „ყველაზე უკეთესი კლინიკები“, „მნიშვნელოვანი პროცესი“), რაც მედიკოსთა მიმართ ძლიერ პატივისცემას გამოხატავს.

73) „ყველა ისინი ძალიან თავდადებული ადამიანები არიან, მადლობა ჩემზე, ჩვენს ეპიდემიოლოგებს, ლაბორატორიებს, ყველას, ვინც ამ ბრძოლაში არის ჩართული.“ (<https://www.youtube.com/watch?v=z2g26GUwxUE>)

• კოლექტიური მიმართვის ფორმები „ჩვენი მედიკოსები“, „ჩვენი ეპიდემიოლოგები“, „ჩვენი გუნდი“, „ჯანდაცვის მუშაკები“, „მთლიანად ცენტრი“, ქმნის ერთობისა და ერთობლივი ძალისხმევის შთაბეჭდილებას, რაც ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ღირებულებაა - ერთობა კრიზისის დროს.

74) „ამასთან ერთად, იმ ფაქტის კონსტატირებაც უნდა მოვახდინოთ, რომ დღეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს ეპიდემიოლოგებს, ჩვენს მეცნიერებს, ჩვენს ექიმებს.“ (<https://www.youtube.com/watch?v=pe172VSiE14>)

• სამედიცინო სფეროს სამხედრო და გმირული როლი და მათი წინა ხაზზე პოზიციონირება ხშირად მეტაფორიზებულია: „წინა ხაზზე არიან“, „კოვიდთან ბრძოლის წინა ხაზი“, „მათზე დგას სისტემა“.

75) „ეს არის პერსონალი, იმიტომ რომ ისინი წინა ხაზზე არიან.“ (<https://www.youtube.com/watch?v=Cbbxflf6uW0>)

• დისკურსში მრავლად ვხვდებით სამედიცინო პერსონალის პრიორიტეტულობის ხაზგასმას, რაც მიანიშნებს არა მარტო მათ ფუნქციურ დატვირთვაზე, არამედ სახელმწიფოს მიერ მათი განსაკუთრებული სტატუსის აღიარებაზე:

76) „ამიტომ, პირველ ეტაპზე აიცრებიან ჩვენი ვაქცინაციის გეგმის მიხედვით, ყველაზე მაღალი პრიორიტეტის ჯგუფი, ეს არიან ჩვენი კოლეგები, სამედიცინო მუშაკები, ჯანდაცვის მუშაკები: ექიმები, ექთნები, უმცროსი სამედიცინო პერსონალი, დამხმარე პერსონალი, ვინც დღეს დასაქმებულია ჯანდაცვის სექტორში, რადგან ისინი არიან სწორედ, კოვიდთან ბრძოლის წინა ხაზზე.“ (<https://www.youtube.com/watch?v=rFctm1QVjyg>)

77) „რამდენად მობილიზირებული იქნება სამედიცინო სფერო ამ მნიშვნელოვანი პროცესის ქვეყანაში განსახორციელებლად, რომელმაც უნდა დაამთავროს ჩვენთან ეპიდემია და მოგეხსენებათ, მთელ მსოფლიოში პანდემია.“ (<https://www.youtube.com/watch?v=rFctm1QVjyg>)

სამედიცინო მუშაკების სტატუსის აღიარების კვლადაკვალ, ვხვდებით სპიკერების მცდელობას, გაზარდონ სამედიცინო პერსონალის სანდობა და ავტორიტეტი. ამ კონკრეტული მიზნის მისაღწევად იმოწმებენ კონკრეტულ დაწესებულებებსა და თანამდებობებს: ლუგარის ცენტრი, თბილისის საუნივერსიტეტო კლინიკა, დაავადებათა კონტროლის ცენტრი; ბ-ნი. რატიანი, ცენტრის დირექტორი.

• სპიკერები საკუთარ დისკურსში ხშირად ახარისხებენ ფუნქციურ და სტრუქტურულ ტერმინებს: „ექიმები, ექთნები, უმცროსი პერსონალი, სანიტრები, ლაბორანტები“. აღნიშნული სტრატეგიის მიზანი არის არა მხოლოდ ინფორმაციის დეტალიზაცია, არამედ სისტემურობის იდეის წინ წამოწევა, იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ ყველა რგოლი მნიშვნელოვანია:

78) „რაც შეეხება მედპერსონალს, პირველ რიგში მადლობა ჩემს კოლეგებს, მთლიანად საქართველოს მედპერსონალს: ექიმებს, ექთნებს, დაბალ სამედიცინო პერსონალს, ვისაც ხანდახან სანიტრებს ეძახით, ანუ უმცროსი სამედიცინო პერსონალი.“ (<https://www.youtube.com/watch?v=z2g26GUwxUE>)

ქართულ სამედიცინო დისკურსში დაბალი სიხშირით ფიქსირდება სტილისტიკური საშუალების, „სამთა წესის“ (The Rule of Three) (P9), გამოყენება. მისი ფარდობითი სიხშირე 0.0038-ია (0.0063 – I ტალღა, 0.0012 – II ტალღა, 0 – III ტალღა). ქართულ დისკურსში აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირე პიკს პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში აღწევს, მომდევნო ეტაპების განმავლობაში კი იკლებს.

79) „ჩვენ სწრაფად უნდა აღვადგინოთ თითოეული სამუშაო ადგილი და ჩვენ ყველაფერი უნდა გავიკეთოთ, გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქართულ ოჯახებში, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს ის შემოსავალი, რომელიც ჩვენ გვქონდა პანდემიამდე და შემდგომ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა განვახორციელოთ, გავაძლიეროთ და განვაგრძოთ.“ (<https://www.youtube.com/watch?v=ab5QU6o6eAY>)

კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი ქართველი სპიკერების დისკურსში გამოყენებული „სამთა წესის“ თვისობრივი ანალიზის საფუძველზე ფიქსირდება:

- სტრუქტურული პარალელიზმი და რიტმულობა. პარალელური სტრუქტურები წარმოდგენილია ზედსართავების ან გარემოებების თანმიმდევრობით, რაც ქმნის რიტმულ, დასამახსოვრებელ ფორმულას:

80) „გვჯერა ეს თუ არ გვჯერა, ასე იყო, ხორციელდებოდა დროულად, ადეკვატურად და ეფექტურად.“ (https://www.youtube.com/watch?v=C_GG4Dd10g4)

„სამთა წესით“ ჩამოყალიბებული შეფასებები ხშირად აყალიბებს მოცემულობის ილუზიას, თითქოს პოზიცია უკვე საკმარისად და სრულად დასაბუთდა: „დროულად, ადეკვატურად და ეფექტურად,“ თითქოს ამას აღარ სჭირდება დამატებითი მტკიცებულება, ვინაიდან აღნიშნული სტრუქტურა ქმნის სისრულისა და თანხმობის შთაბეჭდილებას.

- „არასერიოზული, პოპულისტური, უპასუხისმგებლო“ - შეფასებითი ზედსართავების მწკრივი, რომელსაც მკაფიო ნეგატიური კონოტაცია აქვს.

- „სამთა წესი“ ქართულ დისკურსში გამოიყენება ემოციური და აზრობრივი ესკალაციისთვის. ყოველი მომდევნო ელემენტი ამძაფრებს წინა მნიშვნელობას:

81) „ჩვენ სრულად გვესმის და სრული პასუხისმგებლობით გვაქვს გააზრებული, რომ ეს არ არის ერთდღიანი, ერთთვიანი და ორთვიანი კრიზისი.“

(www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4)

„ერთდღიანი, ერთთვიანი და ორთვიანი“ ქმნის გრძელვადიანობის აღქმას და აუდიტორიას ამზადებს კრიზისის ხანგრძლივობის მისაღებად.

„სამთა წესი“ ქართულ რიტორიკაში გავრცელებულია როგორც კულტურულად დამკვიდრებული რიტორიკული ტაქტიკა, რომელიც ხშირად გამოიყენება საეკლესიო, სამთავრობო და მედიაენაშიც. იგი ქმნის დამაჯერებლობის და სიმჭიდროვის შთაბეჭდილებას, რაც განსაკუთრებით საჭიროა პანდემიის მსგავს კრიზისულ რიტორიკაში.

ქართველი სპიკერების მიერ „სამთა წესის“ გამოყენების სტრატეგიულ მიზნებს შორის აღსანიშნავია ინფორმაციის დამაჯერებლად წარმოდგენა, წარმოთქმული აზრის გამოკვეთა, მსმენელზე ემოციური ზემოქმედება და შესაძლო სხვა აზრის დისკრედიტაცია.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ ნარატივში იშვიათად, თუმცა მაინც ვხვდებით აღნიშნულთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციაში სხვის დადანაშაულებას (P13). აღნიშნულთანვე მიმართებით მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0008-ია (0.0007 I ტალღა, 0.0012- II ტალღა, 0 – III ტალღა). მისი გამოყენების ფარდობითი და აბსოლუტური სიხშირეები აჩვენებს, რომ ქართველი სპიკერები მიზანმიმართულად არიდებდნენ თავს ურთიერთბრალდებებზე დაფუძნებულ კომუნიკაციას. აღნიშნული მარკერის გამოყენების მაქსიმალური სიხშირე პანდემიის პიკის განმავლობაში ფიქსირდება, ხოლო მესამე ტალღის განმავლობაში ნულს უტოლდება.

არსებულ კოვიდსიტუაციაზე პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრების შემთხვევების ანალიზის შედეგად იკვეთება შემდგომი თავისებურებები:

- პასუხისმგებლობის აღიარება და ინსტიტუციური თვითკრიტიკა:

„მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ვაღიარებთ, აბსოლუტურად გულწრფელად,“ რისთვისაც გამოყენებულია მაღალი რეგისტრის ფორმა „მოგეხსენებათ,“ რაც საყოველთაო ცნობადობის იმპლიკაციას ქმნის. ფრაზა „ჩვენ ვაღიარებთ აბსოლუტურად გულწრფელად“ წარმოაჩენს პარტნიორულ ტონს, ხაზს უსვამს ღიაობას.

• ნარატივში ასევე ფიქსირდება ინსტიტუციური პასუხისმგებლობის სახელდება: „პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სამინისტრო.“ ეს არის პასუხისმგებლობის მკაფიო ლოკალიზაცია კონკრეტულ უწყებაზე, რაც იშვიათია საჯარო რიტორიკაში.

82) „აღსრულების გამკაცრების ნაწილში მოგეხსენებათ, რომ ჩვენ, ვაღიარებ, აბსოლუტურად გულწრფელად, რომ ბზობის დღეს სახელმწიფოს ინსტიტუტებს და პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა ემოქმედა უფრო ეფექტურად.“

(www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4)

• ნარატივში ვხვდებით ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ახსნას მიზეზ-შედეგობრივი კონსტრუქციებით: „ეს დინამიკა პირდაპირ კავშირშია მობილობის ზრდასთან...“


• ასევე იკვეთება კრიტიკული ირიბი ტონი: „მობილობის ზრდა“, „ტურიზმს მიეცა მეტი გასაქანი.“ ჩანს, რომ სპიკერი არ აკისრებს პირდაპირ პასუხისმგებლობას მოსახლეობას, არამედ შექმნილი გარემოებების ობიექტურ მოცემულობად წარმოაჩენს.

83) „ეს ზრდა, რაც ეხლა გვაქვს ჩვენ ეს, დინამიური 2 კვირის განმავლობაში, ეს პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მობილობის ზრდასთან, როცა ადგილობრივ ტურიზმს მიეცა მეტი გასაქანი.“ (<https://www.youtube.com/watch?v=1KWfLwDiufc>)

აღსანიშნავია, რომ არსებულ კოვიდსიტუაციაზე პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრების ნაწილში თითქმის თანაბარი რაოდენობით ფიქსირდება თვითკრიტიკა და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც ასევე ერთგვარი სტრატეგიაა კრიზისის პერიოდში.

გარდა პოლიტიკური და სამედიცინო მარკერებისა, წინამდებარე კორპუსული კვლევის საგანია დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელების გამოყენების სიხშირეც, რაც ასახავს სპიკერების ემოციურ განწყობას პრობლემის მიმართ ან რეალობას, რომლის წარმოჩენაც მათ სურთ ლინგვისტური საშუალებების, კონკრეტულად, ზედსართავი სახელის გამოყენებით.

დადებითი კონოტაციის ზედსართავი სახელების გამოყენების ფარდობითი სიხშირე, რომელიც საერთო ჯამში 0.3152-ს შეადგენს, პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში შედარებით სტაბილურობით ხასიათდება (I ტალღა: 0.3391; II ტალღა: 0.2560; III ტალღა: 0.3939). აღსანიშნავია, რომ გამოყენების პიკი მესამე ტალღის განმავლობაში ფიქსირდება, რაც, სავარაუდოდ, სიტუაციის მეტ-ნაკლებად კონტროლქვეშ მოქცევის შედეგია. უარყოფითი მნიშვნელობის მქონე შეფასებითი ზედსართავი სახელების გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.2436 -ია (0.2697 – I ტალღა, 0.2439 – II ტალღა, 0.0995 – III ტალღა). უარყოფითი კონოტაციის ზედსართავი სახელების დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ მათი გამოყენების სიხშირე ყველაზე მაღალი პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაშია, ხოლო ყოველი მომდევნო ტალღის განმავლობაში იკლებს, რაც სპიკერების მიერ კრიზისულ კონტექსტთან წარმატებულ ადაპტაციაზე მიუთითებს.



ქართულენოვან დისკურსში დადებითი (PA) და უარყოფითი (NA) კონოტაციური მნიშვნელობის შეფასებითი ზედსართავი სახელების გამოყენების ფარდობითი სიხშირე

პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში გამოყენებული ზედსართავი სახელების ანალიზი მიუთითებს, რომ სპიკერთა ცენტრალური მიზანი კრიზისის საპასუხო პოლიტიკის რიტორიკული ფორმირება იყო. ამ პერიოდის დისკურსში ყველაზე მაღალი სიხშირით ფიქსირდება შემდეგი შეფასებითი ერთეულები: „მნიშვნელოვანი“, „ძირითადი“, „საგანგებო“, „მძიმე“ და „დიდი“.

პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში გამოყენებული ზედსართავი სახელების ანალიზი მიუთითებს, რომ სპიკერთა ცენტრალური მიზანი კრიზისის საპასუხო პოლიტიკის რიტორიკული ფორმირება იყო. ამ პერიოდის დისკურსში ყველაზე მაღალი სიხშირით ფიქსირდება შემდეგი შეფასებითი ერთეულები: „მნიშვნელოვანი“, „ძირითადი“, „საგანგებო“, „მძიმე“ და „დიდი“.

ზედსართავი სახელი „მნიშვნელოვანი“ მიზნად ისახავდა მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აქცენტირებასა და საზოგადოების დარწმუნებას, რომ მმართველი ძალა აცნობიერებდა კრიზისის სირთულეს. ამავე პრიორიტეტების სტრუქტურირებას ემსახურებოდა სიტყვა „ძირითადი“, რომელიც მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმის წარმოჩენის ინსტრუმენტი იყო. პარალელურად, დისკურსში აქტიურად ჩნდება ისეთი მარკერები, რომლებიც სიტუაციის სიმძიმესა და რეგულაციების აუცილებლობას უსვამს ხაზს. ზედსართავი სახელი „საგანგებო“ ძირითადად გამოიყენებოდა მმართველი ძალის მიერ მიღებულ დროებით, თუმცა

აუცილებელ შეზღუდვებთან მიმართებით, ხოლო „მძიმე“ ფიქსირდებოდა არსებული საზოგადოებრივი სირთულეების აღსაწერად.

რიტორიკული სტრატეგიების ემპირიული დასაბუთებისა და მათი ლინგვისტური ბუნების კვლევისას დავყვარდებით კორპუსულ ანალიზს. კონკორდანსის მონაცემები ავლენს შერჩეული ზედსართავი სახელების რეალურ ფუნქციონირებას ცოცხალ მეტყველებაში; მათს ტიპურ გარემოცვასა და იმ სინტაქსურ პოზიციებს, რომლებიც სპიკერის პრაგმატული ჩანაფიქრის რეალიზაციაა.

კორპუსული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ზედსართავი სახელი „მნიშვნელოვანი“ წამყვან როლს ასრულებს პრიორიტეტების იერარქიაში. საკითხის აქტუალურობის ხაზგასასმელად სპიკერები თითქმის ყოველთვის მიმართავენ აღმატებით ხარისხს: „ძალზედ/ძალიან მნიშვნელოვანი“, „კრიტიკულად მნიშვნელოვანი“, „უკიდურესად მნიშვნელოვანი“ და „ბევრად უფრო მნიშვნელოვანი.“ აღნიშნული კოლოკაციები ემსახურება მსმენელის ყურადღების ფოკუსირებას კრიზისულ ასპექტებზე. ასევე ხშირად ფიქსირდება „ყველაზე მნიშვნელოვანი“, რაც პრიორიტეტების მკაფიო განსაზღვრაზე მიუთითებს. სემანტიკური თვალსაზრისით, ეს სიტყვა სამ ძირითად მიმართულებაში დომინირებს: 1. ეკონომიკა და დასაქმება (მაგ.: „სამუშაო ადგილები და ეკონომიკა იქნება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი“); 2. ჯანდაცვა და ეპიდემია (კოლოკაციები ტერმინებთან: „ვაქცინაცია“, „ტესტირება“, „ინფექციის განვითარება“, „სამედიცინო სფერო“); 3. პოლიტიკა და გადაწყვეტილებები („მნიშვნელოვანი თარიღი“, „მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება“, „პოლიტიკური კრიზისი“).

იმავე რიტორიკულ სტრატეგიას ემსახურება ზედსართავი სახელი „ძირითადი“, რომელიც სტრატეგიულ კონკრეტიზაციაზეა ორიენტირებული. კორპუსული ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი, უპირატესად, განსაზღვრებითი ფუნქციით გვხვდება და ფიქსირდება მყარ კოლოკაციებში ისეთ აბსტრაქტულ არსებით სახელებთან, რომლებიც სამოქმედო გეგმას უკავშირდება. ფუნქციურად იგი შემდეგ ჯგუფებად იყოფა: **მიზანდასახულობა**: „ძირითადი ამოცანა“, „ძირითადი მიზანი“; **ლოგიკური არგუმენტაცია**: „ძირითადი მიზეზი“; **სტრატეგიული დაგეგმვა**: „ძირითადი მიდგომა“.

საკითხის რელევანტურობის ხაზგასმას ემსახურება სინტაქსური მოდელი „ეს არის ის ძირითადი...“, სადაც ზედსართავი სახელი აკონკრეტებს ისეთ ცნებებს,

როგორებიცაა: გადაწყვეტილებები, გამოწვევები, თემები და ინფორმაცია (მაგ.: „ეს არის ის ძირითადი გადაწყვეტილებები“; „ეს გახლავთ ის ძირითადი გამოწვევა“). გარდა ამისა, სიტყვა ხშირად ფიგურირებს დამხმარე ზმნებთან - „არის“ და „გახლავთ“, რაც აძლიერებს გამონათქვამის სიმტკიცეს და სპიკერის პოზიციის ლეგიტიმაციას ისახავს მიზნად. თემატურად იგი აქტიურია - კრიზისული მენეჯმენტის, ფინანსური სექტორისა და სტრატეგიული დაგეგმვის კონტექსტში („კრიზისული დახმარება“, „ეკონომიკური განვითარება“, „სტრატეგია ამ მიმართულებით“).

სიტყვა „საგანგებო“ უპირატესად ფიქსირდება დომინანტურ კოლოკაციაში „საგანგებო მდგომარეობა“. იგი გვევლინება არა როგორც ეპითეტი, არამედ როგორც მკაცრად განსაზღვრული იურიდიული ტერმინი. მას ხშირად ახლავს ვადებისა და დინამიკის ამსახველი ზმნები: „გამოცხადება“, „გაგრძელება“, „გაუქმება“ (მაგ.: „საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებაზე“, „საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა“). იკვეთება ლოკალიზაციაც (მაგ.: „საგანგებო მდგომარეობა მარნეულში“). გარდა ამისა, იგი გამოიყენება ინსტიტუციური იდენტიფიცირებისთვის: „საგანგებო შტაბი“, „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური“, „საგანგებო ბრიფინგი / განცხადება“. ტონალობის თვალსაზრისით, იგი ატარებს სიმკაცრისა და მობილიზაციის კონოტაციას და ხშირად თანაარსებობს სიტყვებთან და შესიტყვებებთან: „შეზღუდვები“, „კანონმდებლობა“, „პრეზიდენტის დეკრეტი“.

ზედსართავი სახელი „დიდი“, მიუხედავად მისი დენოტაციური ნეიტრალობისა, ხშირად იძენს ნეგატიურ კონოტაციას, როდესაც აძლიერებს უარყოფითი მოვლენების მასშტაბს. იგი გამოიყენება საფრთხისა და რისკის ხაზგასასმელად ისეთ კოლოკაციებში, როგორებიცაა: „დიდი რისკი“ (მაგ.: „ინფიცირების დიდი რისკი“, „დიდი რისკის ქვეშ“), „დიდი საფრთხე“ და „დიდი გამოწვევა“. კორპუსში ასევე იკვეთება აქცენტი ზარალის სიდიდეზე: „დიდი რაოდენობა“ (ინფიცირებულთა ან გარდაცვლილთა), „დიდი დარტყმა“ (ტურიზმის ან ეკონომიკის მიმართ) და „დიდი წნეხი“ (ჰოსპიტალურ სექტორზე). სინტაქსურად აღსანიშნავია შედარებითი კონსტრუქციები: „კიდევ უფრო დიდი...“ (მდგომარეობის გაუარესების პროგნოზირებისთვის) და „არც ისე დიდი...“ (ნეგატიური გავლენის განცდის შესამცირებლად).

მომდევნო მაღალი სიხშირის ერთეულია „მძიმე“, რომელიც ყველაზე ხშირად პაციენტების კლინიკური მდგომარეობის აღწერისას ფიქსირდება: „მძიმე პაციენტი / შემთხვევა“, „უკიდურესად მძიმე“ და „მძიმე ფონი“ (თანმხლები დაავადებების აღსანიშნავად). კლინიკური კონტექსტის მიღმა იგი გამოიყენება აბსტრაქტულ ცნებებთან: „მძიმე სურათი“, „მძიმე გადაწყვეტილება“, „მძიმე დღეები / პერიოდი“. სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში კი ხაზს უსვამს ქვეყნის მიერ განცდილ ზიანს: „მძიმე დარტყმა“, „მძიმე ტვირთი“, „მძიმე შედეგები“. მას ხშირად ახლავს გამამდიერებლები: „ძალიან მძიმე“, „საკმაოდ მძიმე“, „კიდევ უფრო მძიმე“.

პანდემიის მეორე ტალღის განმავლობაში გამოყენებული ზედსართავი სახელების ანალიზი მიუთითებს, რომ სპიკერების დისკურსი გახდა უფრო პრაგმატული, დაბალანსებული და რეალისტური. ამ პერიოდის ცენტრალური თემებია ოპერატიულობა, სახელმწიფო უწყებების დროული რეაქცია, ინოვაცია და პანდემიურ რეალობასთან ადაპტაცია. ამ სტრატეგიული მიზნების პრაქტიკული რეალიზაციის საჩვენებლად, მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ იმ საკვანძო ზედსართავ სახელებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კრიზისული რეალობის ვერბალიზაცია.

ზედსართავი სახელი „სწრაფი“ მეორე ტალღის დისკურსში ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს. იგი გამოიყენება როგორც სახელმწიფოს საპასუხო რეაქციის პოზიტიური შეფასებისთვის, ისე იმის ხაზგასასმელად, რომ ოპერატიულობა ასობით სიცოცხლის გადარჩენის საშუალებას იძლევა.

კორპუსულ მასალაში სიტყვა „სწრაფი“ ყველაზე მაღალი სიხშირით ვლინდება სამედიცინო კოლოკაციებში: „სწრაფი ტესტები“, „სწრაფი ტესტირება“ და „ანტიგენის სწრაფი ტესტები“. აღნიშნული კონსტრუქციები დომინირებს რეკომენდაციებსა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა გამოსვლებში, რაც დიაგნოსტიკის ოპერატიულობაზე მიუთითებს. აგრეთვე, იგი აქტიურად გამოიყენება მოვლენებზე რეაგირების ხარისხობრივი მაჩვენებლის აღსანიშნავად. „სწრაფი რეაგირება“ პოზიციონირებულია, როგორც კრიზისის მართვის აუცილებელი პირობა, ხოლო „სწრაფი გამოვლენა“ ინფიცირების შემთხვევების დროულ იდენტიფიცირებას უკავშირდება. ამავე კონტექსტში, არსებითი სახელი „სისწრაფე“ ხშირად გამოიყენება ვირუსის გავრცელების ტემპის აღსაწერად.

სამედიცინო თემატიკის მიღმა, „სწრაფი“ ფიგურირებს ეკონომიკური პროცესების დახასიათებისას, სადაც ყველაზე გავრცელებული ფორმაა „სწრაფი აღდგენა“. ეს ერთეული გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპს პოსტკრიზისულ პერიოდში და ხაზს უსვამს სახელმწიფოს პოზიტიურ მოლოდინებსა და სამომავლო დინამიკას.

ზედსართავი სახელი „ახალი“ მეორე ტალღის დისკურსში ორგვარ ბუნებას ავლენს. მიუხედავად მისი პოტენციური პოზიტიურობისა, პანდემიურ პერიოდში იგი უპირატესად უარყოფითი კონოტაციით ფუნქციონირებს. იგი უმთავრესად გვხვდება მყარ კოლოკაციაში „ახალი შემთხვევა“ და თითქმის ყოველთვის სამედიცინო-სტატისტიკური მონაცემების აღსაწერად გამოიყენება. კორპუსში ამ ერთეულს ხშირად ახლავს კონკრეტული რაოდენობრივი ციფრები (მაგ.: „ახალი 44 შემთხვევა“, „ახალი 218 შემთხვევა“), რაც ხაზს უსვამს პროცესის უწყვეტობასა და მასშტაბს. ამასთანავე, იკვეთება მოვლენის ლოკალიზაცია (მაგ.: „ახალი შემთხვევა... თბილისში“) და დროითი მარკირება („ყოველდღიური ახალი შემთხვევების რიცხვი“). სამედიცინო სპეციფიკის ჭრილში კი სიტყვა „ახალი“ ვირუსის ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას უკავშირდება („ახალი მუტაცია“, „ახალი შტამების გამოჩენა“).

პარალელურად, „ახალი“ გამოიყენება სისტემური ცვლილებების ვერბალიზაციისთვისაც, სადაც ის დადებით კონოტაციურ მნიშვნელობას იძენს და უკავშირდება ქვეყნის განვითარების პოსტკრიზისულ ხედვას: „ახალი სამუშაო ადგილების შექმნა“, „ახალი მართვის მექანიზმი“ და „ახალი ბაზრების გახსნა“. საკანონმდებლო პროცესის აღწერისას (მაგ.: „ახალი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები“), ეს ზედსართავი სახელი ორიენტირებულია განახლებასა და ადაპტაციაზე.

ზედსართავი სახელები „მაღალი“ და „დიდი“ მეორე ტალღისას ძირითადად ნეგატიური მნიშვნელობით ფიგურირებს. „მაღალი“ უპირატესად დაავადების გავრცელების საფრთხისა და პროცესის სიმწვავეს აღსაწერად გამოიყენება. მისი სემანტიკური დატვირთვა რამდენიმე მიმართულებად იყოფა:

საფრთხე და მოლოდინები: „მაღალი რისკი“ (მაგ.: „დაინფიცირების მაღალი რისკი“, „მაღალი რისკის ზონა“), „მაღალი ალბათობა“ და „მაღალი მობილობა“. აღსანიშნავია, რომ მობილობა, რომელიც ტრადიციულად ნეიტრალურია, აქ უარყოფით მოვლენად ტრანსფორმირდება.

კლინიკური სიმწვავე: „მაღალი ტემპერატურა“, „მაღალი სიკვდილიანობა“ და „მაღალი ლეტალობა“.

სისტემური წნეხი: „მაღალი დატვირთვა“ (ჰოსპიტალურ სექტორსა და „ცხელ ხაზზე“) და „მაღალი პასუხისმგებლობა“, რაც ხშირად გაფრთხილებად ჟღერს.

სინტაქსურად, შედარებითი კონსტრუქცია, როგორცაა „იმზე მაღალი, ვიდრე ველოდით“, ხაზს უსვამს პროცესების არაპროგნოზირებადობას და კონტროლის მექანიზმების შესუსტებას.

ზედსართავი სახელი „გლობალური“ გამოიყენება საქართველოში არსებული მდგომარეობის მსოფლიო პერსპექტივაში წარმოსაჩენად. იგი ყველაზე მყარად ორ სფეროსთან არის დაკავშირებული:

საერთო საფრთხე: „გლობალური პანდემია“ და „გლობალური გამოწვევა“. აქ სიტყვა ხაზს უსვამს, რომ პრობლემა მხოლოდ საქართველოს არ ეხება: „გლობალური ეკონომიკური კრიზისი“. ამ შემთხვევაში სიტყვა „გლობალური“ ასრულებს „გამართლების“ ფუნქციას. მიანიშნებს, რომ კრიზისი გარე ფაქტორებითაა გამოწვეული, რაც მმართველი ძალის პასუხისმგებლობის შემცირებაზეა ორიენტირებული.

სემანტიკურად „გლობალური“ ატარებს ორ საპირისპირო ემოციურ დატვირთვას: ნეგატიურს, რაც უმწეობაზე მიანიშნებს („გლობალური საფრთხე“), და პოზიტიურს, რაც სოლიდარობასა და საერთაშორისო მხარდაჭერის იმედს უკავშირდება („გლობალური ძალისხმევა“, „გლობალური თანამშრომლობა“).

მესამე ტალღის განმავლობაში გამოყენებული ზედსართავი სახელების ანალიზი ცხადყოფს, რომ დისკურსი არსებული კრიზისის ნაცვლად ორიენტირებულია მომავალზე. ამ ეტაპზე საკვანძო შეფასებითი ერთეულებია: „მნიშვნელოვანი“, „აქტიური“, „საყოველთაო“, „ინფიცირებული“ და „მკაცრი“. ვაქცინაციის პროცესით გამოწვეული ოპტიმიზმი მაღალია, რაც უნივერსალური ღირებულებების აქცენტირებასა და საზოგადოებრივი ჩართულობისკენ მოწოდებაზე აისახება.

ზედსართავი სახელი „მნიშვნელოვანი“ მესამე ტალღის ეტაპზე უმთავრესად კრიზისის საპასუხო პოლიტიკის, კონკრეტულად კი ვაქცინაციის, პრიორიტეტულობისა და სახელმწიფო მიღწევების შესაფასებლად გამოიყენება.

კორპუსული მონაცემების მიხედვით, განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვა აქვს ზედსართავ სახელს „აქტიური“, რომელიც რეაქციის მდგომარეობიდან ქმედებაზე გადასვლასა და საზოგადოების როლს წარმოაჩენს. იგი ყველაზე მაღალი სიხშირით ფიქსირდება ტერმინოლოგიურ კოლოკაციაში „აქტიური შემთხვევა“. მისი გამოყენება რამდენიმე ასპექტში ვლინდება: რაოდენობრივი მაჩვენებლები - სიტყვა ხშირად თანაარსებობს კონკრეტულ ციფრობრივ მონაცემებთან, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს (მაგ.: „აქტიური შემთხვევა ქვეყანაში არის 20305“) და დინამიკის ასახვა - ტერმინი გამოიყენება იმ პაციენტების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც მოცემულ მომენტში მკურნალობენ და ეპიდემიოლოგიური დაკვირვების ობიექტები არიან.

ამავდროულად, „აქტიური“ სხვადასხვა სუბიექტის ჩართულობის გამოსახატავად გამოიყენება. შესიტყვება „აქტიური ჩართულობა“ მიმართულია მოქალაქეების სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებისკენ, ხოლო სამთავრობო დონეზე იგი აღწერს სტრატეგიულ პროცესებს, როგორებიცაა „აქტიური მოლაპარაკება“ ვაქცინების მწარმოებლებთან (ფაიზერი, სინოვაკი) და სამედიცინო სექტორის „აქტიური მონაწილეობა“ იმუნიზაციაში. კორპუსული ანალიზი ასევე აჩვენებს მის გამოყენებას პროცესის ინტენსიური სტადიის მარკირებისთვის: „აქტიური მართვის ფაზა“ და „აქტიური ტესტირების ეტაპი“, რაც რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციაზე მიუთითებს.

ზედსართავი სახელი „საყოველთაო“ ემსახურება ვაქცინისა და სერვისების ხელმისაწვდომობის ხაზგასმას. კორპუსში დომინირებს კოლოკაცია „საყოველთაო ჯანდაცვა“, რომელიც სახელმწიფო პროგრამულ კონტექსტში გვხვდება („საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა / რეფორმა“).

პანდემიის მართვის პროცესში იკვეთება ორი წამყვანი ფუნქციური წყვილი: საყოველთაო ვაქცინაცია, რაც ხაზს უსვამს პროცესის მასობრიობას და ვაქცინის, როგორც კრიზისის ერთადერთი სწორი პასუხის წარმოჩენას და საყოველთაო ტესტირება, რაც აღწერს ეპიდემიოლოგიური სკრინინგის იმ ეტაპს, როდესაც კვლევა მოიცავს მოსახლეობის დიდ ნაწილს.

სემანტიკურად „საყოველთაო“ ორმაგ პრაგმატულ ფუნქციას ატარებს: იგი აღნიშნავს უფლებას (გარანტირებული სერვისი, მაგ.: „საყოველთაო დაზღვევა“) და

პასუხისმგებლობას („საყოველთაო წესების დაცვა“). ეს უკანასკნელი, მიუხედავად სიმცირისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი კონსენსუსის ფორმირებაში.

მესამე ტალღის დისკურსში ნეგატიური კონოტაციის მქონე სახელები უფრო სპეციფიკური ხდება. ტერმინი „ინფიცირებული“ გამოიყენება საკითხის პოლიტიკურიდან სამედიცინო ჭრილში გადასატანად. ამავდროულად, ზედსართავი სახელი „ახალი“ ამ ეტაპზე საგრძნობლად ნაკლები სიხშირით გვხვდება.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზედსართავ სახელს „მკაცრი“, რომელიც ყველაზე ხშირად ფიქსირდება კოლოკაციაში „მკაცრი შეზღუდვები“. აქ იგი ასრულებს ხარისხობრივი ინტენსიფიკატორის ფუნქციას.

პოლიტიკური ინსტრუმენტი: „მკაცრი შეზღუდვების დაწესება“ და „მკაცრი ლოკდაუნი“ გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილებების ხაზგასასმელად. კონტექსტი მიუთითებს ამ ზომების გარდაუვალობაზე („მკაცრი წესების დაცვა“).

ზედამხედველობა - „მკაცრი კონტროლი“ უკავშირდება საზღვრების მართვასა და თვითიზოლაციას, ხოლო „მკაცრი მონიტორინგი“ - ბიზნესსექტორის მიერ პროტოკოლების შესრულებას.

სემანტიკურად „მკაცრი“ ატარებს ორმაგ დატვირთვას: სახელმწიფოებრივი პოზიცია (პრევენციული საჭიროება „უფრო მძიმე შედეგების“ თავიდან ასაცილებლად) და სოციალური წნეხი (სირთულეები, რომლებსაც საზოგადოება განიცდის, მაგ.: „მკაცრი ეკონომიკური შეზღუდვები“). ხშირად ეს სიტყვა გვხვდება თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის არჩევანის შეთავაზებისას.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართულენოვანი პრესკონფერენციების დისკურსული ანალიზი ცხადყოფს, რომ კრიზისული კომუნიკაცია არ ყოფილა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის აქტი, არამედ წარმოადგენდა რთულ, დინამიკურ ლინგვისტურ სტრატეგიას. სამედიცინო (M) და პოლიტიკური (P) მარკერების ურთიერთმონაცვლეობა და მათი ფარდობითი სიხშირის ცვალებადობა ასახავს მმართველი რგოლის მცდელობას, დაებალანსებინა ექსპერტული ავტორიტეტი, საზოგადოებრივი მობილიზაცია დაშინების ენით და შეენარჩუნებინა ემოციური მდგრადობა დამამშვიდებელი რიტორიკით. დიაქრონიულმა ანალიზმა აჩვენა ევოლუცია პირველი ტალღის „პოლიტიკური მართვის“ ფაზიდან მესამე ტალღის

„მეცნიერული ვალიდაციის“ ფაზამდე. საბოლოო ჯამში, პანდემიური დისკურსი ჩამოყალიბდა როგორც მრავალშრიანი ეკოსისტემა, სადაც ლინგვისტური არჩევანი ემსახურებოდა არა მხოლოდ ჯანდაცვის კრიზისის მართვას, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმაციასა და სოციალური ქცევის კონტროლს გაურკვევლობის პირობებში.

4.2. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი პრესკონფერენციის დისკურსის ლინგვისტური ანალიზი

პანდემიის ქართულენოვანი დისკურსის თავისებურებების განხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია პარალელის გავლება ინგლისურენოვანი, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ამერიკული პრესკონფერენციების გამოცდილებასთან, სადაც ჟანრობრივი ანალიზის საფუძველზე დისკურსის ორი დომინანტი ტიპის ურთიერთქმედება იკვეთება. ამერიკული პანდემიური დისკურსი, მსგავსად ქართულისა, თავისი ბუნებით ჰიბრიდულია და წარმოადგენს სამედიცინო და პოლიტიკური ნარატივების ნაზავს. ერთი მხრივ, მასში დომინირებს სამედიცინო დისკურსი, რომელიც ორიენტირებულია ვირუსთან დაკავშირებული ინფორმაციის საზოგადოებისთვის გადაცემასა და ჯანდაცვის სისტემის სტატუსის მიმოხილვაზე; მეორე მხრივ კი, მკაფიოდ ვლინდება პოლიტიკური და რიტორიკული განზომილება, სადაც აქტიურად გამოიყენება გადაბირების მრავალგვარი ლინგვისტური სტრატეგია. წინამდებარე თავში წარმოდგენილია აღნიშნული დისკურსული მარკერების პრაგმატული ანალიზი და განხილულია ის კონკრეტული კონტექსტები, სადაც სამედიცინო სიზუსტე და პოლიტიკური პრაგმატიკა ერთმანეთს კვეთს.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი პრესკონფერენციის დისკურსის ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის შედეგად იკვეთება წინასწარ შერჩეული სამედიცინო და პოლიტიკური დისკურსის მარკერების გამოყენების შემდგომი აბსოლუტური სიხშირე:

მარკერი	I ტალღა	II ტალღა	III ტალღა
M1	3421	996	617
M2	638	129	81

M3	116	21	45
M4	1981	600	186
M5	25	9	3
M6	99	11	0
P1	298	129	41
P2	771	315	97
P3	255	64	59
P4	313	132	36
P5	63	16	1
P6	361	51	39
P7	726	120	101
P8	177	63	17
P9	38	12	5
P10	45	8	15
P11	245	62	7
P12	301	45	23
P13	49	64	0

პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში თითოეული მარკერის გამოყენების აბსოლუტურ და ფარდობით სიხშირესთან ერთად ყურადღებას იპყრობს ცალკეული ტალღის განმავლობაში თითოეული მარკერის გამოყენების სიხშირე, რაც კონტექსტით განპირობებული საკომუნიკაციო და რიტორიკული სტრატეგიის ლინგვისტური დახასიათების საშუალებას გვაძლევს.

I ტალღა	II ტალღა	III ტალღა
M1	M1	M1
M4	M4	M4
P2	P2	P7
P7	P4	P2
M2	M2	M2
P6	P1	P3

P4	P7	M3
P12	P3	P1
P1	P13	P6
P3	P8	P4
P11	P11	P12
P8	P6	P8
M3	P12	P10
M6	M3	P11
P5	P5	P9
P13	P9	M5
P10	M6	P5
P9	M5	P13

ინგლისურენოვანი (ამერიკული) პანდემიური დისკურსის ანალიზი ავლენს მკაფიო კანონზომიერებას: ორატორული სტრატეგია ეყრდნობა მყარ, უცვლელ ბირთვს, რომელიც პანდემიის თითქმის მთელ პერიოდს გასდევს, ხოლო რიტორიკული აქცენტები მხოლოდ ფინალურ ეტაპზე იცვლება. კორპუსული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია თვალი მივადევნოთ, თუ როგორ ტრანსფორმირდა კომუნიკაციის სტილი კრიზისის მართვის ფაზების მიხედვით.

ქვემოთ წარმოდგენილია დომინანტი მარკერების განაწილება ტალღების მიხედვით, რაც ნათლად აჩვენებს რიტორიკული „ხერხემლის“ მდგრადობას:

I და II ტალღა: რეალობის მართვა და თვითრეპრეზენტაცია

მარკერები: M1, PA, M4 + P2

პანდემიის საწყის და პიკურ ეტაპებზე დისკურსის მთავარი დანიშნულება ადმინისტრაციის ეფექტურობის მტკიცება იყო. სამედიცინო ტერმინოლოგიისა (M1) და დამამშვიდებელი რიტორიკის (M4) ფონზე, გადამწყვეტ როლს ასრულებდა საკუთარი მიღწევების ჰიპერბოლიზება (P2). აღნიშნული სტრატეგია მიზნად ისახავდა ნარატივის დამკვიდრებას, რომ მმართველი გუნდი კრიზისს „საუკეთესო“ და „მასშტაბური“ მეთოდებით უმკლავდებოდა, რაც პოლიტიკური რეიტინგისა და ნდობის შენარჩუნების მთავარი ინსტრუმენტი იყო.

III ტალღა: სტაბილიზაცია და ემოციური მობილიზაცია

მარკერები: M1, PA, M4 + P7

დასკვნით ფაზაში დისკურსი პრაგმატულ ოპტიმიზმზე ორიენტირებული ხდება. ამ ეტაპზე „მიღწევების ჰიპერბოლიზებას“ (P2) ანაცვლებს პათოსი (P7). ეს სტრატეგიული ცვლილება უკავშირდება ვაქცინაციის ეტაპს. მას შემდეგ, რაც მართვის მექანიზმები ჩამოყალიბდა, ადმინისტრაციამ აქცენტი ტექნიკური მიღწევების დემონსტრირებიდან საზოგადოების ემოციურ მობილიზაციასა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააქტიურებაზე გადაიტანა.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი დისკურსის რაოდენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი ამერიკელი სპიკერები გაცილებით მაღალი სიხშირით გამოიყენებენ სამედიცინო დისკურსის მარკერებს, ვიდრე პოლიტიკური დისკურსის მარკერებს.

რაც შეეხება ინგლისურენოვან დისკურსში ცალკეული მარკერის გამოყენების სიხშირეს, ემპირიული მასალის კორპუსულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკელი სპიკერები ყველაზე ხშირად სამედიცინო ტერმინოლოგიასა და მასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს (M1) იყენებდნენ. აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში საშუალოდ 0.3870-ს შეადგენს, თუმცა დიაქრონიული ანალიზი აჩვენებს, რომ ტერმინოლოგიის გამოყენების ინტენსივობა ტალღიდან ტალღამდე მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა (0.3496 - პირველი ტალღა, 0.4184 - მეორე ტალღა და 0.7336 - მესამე ტალღა).

პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში ყველაზე ხშირად გამოყენებული სამედიცინო ერთეულებია: „Virus“ (ვირუსი), „Testing“/„Tests“ (ტესტირება/ტესტები) და „Social distancing“ (სოციალური დისტანცირება). ამ ეტაპზე ვირუსის მართვაზე პასუხისმგებელი პირების ძირითად მიზანს ახალ საფრთხესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენდა. ლექსიკურად ეს სამ ძირითად პრიორიტეტში გამოიხატა: საფრთხის განსაზღვრა (Virus), გავრცელების მონიტორინგი (Testing) და მოსახლეობის ქცევის მართვა პრევენციის მიზნით (Social Distancing).

მეორე ტალღის პერიოდში, გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერების ფონზე, სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენების სიხშირე მცირედით კიდევ უფრო გაიზარდა. ამ ეტაპზე დომინანტური ლექსიკური ერთეულები გახდა:

„Vaccine“/„Vaccines“ (ვაქცინა/ვაქცინები), „Pandemic“/„Plague“ (პანდემია/ჭირი) და „Testing“/„Rapid Tests“ (ტესტირება/სწრაფი ტესტები). აღნიშნული ტერმინებისთვის უპირატესობის მინიჭება განპირობებული იყო კრიზისული კომუნიკაციით, სადაც აქცენტი შიშიდან გადატანილ იქნა ტექნოლოგიურ და ლოგისტიკურ გადაწყვეტებზე, კერძოდ, ვაქცინებისა და ტესტების შექმნა-დისტრიბუციაზე.

სამედიცინო ლექსიკის გამოყენებამ პიკს მესამე ტალღის განმავლობაში მიაღწია, როდესაც დისკურსის მთავარ თემად ვაქცინაცია და ვირუსის ახალი ვარიანტები იქცა. ყველაზე მაღალი სიხშირით ფიქსირდება ერთეულები: „Vaccination“/„Vaccinated“ (ვაქცინაცია/ვაქცინირებული), „Shots“/„Doses“ (ინექციები/დოზები) და „Masks“/„Masking“ (ნიღბები). ამ ტერმინების აქტუალურობა ემსახურებოდა საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ პანდემია დასასრულს უახლოვდებოდა, თუმცა ამისათვის საჭირო იყო ე.წ. „ბოლო დარტყმა“ მასობრივი ვაქცინაციის სახით.

აღსანიშნავია, რომ კოვიდდისკურსში ჩართული აქტორები, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, არიან პოლიტიკური პირები, ტექნიკური პერსონალი და საზოგადოება, როგორც პოტენციური პაციენტი. ვინაიდან სამედიცინო საკითხების განხილვა ხდება არა კლინიკურ გარემოში, არამედ საჯარო პლატფორმებზე, პანდემიური დისკურსი არ არის ცალსახად სამედიცინო ბუნების. სწორედ ეს გარემო-ფაქტორები განაპირობებს სამედიცინო ენის ადაპტირებულ გამოყენებას. მაგალითად, ექსპერტები პროფესიული კომუნიკაციისას იყენებენ ტექნიკურ ტერმინს - „SARS-CoV-2“, საზოგადოებასთან ურთიერთობისას - შედარებით გამარტივებულ „COVID-19“-ს, ხოლო მოქალაქეები ყოველდღიურ მეტყველებაში უპირატესობას ზოგად ერთეულს - „Virus“-ს ანიჭებენ.

საბოლოოდ, სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენება, გარდა კრიზისული საჭიროებისა, მიზნად ისახავს ნდობის გაღვივებას საზოგადოებასა და მმართველ პირებს შორის. პროფესიული ლექსიკის გამოყენება მიუთითებს კომპეტენციასა და ცოდნაზე, რაც საშუალებას იძლევა, რთული კონცეპტები ერთგვარად შეინიღბოს და მართვად ელემენტებად წარმოჩნდეს.

ამერიკულ პანდემიურ დისკურსში გამოყენებულ ლინგვისტურ მანიპულაციებს შორის ორატორები ყველაზე დიდი სიხშირით საზოგადოების დამშვიდებას (M4) მიმართავენ. აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.2127-ია (0.2024

– I ტალღა, 0.2521 – II ტალღა, 0.2211 – III ტალღა). აღსანიშნავია, რომ საზოგადოებას მმართველი ძალა ყველაზე დიდი სიხშირით პანდემიის მეორე ტალღის განმავლობაში ამშვიდებდა, ვინაიდან სწორედ პანდემიის პიკის განმავლობაში იყო საზოგადოების მღელვარება ყველაზე მაღალი. მესამე ტალღის პერიოდში ფიქსირდება აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირის კლება, თუმცა სიხშირე მაინც მაღალია, რაც ისევ ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ორაზროვან მოსაზრებს უკავშირდება.

1) *"We are not dealing with a scenario where nothing is being done. Every American is taking action, and we are tracking and managing resources hospital by hospital, state by state, and county by county to outline what the infrastructure needs are and ensure that we're meeting them, both from the stockpile and from the generosity and movement of the American people and other hospitals."* (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-press-conference-transcript-march-25>)

2) *"What the investigators at Duke University found out was that a specific highly-conserved site on the receptor-binding domain of the spike protein makes multiple human and bat coronaviruses highly vulnerable to cross-neutralizing antibodies."*

(<https://bidenwhitehouse.archives.gov/briefing-room/press-briefings/2021/05/13/press-briefing-by-white-house-covid-19-response-team-and-public-health-officials>)

მმართველი ძალა საზოგადოების დასამშვიდებლად აქცენტს აკეთებდა რიგ საკითხებზე. მათ შორის:

- სისტემური კოორდინაცია: ფედერალური - სახელმწიფო - ადგილობრივი კოორდინაცია და რესურსების მრავალგვარი ძიება;
- ინფრასტრუქტურული განვითარება: ჯანდაცვითი შესაძლებლობების და სამუშაო ძალის გაზრდა;
- პოლიტიკის განხორციელება: მარეგულირებელი ზომების მიღება, ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელება;
- სამეცნიერო ოპერაციები: კვლევითი თანამშრომლობა, ტექნიკური სისტემის განვითარება;
- ანგარიშვალდებულება: რესურსების გონივრული მენეჯმენტის დემონსტრირება.

საზოგადოების დამშვიდების (M4), როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის მიზანი ფაქტებსა და ექსპერტთა გადაწყვეტილებებზე დაფუძნებული კრიზისის მენეჯმენტის სისტემური და პროფესიონალური შესაძლებლობების დემონსტრირებაა საზოგადოების დამშვიდების მიზნით.

3) *"It will expand the number of CDC Epidemic Intelligence Service Officers - our elite disease detectives - to respond to local outbreaks and help curb the pandemic. It will expand public health career paths, recruit and train a diverse group of future public health leaders, and launch a public health AmeriCorps to recruit a strong, diverse, and highly skilled workforce that is ready to respond."* (<https://bidenwhitehouse.archives.gov/briefing-room/pressbriefings/2021/05/13/press-briefing-by-white-house-covid-19-response-team-and-public-health-officials-36/?utm>)

აღნიშნული მარკერის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდგომი ლინგვისტური თავისებურებები:

- ლექსიკა, რომელიც მიმართულია მომავლის პოზიტიური სურათის დახატვისკენ, მიზნად ისახავს მომავლის რწმენის გამყარებას და აღძრავს სიძლიერისა და მდგრადობის განცდას: „we will get through this“, „everything will be back“, „it will end soon“, „we'll win this war“, „we'll be back in business“, „we're going to be stronger than ever“.

სხვა ლექსიკურ ერთეულებთან ერთად აღსანიშნავია დადებითი კონოტაციური მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელები (PA), რომელთა სტრატეგიული დანიშნულებაც დადებითი ემოციების გენერირება და ინსტიტუციებისადმი ნდობის გაზრდაა: „fantastic job“, „incredible“, „relentless“, „safe“, „effective“, „highly skilled“, „elite“

- მარტივი, არაფორმალური ლექსიკით მიმართვა, სტრესის შემცირებისა და თანამგრძნობი ლიდერის იმიჯის შექმნის მიზნით: „Take it easy“, „Relax“, „Just relax“, „Don't panic“.

- კოლექტიური მოქმედების შთაგონება, კოლექტიური პასუხისმგებლობის გაღვივების მიზნით - ჩვენ ერთად, ჩვენ, როგორც ერთი ვუმკლავდებით პრობლემას: „Together, we will care for our fellow citizens“, „America continues to mobilize every segment of our society“.

- მოქალაქეთა მორალური ჩართულობისა და პერსონალური პასუხისმგებლობის აღების მიზნით ასევე ფიქსირდება გამარჯვების მეტაფორების გამოყენებაც: „win this war“, „rocket-ship-like rise“, „turn the tide“, „mobilize society“.

- კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირების დისკურსში ხშირად ვხვდებით ნარატივს რესურსების (მატერიალური, ადამიანური) საკმარისობაზე, რისი მიზანიც სტაბილურობის და კონტროლის შთაბეჭდილების შექმნაა: „we have the supplies“, „our health care system is prepared“, „staff is ready“, „no stone unturned“ „The risks to Americans remain low“, „the total number of cases is not the full metric of success“.

საკმაოდ დიდია ფარდობითი სიხშირე მარკერისა (0.0909), რომელიც გამოხატავს მმართველი ძალის მიერ წარმოებულ ნარატივს საკუთარ მიღწევებთან, გატარებული ზომების ეფექტურობასა და კრიზისის საპასუხო ეფექტური პოლიტიკასთან დაკავშირებით (P2). დიაქრონიული ანალიზის შედეგად (0.0787 - I ტალღა, 0.1323 - II ტალღა, 0.1153 - III ტალღა) იკვეთება, რომ საკუთარ ეფექტურობას სპიკერები ყველაზე ხმამაღლა პანდემიის მეორე ეტაპზე უსვამდნენ ხაზს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია პანდემიით გამოწვეული კრიზისის ეფექტურად მართვასთან, პირბადის, ვენტილატორის და სხვა სამედიცინო აღჭურვილობის დროულ მობილიზაციასთან, ხოლო მესამე ეტაპზე ვაქცინაციის შექმნასა და ვაქცინაციის პროგრამის განხორციელებასთან.

4) *"But I will tell you, we have done a job, the likes of which nobody has ever done. The mobilization, getting of equipment, all of the things we've done—nobody has ever done a job like this."* (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-13-2020-coronavirus-task-force-briefing>)

კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირები ყურადღებას ამახვილებენ თითოეულ დეტალზე, რასაც საკუთარ მიღწევად თვლიან. ესენია: გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, დროულად ან ნაადრევად მიღებული ზომები, აღჭურვილობის მობილიზება, ტესტირების სისტემის შექმნა, საავადმყოფოების მშენებლობა, ვაქცინის შექმნა, თერაპიული თუ ტესტირების თვალსაზრისით წინსვლა, რეკორდული შესრულება, საერთაშორისო დომინანტობა თუ ისტორიული უნიკალურობა:

5) *"These people who are now criticizing me weren't even talking about it back then. Meanwhile, I was taking action. When I issued the travel ban, do you know how many cases of the virus were in the U.S.? One. Just one case. How many deaths? Zero. And yet I took the bold step of shutting down travel, which was highly controversial at the time. You should be saying, 'Thank you for your good judgment,' not trying to rewrite history."*
(<https://www.youtube.com/watch?v=1QwehaaJrEQ>)

აღნიშნული საკომუნიკაციო მიზნების მისაღწევად გამოყენებულ ლინგვისტურ და რიტორიკულ სტრატეგიებს შორის აღსანიშნავია:

- ჰიპერბოლა და ინტენსიური შეფასება. მაშინ, როცა ნარატივში ხაზგასმულია არა მხოლოდ მიღწევა, არამედ მისი უსაზღვრო წარმატებულობა; ლიდერები და ინსტიტუციები წარმოჩენილი არიან არა როგორც წარმატებულები, არამედ როგორც გამორჩეულად ეფექტურები: "unprecedented actions", "bold, decisive actions", "nobody's ever done a job like this", "most expansive, most accurate testing system", „records setting”;

- რაოდენობრივი შედარება: "Five times faster," "85 percent reduction";

- შედარებითი უპირატესობა ლოკალურ და გლობალურ კონტექსტში, რისი მიზანიც ამერიკის, როგორც წამყვანი ქვეყნის წარმოჩენაა: "Far more than anybody else," "different administration would have taken years", "We have the best test in the world", "Other countries are calling for help", "Nobody has ever done what we've done".

- ნარატივში ასევე ფიქსირდება ისტორიული კონტექსტუალიზება: "Unprecedented actions," "fastest in history";

- კონკრეტული წარმატებული ნაბიჯის საკუთარ მიღწევად წარმოჩენა:

„I was taking action," "We have done a job”;

საკუთარ მიღწევებთან ერთად სპიკერებს არ ავიწყდებათ კოლექტიური სიძლიერის მობილიზება: *“We’re incredibly proud of our effort”, “No one who needed a ventilator was denied one”, “America has risen to the task in every generation”.*

- ნარატივში ასევე ფიქსირდება კონტრასტული სტრატეგია: „-მდე და შემდეგ“ ("Before vs. After"), რაც მიზნად თვითდამკვიდრებას ისახავს და მიუთითებს ლიდერის, როგორც გადაწყვეტილების მიმღების, როლზე - „მან გადაარჩინა ქვეყანა“. ასევე ხშირად გვხვდება წინა მმართველობის კრიტიკა, რაც პოლარიზებული პოლიტიკური კულტურის გამოხატულებაა: *“We’ve come a long way from an obsolete,*

broken system” , “The shelves are not bare like the ones I inherited”, “If we hadn’t acted, millions would have died.”

- მიმართული კრიტიკის თავიდან არიდება კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების, ექსპერტთა დასკვნებისა და საერთაშორისო აღიარების ციტირებით და ცუდი ალტერნატიული ვარიანტის განხილვით: *“If we had not done that”, „These people criticizing me, You should be saying thank you”;*

- რაოდენობრივი მტკიცებულებების დემონსტრირება, ობიექტურობის და ეფექტურობის იმიჯის შესაქმნელად: *“We built 20,000 beds in a couple of weeks“, “Tested more than 3.3 million people”, “Reduced mortality rate by 85 percent”.*

აღსანიშნავია, რომ პრესკონფერენციის არა მარტო მონოლოგის, არამედ კითხვა-პასუხის ნაწილში (Q/A) გამოყენებული P2 მარკერის თავისებურება არის სპონტანურობა და თვითდამარწმუნებელი პასუხები. ეს ამერიკულ კულტურაში აღიქმება დადებითად, მაშინ როცა სხვა კულტურაში, შესაძლოა, უარყოფითად აღიქმებოდეს: *“No, I think that we’ve handled it really well“, “Nobody could have done this.”*

პანდემიით გამოწვეული კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირების დისკურსში საკმაოდ დიდი სიხშირით ფიქსირდება პათოსის (P7) გამოყენება. აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.07281-ია (0.0741 - ტალღა I, 0.0504 - ტალღა II, 0.12 - ტალღა III). საზოგადოებისთვის ემოციური მიმართვის სიხშირე, როგორც წინა შემთხვევებში, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გაცილებით მაღალია პანდემიის პირველი და მესამე ტალღის განმავლობაში, ხოლო მეორე ტალღის განმავლობაში კომუნიკაცია ემოციური თვალსაზრისით გაცილებით უფრო ნეიტრალური ხდება.

სპიკერები კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ გამოსვლაში საზოგადოების მიერ რეკომენდაციების შესრულებას, მოხალისეობრივ საქმიანობას, საზოგადოებრივ მხარდაჭერას და პანდემიასთან დაკავშირებულ მრავალ სხვა ასპექტს ემოციურად აფასებდნენ.

პათოსის გამოხატვის ემოციურ სტრატეგიებს შორის აღსანიშნავია:

- ოჯახური და პირადი ისტორიების გაზიარება: *“They helped us with our homework”, “They tucked us in”;*

6) *"Finally, why is this so important? It's very personal to me because my grandmother, for 88 years, lived with the fact that she was the one—at age 11—who brought home flu to her mother, Leah, for whom I am named. Her mother had just delivered a child, and she succumbed to the great 1918 flu pandemic. My grandmother never forgot that she was the child who, while at school, innocently brought that flu home..."*
(<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-press-conference-transcript-march-25>)

აღსანიშნავია, რომ ამერიკულ რიტორიკაში ნარატიული თხრობა ("storytelling"), ინდივიდუალური ისტორიების გაზიარება ხშირად გამოიყენება გლობალური პრობლემის საჩვენებლად.

- აუდიტორიასთან ემოციური კავშირის დამყარების მიზნით ემოციური სოლიდარობის ხაზგასმა, მწუხარების გამოხატვა, განსაცდელის გაზიარება: *"you're in the prayers of millions of Americans", "our deepest condolences", "any single death is a real tragedy", "we carry a card with the number of lost lives";*

- დისკურსში ასევე იკვეთება რელიგიური ტონალობა და ღვთის მოხმობა: *"with the grace of God we are rising to the occasion", "you're in the prayers of millions";*

- კოლექტიური იდენტობის შექმნა ემპათიის საშუალებით (თავდადების აღიარება, შედეგების გაცნობიერება) და შთამაგონებელი შეტყობინებები:

7) *"In times of hardship, the true character of America always shines through. We live in the company of the greatest heroes and the most inspiring citizens anywhere in the world. We want to take care of our people. We want to draw on the strength of our history, draw on the strength of our people, and we will get through this all together."*
(<https://www.youtube.com/watch?v=D9s0Io2geNE>)

- კოლექტიური ძალისხმევის იდეალიზაცია საზოგადოებრივი მორალის ამაღლების და კოლექტიური პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით: *"the American character shines through", "America rises to the occasion", "the will of our nation is unbreakable".*

8) *"I need to single out one more group to praise, the American people. The American people, for more than a year, you've endured so much and so many lost jobs..."*

As the press here knows, I carry a card in my pocket with the number of lives lost to COVID as of the close of business yesterday, 580,073 lost lives. So many empty chairs."

(<https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-speech-transcript-fully-vaccinated-americans-no-longer-need-to-wear-masks>)

აღნიშნული მარკერის გამოყენების კულტურული თავისებურება არის ამერიკული იდეოლოგია "American exceptionalism." ერი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა.

კოლექტიური ძალისხმევის იდეალიზაციის პარალელურად გვხვდება მოქალაქეების გმირებად წარმოჩენა, რაც აძლიერებს ნდობას და ემოციურ ერთიანობას: "extraordinary Americans", "the greatest generation", "amazing people", "true character of America".

პათოსის მისაღწევად გამოყენებულ ლინგვისტურ თავისებურებებს შორის აღსანიშნავია:

- ზედსართავი სახელები: *"Greatest heroes," "incredible," "extraordinary," "unbreakable";*
- მეტაფორები: *"Empty chairs," "Arsenal of Democracy," "we are fighting an invisible enemy", "the light of American courage", "black body bags".*

ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში ხშირია გმირული პათოსის და ომის მეტაფორების გამოყენება, რაც კრიზისის მობილიზაციის საბაზად წარმოაჩენს.

- პირდაპირი მიმართვა: პირის ნაცვალსახელი - we, "from my heart".

პათოსის, როგორც მარკერის, გამოყენების ცენტრალური მიზანი სამოქალაქო სულისკვეთების შენარჩუნება, სასურველი ქმედების გამოწვევა და სოციალური ბმულობის ხელშეწყობაა.

შემდეგი მარკერი, რომელსაც სპიკერები ასევე მაღალი სიხშირით იყენებენ, პანდემიით გამოწვეული სიტუაციის აღწერაა (M2). მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0652-ია (0.0652- I ტალღა, 0.0542- II ტალღა, 0.0963 - III ტალღა). კოვიდსიტუაციის აღწერის, როგორც მარკერის, გამოყენების სიხშირე საკმაოდ მაღალია პანდემიის პირველი ტალღის ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში არსებული კრიზისის შესახებ ინფორმაციის გაზიარების ყველაზე დიდი საჭიროება იდგა. აღნიშნული მარკერის გამოყენება მკვეთრად მცირდება პანდემიის მეორე ტალღის განმავლობაში,

ვინაიდან ამ პერიოდში მმართველ პარტიას სხვა პრიორიტეტები ჰქონდა, ხოლო მესამე ტალღის პერიოდში ისევ იმატებს მისი გამოყენების სიხშირე და აღწევს პიკს, რაც ვაქცინაციასა და მის შედეგებს უკავშირდება.

ემპირიული მასალის თვისობრივი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ქვეყანაში არსებული კოვიდსიტუაციის აღწერის და საზოგადოებისთვის გაცნობის ის ძირითადი ტექნიკები, რასაც მმართველი ძალა მიმართავდა:

- სტატისტიკა/სიკვდილიანობა: გარდაცვლილთა რიცხვი, ინფიცირებულთა რაოდენობა;

9) *"The Americans were scared - nearly 200 dead, 14,000 sick, and millions affected.*

You witness that many are scared right now.

(<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>)

- გეოგრაფიული/დემოგრაფიული დაყოფა: კონკრეტული ქალაქების სტატისტიკა, სხვადასხვა მეტროს მიმდებარე ტერიტორიების სტატისტიკა;

12) *„So, if you look at Detroit, if you look at Philadelphia, if you look at Louisiana— Louisiana is in green Detroit is in gray. You can see across the board, across these metro areas— with a higher concentration of individuals, this is what the American people in these large cities have done, where it is more difficult often to socially distance.“*

(<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-13-2020-coronavirus-task-force-briefing>)

- ეკონომიკური/სოციალური ზეგავლენა: ბიზნესის შეჩერება, გავლენა დასაქმებაზე: *“Hotels closing, jobs lost, depression, suicides...”*;

13) *"Don't forget, people are dying. The other route you can go with the enclosed route, everything's closed up, you're in your house, you're not allowed to move, people are dying with that, too. You look at drug addiction, you look at suicides, you look at some of the things that are taking place. People are dying that way, too. You could make the case it's in even greater numbers... But people are dying in the lockdown position, too, and everybody understands that."* (<https://www.youtube.com/watch?v=jmpBa4h6INk>)

- ჯანდაცვის სისტემა: საავადმყოფოს ზღვრული დატვირთვა, ტესტირების შესაძლებლობა, ვაქცინაციის შესაძლებლობა;

14) *"That was near my community where I lived, and I've been watching that for the last week on television. Body bags all over in hallways. I've been watching them bring in trailer trucks, freezer trucks—their freezer trucks—because they can't handle the bodies; there's so many of them."* (<https://www.youtube.com/watch?v=KNOYRKzeoTg>)

აღსანიშნავია მეთოდები, რომლებითაც ხდებოდა კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების წარდგენა საზოგადოებისთვის:

- რაოდენობრივი მონაცემები: რიცხვები, პროცენტები;
- დიაქრონიული ანალიზი: ტენდენციები სხვადასხვა ეტაპზე, ისტორიული შედარებები;
- შედარებითი ანალიზი: შტატების რიცხოვრივი მონაცემების შედარება, მანამდე და შემდეგ არსებული მდგომარეობის შედარება.

აღნიშნული ტექნიკის გამოყენების ცენტრალური მიზანი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ჩვენება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პანდემიის უახლესი შედეგების გაცნობაა.

რაც შეეხება ლინგვისტურ თავისებურებებს ესენია:

- მარტივი და ლაკონური ფრაზები, რაც ხელს უწყობს სიცხადეს: *"Look at hotels-they're closing"*, *"Many are scared"*, *"People are dying"*;
- ემოციური გაძლიერება და შოკური ეფექტი, რაც მიზნად შიშის გამოწვევას ისახავს: *"The Americans were scared"*, *"50,000 deaths - that's a lot"*, *"Body bags all over in hallways"*;

გარდა პანდემიის აღნიშნული შედეგებისა, მესამე ტალღის განმავლობაში სპიკერები ყურადღებას ამახვილებდნენ ფსიქოემოციურ შედეგებზეც. კონკრეტულად, ე.წ. „ლოქდაუნით“ გამოწვეულ სიკვდილიანობაზე, თვითმკვლელობაზე და სხვა მეორეულ შედეგებზე: *"People are dying - from the virus, and from the lockdown too"*.

ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის საფუძველზე იკვეთება, რომ შემდგომი, ყველაზე ხშირად გამოყენებადი, მარკერი დაპირებაა (P4). დაპირების, როგორც პოლიტიკური დისკურსის მარკერის გამოყენების საერთო ფარდობითი სიხშირე 0.03698-ია (0.0319 - ტალღა I, 0.0554 - ტალღა II, 0.0428 - ტალღა III). აღსანიშნავია, რომ P4 ცალკეული ტალღების განმავლობაშიც ყველაზე ხშირად გამოყენებულ მარკერებს შორისაა. მისი გამოყენების სიხშირე მიუთითებს მომავალზე

ორიენტირებული დარწმუნების უწყვეტ საჭიროებაზე. მეორე ტალღის განმავლობაში ფიქსირდება აღნიშნული მარკერის გამოყენების ყველაზე მაღალი სიხშირე რაც მიზნად ისახავდა ყურადღების გამახვილებას ვაქცინაციის შესაძლებლობაზე.

დაპირების, როგორც დისკურსის მარკერის, სტრატეგიული ფუნქცია არის ყურადღების მიმართვა არსებული მძიმე რეალობიდან მომავალში მოსალოდნელ სტაბილურობაზე, საზოგადოების ნდობის მოპოვება, ლიდერული უნარ-ჩვევებისა და კრიზისის მოგვარებასთან დაკავშირებული ხედვების წარმოდგენა:

15) *"I can promise you, at the President's direction, there will be no letting up on—on making sure that our hospitals have the equipment, have the personal protective supplies for medical personnel. There'll be no letting up on the development of therapeutics... But by next fall, we'll have a broad range of testing, a variety of different means."* (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-23-2020-task-force-briefing-coronavirus-pandemic>)

დაპირება გაურკვეველობის დონეს ამცირებს, ორმხრივ ვალდებულებას აწესებს პასუხისმგებელ პირებსა და მოქალაქეებს შორის. ამავე დროს ის არის მიღწეული შედეგების შეფასების ერთგვარი საზომი.

პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში გამოყენებული დაპირების მარკერების თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დაპირების პარალელურად კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირები ზრუნავენ სანდოობის გაზრდაზეც. აღნიშნული მიზნის მისაღწევად იყენებენ ნაცვალსახელს „we“, დაპირების გაცემისას ასახელებენ დროის ზუსტ მონაკვეთებს ან საზოგადოებას შეახსენებენ წარსულში მათ მიერვე წარმატებულად განხორციელებულ გეგმას ფრაზით - „just like it did with...“.

16) *„There's never been an economy like what we had produced, but we'll produce it again. And I think we'll produce it again very fast.“* (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-15-2020-press-briefing-coronavirus-task-force>)

მეტი სანდოობისთვის გამომსვლელები ხშირად ახსენებენ ძალაუფლების მქონე პირებს:

- საპრეზიდენტო ძალაუფლება: "As president, I will...";
- ინსტიტუციები: "full power of federal government";
- ექსპერტები: "our great pharmaceutical companies" და ა.შ.

ხოლო საკითხებს, რასთან დაკავშირებითაც ხდება დაპირებების გაცემა მოიცავს:

- რესურსების გადანაწილება: *Equipment, supplies, financial support;*

17) „\$300 billion in direct cash payments will be available for every American citizen earning less than \$99,000 per year.“ (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-press-conference-transcript-march-25>)

- პოლიტიკის გატარება: Testing, vaccines, enforcement;

18) „These half a billion vaccines will start to be shipped in August as quickly as they roll off the manufacturing line. 200 million of these doses will be delivered this year, 2021, and 300 million more will be delivered in the first half of 2022.“ (<https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-pfizer-ceo-speech-on-global-vaccination-effort-transcript>)

- შედეგზე ორიენტირება: Economic recovery, health protection და ა.შ.

19) „We will protect the most vulnerable, and we will heal our land.“ (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-press-conference-transcript-march-25>)

რაც შეეხება ლინგვისტურ და რიტორიკულ სტრატეგიებს, რაც დაპირების, როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის, წარმართვისას გამოიყენება, ესენია:

- პერსონალურად გაცემული დაპირებები, რაც ქმნის პასუხისმგებლობის აღების შთაბეჭდილებას: “I can assure you...”, “We’ll make sure...”, “There will be no letting up...”;

- დადებითი შეფასებითი ლექსიკა და პროგნოზები, განსაკუთრებით შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელები დაპირების გასამყარებლად: “a very exciting period of time”, “stronger than ever before”, “greatest year in our history”;

- გამეორება და პარალელიზმი ემოციური მუხტის გაძლიერების მიზნით:

“We’re going to win it, and we’re going to keep watching”, “We will rebuild... reclaim... get back to normal”;

- სტრატეგიული დროითი ჩარჩოები, რაც ქმნის დაგეგმილობის, სისწრაფისა და ხელმისაწვდომობის შთაბეჭდილებას (“soon”, “this year”, “next fall”, “as quickly as they roll off”) და ციფრებით გამყარებული დაპირებები (“\$300 billion in direct cash payments...”, “200 million doses this year...”).

ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის შედეგად იკვეთება, რომ დაპირების, პარალელურად და თითქმის იმავე სიხშირით სპიკერები მიმართავენ საზოგადოების დაშინებას (P1). აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0359-ია (0.0304 - I ტალღა, 0.0542 - II ტალღა, 0.0487 - III ტალღა). დაშინების, როგორც მარკერის, გამოყენების დიაქრონიული ანალიზი ცხადყოფს, რომ კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირები დაშინებას ყველაზე მაღალი სიხშირით ინფორმაციული კრიზისის პირობებში მიმართავენ და ხაზს უცნობი ვირუსის სახიფათოობაზე ამახვილებდნენ, მესამე ტალღის განმავლობაში დაშინების საჭიროება განპირობებული იყო პანდემიით გამოწვეული დაღლილობისგან მოსახლეობის გამოფხიზლებით და სიფრთხილის ზომების მუდმივი დაცვისკენ მოწოდებით.

20) *"Finally, no one is immune. I sometimes hear people on the radio or others talking about, 'I'm immune to the virus'-we don't know if the contagion levels are different in age groups, but we know it's highly contagious to everyone..."* (<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5I>)

21) *"This is about a crisis that hit our country like nothing we've ever seen before. We've had wars - the Civil War, World War I, World War II-but nothing like this has ever been fought on our soil..."* (<https://www.youtube.com/watch?v=1QwehaaJrEQ>)

კორპუსული კვლევის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება თემები, რომელთან დაკავშირებითაც ყველაზე ხშირად ხდებოდა მოსახლეობის დაშინება:

- დრო: "We still have a long way to go," "The next eight weeks are critical";
- რისკები: "It could get worse," "No one is immune";
- ქცევა: "Do not interpret mild disease as lack of contagion";
- სისტემურობა: "This would overwhelm our healthcare system".

რაც შეეხება ლინგვისტურ და რიტორიკულ სტრატეგიებს, რომლებიც გამოიყენება დაშინების მიზნით, ესენია:

- პირდაპირი მიმართვა: "Let me be deadly earnest with you", რაც მსმენელს ინდივიდუალურად შთააგონებს შიშს და პასუხისმგებლობას;

22) *"But let me be deadly earnest with you: We aren't at the finish line. We still have a lot of work to do. We're still in a life-and-death race against this virus."* (<https://www.youtube.com/watch?v=o5AlQGynF4s>)

- ომთან, სპორტთან, ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული მეტაფორები, რაც მიზნად მობილიზაციის გამოწვევას ისახავს: *“life-and-death race”, “a storm”, “nightmare”, “plague”, “crisis that hit our country like nothing before”*;

- თვითკმაყოფილების პრევენცია, სიფრთხილისკენ მოწოდება და ზედმეტი ოპტიმიზმის დაუშვებლობა მუდმივი მღელვარების ატმოსფეროს შექმნის მიზნით: *“We are seeing more cases. We will see more cases”, “It could get worse”, “We still have a long way to go.”*

- მოლოდინების მართვა - რეალურ საფრთხესა და შედეგებზე საზოგადოების ინფორმირება: *„no one is immune”, “you remain at risk”, “this could happen again”,* შიშის გაღვივება, საზოგადოების დამორჩილება ვიზუალური დეტალებისა და შედეგის აღწერით: *“body bags in black”, “you’ll hear a knock on your door”, “millions would have died”, “you remain at risk of death”*

ასევე, ხშირად გამოიყენება კონტრასტები - „თუ არ ვიმოქმედებთ, მოხდება კატასტროფა“ და უარყოფითი კონოტაციის ზედსართავი სახელები: *“deadlier”, “critical”, “severe”, “worse than the worst flu” “highly contagious”, “horrible scene”, “overwhelm”*.

დაშინების, როგორც მარკერის გამოყენების ცენტრალური მიზანი მოსალოდნელი საფრთხისა და შედეგების პრევენციის მიზნით საზოგადოების დაშინება და ქცევითი მახასიათებლების შეცვლაა.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული დისკურსის დაკვირვების საფუძველზე გამოიკვეთა რომ კიდევ ერთი სტილისტიკური საშუალება, რომელსაც ასევე აქტიურად მიმართავენ სპიკერები, არის მეტაფორა (P6). მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0346-ია (0.0368 - I ტალღა, 0.0214 - II ტალღა, 0.0463 - III ტალღა). დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მეტაფორას სპიკერები ყველაზე აქტიურად პირველი და მესამე ტალღის განმავლობაში მიმართავდნენ.

გამოყენებულ მეტაფორებში დომინანტი თემებია:

- ომი/შეიარაღებული ძალები: *“All-hands-on-deck”, “defeat the coronavirus”, “arsenal of vaccines”, “fog of war”, “life-and-death race”, “run to the fire”, “in the fog of war”*. აღნიშნულ მეტაფორებში პანდემია წარმოჩენილია, როგორც ომი, სადაც საზოგადოება ებრძვის უხილავ მტერს.

23) *"That's why, as I said, in my address to the Joint Session of Congress in April, America will be the arsenal of vaccines in our fight against global COVID-19. Just as America was the arsenal of democracy during World War II, over the past four months, we've taken a number of steps toward this historic effort."* (<https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-pfizer-ceo-speech-on-global-vaccination-effort-transcript>)

- სპორტი/მეჯიბრი: "Finish line," "race," "game-changer," "mission accomplished";

24) *"But let me be deadly earnest with you: We aren't at the finish line. We still have a lot of work to do. We're still in a life-and-death race against this virus."* (<https://www.youtube.com/watch?v=o5AlQGynF4s>)

- მოგზაურობა/მოძრაობა: "Light at the end of the tunnel," "run to the fire," "rough patch";

- ბუნება/გარემო: "Seeds were planted," "pharmacy desert areas";

25) *"I don't want to use the word 'mistakes,' because when you're in the fog of war when you're doing something, you have to make decisions."* (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-13-2020-coronavirus-task-force-briefing>)

- მექანიკური /ტექნიკური საკითხები: "Engine behind our country," "pieces of the puzzle", "windfall profits", "rough patch", "mission accomplished";

- გეოპოლიტიკური მეტაფორები: "governors will have leeway", "we're not going to be the policemen of the world", "travel ban", "pharmacy desert";

რაც შეეხება გამოყენებულ მეტაფორებში გამოვლენილ კულტურულ თავისებურებებს, ესენია:

- გმირობის, მოქმედების და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კულტურა: „leave no stone unturned“, „run to the fire.“ ამერიკულ კულტურაში აქტიური, უშიშარი მოქმედება და პირადი წვლილი დიდ ღირებულებად აღიქმება.

- რელიგიური და ღირებულებითი ჩარჩო - "gift from God" ასახავს ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებულ კომუნიკაციას, რომელიც საზოგადოებაზე ძლიერ გავლენას ახდენს;

- ეროვნული თვითდამკვიდრება და აღმშენებლობა: "arsenal of democracy", "engine of the country", "greatness of the American character" - ეს მეტაფორები ეროვნული სიამაყის გამოხატულებას, რაც კრიზისის დროს მობილიზაციისთვის გამოიყენება.

საზოგადოების მიმართ მეტაფორული მიმართვის სიხშირეს მცირედით ჩამორჩება მიმართვა, რომლის მიზანიც საზოგადოებისთვის არსებული წესების გაცნობა, წესების დაცვისკენ მოწოდებაა (P3). აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე: 0.0290-ია (0.02606 - I ტალღა, 0.02689 - II ტალღა, 0.0701 III ტალღა). საზოგადოებისადმი მიმართვის მარკერის გამოყენების სიხშირე თავის პიკს პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში აღწევს.

რაოდენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მმართველი ძალა საზოგადოებისადმი მიმართვას პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში, მაგრამ ვაქცინაციის შექმნის პარალელურად განსაკუთრებულად გაიზარდა სოციალური პასუხისმგებლობის როლი კრიზისის მართვის პროცესში.

აღნიშნული მარკერის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება ის ცენტრალური თემები, რომლებზეც მმართველი ძალა აკეთებდა აქცენტს:

- უნივერსალური პასუხისმგებლობა: "We all have a role to play," "Every American";
26) *"We all have a role to play. We all know what to do to protect the vulnerable, to look after our families, and our neighbors and friends. We encourage every American, with all the good news this week, to continue to be persistent in putting the health of yourself, your family, your neighbors, co-workers, and friends first."*
(<https://www.youtube.com/watch?v=M4zUp3kNss0>)

- მზრუნველობისკენ მოწოდება: *"We have to protect them," "Continue our vigilance";*
- კონკრეტული ქცევისკენ მოწოდება: *"Follow the presidential guidelines," "Keep doing what you're doing";*
- მოწოდება მეტი საზოგადოებრივი ჩართულობისკენ: *"Talk to someone you trust," "Contact your local center";*

P3-ით გამოხატული მარკერის საკომუნიკაციო მიზნის განსახორციელებლად გამოყენებულია შედგომი ლინგვისტური და რიტორიკული სტრატეგიები:

- ერთობისა და თანამონაწილეობის რიტორიკა: „Together, we'll get through this“, „We all have a role to play“, „It's going to take all of us“, „We'll get through this together“;
- წრის გაფართოება: Self → Family → Community → Nation → World;

27) *"Every American - and people all around the world -should ensure that where they turn for information is a reliable source and not a bad actor trying to create and spread information that they know is wrong."* (<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>)

- კომპეტენციის დადასტურება: *"We all know what to do"*;
- ქცევითი მობილიზაცია: *„Convert awareness into specific actions“*;
- ავტორიტეტული წყაროები: CDC-ს და ექსპერტთა რეკომენდაციები, ლიდერთა კოორდინაცია;

• მძაფრად გამოხატული ზრუნვის სტრატეგია და ემპათიური ინტონაცია განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების მიმართ (*elderly, children with conditions*), რომელიც გამოხატულია მოდალური ზმნებით (*must, have to, should, we ask you to*): *„We have to protect them very much“, „We must remain united in purpose“, „We’re asking every American to make personal sacrifices“, „To the moms and dads... we know you’ll protect them“*;

28) *"It's going to take all of us, but with the ongoing cooperation of the American people, with compassion, with the ingenuity of American industry, with dedicated leadership at the state and federal level, I know that we can slow the spread, we can protect our most vulnerable, and we will heal our land."* (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-briefing-transcript-march-23>)

- კონკრეტული მოწოდებები: *„Talk to someone you trust“, „Continue to follow the guidelines“, „Enroll in the vaccine trial“, „Donate plasma“*;

აღნიშნული მარკერის გამოყენების საკომუნიკაციო მიზანი, სოციალური ბმულობისა და არსებული ვითარების მართვაზე პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა შრისთვის გადანაწილების პარალელურად, ინდივიდუალური თვითშეგნების კოლექტიურ ქცევაში გარდაქმნა.

საზოგადოების გადაბირების და მათი სასურველი ქცევისკენ მიმართვის მიზნით სპიკერები ზემოთ ჩამოთვლილ სხვა საშუალებებთან ერთად იყენებენ შიდა და გარე ავტორიტეტულ წყაროებს (P12). აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0283 -ია (0.0307- I ტალღა, 0.0189 - II ტალღა, 0.0273 - III ტალღა). აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირე ყველაზე მაღალი პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში იყო, ხოლო ყველაზე დაბალი - მეორე ტალღის განმავლობაში. პირველი ტალღის განმავლობაში საზოგადოება იდგა ინფორმაციული კრიზისის წინაშე,

შესაბამისად, მმართველი პირები საზოგადოების ნდობის მოპოვების, პროფესიული კომპეტენციის დადასტურებისა და სისტემური შესაძლებლობების დემონსტრირების მიზნით ავტორიტეტულ წყაროებს მიმართავდნენ, პანდემიის მეორე ტალღის განმავლობაში კი სხვა გამოწვევები იყო.

ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ავტორიტეტული წყაროების იერარქია, რომელშიც დომინანტი საპრეზიდენტო ძალაუფლების წარმომადგენლები არიან, ხოლო შემდგომ საფეხურს წარმოადგენს ფედერალური დაწესებულებები და სამედიცინო ექსპერტები.

•საპრეზიდენტო ძალაუფლება: "As president, I will always fight to protect Americans", "I can assure you" / "I can promise you" , "at the President's direction", "The president wanted us to make it clear".

•ფედერალური სამთავრობო ინსტიტუციები:

CDC (Centers for Disease Control): „State and local and Territorial and Tribal health departments, in conjunction with CDC", "CDC personnel in every single state",

FEMA (Federal Emergency Management Agency): "by putting FEMA in the lead"

•ფედერალური მთავრობა:

"We're using the full power of the federal government", "federal government will do whatever it takes"

•სამედიცინო და სამეცნიერო საზოგადოება, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები: სამედიცინო პერსონალი, საავადმყოფო, პედიატრი, ოჯახის ექიმი და ფარმაცევტული ორგანიზაციები;

•სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობა;

•საერთაშორისო ავტორიტეტული წყაროები და გლობალური პარტნიორები.

უნდა აღინიშნოს, რომ გარე ავტორიტეტული წყაროების გამოყენების სიხშირე ყველაზე დაბალია სხვა დანარჩენებს შორის, ხოლო გამოყენების მიზანი კრიზისზე გლობალური პასუხისმგებლობის აღების და ორმხრივი მხარდაჭერის საჭიროების ხაზგასმა, კრიზისის მართვის პროცესში ამერიკის როლისა და იმ ძალაუფლების წარმოჩენაა, რომელიც სცდება ქვეყნის საზღვრებს.

ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ექსპერტთა და პოლიტიკოსთა გამოსვლებს შორის ბალანსი, რაც ადასტურებს

კრიზისის მართვის პროცესში ორივე მხარის თანაბარ ჩართულობასა და კომპეტენტურობას. ასევე, გამომსვლელები დისკურსში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ახლად ჩამოყალიბებულ ფედერალურ ინსტიტუციებზე (CDC, FEMA) და კრიზისის მენეჯმენტის პროცესში მათს მნიშვნელობაზე.

ავტორიტეტული წყაროების ხსენებასთან ერთად ამერიკელი სპიკერები ხშირად მიმართავენ სხვა ქვეყნებთან შედარებას ან სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანას პანდემიის კონტექსტში (P11). აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.02414-ია (0.0250 - ტალღა I, 0.02605 - ტალღა II, 0.0083 - ტალღა III). P11-ის გამოყენების დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მარკერის გამოყენების სიხშირე მზარდია პანდემიის პირველი და მეორე ტალღის განმავლობაში, რაც პანდემიის გლობალურ კონტექსტში განხილვით აიხსნება, ხოლო მესამე ტალღის განმავლობაში იკლებს, ვინაიდან მოხდა ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე ორიენტირება და ვაქცინაციის კამპანიის ლოკალურ ჭრილში განხილვა.

საკუთარ გამოსვლაში სხვა ქვეყნის სტატისტიკური მაჩვენებლების მოყვანა და კოვიდსიტუაციის აღწერა, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს პრობლემის წარმოჩენას გლობალურ და რეგიონულ ჭრილში და ორმხრივ შედარებას, მეორე მხრივ კი, საკუთარი/ქვეყნის უპირატესობის წარმოჩენას შედარების გზით და ამავე დროს საზოგადოების თავდაჯერებულობის გაზრდას.

აღნიშნული მარკერის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ის ლინგვისტური თავისებურებები, რაც P11 მარკერის გამოყენებას ახასიათებს:

- შედარებითი სტრუქტურა (more than, twice as much as, no country is even close) და ენობრივი სიზუსტე, რისი მიზანიც ამერიკის წარმოჩენაა შედარებით კონტექსტში: *"We've done nearly twice as much testing per capita as France, Italy, and Germany", "We did in eight days more than South Korea did in eight weeks"*;

- ასევე, რიცხვობრივი მონაცემები, რაც ქმნის ობიექტურობის ილუზიას და ამყარებს ავტორიტეტულობას:

29) *"This week, the United States will pass 10 million tests conducted, nearly double the number of any other country. We're testing more people per capita than South Korea, the United Kingdom, France, Japan, Sweden, Finland, and many other countries, and in some cases combined"* (<https://www.youtube.com/watch?v=jmpBa4h6INk>)

• დისკურსში ფიქსირდება ეროვნული თვითაღიარების და უპირატესობის რიტორიკა, რაც გამოხატულია გაზვიადებით („no country is even close“) და ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხით („the most“, „more than all others combined“).

30) *"No country is even close. They came out with a statistic, I guess yesterday, that I heard from Dr. Burks, where it's for eight days here, more than eight weeks in South Korea. And South Korea has done a good job, but we did in eight days more than South Korea did in eight weeks"* (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-press-conference-transcript-march-25>)

• შედარებითი უპირატესობა: „ჩვენ უკეთესად ვუმკლავდებით“. შედარებისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ინდიკატორი (ტესტირება, სიკვდილიანობა, ინფრასტრუქტურა): *"We did in 8 days more than Korea in 8 weeks", "We're testing more per capita than France, UK, Finland..."*

• ეროვნულ თვითაღიარებასთან ერთად გვხვდება სხვა ქვეყნის ეპიდემიოლოგიური მონაცემების სტრატეგიული გამოყენება შედარებისთვის: *"mortality under age 15: none in Europe", "majority of deaths had 3 or more preexisting conditions in Italy"*

31) *"Still, 99% of all the mortality coming out of Europe, in general, is over 50 and with preexisting conditions. The preexisting condition piece still holds in Italy, with the majority of the mortality having three or more preexisting conditions"* (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-briefing-transcript-march-23>)

• სხვა ქვეყნებთან შედარების პარალელურად ფიქსირდება სხვა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება (დადებითი ან უარყოფითი): *"South Korea has done a good job, but...", "99% of all mortality coming out of Europe..."*

კიდევ ერთი დომინანტი სტილისტიკური საშუალება, რომელსაც აქტიურად მიმართავენ სპიკერები, არის პარალელიზმი და ჩამონათვალი (P8). აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.01976-ია (0.01808 - ტალღა I, 0.0264 - ტალღა II, 0.0202 - ტალღა III). პარალელიზმის, ისევე როგორც ჩამონათვალის, გამოყენების სიხშირე საკმაოდ დაბალია ინგლისურენოვან დისკურსში, თუმცა აღნიშნული მარკერის გამოყენება პიკს მეორე ტალღის განმავლობაში აღწევს, ხოლო

პირველი და მესამე ტალღის განმავლობაში გამოყენების სიხშირე თითქმის თანაბარია. პარალელიზმი ადვილად დასამახსოვრებელი და ემპათიური განაცხადების გასაკეთებლად გამოიყენება.

პარალელიზმის, როგორც მარკერის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება ხშირად განმეორებადი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები:

- სიტყვები: "Never, ever, ever, ever," "jobs, jobs, jobs";

32) *"Pleased but not surprised because the simple truth is this, the American people have never, ever, ever, ever let their country down, never."*

(<https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-speech-transcript-fully-vaccinated-americans-no-longer-need-to-wear-masks>)

• ფრაზები: We have to get" , "hard work" , "it's going to be pretty soon," რაც ქმნის აქტიურ მოქმედებებზე ორიენტირებულ ტონს და გამოიყენება ძალისხმევისა და მიზანდასახულობის ხაზგასასმელად:

33) *"We have to really do a great job for another couple of weeks... We have to get these restaurants back in, we have to get our businesses open, we have to get the planes flying, we have to get everything going, we have to get even the cruise ships - I mean, we have to get those cruise ships moving along."* (<https://www.youtube.com/watch?v=KNOYRKzeoTg>)

• სტრუქტურული სიზუსტე (subj + linking verb + adj) და რიტმულობა, რაც პარალელურ კონსტრუქციას ხდის დასამახსოვრებელს:

34) *"They have an expression: 'Ready, willing, and able.' We were ready, willing, and able."* (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-13-2020-coronavirus-task-force-briefing>)

- ემპათიური გამეორება: "The risk remains low," "it has to be safe";

35) *"They want to, but they know it has to be safe. I want it to be safe too. It has to be safe. I can't emphasize that enough."* (<https://www.youtube.com/watch?v=1QwehaaJrEQ>)

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ინგლისურენოვან დისკურსში გამოყენებული პარალელური კონსტრუქციები ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

• სამი და მეტი ელემენტისგან შემდგარი ჩამონათვალი: *"jobs, jobs, jobs-and families, families, families"*, *"too much conflict, too much bitterness, too much anger..."*;

- დისკურსში ასევე ფიქსირდება დადებითი მნიშვნელობის მქონე მსაზღვრელების ჩამონათვალი, რომელიც სიმეტრიული და ადვილად აღსაქმელია: *“Ready, willing, and able”, “safe, healthy, strong”*

- ასევე, დამოკიდებული აზრის გამეორება მსჯელობის გასამყარებლად: *“It has to be safe. I want it to be safe. It has to be safe.”*

ცალკეული ლექსიკური თუ გრამატიკული გამეორების მიზანი გახლავთ საკვანძო თემების მარტივად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი ვარიანტის შექმნა, აუდიტორიასთან ძლიერი და ემოციური კავშირის დამყარება, სანდოობისა და სისტემატურობის შეგრძნების გაჩენა და კოლექტიური ძალისხმევისკენ მოწოდება.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ამერიკულ დისკურსში თითქმის იმავე სიხშირით ფიქსირდება სამედიცინო პერსონალისა და კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი სხვა პირებისა თუ ორგანიზაციების მიერ სამედიცინო რეკომენდაციების გაცემა (M3). მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.01399-ია (0.0118 - ტალღა I, 0.0088 - ტალღა II, 0.0535 - ტალღა III). ემპირიული მასალის რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე იკვეთება, რომ სამედიცინო რეკომენდაციები საკმაოდ დიდი სიხშირით გაიცემოდა პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში, ვინაიდან სამედიცინო რეკომენდაციები ერთადერთი დამცავი მექანიზმი იყო იმ ეტაპზე. პანდემიის მეორე ეტაპზე ფიქსირდება აღნიშნული მარკერის გამოყენების საგრძნობლად შემცირება, ხოლო გამოყენების სიხშირე პიკს პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში აღწევს, როცა ვაქცინაციის კამპანიის პარალელურად გაიცემოდა სამედიცინო რეკომენდაციები.

სამედიცინო რეკომენდაციის, როგორც მარკერის გამოყენების საკომუნიკაციო მიზანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, საზოგადოების ქცევითი ცვლილების გამოწვევა, რისკების მენეჯმენტი და პროფესიულ მხარდაჭერასთან ერთად საჭირო პოლიტიკის განხორციელებაა.

ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის საფუძველზე იკვეთება რეკომენდაციის სხვადასხვა ტიპი. მათ შორის:

- პირდაპირი მითითება ქცევით რეკომენდაციასთან, ტესტირებასთან, სოციალური დისტანცირებასა და ხელების დაბანასთან დაკავშირებით: *„Get vaccinated*

or wear a mask”, “Just walk in, get the shot”, “Wash your hands”, “Use common sense”, “Avoid settings where you can’t do those things”;

- რისკზე დაფუძნებული მითითებები, როგორებიცაა მოწყვლადი ჯგუფების გათვალისწინება, ინდივიდუალური რისკების შეფასება: „*Now, if you are immune compromised, you will most definitely want to talk to your doctor before giving up your mask*“, „*or some individuals, a smaller percentage, especially those who may be medically fragile, they will require medical attention...*“;

- ვაქცინაციასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელება: „*If you are fully vaccinated, you no longer need to wear a mask*“, „*Get vaccinated or wear a mask until you do*“, „*We should be vaccinating as many people as you possibly can*“, „*We have to overcome vaccine hesitancy*“;

- მითითებები ისეთ პრევენციულ სტრატეგიებთან დაკავშირებით, როგორებიცაა მრავალმრიანი მიდგომები: „*They want to practice no handshaking... wash their hands more than they’ve ever done*“, „*We want to lower the amount of travel to and from the most impacted areas*“, „*An executive order to require mask-wearing in airports...*“

პანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი სპიკერების მიერ გაცემული სამედიცინო რეკომენდაციის ლინგვისტურ თავისებურებებს შორის აღსანიშნავია:

- რეკომენდაცია პირობითი წინადადების ფორმით: "If... then": „*If you’ve been vaccinated, you don’t have to wear your mask*“, „*If you are immune compromised, you will most definitely want to talk to your doctor...*“;

- აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო რეკომენდაცია კრიტიკული მნიშვნელობისაა, ხდება მისი გამეორება ან გზავნილის გამოკვეთა: „*Let me repeat... If you are fully vaccinated, you no longer need to wear a mask.*“, „*Please wear the mask. Please wear the mask.*“

36) *"Therefore, if you've been fully vaccinated, you no longer need to wear a mask. Let me repeat. If you are fully vaccinated, you no longer need to wear a mask. But if you have not been vaccinated, or if you're getting a two-shot vaccine, and you've not gotten your ... you only had your first shot, but not your second, or you haven't waited the full two weeks after your second shot, you still need to wear a mask."* (<https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-speech-transcript-fully-vaccinated-americans-no-longer-need-to-wear-masks>)

- ძლიერი, რიტმული და დასამახსოვრებელი სამედიცინო რეკომენდაციის გაცემის მიზნით „სამთა წესის“ (*Wash your hands, watch your distance, wear a mask.*) ან მარტივი ალტერნატივის გამოყენება (*“It’s vaxed or masked”*);

37) *"We continue to encourage Americans to follow the three W's: wash your hands, watch your distance, wear a mask when you can't watch your distance, and avoid settings where you can't do those things."* (<https://www.youtube.com/watch?v=M4zUp3kNss0>)

გაცემულ რეკომენდაციებს ახასიათებს სიზუსტე და კონკრეტულობა: დროის მონაკვეთების განსაზღვრა, საზოგადოების კონკრეტული შრეების დასახელება, რეკომენდაციების შესრულების დეტალური აღწერილობა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად გამოყენებული ენა მარტივია.

პანდემიასთან დაკავშირებულ ინგლისურენოვან დისკურსში საკმაოდ იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება არსებულ სიტუაციაზე პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრების შემთხვევები (P13). აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0086 -ია (0.0050 - ტალღა I, 0.0268 - ტალღა II, 0 - ტალღა III). არსებულ სიტუაციაზე პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრების შემთხვევებს განსაკუთრებით პანდემიის პირველ და მეორე ეტაპზე ვხვდებით, რასაც მოყვება შემთხვევების დრამატული კლება მესამე ეტაპზე. აღნიშნული მარკერი ასახავს პანდემიის კომუნიკაციის პოლიტიკურ განზომილებას.

კორპუსული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ის ცენტრალური ობიექტები, რომელთაც ხშირად აკისრებენ პასუხისმგებლობას ამერიკელი სპიკერები. ესენია:

- სხვა ქვეყნის ხელისუფლება ან საერთაშორისო ორგანიზაციები:

38) *"This is China's fault. This is nobody's fault but China. China should not have allowed it to happen."* (<https://www.youtube.com/watch?v=qOzhGDyCc2I>)

39) *"WHO's guidance had failed to control their borders at a very crucial phase, quickly unleashing the contagion around the world. That was a horrible, tragic mistake—or perhaps they knew. I'm sure they didn't know the gravity of it, but perhaps they knew."* (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-15-2020-press-briefing-coronavirus-task-force>)

- არსებული სისტემა, მოძველებული რეგულაციები, სტრუქტურათა არაადეკვატურობა ან წინა ადმინისტრაციისგან მემკვიდრეობით მიღებული

პრობლემები: *“We inherited a broken... terrible system”*; *“We inherited a broken, old, frankly a terrible system”*, *“The rules and regulations were from a different time”*;

- ოპოზიციური პარტიები თუ პოლიტიკური ოპონენტები: *„Democrats are holding us up.”*

გარდა ამისა, ხდება არსებული მდგომარეობის დაკავშირება სხვა გარემოებებთანაც:

- სტრუქტურული თალსაზრისით არსებული შეზღუდვები: *"Facilities were never designed for this"*;

- ინფორმაციის დეფიციტი: *"Information wasn't as forthcoming"*;

- პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრების პარალელურად გვხვდება პასუხისმგებლობის მოხსნის შემთხვევებიც: *"I don't take responsibility at all"*;

40) *"Yeah, no, I don't take responsibility at all, because we were given a, a set of circumstances and we were given rules, regulations, and specifications from a different time. It wasn't meant for this kind of an event with the kind of numbers that we're talking about."*

(<https://www.youtube.com/watch?v=D9s0Io2geNE>)

უარყოფით ფორმებთან ("don't", "didn't") ერთად გვხვდება ვნებითი გვარის გამოყენება ("we were given a set of circumstances"), რაც კმნის შთაბეჭდილებას, რომ სპიკერი მხოლოდ გარემოებების მსხვერპლია.

არსებულ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრების მიზანი არის თავდაცვა, ოპონენტების დაზარალება, ანგარიშვალდებულების უგულებელყოფა ან პირადი შედეგების გამართლება.

კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, ერთი მხრივ, არსებულ სიტუაციაზე პასუხისმგებლობას აკისრებენ სხვა ქვეყანას, პირს, ადმინისტრაციას და ა.შ. მეორე მხრივ კი, თითქმის იმავე სიხშირით ამახვილებენ ყურადღებას სამედიცინო საზოგადოების როლზე პანდემიის მართვის პროცესში, რაც ცალსახად ასევე პასუხისმგებლობის დაკისრებას ნიშნავს. სამედიცინო საზოგადოების როლზე ყურადღების გამახვილების (M6), როგორც მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე არის 0.00845 (0.0101 - ტალღა I, 0.0046 - ტალღა II, 0 - ტალღა III). აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირის დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში მათ ყველაზე ხშირად მოიხსენებდნენ

როგორც „ჯანდაცვის გმირებს“, პანდემიის მეორე ტალღის განმავლობაში მედიკოსთა როლი კვლავაც ცენტრალურ თემად დარჩა ვაქცინაციის შექმნის მოლოდინში, ხოლო მესამე ტალღის განმავლობაში მათ დაკარგეს აქტუალობა.

სამედიცინო საზოგადოების როლზე ყურადღების გამახვილებისას გამოყოფილია ცალკეული შრის წარმომადგენელთა როლი:

- კლინიკაში მომუშავე პერსონალი: ექიმები, ექთნები, საავადმყოფოს პერსონალი;
- სამეცნიერო/მკვლევართა საზოგადოება: მედიცინის მკვლევრები, ეპიდემიოლოგები, ვირუსოლოგები;
- სპეციალიზებულ ექსპერტთა საზოგადოება: სახელმწიფო ჯანდაცვის ოფიცრები, ტესტირების სპეციალისტები, HIV/AIDS აქტივისტები;

41) *"There's a group out there of our HIV/AIDS activists and community workers that understand these tests that I've been talking about, these DNA—these RNA-based tests... They are essentially virologists. They understand all of these assays... in the United States of America, we have these community groups that understand these tests very well, and we'll be able to discuss them at every level with their community."* (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-13-2020-coronavirus-task-force-briefing>)

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების დასახელების პარალელურად ყურადღებას ამახვილებენ მათს პროფესიონალურ მახასიათებლებზე:

- სიღრმისეული ცოდნა: "Best medical minds in the world," "brilliant people," "medical genius";
- თავდადება: "Working around the clock," "making sacrifice every day", "just a few hours of sleep", "working night and day";
- გმირობა და სიმამაცე: "Everyday heroes," "extraordinary and courageous", "heroic work", "brilliant people", "incredible healthcare workers", "medical genius". ამით ხაზგასმულია არა მხოლოდ პროფესიონალიზმი, არამედ მორალური დიდებულება – „მათ არ აქვთ მხოლოდ ცოდნა, ისინი ამას აკეთებენ სხვებისთვის“.

• პროფესიული კომპეტენციები: ტექნიკური განათლება, კლინიკური უნარები, სამეცნიერო შესაძლებლობები;

42) *"And that's why it's very important at this moment that all of you carry that message about the sacrifices that many have made, particularly our service providers and our frontline*

health care workers; they are making that sacrifice every day so that every American can move through this well." (<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>)

ასევე აღსანიშნავია დადებითი სემანტიკის ზედსართავი სახელების გამოყენება მათ შესაფასებლად: "terrific partnership", "extraordinary", "courageous", "proud", "great", "grateful", "brilliant", "best medical minds", რაც აუდიტორიას თანაგრძნობას აღუძრავს.

43) *"I want every citizen in our country to take heart and confidence in the fact that we have the best medical minds in the world tackling this disease. We have the best science, the best researchers and the best talent anywhere working night and day to protect your family and loved ones and to overcome this pandemic."*

(<https://www.youtube.com/watch?v=KNOYRKzeoTg>)

აღნიშნული ტექნიკების გამოყენების მიზანი, ერთი მხრივ, სამეცნიერო საზოგადოების როლის გააზრებაა პანდემიის მართვის პროცესში, მეორე მხრივ კი, საზოგადოების ნდობის გამყარება სამედიცინო საზოგადოების მიმართ. სხვა ცენტრალურ მიზნებთან ერთად აღსანიშნავია თავად სამედიცინო საზოგადოების მორალური მხარდაჭრა და წახალისება.

სხვა სტილისტიკურ საშუალებებთან ერთად დისკურსში ფიქსირდება მეტონიმის (P5) გამოყენების შემთხვევებიც. აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0061 -ია (0.0064 - ტალღა I, 0.0067 - ტალღა II, 0.0011 - ტალღა III). მეტონიმის გამოყენების დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მისი გამოყენების სიხშირე თითქმის თანაბარია პანდემიის პირველი და მეორე ტალღის პერიოდში, დრამატულად ხდება გამოყენების სიხშირის ცვლილება მესამე ტალღის განმავლობაში.

ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის საფუძველზე იკვეთება სხვადასხვა ტიპის მეტონიმის გამოყენება. მათ შორის:

გეორგრაფიული - კონკრეტული ქვეყნის ან ადგილის გამოყენება ვითარების ან მოვლენების დასახელების ნაცვლად:

44) *"I thank you all for joining us, and I'd like to begin by providing an update on what we are doing to minimize the impact of the Chinese virus on our nation's students."*

(<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>)

45) *“January 31st: In the United States, not one person had died because of the—again, the Wuhan virus.”* (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-13-2020-coronavirus-task-force-briefing>)

46) *“There's been some concern among Democrats on Capitol Hill that the phase three fiscal stimulus is weighted too much in favor of corporations and not enough for individuals.”* (<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>)

• ინსტიტუციური მეტონიმია - კონკრეტული უწყებების დასახელება, რომლებიც მოქმედ პირებს ან გადაწყვეტილებებს წარმოადგენენ:

47) *„Department of Justice will be aggressively prosecuting fraudulent schemes related to the pandemic.“* (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-briefing-transcript-march-23>)

48) *„Now, no items have been designated yet, and the Department of Justice is going to be working with HHS to identify cases where hoarding may be impeding the supply of health and medical resources needed to respond to the COVID-19 pandemic.“* (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-briefing-transcript-march-23>)

49) *„The preexisting condition piece still holds in Italy, with the majority of the mortality having three or more preexisting conditions.“* (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-briefing-transcript-march-23>)

ასევე ფიქსირდება ინდუსტრიული სექტორის გამოყენებაც. ისინი აღნიშნავენ მთლიან ეკონომიკურ სფეროს: “airlines”, “cruise lines”, “Boeing”;

50) *„We have to work with the airlines; we have to work with the cruise lines, We have to work with companies like Boeing because Boeing is a potentially, again, great company.“* (<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-briefing-transcript-march-23>)

ინსტიტუციური მეტონიმის გამოყენების მიზანი ხელისუფლების ავტორიტეტულობის ხაზგასმას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

• სიმბოლური ან ევფემისტური მეტონიმია. ზოგი სიტყვა სიმბოლურად ან შერბილებული ფორმით გამოიყენება სიტუაციის სირთულის შემსუბუქების მიზნით:

51) „If they're going around, that's the way they get through. No, I'm very strong on borders, and I don't want people coming in here.“

(<https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-press-conference-transcript-march-25>)

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საზღვრები გამოიყენება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მიგრაციის კონტროლის სიმბოლოდ. მეტონიმიის გამოყენების მიზანი კონტროლის, ძალისხმევის და ეროვნული სუვერენიტეტის ხაზგასმაა.

პანდემიის პერიოდში მეტონიმიის გამოყენების სტრატეგიული მიზნებს შორისაა ემოციური რეგულაცია, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება საზოგადოებისთვის შიშისმომგვრელი საკითხების არაპირდაპირი გზით განხილვა, კულტურული რეზონანსის პოვნა. კერძოდ, გლობალური პანდემიის დაკავშირება ადგილობრივ ღირებულებებსა და გამოცდილებასთან, მეხსიერებაზე თამაში სამახსოვრო ასოციაციების შექმნით, რაც საზოგადოების ქვეცნობიერში დიდხანს რჩება.

რაც შეეხება მეტონიმიის კულტურულ თავისებურებებს, მეტონიმიამი ასახულია ამერიკული პოლიტიკური დისკურსის მოდელები: ეროვნულ სუვერენიტეტზე ყურადღების გამახვილება, კრიზისთან დაკავშირებულ კომუნიკაციის აუცილებლობის დაკავშირება ეროვნულ ერთობასთან, პასუხისმგებლობის გეოგრაფიული თვალსაზრისით გადანაწილება და ა.შ.

არსებული რთული სიტუაციის დაბალნსების მიზნით სპიკერები ასევე მიმართავენ ევფემიზმებს (P10). ევფემიზმის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.0052ია (0.00459 - ტალღა I, 0.00336 - ტალღა II, 0.0178 - ტალღა III).

აღსანიშნავია, რომ სპიკერები პანდემიის პირველი და მეორე ტალღის განმავლობაში გაცილებით დიდ უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირობას, უშუალობას, ვიდრე სიტუაციის შენიღბვას.

52) "I am doing everything that I can to protect our Patriots as they continue to defend our homeland during this crisis." (<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>)

რაც შეეხება გამოკვეთილ ტიპოლოგიას, ძირითადად ვხვდებით:

- სიკვდილთან და სიკვდილიანობასთან დაკავშირებულ ევფემიზმებს, რაც შედარებით შემარბილებელი და არაპირდაპირი ფორმულირებაა და გამოიყენება

ემოციური ეფექტის შესამცირებლად: "Passed away," "expired", „succumbed to the virus“, „loss of this patient“ - ნაცვლად სიტყვისა "died".

- გმირული/პატრიოტული ტერმინოლოგია და შეფასებითი ევფემიზმები ჩვეულებრივი მოქალაქეების ან პროფესიონალების მისამართით, რაც მიზნად, ერთი მხრივ, სოციალურ მობილიზაციას, მეორე მხრივ კი, მსხვერპლის და ძალისხმევის პოზიტიურად აღქმას ისახავს: "Patriots," "heroes," "you did your patriotic duty“, „everyday heroes“.

53) „You did what I consider to be your patriotic duty.“

(<https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-speech-transcript-fully-vaccinated-americans-no-longer-need-to-wear-masks>)

- ასევე, ფიქსირდება კონკრეტული ქცევის მოდელის პოპულარიზაციის მცდელობაც: „construction companies donating masks“, „citizens volunteering to deliver food and medicine“;

- ასაკოვანი მოსახლეობის მიმართ ევფემისტური მიდგომა, რისი მიზანიც ამ კონკრეტული ჯგუფის მიმართ პატივისცემის ტონის შენარჩუნება და მათ მიმართ სიფრთხილისკენ მოწოდებაა: სიტყვა „elderly“ ან „senior citizens“ გამოიყენება „old people“ ან „aged“ ფორმების ნაცვლად: „vulnerable elderly“, „seniors with underlying conditions“;

- პოლიტიკური/იდეოლოგიური ტერმინოლოგია პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხების მიმართ, რისი მიზანიც პოლიტიკური პოზიციის შენიღბვა ან რბილად გამოხატვაა: "Blue state bailout," „partisan framing“, „repatriate“;

„blue state bailout“ - ტერმინი ეკონომიკური დახმარების პოლიტიკურად შეფუთული კრიტიკისთვის, repatriate-ი გამოიყენება, როგორც შემარბილებელი ტერმინი დეპორტაციისთვის.

54) "He's also-his office referred to this as a-the idea of aiding states as a 'blue state bailout.'" (<https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-23-2020-task-force-briefing-coronavirus-pandemic>)

- საფრთხისა და გამოწვევების ლექსიკური შერბილება, რისი მიზანიც ოპტიმიზმის გაღვივება და აუდიტორიის დამშვიდებაა. სიტყვა „crisis“, „challenge“,

„hardship“ გამოიყენება სიტყვების „disaster“, „catastrophe“ ან „collapse“ ნაცვლად („*this challenge will end soon*“, „*hardship will end*“, „*unique health challenges*“)

• პროფესიულ/ინსტიტუციური ევფემიზმი, რაც გამოხატულია ფორმალური საუბრებითა და ტიტულების ხსენებით. მათი გამოყენების მიზანია არსებული მძიმე რეალობის მსუბუქად წარმოჩენა, დადებითი ასოციაციების შექმნა, მორალური ამაღლება და პოლიტიკური იდეოლოგიების გადაცემა.

რაც შეეხება გამოყენებულ რიტორიკულ სტრატეგიებს, გამოყენებულია პატივისცემა, როგორც საკითხებზე მოწიწებით საუბარი და მოტივაცია - კონკრეტული ქმედების წახალისების მიზნით მაღალფარდოვანი სიტყვებით მანიპულირება.

დისკურსში გამოყენებულ სტილისტიკურ საშუალებებს შორისაა „სამთა წესი“ (P9). მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.00422-ია (0.00388 - I ტალღა, 0.0050 - II ტალღა, 0.0059 - III ტალღა). „სამთა წესის“, როგორც მარკერის გამოყენების მიზანი კრიზისულ სიტუაციაში რითმული, ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი შეტყობინებების გადაცემაა აუდიტორიისთვის სისტემური აზროვნების წარმოჩენის მიზნით. შესაბამისად, პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში აღნიშნული მარკერი სტაბილურად გამოიყენებოდა. განსაკუთრებით მაღალი სიხშირით იგი მესამე ტალღის განმავლობაში ფიქსირდება.

„სამთა წესის“, როგორც მარკერის, უშუალოდ პანდემიასთან მიმართებით გამოყენება სხვადასხვა სტრატეგიული მიზნით მოხდა:

- გატარებული პოლიტიკის სტრუქტურის წარმოჩენა: "Test, Trace, Isolate";
- გაცემული სამედიცინო რეკომენდაციების წარმოჩენა: "Mask, Distance, Vaccinate";
- ეკონომიკური მიზნების წარმოჩენა: "Protect, Support, Recover";
- მათ მიერვე გამოყენებული საკომუნიკაციო სტრატეგიების დახასიათება: "Clear, Consistent, Credible".

55) „*We reiterated to all of the governors that the President, by putting FEMA in the lead, will continue to implement a plan that is locally executed, state-managed, and federally supported.*“ (<https://www.youtube.com/watch?v=z9xijME05I>)

ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა „სამთა წესში“ გამოყენებული დომინანტი სტრუქტურული მოდელები. მათ შორის:

- დიაქრონიული კონსტრუქციები: Past → Present → Future;
- ორგანიზაციული იერარქია: Local → State → Federal; Individual → Family → Nation;
- თვისობრივი მახასიათებლის ხარისხობრივი ვარიაცია: Good → Better → Best;
- პროცესისა და შედეგის ურთიერთმიმართება: Guidelines → Datelines → Announcements;

56) „we're gonna come out stronger, better, and bigger in every way”

(<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>)

- გამოყენებულია ეტაპობრივი ზრდის გამომხატველი კონსტრუქციები:

57) "we're gonna come out stronger, better, and bigger in every way; I think we're

gonna be a better country than we were before. "

(<https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>)

რაც შეეხება აღნიშნული მარკერის ლინგვისტურ თავისებურებებს, მათ შორისაა:

- სტრუქტურული სიმეტრია და რიტმი, რაც აძლიერებს გამოსვლას და აუდიტორიის ჩართულობას: *“stronger, better, and bigger”, “ready, willing, and able”;*

- გაძლიერებული ემფაზა: სამი ელემენტის ჩამონათვალი ქმნის მაქსიმალურ შთაბეჭდილებას. პირველი ორი მაგალითი ამზადებს საფუძველს და მესამე აჩენს კულმინაციას: *“we lose jobs, we lose everything, and we lose our independence”;*

- ემოციური დატვირთვა: „სამთა წესი“ ხშირად გამოიყენება იმედის, ენთუზიაზმის ან ეროვნული მობილიზაციის გამოსახატად: *“we're gonna come out stronger, better, and bigger”, “Americans do whatever it takes to find solutions, pioneer breakthroughs, and harness the energies we need”;*

მესიჯის გამყარება დადებითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავებით, რაც ამყარებს გამომსვლელის დადებით იმიჯს და აჩენს საზოგადოებრივი ნდობის საფუძველს: *“a big, fat, beautiful check”, “strong, resilient, and safe”, “great job, great things, great people”;*

- პოლიტიკური და ლიდერული ავტორიტეტის ხაზგასმა, რაც აძლიერებს გამომსვლელის მტკიცე, კომპეტენტური და სტრატეგიული ფიგურის აღქმას: *“thank you for your leadership, vision and partnership”, “we will rebuild our economy, reclaim our lives, and get back to normal”;*

პანდემიასთან დაკავშირებულ დისკურსში „სამთა წესის“ გამოყენების მიზანი მრავალგვარია. მათ შორისაა, აუდიტორიაზე ემოციური ზეგავლენის მოხდენა, სამოქალაქო თავდაჯერებისა თუ ჩართულობის ზრდა, მეორე მხრივ კი, მმართველი ადმინისტრაციის სისტემური აზროვნების წარმოჩენა, ამერიკის, როგორც სახელმწიფოს შესაძლებლობების, ეროვნული ერთიანობის და სოციალური იერარქიის ხაზგასმა. კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გამოყენებული „სამთა წესის“ კონკრეტული შემთხვევები კულტურული თვალსაზრისით წარმოაჩენს ენის მატარებელთა თხრობის სტრუქტურას.

საზოგადოების მართვის კიდეც ერთი ტექნიკა, რომელსაც კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირები მიმართავენ, არის უკმაყოფილების გამოხატვა გაცემული რეკომენდაციების დაუცველობასთან დაკავშირებით (M5). აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 0.00284 -ია (0.00255 - ტალღა I, 0.00378 - ტალღა II, 0.00356 - ტალღა III).

თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ აღნიშნული მარკერი ყველაზე დაბალი სიხშირით პანდემიის პირველი და მესამე ტალღის განმავლობაში გამოიყენებოდა, ვინაიდან სპიკერები მიზანმიმართულად არიდებდნენ თავს აღნიშნული საკითხის უარყოფით კონტექსტში განხილვას. მარკერის გამოყენება პიკს მეორე ტალღის განმავლობაში აღწევს, რაც მოსალოდნელი სირთულეებით გამოწვეულ იმედგაცრუებას ასახავს.

რაც შეეხება საკითხებს, უკმაყოფილების გამოსახატავად, ესენია:

- სამომხმარებლო/ეკონომიკური ქცევა: პანიკური შესყიდვები, მარკეტების საპასუხი რეაქცია;

58) „*There are no shortages. We have no shortages, other than people are buying anywhere from three to five times what they would normally buy. It's going to be there for a long time. We're doing numbers, and there's a pent-up demand that's incredible.*“
(<https://www.youtube.com/watch?v=LFnUJXUB8>)

- რეკომენდაციების დაუცველობა: პირბადის ტარება, სოციალური დისტანცირება;

- ფსიქოსოციალური ქცევა: პანდემიით გამოწვეული დადლილობა, გადაჭარბებული ოპტიმიზმი, რისკის გაცნობიერება;

59) „So the virus is spreading because we have too many people who've seen the end in sight, thinking we're at the finish line already.“

(<https://www.youtube.com/watch?v=o5AlQGynF4s>)

- ინსტიტუციური/სამუშაო ადგილზე ქცევა: რესტორნების პრაქტიკა, კრიზისის განმავლობაში პროფესიონალური დამოკიდებულების გამოჩენა;

60) „On masks, the masks have problems too. And I talked about the masks about to be handled very gently, very carefully. I see that, in restaurants, they have people with masks, and they're playing around with their mask, and they have it-their fingers are in their mask, and then they're serving with plates. I mean, I think there's a lot of problems with masks.“

(<https://www.presidency.ucsb.edu/documents/the-presidents-news-conference-1262>)

რაც შეეხება გრამატიკულ კონსტრუქციებს, რაც უკმაყოფილების გამოსახატად გამოიყენება. ესენია:

- პირდაპირი გამოხატვა პირველი პირის საშუალებით: "I see that"
- რაოდენობრივი შეფასება: "Three to five times"
- მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი: "Because"

რეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოსახატავად მნიშვნელოვანია დაკვირვების ზუსტი შედეგების გაცნობა, რეგულაციების განხორციელების შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება, შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა ან გაუმჯობესება და ა.შ.

გარდა ამისა, მთავარი მიზანი არის არსებულ რეკომენდაციებსა და მათს დაცვას შორის არსებული სხვაობისა და იმ დაუგეგმავი შედეგების წარმოჩენა, რომლებსაც დაუცველობა ქმნის.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი (ამერიკული) პრესკონფერენციის დისკურსის ჟანრობრივ თავისებურებებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ზედსართავი სახელის როლი ამავე დისკურსის წარმართვის პროცესში.


კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირები კარგად აცნობიერებენ ენის როლს რეალობის ლინგვისტური თვალსაზრისით ფორმირების პროცესში. შესაბამისად, მას იყენებენ როგორც მენტალური ჯანმრთელობის დამცავ იარაღს. მისი გამოყენების ძირითადი დანიშნულება პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ემოციის

რეგულირება, სახიფათო სიტუაციების მოწყვლადად წარმოჩენა და ისეთი ერთობლივი დადებითი გამოცდილების შექმნა, რომელიც საზოგადოებას გააერთიანებს.

ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია შეფასებითი ზედსართავი სახელის (უარყოფითი და დადებითი კონოტაციით) გამოყენების აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირე, დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავ სახელთა ურთიერთმიმართება და დიაქრონიული ანალიზი.

მარკერი	I ტალღა	II ტალღა	III ტალღა	ჯამი
PA ფარდობითი სიხშირე	0.2196	0.2403	0.1640	0.2198
NA ფარდობითი სიხშირე	0.0591	0.0777	0.0463	0.0617

პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში გამოყენებული დადებითი და უარყოფითი კონოტაციური შეფერილობის ზედსართავი სახელების თანაფარდობა (0.2198 : 0.0617) ცხადყოფს ხელისუფლების მიზანს, ოპტიმისტური შეტყობინებებით დააბალანსოს საზოგადოებრივი მღელვარება და შიში.



ინგლისურენოვან დისკურსში დადებითი (PA) და უარყოფითი (NA) კონოტაციის ზედსართავი სახელების გამოყენების ფარდობითი სიხშირე

პანდემიასთან დაკავშირებულ დისკურსში გამოყენებული ზედსართავი სახელების დიაქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ პირველი ტალღის

განმავლობაში (იანვარი-ივნისი, 2020) დადებითი სემანტიკის ზედსართავი სახელების გამოყენების სიხშირე დაახლოებით ხუთჯერ აღემატება უარყოფითისას (0.2196:0.05917). ყველაზე ხშირად გამოყენებული დადებითი კონოტაციის ზედსართავი სახელებია: "great", "good", "incredible" ხოლო - უარყოფითი: "critical", "hard", "bad". კრიზისის ამ ეტაპზე აღნიშნული დადებითი კონოტაციის ზედსართავი სახელების უპირატესობა საზოგადოებაში თავდაჯერებულობისა და კონტროლის შეგრძნების გაჩენას ისახავს მიზნად.

პანდემიის პირველი ტალღის დისკურსში განსაკუთრებული სიხშირით გამოიყენება ზედსართავი სახელი „great“, რომელიც სხვადასხვა სფეროს პოზიტიური შესაფასებისთვის გამოიყენება. ადმინისტრაციული მუშაობის ჭრილში სიტყვა უკავშირდება ადმინისტრაციის, შტატების, გუბერნატორებისა თუ კონკრეტული უწყებების (მაგ. CDC) საქმიანობას ისეთ კოლოკაციებში, როგორებიცაა: "done a great job" ან "doing a great job". სამედიცინო რესურსებსა და ტესტირებასთან მიმართებით, იგი ხაზს უსვამს შესაძლებლობებს ფრაზებით: "great tests", "greatest labs" და "greatest capacity". ეკონომიკურ და ბიზნესსუბიექტებთან მიმართებით კი გამოიყენება კოლოკაციები: "great companies", "greatest economy" და "greatest stock market", რისი მიზანიც პანდემიამდელი მიღწევების ან კომპანიების როლის ხაზგასმაა კრიზისის დამლევაში. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით კი სიტყვა წინ წამოსწევს პიროვნულ ფასეულობებს: "great people", "great men and women" და "great friend".

ანალიზი ასევე ავლენს რამდენიმე ტიპურ გრამატიკულ მოდელს, რომლებიც კონკრეტულ რიტორიკულ მიზნებს ემსახურება. ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხი (The Greatest) გამოიყენება აბსოლუტური უპირატესობის ხაზგასასმელად: "the greatest economy in the world" ან "the greatest labs", რაც ნაციონალური სიამაყის დემონსტრირებას ემსახურება. შედარებითი ხარისხი (Greater than) კი სტატისტიკური შედარებებისთვის გამოიყენება: "substantially greater than the second country" ან "greater impact". გარდა ამისა, „great“ ხშირად გამოიყენება კონტრასტისას: როცა მთქმელი ახსენებს „საშინელ სისტემას“ (terrible system), მას მაშინვე უპირისპირებს „დიდებულ სამუშაოს“ (great job), რაც „ჩვენ გამოვასწორეთ“ ნარატივის ნაწილია.

დადებითი კონოტაციის მქონე კიდევ ერთი ზედსართავი სახელი - „good“, ყველაზე ხშირად შემდეგ არსებით სახელებთან ერთად გვხვდება: *Job* - სადაც "*doing a*

good job" ან *"done a good job"* დომინანტურია და შტატების ან პირების ქმედებების შესაფასებლად გამოიყენება; Relationship - ხაზგასმულია პოზიტიური კავშირები სხვადასხვა სუბიექტთან (მაგ: "relationship has been very good" ან "good relationship with North Korea"); Results - მიღწეული შედეგების აღსაწერად ("results are very good") და Things/News - ზოგადი პოზიტიური მოვლენების აღსანიშნავად ("good things are happening", "that's really good news").

კორპუსული ანალიზისას მონაცემებში გვხვდება „good“-ის გამოყენების სპეციფიკური მოდელები. გამაძლიერებლების სახით იგი თითქმის ყოველთვის ძლიერდება ზმნიზებებით: "very good", "really good" ან "pretty good". შედარებით კონსტრუქციებში გვხვდება „as... as“ მოდელი მაქსიმალური ხარისხის გამოსახატავად ("as good a relationship as you can have"). უარყოფით კონტექსტში კი „good“ ხშირად იმის ხაზგასასმელად გამოიყენება, რაც არ არის კარგი ქვეყნისთვის (მაგ. "not good for the United States"). პანდემიის კონტექსტში იგი პრაგმატულ ინსტრუმენტად გვევლინება ისეთი საკითხების აღსაწერად, როგორებიცაა ჰიგიენური პრაქტიკა ("practice good hygiene"), ეკონომიკური პროგნოზები ("good for the economy") და მართვის პროცესი ("good control", "good coordination").

კიდევ ერთი დომინანტური ზედსართავი სახელის - „incredible“ კორპუსული კვლევა აჩვენებს, რომ იგი ყველაზე ხშირად მართვის პროცესისა და ადამიანური რესურსის ეფექტურობის ხაზგასასმელად გამოიყენება. დომინირებს შესიტყვებები: "incredible job" (სამედიცინო სფეროსა და ადმინისტრაციის მუშაობის შესაფასებლად), "incredible people" (თეთრი სახლის პერსონალის მიმართ), "incredible spirit/discipline" (ამერიკელი ხალხის გამძლეობის აღსაწერად) და "incredible progress/success" (პანდემიასთან ბრძოლაში მიღწეული წინსვლისთვის). სინტაქსურად იკვეთება მისი გამოყენება ზმნასთან „done“, რაც ხაზს უსვამს თვალსაჩინო შედეგს და პრეპოზიციური ხმარება მყისიერი ემოციური შეფასებისთვის (მაგ: "incredible supply chain"). ფუნქციურად იგი ჰიპერბოლიზაციის როლს ასრულებს, უპირისპირდება „საშინელ“ სისტემებს და მოვლენებს „დაუჯერებელ“ წარმატებად წარმოაჩენს.

ზედსართავი სახელი „critical“, განსხვავებით წინა მაგალითებისგან, გამოიყენება აუცილებლობისა და გადამწყვეტი მნიშვნელობის ხაზგასასმელად. კოლოკაციები "critical thing", "critical supply/resources" (ტესტები, ვენტिलाტორები) და "critical

period/time" მიუთითებს პანდემიის იმ ეტაპებზე, როდესაც გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული წონა ჰქონდა. სინტაქსური კონსტრუქციები "it is critical" ან "it is going to be critical" ხაზს უსვამს ქმედებების გარდაუვალობას, ხოლო ზმნიზება „really“-სთან ერთად ("really critical") აძლიერებს იმპერატიულ ტონს. იგი მომხსენებელს ეხმარება პრიორიტეტების გამოკვეთაში, სერიოზულობის განცდის შექმნასა და რესურსების შედეგებთან დაკავშირებაში.

უარყოფითი კონოტაციის მქონე ზედსართავი სახელი -„hard“ დომინირებს კოლოკაციებში: "working hard / working rather hard" (ადმინისტრაციისა და ოფიციალური პირების მიმართ), რაც ხაზს უსვამს პროცესის ინტენსივობას; "hard to enforce" (რეგულაციების სირთულის აღსაწერად) და "hard hit / got hit hard" (დაზარალებული რეგიონების მიმართ). გრამატიკულად იგი ხშირად გვხვდება ზმნის შემდეგ, როგორც მოქმედების ხარისხის გამაძლიერებელი, ან როგორც სინტაქსურ კონსტრუქციებში, სადაც „hard“ პრედიკატის როლშია. დისკურსში იგი ემსახურება თავდადების დემონსტრირებას, სირთულეების აღიარებას (რაც დისკურსს უფრო დამაჯერებელს ხდის) და ემპათიური ტონის შექმნას.

საბოლოოდ, უარყოფითი კონოტაციის მქონე ზედსართავი „bad“ თითქმის არასოდეს გამოიყენება იზოლირებულად და მისი მთავარი ფუნქცია კონტრასტის შექმნაა. წარსული წარუმატებლობის აწმყო წარმატებასთან დაპირისპირებით (bad systems vs great job) არსებული მიღწევებია ხაზგასმული. კოლოკაციები "bad things/situations" გამოიყენება პასუხისმგებლობის დიფუზიისთვის, ხოლო "bad for the country/economy" აქცენტი კეთდება სახელმწიფო სტრუქტურებზე ნეგატიურ გავლენაზე. კორპუსში მისი გამოყენება შერბილების ფუნქციით ("not bad") ფიქსირდება და ასევე გამაძლიერებლებთან ერთად ვირუსის დემონიზებისთვის ("really bad"). აღსანიშნავია, რომ სინტაქსურად იკვეთება ატრიბუტული გამოყენება (bad things, bad numbers) და პრედიკატული კონსტრუქციები ("it is bad", "they are bad"). დიდი სიხშირით გვხვდება შედარებით და აღმატებით ხარისხში (worse/worst), სადაც ფრაზა "could have been worse" გამოიყენება რეალობის შესამსუბუქებლად. გრამატიკულად „bad“ ხშირად ჩნდება მაპირისპირებელ კავშირ „but“-თან ერთად, რაც ამზადებს ფონს შემდგომი წარმატების უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად (მაგ: "The numbers were bad, but we did an incredible job").

პანდემიის მეორე ტალღის განმავლობაში (ივლისი-დეკემბერი, 2020) ფიქსირდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობის მქონე შეფასებითი ზედსართავი სახელების გამოყენების სიხშირის მატება. ამასთანავე, იცვლება მათ შორის არსებული რაოდენობრივი თანაფარდობა, რაც კორპუსული მონაცემებით $0.2403 : 0.0777$ პროპორციით გამოიხატება. პირველი ტალღისგან განსხვავებით, ამ პერიოდში ყველაზე მაღალი სიხშირით გამოყენებული დადებითი კონოტაციის მქონე ზედსართავი სახელებია: „great“, „good“ და „best“, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ერთეულებს შორის დომინირებს: „bad“, „hard“ და „critical“.

მეორე ტალღის დისკურსული ანალიზის საფუძველზე იკვეთება ე.წ. „მტკიცე ოპტიმიზმი“. თუ პირველი ტალღა მეტწილად გაურკვევლობითა და საფრთხის მოლოდინით ხასიათდებოდა, მეორე ტალღის პერიოდში პანდემიური დისკურსი უკვე კონკრეტულ ფაქტებსა და გატარებულ ღონისძიებებს ეყრდნობა. მიუხედავად იმისა, რომ „great“ და „good“ პირველი ტალღის მსგავსად კვლავ დომინანტურ პოზიციებს ინარჩუნებს, აღმატებითი ხარისხის ფორმის „the best“-ის აქტიური გამოყენება მოწმობს, რომ ამერიკულ დისკურსში ერთ-ერთ წამყვან თემად შედარებითი სრულყოფილების წარმოჩენა იქცა.

რაც შეეხება უარყოფითი კონოტაციის მქონე ლექსიკას, აქ მნიშვნელოვანი ცვლილება შეინიშნება სემანტიკურ პრიორიტეტებში: პირველი ტალღისგან განსხვავებით, ზედსართავი სახელის „bad“ გამოყენების სიხშირე აღემატება „critical“-ის მაჩვენებელს. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს ხელისუფლების მხრიდან პანდემიის მძიმე შედეგების ერთგვარ აღიარებაზე, რაც დისკურსს უფრო რეალისტურს, თუმცა ამავდროულად პასუხისმგებლობით დატვირთულ ელფერს სძენს.

პანდემიის მესამე ტალღა (იანვარი-ივნისი, 2021) ხასიათდება შეფასებითი ზედსართავი სახელების გამოყენების ყველაზე დაბალი სიხშირით წინა პერიოდებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, დადებითი კონოტაციის ერთეულების სიხშირე დაახლოებით 4-ჯერ აღემატება უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სახელების მაჩვენებელს ($0.164:0.046$). ეს თანაფარდობა, ერთი მხრივ, გამოხატავს ფაქტებზე ორიენტირებულ მიდგომას, მეორე მხრივ კი - დაბალანსებულ ემოციურ განწყობილებას. ამ პერიოდში ყველაზე ხშირად გამოყენებული დადებითი

შეფერილობის ზედსართავი სახელებია: „good“, „safe“ და „effective“, რაც მკაფიოდ გამოხატავს პრაგმატულად გააზრებულ პოზიტივს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი სემანტიკური ცვლილება: პირველი ტალღის დომინანტი ზედსართავი სახელი „great“ ჩაანაცვლა „good“-მა, ხოლო „safe“-მა და „effective“-მა დაიკავა წამყვანი პოზიციები ძირითადად ვაქცინაციის პროცესის დასახასიათებლად. აღნიშნული ტენდენცია ასახავს ემოციური მენეჯმენტიდან კონკრეტულ, შედეგებზე ორიენტირებულ კომუნიკაციაზე გადასვლას. რაც შეეხება უარყოფით ლექსიკას, მესამე ტალღის სამი ყველაზე ხშირი ენობრივი ერთეულია: „hard“, „critical“ და „harder“. ზედსართავი სახელის „hard“ წინა პლანზე წამოწევა მიანიშნებს მმართველი პირების მიერ არსებული სირთულეების რეალისტურ გააზრებაზე.

კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ შერჩეული ლინგვისტური სტრატეგიები ცხადყოფს ენის როლს საზოგადოებრივი ქმედებების ჩამოყალიბებაში. არჩევანის მიღმა იკითხება სტრატეგიული მიზნები, რომლებიც კრიზისული კომუნიკაციის ეფექტურობას განაპირობებს.

მესამე ტალღის დისკურსში ერთ-ერთ დომინანტურ ერთეულს „safe“-ი წარმოადგენს. იგი ყველაზე ხშირად ფიქსირდება ისეთ კოლოკაციებში, როგორებიცაა: „safe return“ და „safe reopening“. ეს ფრაზები კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის, სკოლებისა და სამუშაო ადგილების გახსნის პროცესში, სადაც აქცენტი კეთდება არა მხოლოდ თავად ქმედებაზე, არამედ მის უსაფრთხოებაზე. სიტყვა ასევე ხშირად სოციალური დისტანცირების კონტექსტში („safe distance“) გვხვდება, ან - მოქალაქეების მდგომარეობის აღსაწერად. ფრაზა „keep our citizens safe“ ამ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პოლიტიკურ დაპირებასა და მზრუნველობის ნარატივის გაძლიერების საშუალებას წარმოადგენს.

გრამატიკული თვალსაზრისით, ანალიზი ავლენს სპეციფიკურ მოდელებს: ხშირად გვხვდება მიზნობრივი კონსტრუქციები (მაგ: „in order to be safe“), რაც ღონისძიებათა რაციონალურ დასაბუთებას ემსახურება. შედარებითი ხარისხი („safer“) გამოიყენება გარკვეული ქმედებების უპირატესობის საჩვენებლად ალტერნატივებთან მიმართებით. ზმნურ გარემოცვაში კი დომინირებს კონსტრუქცია „keep [someone] safe“,

რომელიც ისეთ ზმნებთან ერთად, როგორებიცაა „feel“, „stay“ და „make“, პოლიტიკური პასუხისმგებლობის დემონსტრირების ეფექტური იარაღია.

სემანტიკური და პრაგმატიკული კუთხით, „safe“-ი ასრულებს „ხიდის“ ფუნქციას ჯანდაცვასა და ეკონომიკას შორის. მაგალითად, ფრაზა „safely reopening“ ანეიტრალებს საზოგადოებრივ შიშს ეკონომიკის გახსნასთან დაკავშირებით. მომხსენებელი ამ სიტყვის გამოყენებისას ეყრდნობა ექსპერტულ ცოდნას, რაც მას „დამამშვიდებელ“ ფუნქციას ანიჭებს და ავტორიტეტის ლეგიტიმაციას უწყობს ხელს.

პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ზედსართავი სახელი „effective“ ჩნდება იქ, სადაც საჭიროა ქმედების ან რესურსის რეალური შედეგიანობის მტკიცება. მისი გამოყენების პიკი სამედიცინო კონტექსტში ფიქსირდება („effective treatment“/„drugs“), სადაც იგი მედიკამენტებისა და ვაქცინების პოტენციალს აღწერს. ასევე ხშირია ტესტირების სისტემის ხარისხის („effective testing“), მართვის პროცესის გამართულობისა („effective communication“/„coordination“) და სტრატეგიების დასაბუთებისას („the most effective way“).

ხშირად გამოიყენება ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის ფორმები („the most effective“), რაც არჩეული გზის უალტერნატივობას უსვამს ხაზს. პრედიკატული გამოყენებისას კონსტრუქციებში („it has to be effective“ ან „we think it will be effective“) სიტყვა გამოხატავს მოლოდინს ან სამეცნიერო ვარაუდს, რაც მას „incredible“-ის კატეგორიული პოზიტივისგან მკვეთრად მიჯნავს. „very“ ან „highly“ („highly effective“) საგრძნობლად აძლიერებს ტექსტის სამეცნიერო და ტექნიკურ დამაჯერებლობას.

„effective“ დისკურსში ვალიდაციისა და ობიექტურობის ილუზიის შექმნის ფუნქციას ასრულებს. თუ „great“ ემოციური შეფასებაა, „effective“ ექსპერტული დასკვნის შთაბეჭდილებას ტოვებს. მომხსენებელი მას იყენებს ოპტიმიზმის რაციონალიზაციისთვის, გატარებული ზომების ეფექტიანობაში მსმენელის დასარწმუნებლად. საბოლოოდ, ეს სახელი ხშირად გამოიყენება კონტრასტისთვის, როდესაც ადმინისტრაციის „ეფექტური“ გზა უპირისპირდება სხვა ქვეყნების ან წარსულის „არაეფექტურ“ მიდგომებს.

ამერიკული პანდემიური დისკურსის კორპუსული და პრაგმატული სიზუსტის ანალიზი ცხადყოფს, რომ კომუნიკაციის სტრატეგია ეფუძნება სამედიცინო სიზუსტისა

და პოლიტიკური პრაგმატიკის მჭიდრო სიმბიოზს. თუ სამედიცინო ტერმინოლოგია (M1) დისკურსის ობიექტურ, ინფორმაციულ ბირთვს ქმნის, პოლიტიკური მარკერები: საკუთარი ეფექტურობის ხაზგასმა (P2), დამშვიდება (M4) და პათოსი (P7) უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის რიტორიკულ „შეფუთვას“ საზოგადოებრივი ნდობის მოსაპოვებლად. კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიის ტალღების მონაცვლეობასთან ერთად, იცვლებოდა არა მხოლოდ ლექსიკური პრიორიტეტები, არამედ აქცენტებიც - ადმინისტრაციული ეფექტურობის მტკიცებიდან (საწყის ეტაპზე) ემოციურ მობილიზაციასა და მომავლის პოზიტიური სურათის დახატვამდე (დასკვნით ეტაპზე). საბოლოოდ, ინგლისურენოვანი პანდემიური დისკურსი წარმოგვიდგება როგორც დინამიკური, ჰიბრიდული სისტემა, სადაც ლინგვისტური არჩევანი პირდაპირპროპორციულია კრიზისის მართვის პოლიტიკური სტრატეგიისა.

4.3. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართული და ინგლისურენოვანი პრესკონფერენციების დისკურსის შედარება-შეპირისპირებითი ლინგვისტური ანალიზი

კვლევის აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილია კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართული და ინგლისურენოვანი (ამერიკული) პრესკონფერენციების დისკურსის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი, გაანალიზებულია ორ განსხვავებულ სოციალურ სივრცეში, საქართველოსა და აშშ-ში კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული კრიზისის მართვის, საზოგადოების მობილიზაციისა და დამშვიდების პროცესში ენის როლი და გაკეთებული ენობრივი არჩევანი ლინგვისტური, პრაგმატიკული და სოციოკულტურული თვალსაზრისით.

ანალიზის ფარგლებში შედარებული და შეპირისპირებულია წინასწარ შერჩეული სამედიცინო და პოლიტიკური მარკერების გამოყენების აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირე პანდემიის პირველი სამი ტალღის განმავლობაში, ასევე ცალკეული ტალღის განმავლობაში Hellinger-ის ანალიზი ორ დისკურსს შორის მსგავსება-განსხვავების ხარისხის შეფასებისა და დინამიკური ცვლილებების ინტერპრეტაციისთვის.

ემპირიული მასალის კორპუსული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართველი და ამერიკელი სპიკერები კრიზისთან დაკავშირებული კომუნიკაციისას თანაბარ უპირატესობას ანიჭებენ შემდეგ მარკერებს: სამედიცინო ტერმინოლოგია (M1), დადებითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელები (PA), კოვიდპანდემიასთან მიმართებით საზოგადოების დამშვიდება (M4), კოვიდსიტუაციის აღწერა (M2), სამედიცინო რეკომენდაციების გაცემა (M3) და „სამთა წესი“ (P9).


აღსანიშნავია, რომ მარკერები, რომელთაც მსგავსად ანიჭებენ უპირატესობას ქართველი და ამერიკელი სპიკერები, უმეტესწილად, გარდა ორი შემთხვევისა („სამთა წესი: და დადებითი მნიშვნელობის ზედსართავი სახელი), სამედიცინოა. რაც შეეხება პოლიტიკურ მარკერებს, ქართველი და ამერიკელი სპიკერების არჩევანი პოლიტიკური მარკერების გამოყენების თვალსაზრისით არცერთ შემთხვევაში არ ემთხვევა.

ერთი და იმავე სამედიცინო მარკერებისთვის უპირატესობის მინიჭების მიუხედავად, მათი ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში გამოყენების ფარდობითი სიხშირე განსხვავებულია.

კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი როგორც ქართველი, ასევე ამერიკელი სპიკერების რჩეული სამედიცინო მარკერებია: სამედიცინო ტერმინოლოგია, საზოგადოების დამშვიდება და საქართველოში არსებული კოვიდსიტუაციის აღწერა.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.891	M1	0.387
0.290	M4	0.213
0.180	M2	0.065

ფარდობითი სიხშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ქართველი სპიკერები დაახლოებით 2,3-ჯერ მეტად იყენებდნენ სამედიცინო ტერმინოლოგიასა და მასთან დაკავშირებულ ლექსიკას, ვიდრე - ამერიკელები.



რაც შეეხება პანდემიასთან მიმართებით სპიკერთა მიერ საზოგადოების დამშვიდებას, ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსში მათი ფარდობითი სიხშირე თითქმის თანაბარია.

სპიკერების მიერ საზოგადოების დამშვიდების რიტორიკის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება აღნიშნულის საჭიროება:

ქართ.: „*მოსახლეობა დავამშვიდო, რომ...*“

ინგ.: „*Take it easy, just relax*“, „*This should not cause undue alarm*“

ორივე დისკურსში დამშვიდების რიტორიკა ხასიათდება დამაჯერებელი ტონალობითა და პოზიტიური აღწერებით:

ქართ.: „*სრულად კონტროლირებადია*“, „*მშვენიერი ურთიერთობა*“, „*გარანტირებული ხარისხი*“

ინგ.: „*fantastic job*“, „*we'll be back in business*“, „*stronger than ever before*“

ორივე დისკურსში საზოგადოების დამშვიდების რიტორიკა პარალელურად მთავრობის თვითდამკვიდრებას ემსახურება:

ქართ.: „*დღეს ქვეყანა ბევრად უფრო მომზადებულია...*“

ინგ.: „*We're prepared for any circumstance*“


კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი დამშვიდების რიტორიკაში დასტურდება მეტაფორები. ქართულენოვან დისკურსში ხშირად იუმორით და ფიგურალურად: „*ზარბაზნები გვაქვს, მეზარბაზნეები ბევრი გვყავს*“, ინგლისურენოვან დისკურსში კი - სამხედრო თუ ეკონომიკური მეტაფორები: „*win this war*“, „*rocket ship*“, „*turn the tide*“.

ქართულენოვან დისკურსში დამშვიდების რიტორიკა გადმოცემულია გრძელი, გადატვირთული წინადადებებით, ინგლისურენოვან დისკურსში კი - მოკლე, მკაფიო და ადვილად აღსაქმელი წინადადებებით.


ქართულენოვან დისკურსში გამოყენებულია შემარბილებელი მოდალური სტრუქტურები: „ვიმედოვნებ“, „შეიძლება“, ინგლისურენოვან დისკურსში კი მტკიცებითი და ოპტიმისტური ფორმულირებები: „we will“, „it will“.

საზოგადოების დამშვიდების ქართულენოვან რიტორიკაში იკვეთება პატერნალისტური მიდგომა. ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ხაზგასმულია „ჩვენ ვიზრუნებ“, „დავიცავთ“, „მზად ვართ“ ტიპის ფორმულირებები.

ინგლისურენოვან დისკურსში პატერნალისტურ მიდგომასთან ერთად ფიქსირდება აქცენტი მოქალაქეების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და ურთიერთთანამშრომლობაზე: „we’re going to stay with you“, „we’re going to lean into this effort“. დამშვიდება ხშირ შემთხვევაში ასევე ხდება „სიტუაციის შესაძლო განვითარების დამშვიდებულად წარმოჩენის სტრატეგიით: „this will pass“, „it’s going to be okay“.



ასევე, დაახლოებით სამჯერ აღემატება ქართველი სპიკერების მიერ ქვეყანაში არსებული კოვიდსიტუაციის აღწერა ამერიკელი სპიკერების მიერ ამერიკაში არსებული კოვიდსიტუაციის აღწერის ფარდობით სიხშირეს.



საკვლევ დისკურსებში სპიკერების მიერ კოვიდსიტუაციის აღწერისას გამოყენებული ლინგვისტური მანიპულაციის თვისობრივი ანალიზისას იკვეთება რიგი მსგავსება-განსხვავებები.


აღსანიშნავია, რომ როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან დისკურსებში ქვეყნის შიგნით არსებული კოვიდსიტუაციის აღწერისას გვხვდება ინფიცირების შემთხვევებისა და პანდემიასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების გადმოცემა. დისკურსის მთავარი თემებია: „ვაქცინაცია“, „ტესტირება“, „კლინიკები“ და „ჰოსპიტალიზაცია“.

რაც შეეხება განსხვავებულ თავისებურებებს, ქართულენოვან დისკურსში აქცენტი კეთდება ქვეყნის მობილიზაციასა და მზაობაზე, კონკრეტულად, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებულობაზე (კლინიკების რაოდენობა, სტაციონარები, ვენტილაციის აპარატები, ვაქცინაციის პუნქტები). ინგლისურენოვან დისკურსში უფრო დიდი სიხშირით აქცენტი კეთდება სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე.

კოვიდსიტუაციის აღწერისას ქართულენოვან დისკურსში ოფიციალური, მაგრამ დამამშვიდებელი ტონით წარმოდგენილია დეტალური სტატისტიკური მონაცემები, მაშინ როცა ინგლისურენოვან დისკურსში გამოყენებულია ემოციური ენა და გამოკვეთილია საგანგაშო სურათი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინასწარ შერჩეულ 6 სამედიცინო და 13 პოლიტიკურ მარკერს შორის ქართველი და ამერიკელი სპიკერები ასევე თანაბარ უპირატესობას ანიჭებენ სამედიცინო რეკომენდაციების გაცემას.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0439	M3	0.0139



აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე ორივე დისკურსში დაბალია, მაგრამ ქართულენოვანში მისი გამოყენების სიხშირე დაახლოებით 3-ჯერ აღემატება ინგლისურენოვანისას. ეს კი ქართულ დისკურსში პრევენციული ზომების მნიშვნელობის ხაზგასმას ასახავს.

საკვლევ დისკურსებში გამოყენებული სამედიცინო რეკომენდაციების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება რიგი მსგავსება-განსხვავებები:

ორივე დისკურსში ხაზგასმულია ერთი და იმავე ფუნდამენტური პრევენციული ზომების მნიშვნელობა. ესაა: ხელების ჰიგიენა (ინგლ.: "wash your hands," ქართ.: „ხშირად დაიბანონ ხელები“), სოციალურ დისტანცირება და ნიღბის ტარება. ასევე, ორივე მოწყვლადი ჯგუფების დაცვას (ინგლ.: "look after the most vulnerable," ქართ.: „გავუფრთხილდეთ მოხუცებს, ხანდაზმულებს“) და საერთაშორისო მოგზაურობის კონტროლზე აკეთებს აქცენტს; მათ შორის - ერთსა და იმავე მაღალდასნეოვნებულ ქვეყნებზე (ჩინეთი, ირანი, იტალია, სამხრეთ კორეა) მითითებით და სავალდებულო კარანტინის/თვითიზოლაციის დაწესებით.

რაც შეეხება განსხვავებებს, აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან დისკურსში რეკომენდაციები უპირატესად გაიცემა არაპირდაპირი, კოლექტივზე მიმართული ფორმებით („მოსახლეობამ უნდა დაიცვას“, „აუცილებელია, რომ...“), ხოლო ინგლისურენოვან დისკურსში ჭარბობს პირდაპირი, ინდივიდზე ორიენტირებული რეკომენდაციები ("You should wear a mask", "If you're not vaccinated..."). ასევე, ქართულენოვან რეკომენდაციებს ახასიათებს ნაკლებად კატეგორიული ფორმულირებები („რეკომენდებულია“, „სასურველია“, „შეიძლება“), მაშინ როცა ინგლისურენოვანი რეკომენდაციები უფრო მტკიცე და ზოგჯერ ბრძანებითია ("Do not", "You must", "Get vaccinated").

სამედიცინო რეკომენდაციების გაცემისას ორივე დისკურსში ავტორიტეტულ წყაროებს მიმართავენ, მაგრამ ქართულენოვან დისკურსში ავტორიტეტებს მოიხსენებენ განზოგადებულად („სპეციალისტები გვეუბნებიან“, ან „ექიმების თქმით“), ინგლისურენოვან დისკურსში კი ნახსენებია კონკრეტული ინსტიტუციები/ექიმები ("CDC recommends", "Dr. Fauci said").


ქართულენოვან დისკურსში რეკომენდაციები ფორმულირებულია ემოციური აქცენტებით: „ჩვენ ვემზადებით, ვზრუნავთ თქვენზე...“, ინგლისურენოვან დისკურსში კი - ინფორმაციულ-ტექნიკურ სტილში: "According to data...".

სამედიცინო რეკომენდაციის გაცემისას ქართულ დისკურსში გამოიყენება დეტალური ტერმინოლოგია ინსტიტუციური სანიტარიისა და ინფექციის კონტროლისთვის („დეზობარიერების არსებობა“, „სანიტაიზერებით დამუშავება“, „დეზინფიცირება“), მაშინ როდესაც ინგლისურენოვანი დისკურსი ორიენტირებულია ზოგად ჰიგიენასა და სიმპტომების მართვაზე: "wash your hands," "severe cold or the flu."

ქართულ დისკურსში ეპიდემიოლოგიური კონტროლი მიმართულია შიდა ლოკალიზაციისკენ, რაც გამოიხატება საზღვრის კონტროლითა და ბიზნესგარემოში ინფექციის გავრცელების შეჩერებით, ასევე შიდა შეზღუდვებით (ქალაქების ჩაკეტვა, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის შეჩერება). ინგლისურენოვან დისკურსში კი ყურადღება გამახვილებულია რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და სისტემის გადატვირთვის პრევენციაზე, ასევე საერთაშორისო მოგზაურობის შეზღუდვაზე.

კიდევ ერთი მარკერი, რასაც თანაბარ უპირატესობას ანიჭებენ ქართველი და ამერიკელი სპიკერები დადებითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელებია.


ქართულენოვანი დისკურსი	ზედსართავი სახელი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.315222078	PA	0.219821621



ფარდობითი სიხშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართულენოვანი პრესკონფერენციის დისკურსში გაცილებით დიდი სიხშირით გამოიყენება დადებითი კონოტაციის ზედსართავი სახელები, ვიდრე - ინგლისურენოვან დისკურსში.

უარყოფითი კონოტაციის ზედსართავი სახელების გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ქართველი სპიკერები, ამერიკელებთან შედარებით, გაცილებით დიდ უპირატესობას ანიჭებენ დისკურსში მათს გამოყენებას.

ქართულენოვანი დისკურსი	ზედსართავი სახელი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.2436395	NA	0.061740735



ქართულენოვან დისკურსში 4-ჯერ მეტია უარყოფითი კონოტაციის შეფასებითი ზედსართავი სახელების გამოყენების სიხშირე, ვიდრე - ინგლისურენოვანში.

როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან დისკურსში როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციის ზედსართავი სახელი გამოიყენება აუდიტორიაში ემოციური რეაქციის გამოსაწვევად (ქართ. „ძალიან მძიმე“, „საფრთხის შემცველი“ (NA), ინგ. „tremendous effort“, „unbelievably effective“ (PA)) და კრიზისის სიღრმისა და მიღწევის ხაზგასასმელად.

ორივე შემთხვევაში უარყოფითი კონოტაციის ზედსართავები (NA) აღწერს მდგომარეობის სიმძიმეს, ხოლო დადებითი (PA) მიმართულია სუბიექტების მიმართ (ექიმები, მთავრობა): ქართ. „მკაცრი ნაბიჯები“ (NA), „ძირითადი მიზანი“ (PA), ინგ. „dire situation“ (NA), „heroic healthcare workers“ (PA).

როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან დისკურსში დადებითი კონოტაციის ზედსართავები ასოცირდება მთავრობის ან საზოგადოების მიზნებთან, პასუხისმგებლობასთან (ქართ. „ძირითადი მიზანი“, „მნიშვნელოვანი პრევენციული მნიშვნელობა“. ინგ. „most important goal“, „essential precautions“).

რაც შეეხება განსხვავებებს, ქართულენოვან დისკურსში ფიქსირდება უფრო ოფიციალური მიმართვის ფორმა და მოწოდება *სიფრთხილისკენ* („საფრთხის შემცველი“, „მძიმე“, „მკაცრი“), ხოლო ინგლისურენოვან დისკურსში უფრო ხშირია პოზიტიური, მოტივაციური ტონი („strong“, „great“, „incredible“).

ქართულენოვან დისკურსში ზედსართავი სახელი ხშირად აღწერს მდგომარეობას და ზომების მიღების აუცილებლობას, ინგლისურენოვან დისკურსში კი აფასებს პიროვნებებს, პოლიტიკის წარმატებას და ხაზს უსვამს პროგრესს.

ქართულენოვან დისკურსში დადებითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელების გამოყენება მერყეობს ტალღების მიხედვით და ემთხვევა შიდაეპიდემიოლოგიური და პოლიტიკური დინამიკის ცვლილებებს.

მაგალითად, პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში დადებითი კონოტაციის ზედსართავების მაღალი სიხშირით გამოყენება ასახავს ხელისუფლების მცდელობას, მოახდინოს საზოგადოების მობილიზაცია. მეორე ეტაპზე აღნიშნული მარკერის მკვეთრი კლებაა, რაც მიუთითებს, რომ კრიზისის გამწვავების პარალელურად დისკურსში ხაზი გაესვა რისკებსა და გამოწვევებს. რიტორიკა კი გახდა შიშზე ორიენტირებული. მესამე ტალღაზე დადებითი კონოტაციის მქონე ზედსართავი სახელების მკვეთრი ზრდა ასახავს საკომუნიკაციო სტრატეგიის ცვლილებას. კონკრეტულად, შიშის ნაცვლად სპიკერები ცდილობენ ოპტიმიზმის ხელშეწყობასა და აქცენტის გაკეთებას პროგრესზე.

ქართულენოვან დისკურსში უარყოფითი კონოტაციის მქონე ზედსართავი სახელების გამოყენების სიხშირე კლებადია. მკვეთრი კლება ფიქსირდება პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში. პირველ და მეორე ტალღაზე ხდებოდა კრიზისის სიმძიმის ხაზგასმა, მესამე ეტაპზე კი ის კრიზისის დადებითმა ფორმულირებებმა ჩაანაცვლა.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართულენოვანი პრესკონფერენციის დისკურსში უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავების გამოყენება თანდათან მცირდება პანდემიის მიმდინარეობისას, განსაკუთრებით მესამე ტალღის პერიოდში. თუ პირველ და მეორე ტალღებში ამ ტიპის ენას ძირითადად კრიზისის სიმძიმის ხაზგასმისა და საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით იყენებდნენ, მესამე ტალღაში ის ჩანაცვლებულია უფრო პოზიტიური ფორმულირებით.

	მარკერი	ტალღა I	ტალღა II	ტალღა III
ქართულენოვანი დისკურსი	PA	0.3391	0.2560	0.3939
	NA	0.2697	0.2439	0.0995
ინგლისურენოვანი დისკურსი	PA	0.2196	0.2403	0.1640
	NA	0.0591	0.0777	0.0463

ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში გამოყენებული დადებითი და უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელების ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი მსგავსება:

ორივე დისკურსში გამოყენებული დადებითი კონოტაციის მქონე ზედსართავი სახელების სიხშირე პანდემიის სამივე ტალღის განმავლობაში აჭარბებს უარყოფითი მნიშვნელობის ზედსართავების გამოყენების სიხშირეს.

ორივე დისკურსში მესამე ტალღაზე ფიქსირდება უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავების კლება, რაც მიუთითებს ენობრივი ტონის შერბილების ტენდენციაზე. მესამე ტალღაზე ცვლილებები ორივე შემთხვევაში ეხმიანება წინა პერიოდებთან შედარებით შემცირებულ ემოციურ დამაბულობას.

რაც შეეხება განსხვავებებს, აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან დისკურსში დადებითი კონოტაციური მნიშვნელობის ზედსართავები ბევრად უფრო დიდი სიხშირით გამოიყენება. იგი პიკს მესამე ტალღის განმავლობაში აღწევს. ინგლისურენოვან დისკურსში ორივე ტიპის ზედსართავი სახელის ფარდობითი სიხშირე დაბალია, რაც შეიძლება მიუთითებდეს უფრო ნეიტრალურ, ტექნიკურ ტონს ან ნაკლებად ემოციურ კომუნიკაციას.


ქართულენოვან დისკურსში უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელების გამოყენების სიხშირე საშუალოდ 4-5ჯერ აჭარბებს ინგლისურენოვან დისკურსში გამოყენებისას.

რაც შეეხება დანარჩენი ორი სამედიცინო დისკურსის მარკერს - M5, M6, რომლებსაც კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, სამედიცინო დისკურსის სხვა მარკერებთან შედარებით, ნაკლებ უპირატესობას ანიჭებენ. როგორც

საქართველოში, ასევე ამერიკაში, განსხვავებულია მათი გამოყენების ფარდობითი სიხშირეც.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.017680034	M5	0.002844841
0.014661492	M6	0.008457635

კორპუსული კვლევის შედეგად იკვეთება, რომ კოვიდრეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებით ქართულენოვან დისკურსში თითქმის რვაჯერ უფრო მეტად გამოთქვამენ უკმაყოფილებას, ვიდრე ინგლისურენოვან დისკურსში. ამასთან, რეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოხატვა ინგლისურენოვან დისკურსში, სხვა დანარჩენ მარკერებს შორის, იგი ყველაზე დაბალი სიხშირით გამოიყენება.



სიხშირის თვალსაზრისით არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, ორივე დისკურსში რეგულაციების დაუცველობა წარმოდგენილია როგორც უპასუხისმგებლობა.

ქართულენოვან დისკურსში დასტურდება კანონის დარღვევის მორალური შეფასებები: „ეს არის მავნებლობა“, „ეს არის უკიდურესი უპასუხისმგებლობა“, „ეს მიუღებელია“, „ეს ნიშნავს, რომ პატივს არ ვცემთ...“ ინგლისურენოვან დისკურსში კრიტიკა არაპირდაპირია და ხაზს უსვამს დაუდევრობას. პასუხისმგებლობა კი

ეკისრება კონკრეტულ ჯგუფებს: *“too many people... thinking we’re at the finish line”, “their fingers are in their mask and they’re serving with plates”, the virus is spreading because too many people...”*

რეკომენდაციების დაუცველობასთან დაკავშირებით გამოთქმულ ორივე დისკურსში ფიქსირდება ემოციური კონტექსტის გაძლიერება ზედსართავი სახელით (ქართ. „მძიმე“, „მაღალი“, „მიუღებელი“, „მინიმალური ზიანი“, ინგ. *“incredible demand”, “a lot of problems”, “pent-up”*).

ასევე, ორივე დისკურსში ფიქსირდება რეკომენდაციების დაუცველობის უარყოფითი შეფასება არამართო მორალური ნიშნით, არამედ იმ კონტექსტითაც რომელშიც აღწერილია ქცევის შედეგები (ქართ. *„სამწუხაროდ, ბევრი არასაჭირო მობილობა“*, ინგ. *“virus is spreading because...”, “problems with masks...”*).

ანალიზის შედეგად იკვეთება ასევე რიგი განსხვავებები:


ქართულენოვანი დისკურსი მორალურად დატვირთულია. ხშირია განმეორებითი სტრუქტურები და შეფასებითი მსჯელობა (*„ეს იმას არ ნიშნავს, რომ გმირები ვართ... ეს ნიშნავს, რომ არ ვცემთ პატივს...“*), ხოლო ინგლისურენოვანი დისკურსი უფრო ფაქტზე ორიენტირებული და შედარებით ირონიულია, თუმცა მაინც გადმოსცემს უკმაყოფილებას (*“I see them playing with masks, and then serving plates...”*).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე დისკურსში რეკომენდაციების დაუცველობასთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოხატვისას გამოიყენება ზედსართავი სახელები, მაგრამ ქართულ დისკურსში იგი განზოგადებულია და ემოციურად მთამბეჭდავი (*„მძიმე“, „დიდი“, „სოციალური“, „მიუღებელი“*). ინგლისურენოვან დისკურსში კი ზედსართავები ნაკლებად ემოციურია, მეტწილად აღწერითი და კრიტიკული (*“pent-up”, “incredible”, “a lot of problems”*).

ქართულ დისკურსში სპიკერები ცდილობენ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მობილიზებას მორალური არგუმენტებით, ხშირად მიმართავენ მსმენელის ისეთ ემოციურ ღირებულებებს, როგორებიცაა *„პატივისცემის ნაკლებობა“, „მავნებლობა“, „სოციალური პასუხისმგებლობა“*, ხოლო ინგლისურენოვან დისკურსში აქცენტი კეთდება პრაგმატულ შედეგებზე, როგორებიცაა *„ინფექციის გავრცელება“, „ლოჯისტიკური პრობლემები“* და ა.შ.

ქართულენოვან დისკურსში ფიქსირდება საერთო პასუხისმგებლობაზე ხაზგასმა და მიმართვა („ჩვენს მოქალაქეებთან“), ხოლო ინგლისურენოვან დისკურსში ნაკლებად გვხვდება განზოგადებული მიმართვები, ნაცვლად ამისა, დასახელებულია უფრო კონკრეტული ქცევები და ადგილები (მაგ., „restaurants“, „people who...“).

რაც შეეხება სამედიცინო პერსონალის როლზე ყურადღების გამახვილებას (M6), მას ვხვდებით როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან დისკურსებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ დისკურსში მისი გამოყენების სიხშირე თითქმის ორჯერ აღემატება ინგლისურენოვანში გამოყენების ფარდობით სიხშირეს.



მედიკოსთა როლზე ყურადღების გამახვილების, როგორც მარკერის დიაქრონიული და თვისობრივი ანალიზის, შედეგად იკვეთება რიგი მსგავსება-განსხვავებები. მაგალითად, ქართულენოვან დისკურსში პანდემიის პერიოდში შეიქმნა მედიკოსთა პატრიოტულ-გმირული გამოხატულება და გამოიყენებოდა ზედმეტად ემოციური ტონი: „მათი ვალი გვაქვს“, „თავგანწირულები.“ ინგლისურენოვან დისკურსში მედიკოსთა როლი წარმოჩენილია შედარებით დასაბუთებულად და პრაგმატულად, ხშირად ხაზგასმულია ტექნიკური კომპეტენციები.


ქართულენოვან დისკურსში მედიკოსების შეფასება გამოიყენება დაწესებული კოვიდრეგულაციების დაცვისკენ მოწოდების ლეგიტიმაციად, ხოლო ინგლისურენოვან დისკურსში მედიკოსების გაღმერთება მიმართულია ნდობის გაღრმავებისა და პანიკის განეიტრალებისკენ.

რაც შეეხება პოლიტიკური მარკერების გადანაწილების სიხშირეს ქართულენოვან და ინგლისურენოვან დისკურსში, აღსანიშნავია, რომ კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი ქართველი სპიკერების რჩეული პოლიტიკური დისკურსის მარკერებია: მეტაფორა, დაშინება, საზოგადოებისადმი მიმართვა, პანდემიასთან მიმართებით საკუთარ შედეგებზე ყურადღების გამახვილება, სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანა. ამერიკელი სპიკერები კი პოლიტიკური დისკურსის სხვა მარკერებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებენ: პანდემიასთან მიმართებით საკუთარი შედეგების ხაზგასმას, პათოსს, დაპირებას, დაშინებას, მეტაფორასა და საზოგადოებისადმი მიმართვას.

ქართ.	P6	P1	P3	P2	P8	P11	P7	P12	P4	P5	P10	P9	P13
ინგ.	P2	P7	P4	P1	P6	P3	P12	P11	P8	P13	P5	P10	P9

კორპუსულ კვლევაზე დაფუძნებული რაოდენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი ქართველი სპიკერების მეტყველება გაცილებით უფრო მეტაფორიზებულია, ვიდრე ამერიკელი სპიკერების მეტყველება. მეტაფორის გამოყენების სიხშირით ქართული დისკურსი დაახლოებით ექვსჯერ აღემატება ინგლისურენოვანისას.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.1884	P6	0.0346



კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში გამოყენებული მეტაფორების თვისობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება მსგავსი და განსახვავებული შინაარსის მეტაფორები, რომლებიც გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო მიზნით.

როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან დისკურსში მეტაფორა გამოყენებულია პანდემიური სიტუაციის წარმოსადგენად. ორივეში პანდემია წარმოდგენილია როგორც განსაკუთრებული და პარანორმალური მოვლენა, რომელიც მოითხოვს მობილიზებას. მაგალითად, ქართ.: „ფრონტის წინა ხაზზე მყოფი ექიმები“, „დღე და ღამ გვიწევს ბრძოლა“, „გარდამტეხი პერიოდი“, „ეს ბრძოლა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მოიგოს“ და ინგ.: „around the clock“, „fight the invisible enemy“, „frontline warriors“.

ქართულ დისკურსში გამოყენებულ მეტაფორებში აქცენტი გაკეთებულია დაწესებულებებისა და მმართველი ძალის პასუხისმგებლობაზე, ინგლისურენოვანში კი - ინდივიდუალურ და კოლექტიურ ბრძოლაზე, რისთვისაც გამოყენებულია სამხედრო და ომის მეტაფორები.

პანდემიური სიტუაციის წარდგენასთან ერთად ხშირად ფიქსირდება დროის აღქმასთან დაკავშირებული მეტაფორები („ეტაპობრივად გავზარდეთ ტესტირების რაოდენობა“, „ამ რთული გზის დასაწყისში“, „ეს არის ხანგრძლივი ომი, რომელიც გვაშორებს ჩვეულ ცხოვრებას“, „flatten the curve“, „we’re not at the finish line yet“). ორივე დისკურსში დრო აღიქმება როგორც დინამიკური ელემენტი, რომლის მართვაც მოითხოვს სტრატეგიულ მოქმედებას. ქართველი სპიკერების მიერ გამოყენებულ


მეტაფორებში აქცენტი კეთდება დამშვიდებასა და გამძლეობაზე, ვინაიდან დრო წარმოდგენილია როგორც დამთრგუნველი მოლოდინი ან მძიმე ბრძოლა, მაშინ როცა ამერიკელი სპიკერების მიერ გამოყენებული მეტაფორები წარმოაჩენს მოთმინებისა და შრომის გაგრძელების საჭიროებას, დრო წარმოდგენილია როგორც გზა, რომელიც მოძრაობს უკეთესობისკენ („*We are turning the corner*“, „*Light at the end of the tunnel*“).

ორივე დისკურსში ფიქსირდება კონტროლსა და მართვასთან დაკავშირებული მეტაფორები. მაგ. „*სიტუაცია ჯერ კიდევ მყიფეა*“, „*ხელები არ უნდა ჩამოვყაროთ*“, „*we are in control of our destiny*“, „*navigate through uncharted waters*“. ორივე დისკურსში გამოყენებული მეტაფორები წარმოაჩენს კონტროლის დაკარგვის შიშს, მაგრამ ქართულენოვან დისკურსში გამოყენებული მეტაფორები არის გამაფრთხილებელი ტიპის, რომლის მიზანიც პასუხისმგებლობის აღებისკენ მოწოდებაა, ინგლისურენოვან დისკურსში გამოყენებული მეტაფორები კი მოიცავს ლიდერულ და დამაჯერებელ ელემენტებს.

საკვლევ დისკურსებში ფიქსირდება მეტაფორები, რომელთა მთავარი მიზანი საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე ყურადღების გამახვილებაა. მაგ. „*უნდა გამოვიჩინოთ მაღალი შეგნება*“, „*ყველა ერთად უნდა ვიდგეთ ამ ბრძოლაში*“, „*we're all in this together*“, „*every citizen is a soldier in this fight*“, „*Together we flatten the curve*“. ქართულ დისკურსში აქცენტი კეთდება ზნეობრივ და მორალურ ვალდებულებებზე, მაშინ როცა ინგლისურენოვან მეტაფორებში იკვეთება მობილიზაციისა და გმირული მოქალაქეობის იდეა.

ქართულენოვან სტრატეგიულ კომუნიკაციაში ქართველი სპიკერები საკმაოდ დიდი სიშორით მიმართავენ საზოგადოების დაშინებას. დაშინების მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე კი დაახლოებით 4-ჯერ აღემატება ინგლისურენოვანი დისკურსისას.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.1151	P1	0.0359



კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსში სპიკერების მიერ დაშინების მარკერის გამოყენებისას ფიქსირდება ლინგვისტური, კულტურული და სხვა ტიპის თავისებურებათა მსგავსება-განსხვავებები:

ორივე დისკურსში დაშინების მარკერით გამოხატულია გაურკვეველობა და არასტაბილურობა: ქართ. „არავინ იცის...“, ინგ. *"We just don't know yet..."*

ორივე დისკურსში ფიქსირდება სამართლებრივი მუქარა დაშინების მიზნით: „დაჯარიმება“, „სისხლის სამართალი“, „DOJ prosecution“, „knock on door“.

ორივე დისკურსში დაშინების მიზნითვე ფიქსირდება ემოციური მეტაფორების გამოყენება: ქართ. „საფასური“, „ბრძოლა“, ინგ. „fight“, „war“, „life-and-death race“

აღნიშნული მიზნით ასევე ფიქსირდება სტატისტიკის დემონსტრირება: ქართ. „ინფიცირებულების რაოდენობა“, „დღიური შემთხვევები“, „მატება“, „სიკვდილიანობა“, ინგ. „million deaths avoided, daily losses“, „death toll“, „infection rates“, „spike“.

დაშინების მიზნით ორივე დისკურსში ჰიპერბოლიზებულია არსებული კოვიდსიტუაცია: ქართ. „უპრეცედენტო გამოწვევა“, ინგ. „worst crisis since WWII, bodies in bags“ და გამოყენებულია ემოციური ლექსიკა: ქართ. „საშიში“, „მძიმე“, „გამოუსწორებელი“, ინგ. „devastating“, „deadly“, „crush“, „overwhelm“.

მსგავსებებთან ერთად ფიქსირდება რიგი განსხვავებები: ქართულენოვან დისკურსში დაშინებისას აქცენტი კეთდება როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე: „ჩვენ“, „ერთად“, „საზოგადოება“, ხოლო ინგლისურ დისკურსში დაშინების მიზნით აქცენტი ხშირად კოლექტიურ პასუხისმგებლობაზეა: *"your freedom", "your responsibility"*.

ქართულენოვან დისკურსში დაშინების მიზნით გამოყენებული ენა ზომიერია, ინგლისურენოვან დისკურსში კი რიტორიკა პატრიოტულია: *"on American soil", "we will win", "great nation"*.


ქართულენოვან დისკურსში დაშინების მარკერი გადმოცემულია რთული და პერიფრაზული კონსტრუქციებით, ინგლისურენოვანში კი გამოყენებულია თანწყობილი წინადადებები.

ქართულენოვან დისკურსში აგრესია და მუქარა გამოხატულია ზომიერი ტონით, დაშინებას თან ახლავს თანაგრძნობა, ინგლისურენოვან დისკურსში კი მკაცრი გაფრთხილებები და სამართლებრივი ტონი.

ქართულენოვან დისკურსში დაშინება ძირითადად სრულდება ემოციური მიმართვით: *„ერთად დავძლევა“*, ინგლისურენოვან დისკურსში კი ფიქსირდება მოწოდება ქმედებისკენ: *„act now“*.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულენოვან დისკურსში საზოგადოებისადმი მიმართვა სპიკერების პრიორიტეტულ პოლიტიკურ მარკერებს შორისაა. მისი გამოყენების ფარდობითი სიხშირე 5-ჯერ აღემატება ინგლისურენოვანისას.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.112548512	P3	0.029063509



ქართულენოვან დისკურსში საზოგადოებისადმი მიმართვისას ხშირადაა გამოყენებული კოლექტიური სუბიექტები („ჩვენი მოსახლეობა“, „ქართველებო“, „ჩვენი საზოგადოება“), რაც ხაზს უსვამს საერთო იდენტობასა და თანაგრძნობას. ინგლისურენოვან დისკურსში მიმართვის ფორმა ემყარება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და ქმედითი არჩევანის ხაზგამას. შესაბამისად, მიმართვა კეთდება მეორე პირში (*"you"*, *"every American"*, *"citizens"*), რაც ქმნის პირად პასუხისმგებლობაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას.

ქართულენოვან დისკურსში მიმართვისას გამოყენებულია ევფემისტური და სათქმელის შესარბილებელ ფორმულირებები („მოგიწოდებთ“, „სასურველია“, „ვთხოვთ“), ინგლისურენოვან დისკურსში კი - ბრძანებითი და კატეგორიული ფორმულირებები (*"Do your part"*, *"Act now"*, *"Stay informed"*).

ქართულენოვან დისკურსში გამოყენებულია სოციალურ მორალზე დაფუძნებული არგუმენტაცია („ერთად უნდა ვაგრძნობინოთ...“, „ჩვენი ერთიანობით დავამარცხებთ...“), რომელიც ეხმიანება კოლექტივისტურ კულტურულ ღირებულებებს. ინგლისურენოვან დისკურსში კი მიმართვა ეფუძნება თავისუფლებისა და სამოქალაქო ვალდებულების ბალანსს (*"Your freedom comes with responsibility"*), რაც ტიპურია ამერიკული ინდივიდუალისტური კულტურული მოდელისთვის.


საზოგადოებისადმი მიმართვა ქართულ დისკურსში ხშირად არის ემოციურად დატვირთული, მორალური ერთიანობის ხაზგასმაზე ორიენტირებული და ზნეობრივი დისციპლინის გაძლიერების ინსტრუმენტი. ინგლისურენოვან დისკურსში კი მიმართვა ემსახურება პასუხისმგებლიანი მოქალაქის როლის გააქტიურებას და ეროვნული იდეალების - თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

ქართულენოვან დისკურსში ფიქსირდება სარიტუალო და ცერემონიული მიმართვის ფორმები (მაგ., „ხაზი მინდა გავუსვა“, „მომართავთ“), ინგლისურენოვან დისკურსში კი ლაკონიური, პირდაპირი ფორმები, რაც მიზნად ისახავს დაუყოვნებელი მობილიზაციის მიღწევას.

პანდემიასთან დაკავშირებული საკუთარი მიღწევების ხაზგასმა ორივე კულტურის პოლიტიკური პირების რჩეული მარკერია. აღსანიშნავია, რომ მათი გამოყენების ფარდობითი სიხშირე თითქმის თანაბარია, მაგრამ აღნიშნული მარკერი

ინგლისურენოვან დისკურსში ყველაზე დიდი სიხშირით გამოყენებული პოლიტიკური დისკურსის მარკერია.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0948	P2	0.0909



კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულენოვან დისკურსში სპიკერები საკუთარი თუ სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს წარმატებული ნაბიჯების დასახელებისას ხშირად ხაზს უსვამენ ქვეყნის შიდა რესურსების ზღვრულად ამოქმედებას: „*ჯანდაცვის სისტემა დღითიდღე უფრო მეტად იტვირთება*“, „*მთავრობა ფუნქციონირებს საგანგებო რეჟიმში*“, ინგლისურენოვან დისკურსში კი ფედერალური და ცალკეული შტატის მმართველი სისტემის ქმედითუნარიანობა: „*Our healthcare system has been stretched, but we are mobilizing all resources*“, „*The CDC is working 24/7 under extreme pressure*“.

საკუთარი მიღწევების უკეთ წარმოსაჩენად სპიკერები აღიარებენ სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუციისადმი არსებული გამოწვევების სირთულეს და ხაზს უსვამენ მის უპრეცედენტო ბუნებას: „*ასეთი მოცულობის მენეჯმენტი სახელმწიფოს ამ მასშტაბით ჯერ არ განუცდია*“. ინგლისურენოვან დისკურსში კი, სახელმწიფო სისტემის გამძლეობისა და გამოწვევების მიუხედავად, ფიქსირდება ნარატივი ფუნქციურობის შენარჩუნებაზე: „*Despite all odds, our institutions have stood strong*“.

ინგლისურენოვან დისკურსში ხაზგასმულია სისტემური მობილიზაცია და ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომელთა მიზანიც არის „შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება“: *„We inherited broken systems, but we are building response capacity rapidly“*.

როგორც ქართულ, ისევე ინგლისურენოვან დისკურსში სპიკერები აქტიურად უსვამენ ხაზს სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტურობას, ორგანიზებულობასა და დროულ რეაგირებას. ეს თემები ასრულებს ლეგიტიმაციის ფუნქციას. კონკრეტულად, კრიზისის ფონზე ხელისუფლების სანდოობის გამყარებასა და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას.


ქართულენოვან დისკურსში სპიკერები ხშირად იყენებენ კოლექტიურ ფორმას (*„ჩვენ ეფექტურად ვმართავთ სიტუაციას, “ჩვენი ჯანდაცვის სისტემამ შეძლო პასუხის გაცემა“*) და ხაზს უსვამენ განგრძობითი ძალისხმევისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას. აგრეთვე, ქართულ ნარატივში გამოკვეთილია მორალური ჩარჩო, სადაც ეფექტურობა უშუალოდა უკავშირდება ეთიკურობას (მაგ. *„ჩვენი ექიმები ყოველდღიურად გმირულად იბრძვიან“*). აღნიშნულის საპირისპიროდ, ინგლისურენოვან დისკურსში გვხვდება ზუსტი, ფაქტობრივი ნარატივი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულ შედეგებზე (მაგ., *„deploying tens of thousands of ventilators“, „building hospitals in record time“*). ინგლისურენოვან ნარატივში უპირატესობა ენიჭება პრაგმატულ შეფასებებს. სახელმწიფოს მოქმედება შეფასებულია როგორც სწრაფი, სისტემატური და ეფექტური.

ქართულ ნარატივში მრავლადაა მოდალურობა (*„უნდა აღინიშნოს“, „შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ“*), რაც საერთო ბრძოლაში თანამონაწილეობის ილუზიას ქმნის. ამერიკული ნარატივი პირდაპირია, დასახელებულია ზუსტი რიცხვები და სტატისტიკა.

ქართულენოვან დისკურსში სახელმწიფო წარმოდგენილია როგორც მზრუნველი ინსტიტუტი, სადაც ეფექტურობა პირდაპირ უკავშირდება პასუხისმგებლობას. ამერიკულ კულტურაში კი სახელმწიფო წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც მუშაობს მოქალაქეების კეთილდღეობისთვის, თუმცა მოქალაქეებს რჩებათ პირადი სივრცე ინფორმირებულად გადაწყვეტილების მისაღებად. ქართულ ნარატივში საზოგადოებას ნაკლებად აქვს არჩევანის გაკეთების უფლება.

რიტორიკულ და სტილისტიკურ საშუალებებს შორის აღსანიშნავია პარალელიზმისა და ჩამონათვალის გამოყენების სიხშირეც. ქართველი სპიკერების დისკურსში დაახლოებით 5-ჯერ მეტი სიხშირით გამოიყენება პარალელიზმი და ჩამონათვალი, ვიდრე ამერიკულში.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0698	P8	0.0197




ქართულენოვან დისკურსში პარალელური კონსტრუქციები და ჩამონათვალი ხშირად გამოიყენება მომსახურე ჯგუფების ან გატარებული ზომების ჩამოსათვლელად, რათა ხაზი გაესვას სახელმწიფოს ძალისხმევის მასშტაბს: „მათგან ზოგიერთი მორიგეობს სტაციონარში, ზოგიერთი კონსულტაციებს უწევს ბინაზე მყოფებს, ნაწილი მუშაობს სატელეფონო ცენტრში“. ინგლისურენოვან დისკურსში ჩამონათვალი ხშირად გამოიყურება ასე: *“They detect, trace, isolate, and treat”, ან “Stronger, safer, better”,* რაც ემსახურება კონცეპტუალურ ხაზგასმასა და სლოგანის ეფექტის შექმნას.

ქართულენოვან დისკურსში პარალელური კონსტრუქციის თითოეულ ელემენტს ენიჭება სიმძაფრე და მნიშვნელობა, რაც ზრდის ტექსტის ავტორიტეტის ხარისხს. ინგლისურენოვან დისკურსში კი პარალელურ სტრუქტურებს ხშირად თან ახლავს ინტენსივობის ზრდის პრინციპი, რაც აუდიტორია უყალიბებს მოლოდინს და აძლიერებს ემოციურ მუხტს.

ქართულენოვან დისკურსში პარალელური სტრუქტურები წარმოაჩენს რეგულარულობას და კონტროლს. პარალელური სტრუქტურების სინტაქსური სიმეტრია და სიხშირე ქმნის მმართველი სისტემის ორგანიზებულობის შთაბეჭდილებას, იგლისურენოვან დისკურსში პარალელური კონსტრუქციები ემსახურება ჰიპერბოლიზებასა და დაპირებებზე ორიენტირებულ სტილისტიკას, სადაც ყოველი ახალი ელემენტი წინაზე უკეთესის იმედს იძლევა: *“Easy, fast, free”*.

კრიზისის მართვაზე პასუხისმგებელი პირები საკუთარ დისკურსში სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგიის განსახორციელებლად ქვეყნის გარე სივრციდან მაგალითების მოყვანას მიმართავენ. აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან დისკურსში აღნიშნული მარკერის გამოყენების სიხშირე 2,5-ჯერ აღემატება ინგლისურენოვანში მისი გამოყენების სიხშირეს.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0625	P11	0.0241



ქართველ და ამერიკელ სპიკერებს საკუთარ ნარატივში ხშირად მოჰყავთ კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული მაგალითები ქვეყნის გარე სივრციდან. ქართველი სპიკერები ძირითადად აღნიშნულ მარკერს იყენებენ მათ მიერ გატარებული ღონისძიებებისა და შეზღუდვების ლეგიტიმაციისთვის, ამერიკელი სპიკერები კი

ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობის ქვეყნის გარეთ არსებულ მდგომარეობასთან შესადარებლად და საკუთარი უპირატესობის წარმოსაჩენად.

ქართულენოვან დისკურსში უცხო ქვეყნების მაგალითები ხშირად წარმოდგენილია ჩამონათვალის სახით. ჩამონათვალი ორგანიზებულია გეოგრაფიული თვალსაზრისით ან წარმოდგენილია სტატისტიკური თანმიმდევრობით. სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანისას გამოყენებულია ნეიტრალური ტონი: „გარდაიცვალა“, „სიკვდილიანობა“, „ინფიცირებული“, რაც სპიკერისგან ემოციური დისტანციის შენარჩუნებაზე მიანიშნებს.

ინგლისურენოვან დისკურსში კი ვხვდებით შედარებით კონსტრუქციებს, როგორებიცაა *“more than”*, *“twice as much as”*, *“no country even close”*, რაც ამერიკის მთავრობის წარმატების გამოკვეთას ემსახურება. სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანისას გამოყენებული ლექსიკა დატვირთულია შეფასებით-ემოციური ელემენტებით, მაგალითად: *“amazing job”*, *“we did better”*, *“greatest numbers”*.

სხვა ქვეყნის მაგალითების მოხმობისას ქართულენოვან დისკურსში არ არის მოყვანილი კონკრეტული ინდივიდების ქმედებები. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მოვლენის მასშტაბსა და სისტემურობაზე. ინგლისურენოვან დისკურსში აქტიურად ხდება პიროვნული დამსახურების ხაზგასმა: *“we’ve done”*, *“we are testing”*, *“we saved lives”*.


ქართულენოვან დისკურსში სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანა ინფორმაციულ-საგანმანათლებლო ფუნქციას ემსახურება. ამასთანავე, მისი მიზანი საზოგადოების მობილიზება და საზოგადოებაშივე სიფრთხილის გამძაფრებაა, რაც ემოციური ზეწოლის და სიფრთხილის რიტორიკის ნაწილია.

ინგლისურენოვან დისკურსში სხვა ქვეყნის მაგალითების მოყვანა არ ხდება საგანმანათლებლო-საინფორმაციო მიზნით. ამერიკელი სპიკერები ამგვარად ახდენენ საკუთარი ქვეყნის, როგორც საუკეთესო მოთამაშის, პოზიციის გამოკვეთას. ინგლისურენოვან დისკურსში სხვა ქვეყნის მაგალითი არ არის გამოყენებული საგანგაშო მომენტების წარმოსაჩენად, არამედ ის გამოყენებულია ამერიკის მიღწევების ფონად, რომელთან შედარებითაც ამერიკას დიდი უპირატესობა აქვს.

ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში გამოყენებულ რიტორიკულ მარკერებს შორის აღსანიშნავია პათოსის გამოყენების სიხშირე. ეს უკანასკნელი

თითქმის თანაბარია ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსში. პათოსის გამოყენების ფარდობითი სიხშირე რამდენიმე ერთეულით ჭარბობს ინგლისურენოვან დისკურსში.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0577	P7	0.0728



ქართულენოვან დისკურსში პათოსის გამოყენებას თან ახლავს ემოციურად დატვირთული ენა, აღწერა, რომელშიც გამოყენებულია ჰიპერბოლა, კონცეპტუალიზებული მეტაფორები და ზედსართვები („მთელი მსოფლიო შოკშია“, „გვამხნეებს ყოველი გამარჯვება“, „გამოჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს“), ინგლისურენოვან დისკურსში კი პათოსში გამოყენებული ენა ემოციური, მაგრამ ქართულენოვან დისკურსთან შედარებით უფრო ნეიტრალური და დისტანციურია, გამოხატულია ინსტიტიციური ტონის დაცვით (*“unprecedented challenge,” “we are grieving together,” “we will rise again”*).

ქართულენოვან დისკურსში პათოსი გამოხატულია ემოციური მნიშვნელობით დატვირთული სიტყვებით, ფიქსირდება გრადაცია და გამეორება, რაც ხაზს უსვამს განცდების სიმძაფრეს: „ძალიან დიდი სიხარული“, „ძალიან დიდი მადლობა“, „უდიდესი გმირობა“. ინგლისურენოვან დისკურსში ფიქსირდება უფრო სტანდარტული ფრაზები: *“great courage,” “incredible efforts,” “we are thankful”*. ქართული დისკურსისაგან განსხვავებით ნაკლებად ფიქსირდება ზედსართავების გამეორება ან

გრადაცია, ნაცვლად ამისა გვხვდება დამატებითი სტრუქტურები (*“I want to especially thank...”*, *“We are all grieving”*), რაც ავითარებს ემოციურ ტონს.

ქართულ დისკურსში პათოსის გამოყენებისას ფიქსირდება თანმიმდევრული ზედდება (ბევრი ემოციური ელემენტი ერთ წინადადებაში): *„ჩვენ მადლიერები ვართ მათ მიმართ, ვინც თავდაუზოგავად, შიშის გარეშე, თავდადებით იბრძოდა“*, ინგლისურენოვან დისკურსში კი პათოსის გამოსახატად გამოყენებულია სტრუქტურულად შეკრული და გრამატიკულად კომპლექსური წინადადებები: *“I want to express my deepest gratitude to the brave men and women who... while risking their lives...”*. ქართული დისკურსისგან განსხვავებით დაქვემდებარებული წინადადებები ქმნიან ემოციურ სიღრმეს და სტაბილურ ტონს.

ქართულსა და ინგლისურენოვან დისკურსებს შორის განსხვავება ფიქსირდება როტორიკული ფორმულების გამოყენების თვალსაზრისითაც. ქართულენოვან დისკურსში ხშირია გმირული ნარატივი და რიტორიკული მოწოდებები: *„ეს გმირობა არ უნდა დავივიწყოთ“*, *„ისინი ჩვენი დროის გმირები არიან“*; გამოყენებული ენობრივი ერთეულები მიმართულია მორალურ მობილიზებაზე, ინგლისურენოვან დისკურსში კი გამოყენებულია შთამაგონებელი ფრაზები უფრო დაბალანსებული ემოციური ტონით: *“This is our moment to rise together”*, *“History will remember their sacrifice”*. გარდა ამისა, ინგლისურენოვან პათოსში ხშირად ხაზგასმულია კავშირი წარსულსა და მომავალს შორის.


საკვლევ დისკურსებს შორის ფიქსირდება განსხვავება კულტურული და სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც.

ქართულენოვან დისკურსში პათოსი ასრულებს მორალური შემახილის ფუნქციას - „ერთად დავძლიოთ“, „ერთმანეთის იმედი უნდა გვქონდეს“. პათოსით გამოხატული ემოცია მჭიდროდაა დაკავშირებული მორალურ ვალდებულებასა და კოლექტიურ პასუხისმგებლობასთან. ინგლისურენოვან დისკურსში კი, პათოსური რიტორიკა ხშირად შთამაგონებელი ფორმულირებებითაა გადმოცემული: *“The American spirit is unbreakable”*.

სპიკერები, საკუთარი დისკურსისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად ხშირად იყენებენ ავტორიტეტულ წყაროებს. აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან

დისკურსში თითქმის ორჯერ მეტია ავტორიტეტული წყაროების გამოყენების სიხშირე ვიდრე - ინგლისურენოვანში.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0573	P12	0.0283



კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ და ინგლისურ დისკურსებში სპიკერების მიერ ავტორიტეტული წყაროების გამოყენების ფარდობითი სიხშირის შეპირისპირების საფუძველზე იკვეთება, რომ ქართველი სპიკერები დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირად მიმართავენ ავტორიტეტულ წყაროებს, ვიდრე - ამერიკელები.

თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება რიგი მსგავსება-განსხვავებები. ქართულენოვან დისკურსში ავტორიტეტული წყაროს როლში უმეტესად ფიგურირებს: მთავრობა, ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის ცენტრი და სამედიცინო სპეციალისტები. შესაბამისად, ხშირად გვხვდება შემდგომი ფორმულირებები: „ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით“, „ჩვენი ეპიდემიოლოგების შეფასებით“, „ჩვენი კლინიცისტების დაკვირვებით“. აღნიშნულ შემთხვევაში შიდაავტორიტეტული წყაროების გამოყენების მიზანი ეროვნული ავტორიტეტების ზედამხედველობითი როლის გაძლიერება და პროფესიონალიზმზე ხაზგასმაა.

ინგლისურენოვან დისკურსში ავტორიტეტულ წყაროებს, ძირითადად, მსგავსად ქართული დისკურსისა, წარმოადგენს შიდა წყაროები, მათ შორის: CDC (Centers for Disease Control and Prevention), NIH (National Institutes of Health), WHO (World Health Organization), სამედიცინო და მეცნიერ-თანამშრომლები ინგლისურენოვან დისკურსში შიდაავტორიტეტული წყაროების ხსენებისას შეიმჩნევა ინსტიტუციური თვალსაზრისით დივერსიფიცირებული მოდელი.


რაც შეეხება გარეავტორიტეტული წყაროების ხსენებას, აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან დისკურსში გაცილებით მაღალია გარე ავტორიტეტული წყაროების გამოყენების სიხშირე, ვიდრე ინგლისურენოვან დისკურსში. ქართულენოვან დისკურსში დომინანტ გარე ავტორიტეტებს წარმოადგენენ WHO, CDC...

განსხვავება ფიქსირდება ავტორიტეტული წყაროების ფუნქციური თვალსაზრისით გამოყენებისას. ქართულ დისკურსში ავტორიტეტული წყაროების ხსენება ემსახურება სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის გამყარებას, ინგლისურენოვან დისკურსში კი იგი ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომელიც იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და მიუთითებს თავისუფალი დისკურსის არსებობაზე.

განსხვავება ფიქსირდება ავტორიტეტული წყაროს მოხმობის ენობრივი ფორმის თვალსაზრისითაც. ქართულ დისკურსში წყაროები მოხსენიებულია შემდეგნაირად: „ჩვენი სპეციალისტები“, „ჩვენი უწყებები“, „ჯანდაცვის წარმომადგენლები“, რაც ქმნის საერთო ეროვნული იდენტობის ხაზს. ინგლისურენოვან დისკურსში კი წყაროები დასახელებულია ოფიციალური ტერმინოლოგიით, რაც მიუთითებს ცალკეული ინსტიტუციის პასუხისმგებლობის გამიჯნვაზე.

პანდემიით და კრიზისით გამოწვეული სოციალური მღელვარების ჩახშობას სპიკერები საკმაოდ დიდი სიხშირით ცდილობენ დაპირებების გზით. აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან დისკურსში უფრო ჭარბად გამოიყენება დაპირებები, ვიდრე ინგლისურენოვან დისკურსში.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0547	P4	0.0369



კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ორივე დისკურსში გამოყენებული დაპირების მარკერის თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება რიგი მსგავსება-განსხვავებები სხვადასხვა ასპექტში.

როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან დისკურსში გამოყენებული დაპირების რიტორიკა ემსახურება ოპტიმიზმის დათესვასა და მხარდაჭერის გამოცხადებას („ყველაფერი კარგად იქნება“, „ვიბრძვით ერთად“, „გადავლახავთ“, „გავიმარჯვებთ“), რაც მიზნად პანიკის შემცირებას და ერთიანობის განცდის შექმნას ემსახურება.


ორივე დისკურსში დაპირებისას გამოიყენება პირველი პირის მრავლობითი რიცხვი („ჩვენ გავაკეთებთ“, „ჩვენ ვუპასუხებთ“), რაც ზრდის თანაგრძნობისა და სანდოობის ხარისხს. ნაცვალსახელთან ერთად დასახელებულია კონკრეტული სახელმწიფო ინსტიტუციები, რომლებიც მზად არიან დაკისრებული ფუნქციამოვალეობების შესასრულებლად. ქართულ დისკურსში დაპირებისას დამოწმებული წყარო კოლექტიურია („უწყებათაშორისი საბჭო“, „კლინიკური ჯგუფი“), ინგლისურ დისკურსში - ინდივიდუალური („As president, I will...“, „At the president's direction...“).

მსგავსებებთან ერთად ფიქსირდება რიგი განსხვავებები. მაგალითად, ქართულენოვან დისკურსში დაპირებისას მაღალია პათოსური ტონი; გაცემული დაპირებები პატერნალისტურია („ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ თქვენ მსუბუქად

გადაღობით“), ინგლისურენოვან დისკურსში კი, ხშირად ფიქსირდება სპორტთან დაკავშირებული მეტაფორების გამოყენება („We’re going to win this war“, „another weapon in the fight“).

სიტუაციის შერბილების მიზნით გამოყენებულ სტილისტიკურ და რიტორიკულ საშუალებებს შორის აღსანიშნავია მეტონიმის გამოყენება. ქართულენოვან დისკურსში დაახლოებით შვიდჯერ მეტად გამოიყენება მეტონიმია, ვიდრე ინგლისურენოვან დისკურსში.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0439	P5	0.0061



კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ორივე დისკურსში მეტონიმია გამოიყენება ინსტიტუციური ავტორიტეტის გასამდიდრებლად და სტრატეგიული კომუნიკაციის გასამართლებლად. ორივე დისკურსში მეტონიმით მოიხსენიება სახელმწიფო, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ერთეულები. ქართულ დისკურსში: სახელმწიფო, ეკლესია, მოქალაქე, საჩხერე და ა.შ., ინგლისურენოვან დისკურსში: White House, Capitol Hill, Department of Justice, America, cruise lines, და ა.შ.

ორივე დისკურსში მეტონიმის გამოყენების მიზანი არის განზოგადება, კომპლექსური სისტემების ან ცნებების ჩანაცვლება. მაგალითად, ორივე დისკურსში სახელმწიფოს მეტონიმიაში იდენტიფიცირდება მისი ქმედებები (გაყიდვა, შეძენა, რეგულაცია).

მსგავსებებთან ერთად ფიქსირდება განსხვავებებიც. მაგალითად, ქართულენოვან დისკურსში მაღალია მეტონიმის გამოყენების სიხშირე, თუმცა გამოყენებულია რამდენიმე ტიპის მეტონიმური ერთეული (სახელმწიფო, ეკლესია, მოქალაქე). ინგლისურენოვან დისკურსში შედარებით დაბალია მეტონიმის გამოყენების ფარდობითი სიხშირე, მაგრამ დისკურსი ხასიათდება მრავალფეროვნებით (White House, Capitol Hill, America, cruise lines, Chinatown parade, Remdesivir from Regeneron).


ორივე დისკურსში ფიქსირდება ავტორიტეტული წყაროების მეტონიმურად გამოხატვა. ქართულენოვან დისკურსში მეტონიმით წარმოდგენილია ზოგადი ავტორიტეტული სიმბოლოები („სახელმწიფო“, „ეკლესია“), ინგლისურენოვან დისკურსში კი კონკრეტული ინსტიტუციები, რაც მიანიშნებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოლოდინზე.

განსხვავება დასტურდება ცალკეულ შემთხვევებში მეტონიმისთვის იდეოლოგიური დატვირთვის მინიჭებისასაც. ქართულ დისკურსში მეტონიმია ნეიტრალურია ან ატარებს მორალურ ღირებულებას („უნდა გავუფრთხილდეთ მოქალაქეს“), ინგლისურ დისკურსში - პოლიტიზებულია (Chinese virus, Wuhan virus, America at its best).

ქართულ დისკურსში იშვიათად ფიქსირდება სივრცე, როგორც მეტონიმური ერთეული, ინგლისურ დისკურსში კი ხშირია გეოგრაფიული ადგილებისთვის პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვის მინიჭება (Capitol Hill, Chinatown, Italy, Germany).

სიტუაციის შერბილების და უკეთ წარმოჩენის მიზნით გამოყენებულ რიტორიკულ საშუალებებს შორის აღსანიშნავია ევფემიზმი. მსგავსად მეტონიმისა, ქართულენოვან დისკურსში ჭარბობს ევფემიზმის გამოყენების სიხშირე და სამჯერ აღემატება ინგლისურენოვან დისკურსში მისი გამოყენების სიხშირეს.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0168	P10	0.0052



კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში ევფემიზმების გამოყენებისას ფიქსირდება რიგი მსგავსება-განსხვავებები. თვისობრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ორივე დისკურსში ევფემიზმი გამოიყენება სიტუაციის ემოციური თვალსაზრისით შერბილების მიზნით. ქართულ დისკურსში ევფემიზმის გამოყენება ემსახურება არსებული მძიმე რეალობის არაპირდაპირ მოხსენიებას, კონკრეტულად, სამედიცინო თვალსაზრისით არსებული სირთულეების შერბილებას: „მძიმე მდგომარეობის“ ნაცვლად „რთული დღეები“; ინგლისურენოვან დისკურსში კი პანიკის პრევენციასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას: „დაინფიცირდა“-ს ნაცვლად – "tested positive".

გარდა ამისა, ქართულენოვან დისკურსში ევფემიზმის გამოყენება ემსახურება მთავრობის რეპუტაციის შენარჩუნებას საზოგადოებაზე ზრუნვის აქცენტირებით, ინგლისურენოვანში კი კრიტიკის თავიდან არიდებას და ოპტიმისტური ტონის შენარჩუნებას მხარდამჭერი კომუნიკაციისა და თანაგრძნობის ენის გამოყენებით.

რაც შეეხება ქართულენოვან დისკურსში გამოყენებული ევფემიზმების ლინგვისტურ თავისებურებებს, აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან დისკურსში გამოყენებულია ნეიტრალური ფრაზები: „ამ დღეებში იყო განსაკუთრებული სირთულეები“ - სიკვდილიანობაზე ან მკვეთრ ზრდაზეა საუბარი. ასევე, არაპირდაპირი ფორმები და მოდალური ზმნები: „მოსალოდნელია, რომ სიტუაცია გაუარესდეს“- რეალურად, რიტორიკის მიზანი წინასასწარ გაფრთხილებაა სავარაუდო კრიზისის შესახებ.


ინგლისურ დისკურსში გამოყენებულია ბიუროკრატიული სტილი: „*There has been a surge in positive cases*“, რაც რეალურად ნიშნავს მასობრივ დაინფიცირებას: „*We are facing challenging circumstances*“- ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც რეალობა შერბილებულია.

ორივე დისკურსში ევფემიზმის გამოყენება ემსახურება თანაგრძნობის გამოხატვას. ქართულ დისკურსში ის ემსახურება საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ხაზგასმას, ინგლისურენოვანში კი - ინდივიდზე ორიენტირებულ თანაგრძნობას.

განსხვავება ფიქსირდება ევფემიზმით გამოხატული მორალურ-ეთიკური ნორმების ხაზგასმისას. ქართულენოვან დისკურსში დომინირებს კოლექტიური პატივისცემის ენა, ინგლისურენოვანში კი გამოყენებულია სტანდარტული რიტორიკა.

ქართულსა და ინგლისურენოვან დისკურსებში თითქმის თანაბარი სიხშირით გამოიყენება „სამთა წესი“. მცირედით ჭარბობს ინგლისურენოვან დისკურსში „სამთა წესის“ გამოყენების ფარდობითი სიხშირე.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0038	P9	0.0042



ორივე დისკურსში გამოიყენება სამკომპონენტიანი, ანდაზისმაგვარი სტრუქტურები - „*დროულად, ადეკვატურად და ეფექტურად*“, „*ready, willing, and able*“.


რაც შეეხება შერჩეულ ლექსიკურ ერთეულებს, აღსანიშნავია რომ ქართულენოვან დისკურსში გამოიყენება ზედსართავი სახელები („არასერიოზული“, „პოპულისტური“, „უპასუხისმგებლო“), ზმნიზედები („დროულად“, „ადეკვატურად“ და „ეფექტურად“), ზმნები („განვავითაროთ“, „გავამდიეროთ“ და „განვავრცოთ“). ასევე, სიტყვების თანმიმდევრობა წარმოდგენილია ზრდადი ან კლებადი სტრუქტურით („ერთდღიანი, ერთთვიანი და ორთვიანი“). ინგლისურენოვან დისკურსში კი წარმოდგენილია ზმნები (“detect, trace, shut off”), ზმნური ფრაზები (“we’ll laugh again, we’ll know joy again, and we’ll smile again”), ზმნა + ობიექტი (“thank you for your leadership, vision, and partnership”), ზედსართავი სახელები (strong, resilient and safe).

ქართულ დისკურსში გამოყენებული „სამთა წესი“ ხასიათდება რიტმული, ფონეტიკური და სემანტიკური თანხვედრით („განვავითაროთ, გავამდიეროთ, განვავრცოთ“), რაც ქართული ორატორული ტრადიციის ნაწილია. რიტმული თანხვედრა კონსტრუქციას სძენს დამაჯერებლობას და ძირითადად გამოიყენება გადაწყვეტილების სისწორის დასაბუთების ან კრიტიკის მოგერიების მიზნით.

ინგლისურ დისკურსში გამოყენებული „სამთა წესი“ ასევე დაფუძნებულია რიტმულობაზე, გამეორებასა და ალიტერაციულ ფრაზებზე (“laugh again, smile again”), რაც ემსახურება აუდიტორიაში ოვაციის გამოწვევას და ოპტიმიზმის გაღვივებას.

კოვიდპანდემიით გამოწვეულ კრიზისზე პასუხისმგებლობის გადანაწილებასთან ერთად დისკურსში ფიქსირდება არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრების შემთხვევებიც. ინგლისურენოვან დისკურსში აღნიშნული მარკერის გამოყენების ფარდობითი სიხშირე 10-ჯერ აღემატება ქართულენოვანში მისი გამოყენებისას.

ქართულენოვანი დისკურსი	მარკერი	ინგლისურენოვანი დისკურსი
0.0008	P13	0.0086



P13 მარკერის თვისობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება რიგი თავისებურებები, რაც გამოკვეთს ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში აღნიშნული რიტორიკული მარკერის გამოყენების სტრატეგიულ დანიშნულებას.

არსებულ კოვიდსიტუაციაზე პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრებისას იკვეთება ობიექტების მსგავსი და განსხვავებული ტიპები. მაგ. ორივე დისკურსში გვხვდება წინა ხელისუფლების, წარსული სისტემების დადანაშაულება: „*We inherited a broken system*“; „*ვადიარებთ, რომ მაშინ უფრო ეფექტურად უნდა გვემოქმედა*“.

ორივე დისკურსში ხაზგასმულია ინსტიტუციური დაბრკოლებები. კონკრეტულად, შიდა ინსტიტუციების უუნარობა ან დროებითი წარუმატებლობა: „*We can't get approvals*“; „*შსს-ს უნდა ემოქმედა უფრო ეფექტურად*“.

არსებულ სიტუაციაზე პასუხისმგებლობას სპიკერები ხშირად აკისრებენ საზოგადოებას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ მოქალაქეთა უპასუხისმგებლო ქცევა ან მობილობა (ადგილობრივი ტურიზმი) არის მიზეზი: „*მობილობის ზრდას პირდაპირ უკავშირდება ინფიცირების მაჩვენებელი*“. მიზეზებს შორის ასევე დასახელებულია ინფორმაციის ნაკლებობა. კონკრეტულად, შესაბამისი ინფორმაციის არქონა ან დაგვიანება: „*Information wasn't as forthcoming*“.

ინგლისურენოვან დისკურსში განსაკუთრებით დიდი სიხშირით ფიქსირდება გარე მტრის იდენტიფიცირება. გარე ობიექტებს შორის აღსანიშნავია ჩინეთზე ფოკუსი: 10+ მაგალითი პასუხისმგებლობის პირდაპირი გადატანით ჩინეთზე, გლობალური ინსტიტუტები (WHO), იმიგრანტები და საზღვრები.

რაც შეეხება აღნიშნული მარკერის გამოყენების ლინგვისტურ თავისებურებებს, აღსანიშნავია, რომ ინგლისურ დისკურსში ფიქსირდება პერსონალიზებული უარყოფა: „*Yeah, no, I don't take responsibility at all...*“, რიტორიკული გამეორება და ემოციურად დატვირთული ტონი („*They could have stopped it... They could have stopped it...*“).


ქართულენოვან დისკურსში ნაკლებად ფიქსირდება პირდაპირი უარყოფა, უფრო ხშირად გვხვდება ნაწილობრივ პასუხისმგებლობის აღება და მორალური დისტანცირება.

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ და ინგლისურენოვან კორპუსზე დაფუძნებული თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის გარდა, განსაკუთრებით საინტერესო შედეგებს გვაძლევს კორპუსული მონაცემების ჰელინგერის ანალიზი. ჰელინგერის დისტანცია განსაზღვრავს დისკურსებს შორის მსგავსება-განსხვავებებს ტალღების მიხედვით და იძლევა ლინგვისტურ-კულტურული ინტერპრეტაციის საშუალებას პოლიტიკური და სოციოკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

სამედიცინო მარკერები	I ტალღა	II ტალღა	III ტალღა
I ტალღა	0.078552	0.112363	0.122349141
II ტალღა	0.112363	0.15363	0.079862886
III ტალღა	0.122349	0.079863	0.134910197

ჰელინგერის დისტანციაზე დაყრნობით გაკეთებული ანალიზის მიხედვით, კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში სამედიცინო დისკურსის მარკერების გამოყენების დიაქრონიული და სინქრონიული ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ დისტანცია ყველაზე მცირე დისკურსებს შორის პირველი ტალღის განმავლობაშია.

ჰელინგერის დისტანცია 0.0786-ს შეადგენს მინიმალურ მნიშვნელობას, რაც მიუთითებს დისკურსებს შორის დიდ მსგავსებაზე. პანდემიის დასაწყისში, როცა ვირუსი სიახლეს წარმოადგენდა, ქართველი და ამერიკელი სპიკერები სამედიცინო მარკერებს თითქმის ერთნაირი ინტენსივობით იყენებდნენ. მსგავსი ინტენსივობა განპირობებული იყო იმით, რომ ორივე ქვეყანა მიჰყვებოდა WHO-ს რეკომენდაციებს და სპიკერები იყენებდნენ უნივერსალურ სამედიცინო ენობრივ ერთეულებს.




სამედიცინო მარკერების გამოყენების ჰელინგერის დისტანცია ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებს შორის (I ტალდა, II ტალდა, III ტალდა).

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებს შორის ყველაზე დიდი დისტანცია დაფიქსირდა პანდემიის მეორე ტალღის ფაზაში, სადაც მაჩვენებელმა 0.1536 შეადგინა. აღნიშნული დისტანცია განპირობებული იყო კონცეპტუალური აქცენტების მკვეთრი განსხვავებით: ინგლისური დისკურსის მთავარი თემატიკა „ვაქცინის შექმნა“ და „მასობრივი ვაქცინაციის“ მოლოდინი იყო, რაც გლობალური სამეცნიერო პროგრესისა და ტექნოლოგიური გამოსავლის პერსპექტივას ასახავდა. ვაქცინის შექმნის შესაძლებლობის არარსებობის პირობებში, ქართველ სპიკერთა დისკურსული სტრატეგია კი კონცენტრირებული იყო არსებული რესურსების ოპტიმიზაციაზე. კერძოდ, სამედიცინო პერსონალის, როგორც კრიზისის მართვის მთავარი რგოლის, როლის ხაზგასმასა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მობილიზებაზე, რაც ერთადერთ ეფექტურ გამოსავლად აღიქმებოდა.

პოლიტიკური მარკერები	I ტალდა	II ტალდა	III ტალდა
I ტალდა	0.229684967	0.293874	0.269329
II ტალდა	0.293874295	0.34481	0.319923
III ტალდა	0.26932879	0.319923	0.475633

კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართული და ინგლისურენოვანი დისკურსების პოლიტიკური მარკერების ჰელინგერის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ პოლიტიკურ დისკურსში ქართულ და ინგლისურენოვან სივრცეებს შორის განსხვავება ტალღიდან ტალღამდე მზარდია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად საწყისი ეტაპის მსგავსებისა, პოლიტიკური ნარატივები ეროვნული პოლიტიკური

კონტექსტის შესაბამისად განვითარდა ორივე ქვეყანაში, რაც განსაკუთრებით მკვეთრად აისახა მესამე ტალღაში.



პოლიტიკური მარკერების გამოყენების ჰელინგერის დისტანცია ქართულსა და ინგლისურენოვან დისკურსებს შორის (ტალღა 1, ტალღა 2, ტალღა 3).

ჰელინგერის ანალიზმა აჩვენა, რომ პოლიტიკური დისკურსის მარკერებს შორის ყველაზე მცირე დისკურსული დისტანცია (0.2297) დაფიქსირდა პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში, რაც პოლიტიკური დისკურსის მარკერების გამოყენების თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებ განსხვავებას ნიშნავს. მსგავსად სამედიცინო დისკურსის მარკერებისა, პირველი ტალღის პერიოდში პოლიტიკური დისკურსის მარკერების გამოყენება შედარებით ჰარმონიზებულია - ორივე მხარე იყენებს პასუხისმგებლობის საერთო ენის მექანიზმებს, აპელირებს ეროვნულ ერთობაზე და ცდილობს სიტუაციის აბსოლუტური კონტროლის დემონსტრირებას.

ყველაზე მაღალი დისტანცია პოლიტიკური დისკურსის მარკერებს შორის ფიქსირდება პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში (0.4756), რაც ასახავს პოლიტიკური კონტექსტით განპირობებული დისკურსის ცვლილებას. აშშ-ში ძლიერდება პოლიტიკური აქტივობა მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების გავლენით, საქართველოში კი მკაცრდება ორატორული კონტროლის ფორმები, რასაც ამტკიცებს პანდემიის მომდევნო ეტაპზე პრესკონფერენციების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება და ბრიფინგით ჩანაცვლება.

დასკვნა

1. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სამედიცინო დისკურსის მარკერების ანალიზმა ცხადყო, რომ აღნიშნული საკომუნიკაციო სივრცე ჰიბრიდულ ხასიათს ატარებს. მასში იკვეთება სამედიცინო და პოლიტიკური დისკურსების მკაფიო სინთეზი, რაც განპირობებულია სამედიცინო ინფორმაციისა და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების ურთიერთდამოკიდებულებით. ამდენად, პანდემიის პერიოდის დისკურსი წარმოადგენს სპეციფიკურ სოციოლინგვისტურ მოცემულობას, სადაც სამედიცინო ავტორიტეტი და პოლიტიკური ძალაუფლება ერთიან ნარატივშია შერწყმული;

2. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ქართული და ინგლისური დისკურსების შეპირისპირებითი ანალიზი ენობრივი სტრატეგიების მკვეთრ დიფერენციაციას ავლენს. თუ ქართულენოვან სივრცეში დომინირებს მაღალი დისკურსული სიმკვრივე² და ტექნიკური რეგისტრი, რაც სპეციალიზებული ცოდნით პროფესიული ავტორიტეტის გამყარების მცდელობაზე მიუთითებს - ინგლისურენოვან კონტექსტში იკვეთება ტექნიკურ ლექსიკაზე ნაკლები დამოკიდებულება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, არასპეციალიზებული ენის გამოყენება ემსახურება ინფორმაციის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ინფორმირებულობასა და მათ მიერ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობას;

3. ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში სამედიცინო რეკომენდაციების გაცემის სტრატეგია ავლენს მკვეთრ ფუნქციურ სხვაობას, რაც განპირობებულია თითოეული საზოგადოების კულტურული ნორმებითა და კომუნიკაციური პრიორიტეტებით. ქართველი სპიკერების მიერ გაცემული სამედიცინო რეკომენდაციები ეფუძნება თანაგრძნობას, სადაც მიმართვისას გამოყენებულია არაპირდაპირი ფორმულირებები და ჯგუფზე მიმართვის ფორმა. აღნიშნული მიდგომა პასუხობს ქართულ კულტურულ კონტექსტში არსებული კომუნიკაციის ნორმებს, სადაც თხოვნა ხშირად ტაქტიანია და მორალურ ჩარჩოშია მოქცეული. ამგვარი

² (სიმკვრივე - Density (D) - კონკრეტული ენობრივი ელემენტის გამოყენების სიხშირე კორპუსში, რაც იძლევა ენაში არსებულ ტენდენციებსა ან სტრუქტურებზე დაკვირვების საშუალებას.

სიმკვრივე = ელემენტის რაოდენობა / კორპუსის ერთეული მოცულობა

ერთეულ მოცულობაში შეიძლება მოიაზრებოდეს სიტყვების რაოდენობა (token count),

წინადადებების რაოდენობა, აზრდებები ან გვერდები.)

რიტორიკული სტრატეგია მიზნად ისახავს რეკომენდაციის მიმღებთან ემოციური კავშირის დამყარებასა და ნდობის მოპოვებას მორალური ავტორიტეტის მეშვეობით. ინგლისურენოვანი რეკომენდაციები კი გამოირჩევა მკაფიო ფორმულირებებით, კონკრეტული მიმართვითა და ფაქტებით გამყარებული ენით. ეს მოდელი უზრუნველყოფს უშუალო ქცევით მენეჯმენტს და სრულ შესაბამისობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის კამპანიებთან. აქცენტი გადატანილია ინფორმაციის რაციონალურ გადაცემასა და ინსტრუქციების სიზუსტეზე, რაც ასახავს პრაგმატულ მიდგომას კრიზისული მართვისადმი და ორიენტირებულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მყისიერ აქტივაციაზე.

4. რეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებული ქართულენოვანი დისკურსი ღირებულებით შეფასებებზეა ორიენტირებული, რაც ემოციური ზეწოლის საშუალებით მოსახლეობის ქცევაზე ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. უკმაყოფილების გამოხატვისას გამოკვეთილია ეროვნული ერთობის იდეა. ინგლისურენოვან დისკურსში კი რეგულაციების დაუცველობასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატულია ირიბად, შეფასება და კრიტიკა ეფუძნება ფაქტებსა და კონკრეტულ ქცევებს. ინგლისურენოვანი დისკურსი შედარებით ზომიერია, ნაკლებად ემოციური და ორიენტირებული მორალურ ღირებულებებზე;

5. ქართულენოვან დისკურსში მედიკოსთა როლზე ყურადღების გამახვილების ცენტრალური მიზანი მობილიზაცია და დისციპლინის შენარჩუნებაა, ინგლისურენოვან დისკურსში კი - ნდობისა და სტაბილურობის მოპოვება;

6. ქართულ და ინგლისურ დისკურსებში დამშვიდების რიტორიკა საერთო პრაგმატულ ამოცანას ემსახურება: პანიკის პრევენციას, სახელმწიფო ინსტიტუციების ლეგიტიმაციასა და სოციალური მხარდაჭერის კონსტრუირებას. მიუხედავად სტრატეგიული იდენტობისა, კრიზისული მენეჯმენტის პროცესში იკვეთება თემატური პრიორიტეტების მკვეთრი დიფერენცია. ქართულენოვან სივრცეში დომინირებს ავტორიტეტზე ორიენტირებული პარადიგმა, სადაც სტაბილურობის გარანტად სახელმწიფო სტრუქტურების ქმედითუნარიანობა და სამედიცინო სექტორის კომპეტენციაა წარმოდგენილი. საპირისპიროდ, ინგლისურენოვანი დისკურსი ორიენტირებულია სამოქალაქო სიმტკიცეზე. აქ დამშვიდების მექანიზმი ეფუძნება არა ვერტიკალურ ავტორიტეტს, არამედ თანამონაწილეობისა და

კოლექტიური გამძლეობის ეთოსს, რაც კრიზისის დაძლევის პროცესში მოქალაქეთა ერთიანობას სოციალურ ქმედითუნარიანობას ანიჭებს;

7. კოვიდპანდემიის ქართულსა და ინგლისურენოვან დისკურსებში დაშინების რიტორიკა ვლინდება როგორც ფუნქციურად უნივერსალური, თუმცა სტრუქტურულად დიფერენცირებული პრაგმატული პრაქტიკა. ორივე საკომუნიკაციო სივრცეში შიშზე აპელირება ემოციური დამაბულობის გაღრმავების გზით საზოგადოებრივ მობილიზაციასა და რეგულაციებისადმი მორჩილებას ემსახურება. უარყოფითი ლექსიკური კონოტაციებისა და სტატისტიკური არგუმენტაციის სინთეზით იქმნება კრიზისის გამწვავების ნარატივი, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. საერთო რიტორიკული ჩარჩოს მიუხედავად, დაშინების ენობრივი რეალიზაციის მოდელები მკვეთრ კულტურულ სპეციფიკას ამჟღავნებს. ქართული დისკურსი ორიენტირებულია კოლექტიური პასუხისმგებლობის მოდელზე, სადაც მკაცრი მოდალობა და რთული სინტაქსური კონსტრუქციები აქცენტს საერთო სოციალურ ვალდებულებაზე გადაიტანს, ხოლო ინგლისურენოვანი დისკურსი ეფუძნება ლაკონიურ სტრუქტურებსა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აქცენტირებისთვის დაუყოვნებელი მოქმედების მოთხოვნის პრინციპს;

8. ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში საკუთარი ეფექტურობის ხაზგასმა, აღიარება და ჰიპერბოლიზება ცენტრალურ სტრატეგიულ ფუნქციას ასრულებს: პოლიტიკური ნდობის კონსოლიდაციასა და კრიზისული პროცესების მართვადობის დემონსტრირებას. აღნიშნული მარკერების მეშვეობით ხდება სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ხელმძღვანელი პირების ქმედითუნარიანობის აქცენტირება, რაც მართვის პროცესის პოზიტიურ შეფასებასა და ძალაუფლების ლეგიტიმაციას ემსახურება. მიუხედავად საერთო სტრატეგიული ამოცანისა, ლინგვისტური არჩევანი და კომუნიკაციის ტონი ავლენს მკვეთრ დისკურსულ თავისებურებას: ქართულენოვან დისკურსში საკუთარი ეფექტურობის რეპრეზენტაცია ეფუძნება გმირულ პარადიგმას. აქცენტი გადატანილია ინსტიტუციურ პროფესიონალიზმსა და ეროვნულ ერთობაზე, სადაც ჰიპერბოლური შეფასებები და ოპტიმისტური ტონი ემსახურება სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო მასშტაბით წარმატებული და თავდადებული სუბიექტის, იმიჯის დამკვიდრებას. ინგლისურენოვან დისკურსში სახელმწიფო ინსტიტუტების

ეფექტიანობა კონცეპტუალიზებულია როგორც ინდივიდუალური პროფესიული შრომის შედეგი, რაც ხაზს უსვამს პერსონალურ პასუხისმგებლობასა და დარგობრივ იდენტობას. ამ მოდელში დომინირებს პრაგმატული ტონი, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული ქმედებების რაციონალიზაციაზე, სადაც ემოციური დრამატიზაცია ჩანაცვლებულია ფუნქციური შედეგების დემონსტრირებით;

9. საზოგადოებისადმი მიმართვის მარკერების სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ პანდემიის პერიოდის ინსტიტუციური კომუნიკაცია წარმოადგენს კულტურულად დეტერმინირებულ დისკურსულ ფენომენს. აღნიშნული მიმართვები ასახავს არა მხოლოდ ეპიდემიოლოგიურ რეალობას, არამედ თითოეული ერისთვის დამახასიათებელ სოციალურ ღრმად ინტეგრირებულ კულტურულ აქტებსა და ძალაუფლებისა თუ პასუხისმგებლობის განაწილების მოდელებს;

10. ენობრივი რეალიზაციის ჭრილში იკვეთება ორი საპირისპირო პარადიგმა. ქართულენოვან დისკურსში ემოციურ-მორალური სტიმულირება ემსახურება სოციალური სოლიდარობისა და ერთიანობის კონსტრუირებას, ინგლისურენოვან დისკურსში კი აქცენტი გადატანილია პერსონალური არჩევანისა და რაციონალური ქმედების მნიშვნელობაზე. ამგვარად, შერჩეული ლინგვისტური სტრუქტურები წარმოადგენს კულტურული პრიორიტეტების რეპრეზენტაციას, რაც განსაზღვრავს კრიზისულ სიტუაციაში ადრესატის სოციალურ როლსა და მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს;

11. ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში სპიკერების დაპირება საერთო სტრატეგიულ მიზანს ემსახურება - მოსახლეობის დამშვიდებასა და ხელისუფლების მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლებას. ორივე შემთხვევაში დაპირების მარკერი ეფუძნება ავტორიტეტულ ენას. ქართულენოვან დისკურსში დაპირების რიტორიკა აირეკლავს სახელმწიფოს მხრიდან კოლექტივისტურ და პატერნალისტურ მენტალიტეტს. აღნიშნული მიდგომა, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს მზრუნველობით როლს, ხოლო მეორე მხრივ, მიუთითებს ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუციების შედარებით დაბალ ავტორიტეტზე, რაც კომპენსირდება ცენტრალიზებული დაპირებებით. ინგლისურენოვან დისკურსში კი დაპირების მარკერები ორიენტირებულია ინსტიტუციურ გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და კონკრეტულ მოქმედებაზე. აქ აქცენტი კეთდება არა ზოგად პატერნალისტურ

მზრუნველობაზე, არამედ ცალკეული უწყებების ქმედითუნარიანობისა და ინსტიტუციური პასუხისმგებლობის დემონსტრირებაზე;

12. ქართულსა და ინგლისურენოვან დისკურსებში მეტონიმიური კონცეპტუალიზაცია ემსახურება ინფორმაციის ოპტიმიზაციასა და ინსტიტუციურ ავტორიტეტზე აპელირებას, თუმცა მისი სტრუქტურული რეალიზაცია მკვეთრ კულტურულ დიფერენციაციას ავლენს. ქართულენოვან სივრცეში მეტონიმიური ერთეულები ფოკუსირებულია ავტორიტეტულ და კოლექტივისტურ სიმბოლოებზე; აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს ენობრივ სტრატეგიაზე, რომელიც ორიენტირებულია იერარქიული წესრიგისა და კოლექტიური იდენტობის კონსტრუირებაზე, სადაც პასუხისმგებლობის ცენტრი ერთიან ავტორიტეტშია მოქცეული. საპირისპიროდ, ინგლისურენოვან დისკურსში მეტონიმიური მრავალფეროვნება ასახავს დეცენტრალიზებულ და ინდივიდუალისტურ პარადიგმას. ენობრივი საშუალებების ვარიაციულობა ამ შემთხვევაში მიუთითებს სოციალური და ინსტიტუციური პასუხისმგებლობის ფრაგმენტულ გადანაწილებაზე;

13. კოვიდპანდემიის ქართულსა და ინგლისურენოვან დისკურსებში მეტაფორული კონცეპტუალიზაცია საერთო კოგნიტურ საყრდენს „ომის“, „უხილავი მტრისა“ და „ბრძოლის“ პარადიგმაში პოულობს, რაც კრიზისულ სიტუაციაში საზოგადოებრივი ძალების მობილიზაციისა და მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამგვარი საერთო საფუძვლის მიუხედავად, იკვეთება მკვეთრი ფუნქციური დიფერენციაცია: ქართულენოვან სივრცეში აქცენტი კეთდება ინდივიდუალურ მსხვერპლსა და პერსონალურ გმირობაზე, სადაც მოქალაქე პასუხისმგებელ „ჯარისკაცადაა“ წარმოჩენილი, ხოლო მედიკოსები - გმირებად. საპირისპიროდ, ინგლისურენოვანი დისკურსი პრაგმატულ ჩარჩოს ეყრდნობა, სადაც პანდემია გააზრებულია როგორც მართვადი „გზა“. აღნიშნული მეტაფორული მოდელი ამცირებს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ წნეხს და პასუხისმგებლობას ინსტიტუციურ სიძლიერესა და გამოსავლის ერთობლივ ძიებაზე გადაიტანს. მეტაფორული კონსტრუქციების ეს განსხვავებულობა ასახავს კრიზისის მართვის კულტურულად სპეციფიკურ მიდგომებს: ქართულ დისკურსში წამყვანია მორალური ერთიანობისა და ეროვნული სოლიდარობის ეთოსი, ხოლო ინგლისურენოვანში - სტრატეგიული ოპტიმიზმისა და ინსტიტუციური კონტროლის ნარატივი;

14. ქართულ და ინგლისურ დისკურსებში პათოსი ვლინდება როგორც ცენტრალური რიტორიკული სტრატეგია, რომელიც აუდიტორიის ემოციურ გაერთიანებას, სოლიდარობის კონსტრუირებასა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციას ემსახურება. მიუხედავად საერთო პრაგმატული მიზნისა, ენობრივი რეალიზაციის მოდელები მკვეთრ დისკურსულ დიფერენციაციას ავლენს. ქართული დისკურსი ხასიათდება მაღალი ემოციური ინტენსივობითა და ექსპრესიულობით. ლექსიკური გამაძლიერებლებისა და განმეორებითი სტრუქტურებით ხდება სიტუაციის დრამატიზება, რაც მიზნად ისახავს ეროვნული სოლიდარობისა და კოლექტიური გმირობის ხატის შექმნას. ინგლისური დისკურსი კი ორიენტირებულია ინსტიტუციურ სტაბილურობასა და რაციონალურ პათოსზე. ნეიტრალური ტონალობისა და სტაბილური გრამატიკული სტრუქტურების გამოყენებით აქცენტი კეთდება არა ემოციურ აფექტზე, არამედ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და დემოკრატიული ინსტიტუტების სიმტკიცეზე. ემოციური დისტანცირება ამ შემთხვევაში ემსახურება პოლიტიკური პროცესების მართვადობისა და მორალური ანგარიშვალდებულების დემონსტრირებას;

15. ქართულ და ინგლისურ დისკურსებში პარალელური კონსტრუქციების გამოყენება წარმოადგენს ტექსტის სტრუქტურიზაციის სტრატეგიას, რომელიც ინფორმირებისა და დარწმუნების ურთიერთგადამკვეთ ფუნქციებს ასრულებს. ქართულ დისკურსში აღნიშნული სინტაქსური მოდელი ორიენტირებულია შრომის მასშტაბის, პროფესიული დატვირთვისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის აქცენტირებაზე; დისტანციური ტონის შენარჩუნებით პარალელიზმი აქ ადმინისტრაციული ეფექტიანობის ხაზგასმას ემსახურება. საპირისპიროდ, ინგლისურენოვან დისკურსში პარალელური კონსტრუქციები და ჩამონათვალის ფორმატი სლოგანური ფორმულირებების შექმნისკენ არის მიმართული. აღნიშნული სტრატეგია ემსახურება გზავნილის მაქსიმალურ გამარტივებასა და აუდიტორიაში ემოციური მუხტის გაძლიერებას, რაც პანდემიის პირობებში ოპტიმიზმისა და იმედის მომცემი ნარატივის ფორმირების წინაპირობაა;

16. ქართულ და ინგლისურ დისკურსებში „სამთა წესი“ (Rule of Three) ვლინდება როგორც პრაგმატულად დატვირთული რიტორიკული ინსტრუმენტი, რომელიც გზავნილების სტრუქტურირებულ, ეფექტურ და ემოციურ რეალიზაციას

უზრუნველყოფს. ორივე საკომუნიკაციო სივრცეში აღნიშნული სტრატეგია კრიზისული განწყობების პოზიტიურ ტრანსფორმაციასა და საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას ემსახურება. მიუხედავად სტრატეგიული მსგავსებისა, „სამთა წესის“ გამოყენებისას იკვეთება მკვეთრი ფუნქციური დიფერენციაცია. ქართულენოვან დისკურსში „სამთა წესი“ უპირატესად ბიუროკრატიული სიზუსტისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ენას ეფუძნება და აქცენტირებულია პროცესების მართვის აკადემიურ და ინსტიტუციურ ასპექტებზე, რაც მართვის სისტემურობის დემონსტრირებას ემსახურება. ინგლისურენოვან დისკურსში კი აღნიშნული მოდელი ფუნქციონირებს როგორც ემოციური მობილიზაციის მექანიზმი. იგი ორიენტირებულია აუდიტორიის მყისიერ ემოციურ რეაგირებასა და აქტიური სოციალური ჩართულობის სტიმულირებაზე, რაც გზავნილს დინამიკურ და ქმედებაზე ორიენტირებულ ხასიათს ანიჭებს;

17. საკვლევ დისკურსებში ევფემიზმი ვლინდება როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის ინსტრუმენტი, რომელიც მჭიდროდაა დეტერმინირებული კულტურული კონტექსტითა და საზოგადოებრივი ღირებულებებით. ორივე საკომუნიკაციო სივრცეში ევფემიზმი ფუნქციონირებს როგორც ენობრივი ბარიერი, რომელიც კრიზისულ პერიოდში სოციალური წნეხის შემცირებასა და ფსიქოლოგიური დამაბულობის ნეიტრალიზებას ემსახურება. მიუხედავად საერთო პრაგმატული დანიშნულებისა, ევფემიზმების რეალიზაციისას იკვეთება მკვეთრი ფუნქციური დიფერენციაცია. ქართულ რიტორიკაში დომინანტურია ემოციურ-სოლიდარული მიდგომა, ხოლო ინგლისურენოვანში - რაციონალურ-ფუნქციური ნარატივი;

18. ერთი და იგივე დისკურსული ტაქტიკა - ქვეყნის გარე სივრციდან მაგალითის მოყვანა, ორივე გარემოში ურთიერთგანსხვავებულ ფუნქციურ დატვირთვას იძენს. ქართულენოვან დისკურსში სხვა ქვეყნის გამოცდილებაზე აპელირება ემსახურება ინფორმაციულ-საგანმანათლებლო მიზნებს, სადაც ნეიტრალური ენობრივი საშუალებებით სიფრთხილის ხარისხი მაღლდება და შიდა მობილიზაცია სტიმულირდება. ამ შემთხვევაში, გარე მაგალითი გამოიყენება როგორც პრევენციული ინსტრუმენტი საზოგადოებრივი ქცევის მოდელირებისთვის. ინგლისურენოვან დისკურსში კი საგარეო რეფერენციები გამოყენებულია პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც სპიკერები საკუთარი მართვის მოდელის წარმატებასა და

უპირატესობას წარმოაჩენენ. აღნიშნული სტრატეგია საკუთარი მიღწევების ჰიპერბოლურ შეფასებასა და ეროვნულ იდენტობაზე დაფუძნებულ დამაჯერებლობას ეყრდნობა, რაც ხაზს უსვამს დისკურსის თვითდამკვიდრებისა და ლიდერობის დემონსტრირებისკენ მიმართულ ბუნებას;

19. კოვიდპანდემიის კონტექსტში ავტორიტეტული წყაროების ფუნქციური ანალიზი წარმოაჩენს პრინციპულ სხვაობას მათი წარმოშობისა და რიტორიკული დანიშნულების თვალსაზრისით. ქართულ დისკურსში იკვეთება გარე (საერთაშორისო) და შიდა ავტორიტეტული წყაროების ერთობლივი გამოყენება, რაც ეროვნული ავტორიტეტების ზედამხედველობითი როლის განმტკიცებასა და მათ პროფესიულ კომპეტენციაზე ხაზგასმას ემსახურება. ამ პარადიგმაში ავტორიტეტულ წყაროებზე დაყრდნობა ორიენტირებულია ერთიანი ეროვნული იდენტობის წარმოჩენაზე, სადაც ექსპერტული ცოდნა გააზრებულია, როგორც საერთო ეროვნული ძალისხმევის ნაწილი. ინგლისურენოვან დისკურსში კი შიდა (ლოკალური) წარმოშობის წყაროების გამოყენება დომინირებს, რაც ინსტიტუციური პასუხისმგებლობის გადანაწილებასა და თავისუფალი დისკურსის შესაძლებლობის ჩვენებას ემსახურება. ავტორიტეტული წყაროების მოხმობა ამ შემთხვევაში ხაზს უსვამს ცალკეული ინსტიტუციის სპეციფიკურ პასუხისმგებლობას, რაც კრიზისის მართვისადმი დეცენტრალიზებულ და ინსტიტუციურ მიდგომას ასახავს;

20. კოვიდპანდემიის ქართულ და ინგლისურენოვან დისკურსებში პასუხისმგებლობის სხვისთვის დაკისრება წარმოადგენს კრიზისის ენობრივი მანიპულაციებით მართვის ინსტრუმენტს. აღნიშნული სტრატეგიის ცენტრალური მიზანია პასუხისმგებლობის უარყოფა და შესაძლო კრიტიკისგან თავის დაცვა, რაც ანგარიშვალდებულებების არასათანადო შესრულებითაა გამოწვეული. მიუხედავად საერთო მიზნისა, დისკურსული მოდელები მკვეთრ ფუნქციურ დიფერენციაციას ავლენს: ინგლისურენოვანი პოლიტიკური რიტორიკა პასუხისმგებლობის გარე სუბიექტებზე (სხვა ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები, წინა მმართველობები) დაკისრებით ხასიათდება, რაც რეალიზებულია აგრესიული, ბრალდებითი ფორმულებით. აქ მკვეთრად ფიქსირდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის უარყოფა პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ხოლო დისკურსი ატარებს პოლარიზებულ ხასიათს, სადაც თვითადიარების მომენტები ნაკლებად ფიქსირდება.

საპირისპიროდ, ქართულენოვანი რიტორიკა პასუხისმგებლობის შერბილებულ გადანაწილებას ავლენს შიდა ობიექტებზე (უწყებები, სისტემური დაბრკოლებები ან საზოგადოებრივი ქცევა), სადაც ბრალდებები ფორმულირებულია ნეიტრალური, ბიუროკრატიულად გაწონასწორებული გადაბრალეებით. პასუხისმგებლობის განაწილება აქ მეტწილად კოლექტიური ტიპისაა, სადაც მმართველი სუბიექტის ფუნქცია საზოგადოების, ინსტიტუტებისა და სპეციალისტების თანამშრომლობის რეჟიმის შეფასებაა, ხოლო სიტუაციის განსამუხტად გამოყენებულია პროფესიული ავტორიტეტების ქმედებების აღიარება სანიმუშო მოდელებად;

21. ქართულ დისკურსში ჭარბადაა ემოციური მიმართვები, პათოსური რიტორიკა და მეტაფორები, მაშინ როცა ინგლისურენოვან დისკურსში ჭარბობს ლოგიკური არგუმენტაცია, ფაქტები და პირდაპირი მოწოდებები;

22. კვლევის შედეგად დგინდება, რომ კრიზისული კომუნიკაციის ეფექტურობა განპირობებულია არა მხოლოდ ენობრივი ფორმების შერჩევით, არამედ იმ კულტურულ ღირებულებებზე დამყარებული პრაგმატული მოლოდინებით, რომლებსაც საზოგადოება მმართველი ინსტიტუტების მიმართ ავლენს. აღნიშნული მიგნებით დასტურდება, რომ ენობრივი სტრატეგიების წარმატება პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებრივ აღქმებს, სადაც მმართველი სუბიექტების დისკურსი პასუხობს თითოეული კულტურისთვის დამახასიათებელ, ღრმად ფესვგადგმულ სოციალურ და ინსტიტუციურ პარადიგმებს;

23. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ საკვლევ დისკურსებში ზედსართავი სახელების გამოყენების ანალიზი ავლენს ენობრივი სტრატეგიების მკვეთრ დიფერენციაციას, რაც აუდიტორიაზე ზემოქმედების ურთიერთგანსხვავებული მიზნებით არის განპირობებული. ქართულ დისკურსში ზედსართავ სახელთა მაღალი სიხშირე მიუთითებს ემოციურად დატვირთულ რიტორიკაზე, სადაც დადებითი და უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობების მქონე ერთეულების მონაცვლეობა უშუალოდ ასახავს პანდემიური ტალღების დინამიკას. ენობრივი სტრატეგიები მოქნილად ერგება ეპიდემიოლოგიურ ფონს: კრიზისის პიკურ ფაზებში დომინირებს მობილიზაციისკენ მიმართული ნეგატიური ლექსიკა, ხოლო სტაბილიზაციის პერიოდში - დამშვიდებისაკენ ორიენტირებული პოზიტიური ერთეულები. აღნიშნული რიტორიკა მიმართულია მოსახლეობის დისციპლინურობასა და

სიფრთხილის გაძლიერებაზე, რისთვისაც ხშირად გამოიყენება ნეიტრალური მნიშვნელობის ზედსართავებიც, თუმცა მთლიანობაში სტრატეგია ემსახურება საზოგადოების მობილიზაციასა და შემდგომ ფსიქოლოგიურ სტაბილიზაციას. ინგლისურ დისკურსში კი ზედსართავი სახელების ზომიერი გამოყენება ქმნის დისტანციური და ნეიტრალური კომუნიკაციის ჩარჩოს, სადაც აქცენტი გადატანილია ფაქტობრივ და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ინფორმაციაზე. ამავდროულად, დომინანტურია დადებითი მნიშვნელობის ზედსართავები და ჰიპერბოლური შეფასებები, რაც მხარდაჭერის გაზრდასა და ოპტიმისტური ტონის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. უარყოფითი კონოტაციის მქონე ერთეულების დაბალი და სტაბილურად კლებადი სიხშირე მიუთითებს საფრთხის მინიმალიზაციისა და დამამშვიდებელი კომუნიკაციის გაცნობიერებულ ტენდენციაზე;

24. ქართულ და ინგლისურ დისკურსებში სამედიცინო მარკერების ჰელინგერის ანალიზმა გამოავლინა დისკურსის კონტექსტზე მორგებული განვითარების დინამიკა, რომელიც სამ ფაზად იყოფა: პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში ორივე დისკურსში გამოყენებული ენა ხასიათდებოდა უნივერსალურობითა და სინქრონიულობით. აღნიშნული ტენდენცია განპირობებული იყო ორივე ქვეყნისთვის იდენტური სამედიცინო ინფორმაციისა და რეკომენდაციების ხელმისაწვდომობით, რაც ენობრივი ერთგვაროვნების საფუძველს წარმოადგენდა; პანდემიის მეორე ტალღის, კრიზისის ფაზის განმავლობაში, დისკურსულმა სივრცემ ტრანსფორმაცია განიცადა. კულტურულმა და პოლიტიკურმა კონტექსტმა გადაწყვეტი გავლენა მოახდინა ენობრივი ერთეულების არჩევანზე, რამაც გამოიწვია რიტორიკული დიფერენციაცია და თითოეული გარემოსთვის სპეციფიკური ენობრივი სტრატეგიების ჩამოყალიბება; პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში დაფიქსირდა დისტანციის შემცირება, რაც ასახავს პანდემიასთან ბრძოლისა და პანდემიური კრიზისის კომუნიკაციის ენის საერთაშორისო ნორმალიზაციას. ეს პროცესი მიუთითებს გლობალური სტანდარტების დამკვიდრებაზე, რამაც კვლავ დაახლოვა ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი დისკურსული მოდელები;

25. ჰელინგერის ანალიზმა გამოავლინა დისკურსის პოლიტიკურ კონტექსტზე მორგებული განვითარების დინამიკა, რომელიც პანდემიის სხვადასხვა ფაზაში ურთიერთგანსხვავებული ტენდენციებით ხასიათდება: პანდემიის პირველი ტალღის

განმავლობაში პოლიტიკური დისკურსი ქართულ და ინგლისურენოვან სივრცეებში ჰარმონიზებულია. აღნიშნული სინქრონიზაცია განპირობებულია იმით, რომ ორივე მხარე ეყრდნობა მსგავს პოლიტიკურ მექანიზმებსა და საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რაც კრიზისის საწყის ეტაპზე ენობრივი მოდელების ერთგვაროვნებას განაპირობებს; პანდემიის მეორე ტალღის განმავლობაში ფიქსირდება დისტანციის ზრდა პოლიტიკური მარკერების გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული ცვლილება მიუთითებს ენობრივი ერთეულების არჩევანზე კულტურული და შიდაპოლიტიკური ფაქტორების გავლენის გაძლიერებაზე, რამაც პოლიტიკური რიტორიკის სპეციფიკური, ეროვნული მოდელების გამოკვეთა გამოიწვია; პანდემიის მესამე ტალღის განმავლობაში დისტანცია კიდევ უფრო იზრდება, რაც პოლიტიკური კონტექსტით განპირობებულ განსხვავებულ საკომუნიკაციო სტრატეგიებს ასახავს. ეს პროცესი ადასტურებს, რომ კრიზისის ხანგრძლივმა ხასიათმა გამოიწვია პოლიტიკური პრიორიტეტების მკვეთრი დიფერენცია, რამაც საბოლოოდ დააშორა ერთმანეთს ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პოლიტიკური რიტორიკის სტრუქტურები.

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

- გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., და შენგელაია, ნ. (2008). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- დოლიძე, მ. (2009). ფენომენოლოგიური აზროვნება მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში. კულტურა და ფილოსოფია.
- თანდაშვილი, მ., ფურცხვანიძე, ზ. (2014). კორპუსლინგვისტიკა (გლოსარიუმი და რეგისტრი), Frankfurt University Press.
- Hardie, A., & Daraselia, S. (2024). *A theory for words in Georgian: Traditional constructs versus corpus annotation*. *Corpus Linguistics and Linguistic Theory*. <https://doi.org/10.1515/cllt-2023-0107>
- თანდაშვილი, მ. (2016). *ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)*, ბათუმი.
- თანდაშვილი, მ. (2019). *ენისა და კულტურის დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის მაგალითზე*, ბათუმი.
- თანდაშვილი, მ., ყამარაული მ. (2021). *შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში*, თბილისი. ივერიონი.

Akayeva, E. (2007). *Communicative strategies of professional medical discourse*, Autorefer dissertation. Omsk.

Amaglobeli, G. (2009). Political problem: Natural or conventional? *IBSU Scientific Journal (IBSUSJ)*, 3(1), 21-34.

Andone, C. (2013). *Argumentation in political interviews: Analyzing and evaluating responses to accusations of inconsistency*. John Benjamins. <https://doi.org/10.1075/aic.5>

Arutyunova, N. (1990). *Discourse. Linguistic Encyclopedic Dictionary*. Soviet Encyclopedia.

Berkenkotter, C., & Huckin, T. N. (1995). *Genre Knowledge in Disciplinary Communication: Cognition/Culture/Power*. Lawrence Erlbaum Associates.

Bessette, J. M. (2001). *Accountability: Political*. In N. J. Smelser & P. B. Baltes (Eds.). *International encyclopedia in the social behavioral sciences* (pp. 38-41). <https://doi.org/10.1016/B0-08/043076-7/01091-3>

Bhatia, V. K. (1997). Genre-mixing in academic introductions. *English for Specific Purposes*, 16(No. 3), 181-195. doi:10.1016/S0889-4906(96)00039-7

Bitzer, L. (1968). The Rhetorical Situation. *Philosophy and Rhetoric*, 1(1), 1-14.

- Byrne, P. S., & Long, B. E. L. (1976). *Doctors Talking to Patients: A Study of the Verbal Behaviour of General Practitioners Consulting in Their Surgeries*. H.M. Stationery Office, London.
- Campbell, K. K., & Jamieson, K. H. (1978). *Form and Genre: Shaping Rhetorical Action*. Speech Communication Association.
- Cassell, E. J., & Skopek, L. (1977). Language as a tool in medicine: methodology and theoretical framework. *J Med Educ.*, 52(3), 197-203. <https://doi.org/10.1097/00001888-197703000-00004>
- Charaudeau, P. (2006). *Le discours politique. Les masques du pouvoir*, Paris, Vuibert. <https://doi.org/10.4000/communication.3435>
- Charon, R. (2006). *Narrative Medicine: Honoring the Stories of Illness*. Oxford University Press. <https://doi.org/10.1093/oso/9780195166750.001.0001>
- Cheney, G. T., Zorn, T. E., and Ganesh, S. (2010). *Organizational Communication in an Age of Globalization: Issues, Reflections, Practices*. Waveland Press.
- Clayman, S. E., & Heritage, J. (2002). *The News Interview: Journalists and Public Figures on the Air*. Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/CBO9780511613623>
- Crookes, G. (1990). The Utterance, and Other Basic Units for Second language discourse analysis. *Applied Linguistics*, 11(2), 183–199. <https://doi.org/10.1093/applin/11.2.183>
- Crystal, D. (1990). *The English Language*. Penguin Books.
- van Dijk, T. A. (1985). *Semantic Discourse Analysis*. Academic Press.
- Dolinin, K. A. (1999). Rechevye zhanry kak sredstvo organizatsii sotsial'nogo vzaimodeystviya [Speech genres as means of organization of social interaction]. *Zhanry rechi: Sbornik nauchnykh statei* [Speech Genres: Collection of Scientific Articles], 2, 7–13. Izdatel'stvo Saratovskogo universiteta.
- Eemeren, F. H. (2010). *Strategic Maneuvering in Argumentative Discourse*. John Benjamins Publishing Company. <https://doi.org/10.1075/jaic.2.1.01eem>
- Ekström, M., & Eriksson, G. (2018). Press conferences. In R. Wodak & B. Forchtner (Eds.), *The Routledge handbook of language and politics* (pp. 342–354). Routledge. <https://doi.org/10.4324/9781315183718-26>
- Fairclough, N. (1995). *Critical discourse analysis : the critical study of language*. Longman.
- Fasold, R. W. (1990). *The sociolinguistics of language*. Oxford.
- Foucault, M. (1972). *The archaeology of knowledge and the discourse on language*. Pantheon Books.
- Gajda, S. (1991). Gatunki wypowiedzi potocznych [Genres of everyday speech]. Język potoczny jako przedmiot badań językoznawczych.
- Galperin, I. R. (1977). *Stylistics*. Higher school.
- Gee, J. P. (1989). *Literacy, Discourse, and Linguistics: Introduction*. SAGE Publications. <https://doi.org/10.1177/002205748917100101>
- Gee, J. P. (2014). *An Introduction to Discourse Analysis*. Routledge. <https://doi.org/10.4324/9781315819679>
- Gerstlé, J. (2008). La communication politique. *International Journal of Public Opinion Research*, 23(2), 233-236. <https://doi.org/10.1093/ijpor/edr011>

- Gramsci, A. (1971). *Selections from the Prison Notebooks*. International Publishers.
- Grishechkina, N. (2017). Transdisciplinary knowledge as a factor of medicine development in modern society. *zv. Saratov Univ. (N. S.), Ser. Philosophy. Psychology. Pedagogy*, 17(4), 379-383. <https://doi.org/10.18500/1819-7671-2017-17-4-379-383>
- Hallahan, K., Holtzhausen, D., van Ruler, B., Verčič, D. & Sriramesh, K. (2007). Defining strategic communication. *International Journal of Strategic Communication*, 1(1), 3-35.
- Harutyunyan, K. (2011). On the Relationship between Language and Culture. *Culture Studies*, 7(1), 134-138. <https://doi.org/10.46991/AFA/2011.7.1.134>
- Hernández, A. (2021). Journalists' moves in political press conferences and their implications for accountability. *Journal of Argumentation in Context*, 10(3), 281- 314. <https://doi.org/10.1075/jaic.20005.her>
- Jakobson, R. (1987). *Language in literature*. The Belknap Press of Harvard University Press.
- Karasik, V. I. (2000). *The structure of institutional discourse*. Izdatel'stvo Saratovskogo universiteta.
- Keating, E. L. & Duranti, A. (2011). Discourse and Culture. *Discourse Studies: A Multidisciplinary Introduction*, 331-332. <https://doi.org/10.4135/9781446289068.n16>
- Kibrik, A. (2011). *Reference in Discourse*. Oxford University Press. <https://doi.org/10.1093/acprof:oso/9780199215805.001.0001>
- King, C. L. (2009). Emergent communication strategies. *International journal of strategic communication*, 4(1), 19-38.
- Kjeldsen, J. E. (2023). *Crafting a crisis: How the genre of the justifying press conference constituted the Covid-19 pandemic as an emergency and legitimised the power of authorities in Denmark, Norway, and Sweden*. Nordicom, University of Gothenburg. <https://doi.org/10.48335/9789188855688-5>
- Kozhina, M. N. (2006). *Stylistics of the Russian language: textbook*. Flint: Nauka.
- Kramsch, C. J. (1998). *Language and culture*. Oxford University Press.
- Lasch, R. (1908). *Der eid, seine entstehung und beziehung zu glaupe und brauch der naturvölker*. Strecker & Schröder.
- Lee, W. (2004). The Relationship between Communicative Competence and Metacognitive Strategy Use. *Foreign Language Education*, 11(1), 165-185.
- Maltsev, V. A. (1984). *Stylistics of the English language*. Higher School.
- Marchiori, M., & Bulgacov, S. (2012). *Strategy as communicational practice in organizations*. *International Journal of Strategic Communication*, 6(3), 199–211. <https://doi.org/10.1080/1553118X.2012.654550>
- Middleton, P. (2018). *The Substance of Which Was Delivered at Opening the Medical School, in the City of New-York* (Classic Reprint). Fb&c Limited.
- Mintzberg, H. (1987). Crafting strategy. *Harvard Business Review*, 65(4), 66–75.
- Mintzberg, H. (1994). Rethinking strategic planning part I: Pitfalls and fallacies. *Long Range Planning*, 27(3), 12-21. [https://doi.org/10.1016/0024-6301\(94\)90185-6](https://doi.org/10.1016/0024-6301(94)90185-6)

- Rodionova, T. V. & Privalova, I. V. (2020). Peculiarities of medical discourse in professional and non-professional settings. *Izvestiya of Saratov University. New Series. Philology. Journalism*, 20(1), 39-43. <https://doi.org/10.18500/1817-7115-2020-20-1-39-43>
- Roter, D. L., & Hall, J. A. (1992). *Doctors talking with patients/patients talking with doctors: Improving communication in medical visits*. Auburn House/Greenwood Publishing Group.
- Sandhu, S. (2009). Strategic Communication: An Institutional Perspective. *International Journal of Strategic Communication*, 3(2), 72-92. <https://doi.org/10.1080/15531180902805429>
- Sapir, E. (1934). Symbolism. In *Encyclopaedia of the Social Sciences* (Vol. 14, pp. 492–495). Macmillan.
- Sarangi, S., & Roberts, C. (1999). *Talk, work and institutional order: Discourse in medical, Mediation and Management Settings*. Berlin, Germany: Mouton de Gruyter.
- Scott, J. C. (1990). *Domination and the Arts of Resistance: Hidden Transcripts*. Yale University Press.
- Shamne, L., & Shishkina, E. (2018). The vocabulary of science-popular medical discourse (as exemplified in German online media). *Science Journal of VolSU. Linguistics*, 17(4), 170-179. <https://doi.org/10.15688/jvolsu2.2018.4.16>
- Shpilnaya, N. (2018). Axiological dominants of the female student oral discourse (on the material of everyday dialogue). *Siberian Journal of Philology*, 63(2), 170-184. <https://doi.org/10.17223/18137083/63/15>
- Skrebnev, M. Y. (1960). *Fundamentals of English Stylistics*. Uchpedgiz.
- Tate, P. (2010). *The Doctor's Communication Handbook*. Radcliffe Publishing.
- Thornborrow, J. (2002). *Power talk: Language and interaction in institutional discourse*. Longman. <https://doi.org/10.4324/9781315839172>
- Vatz, E. R. (1973). The Myth of the Rhetorical Situation. *Philosophy & Rhetoric*, 6(3), 154-161.
- Wang, H., & Ge, Y. (2022). The discursive (re)construction of social relations in a crisis situation: A genre analytical approach to press conferences on COVID-19 in China. *Frontiers in Psychology*, 13(991813). <https://doi.org/10.3389/fpsyg.2022.991813>
- Weber, M. (1946). *Politics as a Vocation*. Oxford University Press.
- Wierzbicka, A. (1992). *Semantics, Culture, and Cognition: Universal Human Concepts in Culture-Specific Configurations*. Oxford University Press. <https://doi.org/10.1093/oso/9780195073256.001.0001>
- Wilce, J. M. (2009). Medical discourse. *The Annual Review of Anthropology*, 38, 199-215. <https://doi.org/10.1146/annurev-anthro-091908-164450>
- Wodak, R. (2009). *Methods of Critical Discourse Analysis*. Sage Publications.
- Wolton, D. (1997). *Penser la communication*. Flammarion.
- Woods, N. (2006). *Describing Discourse: A Practical Guide to Discourse Analysis*. Routledge. <https://doi.org/10.4324/9780203784303>
- Zarefsky, D. (2009). Strategic Maneuvering in Political Argumentation. *Argumentation*, 22(2), 317-330. <https://doi.org/10.1007/s10503-008-9096-9>

Маслова, В. (2008). Политический дискурс: языковые игры или игры в слова? *Политическая лингвистика (Political Linguistics)*, 1(24), 43-48.

ინტერნეტრესურსები

1. Civic Education. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20>
2. Discourse Competence. <https://www.upf.edu/en/web/ecodal/glosario-competencia-discursiva>
3. Dispositio. <https://en.wikipedia.org/wiki/Dispositio>
4. Elocutio. <https://en.wikipedia.org/wiki/Elocutio>
5. Glottopedia. [http://www.glottopedia.org/index.php/Register_\(discourse\)](http://www.glottopedia.org/index.php/Register_(discourse))
6. Inventio. <https://en.wikipedia.org/wiki/Inventio>
7. Memoria. <https://en.wikipedia.org/wiki/Memoria>
8. Pronuntiatio. <https://en.wikipedia.org/wiki/Pronuntiatio>
9. <https://waycalculator.com/tool/Word-Density-Calculator.php>
10. <https://www.presidency.ucsb.edu/documents/the-presidents-news-conference-1267>
11. <https://www.youtube.com/watch?v=5jIb8HjA1Io>
12. https://www.youtube.com/watch?v=LFnUJX_UB_8
13. <https://www.youtube.com/watch?v=z9xijMEO5II>
14. <https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-briefing-transcript-march-23>
15. <https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-coronavirus-task-force-press-conference-transcript-march-25>
16. <https://www.youtube.com/watch?v=KNOYRKzeoTg>
17. <https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-13-2020-coronavirus-task-force-briefing>
18. <https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-15-2020-press-briefing-coronavirus-task-force>

19. <https://www.youtube.com/watch?v=1QwehaaJrEQ>
20. <https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/april-23-2020-task-force-briefing-coronavirus-pandemic>
21. <https://www.youtube.com/watch?v=jmpBa4h6INk>
22. <https://www.youtube.com/watch?v=qOzhGDyCc2I>
23. <https://www.presidency.ucsb.edu/documents/the-presidents-news-conference-1262>
24. <https://www.presidency.ucsb.edu/documents/the-presidents-news-conference-1263>
25. <https://www.presidency.ucsb.edu/documents/the-presidents-news-conference-1264>
26. <https://www.youtube.com/watch?v=gJcu-4X0vSM>
27. <https://www.youtube.com/watch?v=M4zUp3kNss0>
28. <https://www.rev.com/blog/transcripts/white-house-press-secretary-jen-psaki-press-conference-with-dr-fauci-transcript-january-21>
29. <https://www.youtube.com/watch?v=EwCz3Fa9Ie0>
30. <https://www.youtube.com/watch?v=o5AlQGynF4s>
31. <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-pfizer-ceo-speech-on-global-vaccination-effort-transcript>
32. <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-speech-transcript-fully-vaccinated-americans-no-longer-need-to-wear-masks>
33. https://bidenwhitehouse.archives.gov/briefing-room/press-briefings/2021/05/13/press-briefing-by-white-house-covid-19-response-team-and-public-health-officials-36/?utm_source=chatgpt.com
34. <https://www.youtube.com/watch?v=Ed6JKC9hFhQ>
35. <https://www.youtube.com/watch?v=i2fR6HMc3cg>
36. <https://www.youtube.com/watch?v=g8ZHsq59R9U>
37. https://www.youtube.com/watch?v=p1C_Ua5uBJ4
38. <https://www.youtube.com/watch?v=4HcXWhEacu4>
39. <https://www.youtube.com/watch?v=ZOqkrmv-Znw>

40. <https://www.youtube.com/watch?v=Ah-3wDc06VI>
41. <https://www.youtube.com/watch?v=z2g26GUwxUE>
42. <https://www.youtube.com/watch?v=CGG4Dd10g4>
43. <https://www.youtube.com/watch?v=BdKpsjiExc4>
44. <https://www.youtube.com/watch?v=5pOEGW3yVuM>
45. <https://www.youtube.com/watch?v=pe172VSiE>
46. <https://www.youtube.com/watch?v=1KWfLwDiufc>
47. <https://www.youtube.com/watch?v=ab5QU6o6eAY>
48. <https://www.youtube.com/watch?v=ajR5BSlrawE>
49. <https://www.youtube.com/watch?v=OOE6r8tTFt0>
50. <https://www.youtube.com/watch?v=fljNy0hVllc>
51. <https://www.youtube.com/watch?v=Cbbxflf6uW0>
52. <https://www.youtube.com/watch?v=TRxWI9RnJek>
53. <https://www.youtube.com/watch?v=ljRR5m1YTxQ>
54. <https://www.youtube.com/watch?v=rFctm1QVjyg>
55. <https://www.youtube.com/watch?v=7qWjL-G3mlo>
56. <https://www.youtube.com/watch?v=HF9jURwRhR8>
57. <https://www.youtube.com/watch?v=gDak39DJvho>
58. <https://www.youtube.com/watch?v=8ZJVwr7VnOc>
59. <https://www.youtube.com/watch?v=jIfGx4G8tjo>
60. <https://www.americanrhetoric.com/speeches/convention2008/barackobamavictoryspeech.htm>
61. https://educationuk.org/documents/speeches/1996ruskin.html?utm_source=chatgpt.com
62. https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2001/09/20010920-8.html?utm_source=chatgpt.com
63. <https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/remarks-president-cairo-university-6-04-09>